

ალექსანდრე ფოსნიშვილი

# ქართული ენა

ლინგვისტური და  
ექსტრალინგვისტური ასპექტები

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ  
ჯამგაციებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ქართული  
ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის

თბილისი - 2000

წიგნში შესულ საკითხთაგან უმეტესობა ქართულ ენათმეცნიერებაში პირველად ავტორმა წამოაყენა. დანარჩენი საკითხები განხილულია გრადიციულ გაგებათაგან განსხვავებულად ან – სრულიად საპირისპიროდ.

წიგნი განკუთვნილია ფილოლოგიის უაკულტეტის სტუდენტთათვის. იგი გამოადგება ქართული ენის სტრუქტურის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველსაც.

რედაქტორი: პროფ. ზ. სარჯველაძე

რეცენზენტები: პროფ. ალ. ლლონგი  
დოც. ლამარა ნოზაძე

მეცნიერ-კორექტორი: ასპირ. ე. ბესგავაშვილი

## ავტორისაგან

წიგნში შესული შრომები, მცირე გამონაკლისის გარდა, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემებში. ისინი შეიძლება ორად დაჯგუფდეს: პირველ სამ თავში გაერთიანებულნი ძირითადად ქართული ენის სტრუქტურის შესწავლას ეძღვნება, მომდევნო თავებში კი – ექსტრალინგვისტურისას.

წიგნის მიზანდასახულობიდან შედარებით შორსაა ორი შრომა: 1. „თელა ოცობით თუ ათობით?“ და 2. „ქართული ენის დასაცავად“. მათში წარმოდგენილია დედაენის მიმართ ქართული საზოგადოების დამოკიდებულება და ამასთან დაკავშირებით ავტორის პოზიცია – ისტორიას გვერდი ვერც ამ წიგნში აუუარეთ.

შრომების ერთად თავმოყრა იმანაც განაპირობა, რომ ქართული ენის სტრუქტურის საკითხებზე გამოთქმულ განსხვავებულ მოსაზრებებს წლების განმავლობაში სპეცკურსის სახით ვკითხულობდი და ვკითხულობ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტებზე.

მიმაჩნია, რომ გრადიციულ გრამატიკულ ლიტერატურასთან ერთად სტუდენტები უნდა ეცნობოდნენ განსხვავებულ შეხედულებებსაც. ამიტომ შრომების ერთ წიგნში გაერთიანება და

მათთვის დამხმარე სახელმძღვანელოდ მიწოდება სწავლების საქმეს უთუოდ წაადგება.

წიგნში წარმოდგენილ მოსაზრებათაგან ზოგი უკვე გაზიარებულია საენათმეცნიერო წრეებში, სხვათა გაზიარებასა და აღიარებას, ალბათ, დრო დასჭირდება.

ავტორი დიდი სიამოვნებითა და მაღლიერების გრძნობით მიიღებს ყველა დასაბუთებულ შენიშვნას და გაითვალისწინებს შემდგომ გამოცემებში.

ალ. ფოცხიშვილი

P.S. ადრე გამოცემული სტატიები იბეჭდება სრულიად უცვლელი სახით (გამოყენებულ ლიტერატურაზე მითითების თვალსაზრისითაც კი), რის გამოც ზოგი საკითხის განხილვისას გამეორების თავიდან აცილება არ მოხერხდა. იმედია, მკითხველი მაპატიებს ამ „შეცოდებას“.

ა. ფ.

2000 წლის 30 ივნისი.

# I ფონეტიკა

## 1. მარცვალთლიაობის ა ახალ ქართულში

როგორც ცნობილია, მხოლობითისა და ებ-იანი მრავლობითის მიცემითსა, ნათესაობითსა, მოქმედებითსა და ვითარებითში, აგრეთვე, ნარ-თან-იანი მრავლობითის მოთხრობითსა, მიცემითსა და ნათესაობითში ბრუნვის ნიშნებს ერთვის ა ხმოვანი.

საენათმეცნიერო ლიგურატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ეს ა ისტორიულად განსაზღვრების ნაწილაკი იყო და გენეზისურად ჩვენებით ნაცვალსახელს უკავშირდება.

თუ რა ფუნქცია ჰქონდა ა-ს ძველ ქართულში, ამაზე სხვაგან, აქ შეეჩერდებით მის ხმარებაზე ახალ ქართულში.

აკ. შანიძის აზრით, ემფატიკურის სახელით ეს ა არ ეკუთვნის ბრუნვის ნიშანს. მკვლევარი მას ხან ნართაულს უწოდებს და ხან – მაერცობს,<sup>1</sup> რითაც, ალბათ, ხაზი ესმის ამ ნაწილაკის მორფოლოგიური ფუნქციის უქონლობას.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შესავალში არნ. ჩიქობავა წერს: „ბოლოკიდური ა-ს დართვა ამჟამად – მეტწილ შემთხვევაში – უფრო სტილისტურ საჭიროებას უპასუხებს, ვინემ

<sup>1</sup> აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ.48.

მორფოლოგიურ ნორმას წარმოადგენს“.<sup>1</sup> ავტორი იქვე ჩამოთვლის შემთხვევებს, როცა ა-ს ხმარება აუცილებელია: 1. *ც(ა)* ნაწილაკის დართვისას; 2. *და* კავშირის წინ; 3. ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელთან, როცა იგი საზღვრულს მოსდევს<sup>2</sup> და სხვა.

ა-ს საკითხს ახალ ქართულში საგანგებო წერილი მიუძღვნა თ. მურაბიშვილმა.<sup>3</sup> მისი აზრით, ა-ს გამოყენების საქმეში, ძველ ქართულთან შედარებით, ახალი ქართული შესამჩნევ სხვაობას იძლევა, სახელდობრ:

1. უპირველესად ყოვლისა, ემფატიკურ ა-ს დაირთავს ვითარებითი ბრუნვაც;

2. აქ უკვე აღარა აქვს ის სისტემური ხასიათი მის ხმარებას, როგორც ძველ ქართულში ჰქონდა;

3. რადგანაც ა-მ დაკარგა განსაზღვრების ფუნქცია, ახალი ქართული აღარ ასხვავებს საკუთარ და საზოგადო სახელებს ამ მხრივ და საკუთარი სახელებიც ირთავენ მას.

ავტორის დაკვირვებით, ა-ს ხმარება ჩვეულებრივია აღმოსაფლეთ საქართველოდან გამოსული მწერლების თხზულებებში, იშვიათი – დასავლეთელ მწერლებთან, რაც ხალხური მეტყველების გავლენის ბრალია; ა მეტწილ შემთხვევაში ერთვის წინადადების ბოლო წერს, ე.ი. პაუზის თანხედენილია.

ა-ს ხმარების საინტერესო შემთხვევები აქვს მენიშნული სკულენტ დ. მელიქიშვილს,<sup>4</sup> კერძოდ: 1. ერთმარცვლიანი სიტყვების წინ; 2. როცა „არის“ მეშველი გმნა შემოკლებულია და შერწყმულია სახელთან და სხვ.

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.1, გვ.037.

<sup>2</sup> იქვე, გვ.037.

<sup>3</sup> თ. მურაბიშვილი, ემფატიკური ა ახალ ქართულში, სახელთა ბრუნების საკითხისათვის ქართველურ ენებში, 1956, გვ.224-233.

<sup>4</sup> დ. მელიქიშვილი, ემფატიკური ა ი. ჭავჭავაძის პროზაში, და პოეზიაში, თეზისები, სკულენტა XXI სამეცნიერო კონფერენცია, აბ., 1959, გვ.90-91.

ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში გათვალისწინებულია ა-ს დართვა არსებით სახელებზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი, როცა ერთვის სხვა მეტყველების ნაწილებს; სინამდვილეში იგი ერთვის არა მხოლოდ არსებით სახელებს, არამედ ნაცვალსახელებს, ზმნიმელებს, კავშირებსა და ნაწილაკებსაც კი.

ა ნაცვალსახელებთან:

- პირის – შენჲ, ისჲ, ჩვენჲ, თქვენჲ...
- ჩვენებითი – ესჲ, ეგჲ, ამასჲ, ამათჲ...
- კითხვითი – ვინჲ, ვისჲ...

ჩვეულებრივია ა-ს დართვა მიმართებითსა და განუსაზღვრელობითს ნაცვალსახელებზე, როცა ისინი ნაწარმოები არიან *ე(ა)* ნაწილაკით: ვინცა, რაცა, რომელიცა...

ა ზმნიმელებთან:

- ადგილის – იქჲ, აქჲ, წინჲ, სადჲ, ბევითჲ...
- დროის – ხვალჲ, ზეგჲ, ზოგჯერჲ, ხანდახანჲ...
- ვითარების – კარგადჲ, ცხადადჲ...
- ზომა-წონის – ნაკლებჲ, ორჯერჲ, ცოტადჲ...
- მიზეზის – რაგომჲ, ამიგომჲ, იმიგომჲ...
- მიზნის – რადჲ, რისთვისჲ...
- კითხვითი – სადჲ, როდისჲ...
- მიმართების – სადაცჲ, რისთვისაცჲ...

ა კავშირებთან:

- მაერთებელი – გინდჲ, მაგრამჲ, თორემჲ...
- მაქვემდებარებელი – მანამჲ, რომჲ...

ა ნაწილაკებთან:

- ხომჲ, არჲ, ვერჲ...

არის თუ არა აქ ხაზგასმული  $\underline{ა}$  იმავე რიგისა, რა რიგისაცაა, ვთქვათ, მიცემითს, ნათესაობითსა და სხვა ბრუნვის ფორმებს (კაც-ს(ა), კაც-ის(ა)) დართული ა?

არის და აი, რატომ:

1. ახალ ქართულში „სად ხარ“ ისე შეეფარდება „სადა ხარ“ ფორმას, როგორც „ვიყიდი წიგნს“ შეეფარდება „ვიყიდი წიგნსა“. პარალელური ფორმები ერთნაირადაა გასაგები, მათ შორის არაერთი სხვაობა არ არის; 2. *ც(ა)* ნაწილაკის დართვა *ა*-ს აღადგენს ორივე სიტყვასთან<sup>1</sup> („სადაც ვმობილვარ“... „სახლსაც ავაშენებ და ოჯახსაც გავმართავ“); 3. *ა* აღდგება მაშინაც, როცა ამ სიტყვებს ერთვის „არის“ მზნის შეკვეცილი ფორმა: ეამბობთ (და, რაც მთაყარია, თანამედროვე ქართულში ეწეროთ)<sup>2</sup>: ვინაა=ვინ არის; კარგადაა=კარგად არის; ესაა=ეს არის და ა.შ.

მაგალითები ლიტერატურიდან:

„...არავინ გამოხმაურებია, მხოლოდ ერთიმეორეს გადახედეს, აბა ვინაა ლაპარაკის გუნებაზეო“ (142).

„ვინაა ეს კორკოგაძე? – იკითხა ირაკლი შუბითიძემ“ (150).

„...მე საქმეს მივხედავ, განა ცოგა რამაა გასაკეთებელი?!... რამდენი უფრო დიდი რამაა გასაკეთებელი“ (97).

„...თუმცა ვინ იცის, უფროსის წინაა მოკრძალებული“ (20).

„...სადაც საქმეა, სადაც ადამიანი დაუმარებელია, მშვიდობისათვის ბრძოლაც იქაა“ (11).

„...ამბობდი, მათი ბინა იქაა“... (107).

„...მხოლოდ ესაა, დამაგებით რუების გაჭრაში თქვენი დიდი დახმარება დამჭირდება“ (71).

„...რა ძნელი მოსაფიქრებელი ესაა?“ (96).

„...ისაა კომკავშირის კომიტეტის მდივანი“ (25).

<sup>1</sup> ამ *ა*-ს აკ. შანიძე „შემავრთებლებს“ უწოდებს (იხ. ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, თბ., გვ.615).

<sup>2</sup> ო. თ. ჩხეიძე, „ჯებირი“, თბ., 1956.



„... განა საჭირო არაა?! (102).

„...საკვირველიც არაა იმხელა ველი გაუხდია სათარემოდ“ (70).

„...ეს მაინცდამაინც თავისთავად ცხადი ვერაა“ (140).

„...მგონი გასაგებია, საჭირო აღარაა მეგი დროის დაკარგვა“ (69).

„...ეს რეცეპტები რაღაღაა ჩაკერებული“ (72).

„...განიერაღაა აფეთქებული, არხის ვარაუდი როგორ დაეჭიროთ“ (75).

„...ადამიანური სიცოცხლე მსოლოდ ისაა, ადამიანი ნამდვილი ადამიანის მდგომარეობაში მაშინაა, როცა განიცდის განუთარე-ბას“ (29).

„...შენთვისაა მოსაწონი...“ (35).

„...რას დადუმებულხართ, რისგანაა ეს დაბნეულობა და ჯიუტობა“ (24).

მაგალითების მოგანა დაუსრულებლად შეიძლება,<sup>1</sup> მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. ნათქვამიდან ცხადია, რომ ახალმა ქართულმა ა-ს ხმარებაში, ძველ ქართულთან შედარებით, უდიდესი გარდატეხა შეიგანა.

ჩვენ ჩამოეთვალეთ ა ნაწილაკის ხმარების ყველა შემთხვევა, მაგრამ არ შევხებივართ საკითხს, თუ რატომ დაერთვის ა აღნიშნულ სიტყვებს, რა ფუნქცია აქვს მას?

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ „არის“ მზნის შეკვეცილი ფორმა თითქმის სრულიად უცნობია ძველი ქართულისათვის. იშვიათად ვხვდებით მას თვით მე-19 საუკუნის მწერლებთანაც კი, ყოველ შემთხვევაში, თითქმის არყერთი შემთხვევა არა გვაქვს მათთან ა-ს მზნიმედებთან, ნაცუვალსახელებთან და სხვა მეტყველების ნაწილებთან ხმარებისა. ამ მეტყველების ნაწილებთან ა მხატვრულ ლიტერატურაში უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გამოჩნდა. თვით მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდეში“ იგი სულ რამდენიმეჯერაა ნახმარი. ამ ფორმებმა სალიტერატურო ენაში ფართოდ გაიკაფეს გზა, მაგრამ გაბ. „კომუნისტი“ თავის ფურცლებზე „კრძალავს“ მათ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვინაა, ისაა, ესაა ფორმები ჩვეულებრივია დასაეღურ დიალექტებში, მაშინ როცა რომა, ვინა, ისა, ესა ამ დიალექტებში თითქმის არასდროს არ გვხვდება.

ზემოთ მითითებულ ავტორთაგან, როგორც ენახეთ, არნ. ჩიქობავე ა-ს ხმარების საფუძველს სტილში ხედავს, თ. ბურაბიშვილი და დ. მელიქიშვილი მას ორ სიგყვას შორის თანხმოვანთგამყრელად მიიჩნევენ („ბოლთასა სყემს“ – ა აშორებს ორ სანს; „ვერხვივითა თრთის“ – ა მომდეენო თანხმოვანდაჯგუფებული სიგყვის გამოთქმას აადვილებს – მაგალითები დ. მელიქიშვილისაა).

არნ. ჩიქობავე კონკრეტულად არ მიუთითებს, თუ რა „სტილისტურ საჭიროებას“ გულისხმობს და ჩვენც ამიგომ ამ შეხედულებაზე ვერას ვიგყვივით; რაც შეეხება ამრს, რომ ა უნდა მივიჩნიოთ თანხმოვანთგამყრელად, იგი არ არის სარწმუნო შემდეგ გარემოებათა გამო:

მართალია, ქართული ენა ორმაგ თანხმოვანს ფუძეში ვერ ითმენდა და ვერ ითმენს, მაგრამ ამ „უხერხულობიდან“ თავის დასაღწევად იგი მიმართავს არა თანხმოვანთა გაყრას (ხმოვნის ჩართვით), არამედ წყვილთანხმოვანს ამარტივებს ერთის დაკარგვით (უნდა გვექონოდა ბაყყალი, გვაქვს – ბაყალი; უნდა გვექონოდა დაღლაქი, გვაქვს – დაღაქი; კოღლექტივი//კოღექტივი; გრამმატიკა//გრამმატიკა). თითქმის ასე იქცევა იგი ბრუნვისა და ფუძისეული ერთნაირი თანხმოვნების შეხედრისას: მათ შორის ხმოვანს კი არ სვამს, არამედ აერთებს ერთ თანხმოვანში, რომელიც ხან გრძლად წარმოითქმის, ხან სიგრძესაც კარგავს და წარმოითქმის ერთი თანხმოვანი. ასე, მაგ.: *ასი* მიცემითში იქნება არა *ასსა*, არამედ – *ასს* (წარმოითქმაში – *ან*, ხან უბრალოდ – *ას*); გემი მოთხრობითში იქნება *გემმა* (წარმოითქმაში – *გეშა*, ხან უბრალოდ – *გემა*).

აქედან ცხადია: თუ ენას თანხმოვანთა გასაყრელად ხმოვანი არ სჭირდება ერთ სიგყვაში, მით უფრო არ დასჭირდება იგი წინამავეალი სიგყვის ბოლოკიდურისა და მომდეენო სიგყვის თავკიდური თანხმოვნების გასაყრელად; ამას ისიც უნდა მივმაგოს, რომ მოგანიღ

მაგალითებში<sup>1</sup> ს და ჰ (პირის ნიშნები) თავიკდურ პოზიციამი ჩეულებრიე იკარგებინ და თანხმოენის გაორმაგებას აღვილი აღარა აქეს. მაგრამ მთაუარი მაინც ისაა, რომ საკმარისია („ბოლთასა სეემს“) შევაბრუნოთ („სეემს ბოლთასა“) და ა მაინც საჭირო იქნება, თუმცა იქ გასაყარი არაუფრია. იგივე ითქმის „ვერხვივითა თრთის“ მაგალითზე. საკმარისია წყობა შევაბრუნოთ „თრთის ვერხვივითა“ – და ა ისეე საჭირო იქნება, ამასაც რომ თავი ღავა-ნებოთ, აქ თანხმოვანთღაჯგუფება გვაქეს სიგყვის თავში (თრთის), რაც ქართულისათვის ჩეულებრივი და ღამახასიათებელია.

ა-ს ხმარებაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ იგი ერთვის მხოლოდ თანხმოვანზე დამთავრებულ სიგყვებს, ამ კანონმა არ ივის გამონაკლისი არც ძველსა და არც ახალ ქართულში; მაგალითად: ერთიმეორის პარალელურად შეიძლება ვთქვათ „შენა ხარ“ და „შენ ხარ“, მაგრამ არ შეიძლება ითქვას „მეა ვარ“. ვამბობთ: ესა, ისა, მაგრამ არ ვამბობთ: იგია (ეს ნიშნავს „იგი არის“), ახლოა (ნიშნავს „ახლო არის“); საინგერესოა ისიც, რომ ც(ა) ნაწილაკის წინ ა ჩნდება თანხმოვანზე გათავებული სიგყვის შემდეგ (მაგ.: სახლსაც, აქაც, გუშინაც, მაგრამ არ შეიძლება: სახლიაც, აღმააც, ფართოაც); ასევე: „არის“ მზნის შეკეცილი სახე ა თავის წინ ხმოვანს ითხოვს მხოლოდ მაშინ, როცა სიგყვა თანხმოვანზე თავდება; მაგ., ჩეულებრივია: საღაა=სად არის; წინაა=წინ არის; რომაა=რომ არის; მაგრამ არ შეიძლება: ახლოაა, ისეაა, ასეაა, თუაა და სხვა.

ნათქვამიდან, ვუიქრობთ, კანონზომიერი იქნება ღავასკენათ, რომ თანამედროვე ქართულში ა-ს მხოლოდ ფონეტიკური ფუნქცია შემორჩა და ეს ფუნქცია გამოიხატება სიგყვის ბოლომარცვლის ღიაობის შექმნაში. ამიგომაცაა, რომ ა ნაწილაკიანი სიგყვები ჩეულებრივ წინაღაღებას კეკავენ (წარმოთქმაში

<sup>1</sup> თ. მურაბიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.226 და ღ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.91.

მთელი წინადადება ერთ ფონეტიკურ მთლიანს წარმოადგენს),<sup>1</sup> პაუზის წინ გვხვდებიან.

ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ შესიტყვება „*ბის სახლი*“ არ მოითხოვს ხმოვანს, მაგრამ საკმარისია სიტყვათა რიგის შეცვლა „*სახლი ბისა*“ და ხმოვანი საჭირო ხდება, თუმცა მნამუშენლობით არაერთი სხვაობა მათ შორის არ არის.

აღბათ, სიტყვის ბოლომარცვლის ღიაობისაკენ მიდრეკილებით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ ხშირ შემთხვევაში ა ერთვის ზმნებას: იღებსა, უბოძეთა, აღირსებდესა.<sup>2</sup>

*მამასადამე, ახალ ქართულში ა ნაწილაკის ხმარების არე მნიშვნელოვნად გაფართოებულია, იგი მოუდის თანხმოვანზე დამთავრებულ თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს აბსოლუტურ ბოლოში და ემსახურება ბოლომარცვლის ღიაობის შექმნას.*

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ *მარცვალთღიაობის ა-ს არა აქვს სისტემობრივი ხასიათი*; ეს, აღბათ, იმიტომ, რომ მან დაკარგა ძველი (გრამატიკული) ფუნქცია, ხოლო ახალი (ფონეტიკური) ფუნქციით იგი საბოლოოდ გაფორმებული ჯერ არაა. ყოველ შემთხვევაში, უმჯობესია, მას ეწოდოს დღევანდელი ფუნქციის შესაფერი სახელი „ემფატიკურის“ ნაცვლად – „*მარცვალთღიაობისა*“.

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ.220-223.

<sup>2</sup> შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ.75.

## 2. მარცხალთლიანობის ა-ს პრობლემა ძველსა და ახალ ქართულში

1959 წლის მაისში თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IV სამეცნიერო სესიაზე მოხსენებით გამოვედი. მოხსენება ორს ნაწილისგან შედგებოდა. პირველში ლაპარაკი იყო ა-ს დისკრიბუციაზე ძველ ქართულში და იმ მოსაზრებებზე (ნ. მარი, კ. ღონღუა, აკ. შანიძე, ივ. იმნაიშვილი...), რაც ამ ხმონის წარმოშობისა და ფუნქციის შესახებ სამეცნიერო ლიგერატურაში მანამდე არსებობდა. მეორე ნაწილი მოხსენებისა მიეძღვნა იმავე პრობლემას ახალ ქართულში. მართალია, შეძლებისდაგვარად ქართული ენის განვითარების ეს პერიოდები ცალ-ცალკე განიხილებოდა, მაგრამ პრინციპი – დიაქრონია-სინქრონიის მკაცრი გამიჯვნის აუცილებლობისა – მაინც დაირღვა, თუმცა მაშინდელი გრადიციით, სხვანაირად არც შეიძლებოდა; სამაგიეროდ, დაბეჭდილ ტექსტში მხოლოდ ახალი ქართულის მასალის ანალიზით მიღებულ შედეგებზე ვილაპარაკე. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ამ პრობლემით დაინტერესება უპირველესად თანამედროვე ქართულის ფორმებზე დაკვირვებამ განაპირობა, კერძოდ, ორმა ასპექტმა: 1. ა დაერთვოდა არა მხოლოდ არსებით სახელს, როგორც ეს ჩვეულებრივ დამახასიათე

ბელია არტიკლის კატეგორიისთვის,<sup>1</sup> არამედ ყველა მეტყველების ნაწილს, თუ იგი თანხმონით მთავრდებოდა; 2. ვერც ერთ შემთხვევაში ა-თი დამთავრებული ფორმები ამ ფორმების უქონელთ განსამღვრულობა-განუსამღვრულობის სემანტიკით ვერ უპირისპირდებოდა. და, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ასეთი ფორმები გვექონდა ძველ ქართულში (ახალ ქართულში კი „ნაშთის“ სახითაა წარმოდგენილი), საჭირო გახდა ძველი ქართულის შესაბამისი ფორმების გამოწველივით შესწავლა.

აღმოჩნდა, რომ ახალი ქართულის მსგავსად არც ძველ ქართულში არ იყო არცერთი ა-დართული ფორმა, რომელიც დაუპირისპირდებოდა ა-დაურთველ ფორმას იმავე მნიშვნელობით (განსამღვრულობა-განუსამღვრულობის თვალსაზრისით). რასაკვირველია, არაერთი „კა“ ნაცვალსახელი, რომლის ნაშთადაც ნ. მარს ა მიაჩნდა, ძველმა ქართულმა არ იცის. ამის გამო პირდაპირ თუ არაპირდაპირ ენათმეცნიერებს მხედველობაში ჰქონდათ ე.წ. „უძველესი ქართული“, რომლის შესახებაც ფაქტობრივი მასალა შემონახული არაა.

ძველი ქართულის მონაცემებზე დაყრდნობით კი შეიძლებოდა ერთადერთი დასკვნის გაკეთება – ა ჩათვლილიყო ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილად, რაც მას გადმოჰყვა ახალ ქართულშიც.

დაიბუკდა მოხსენების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ახალ ქართულს ეხებოდა.

რა არის ჩემს გამოკვლევაში ახალი და რა მიმაჩნია ჩემს დამსახურებად?

ახალია: 1. ა დაერთვის თანხმონთანვე დამთავრებულ ფუძეებს – ამ წესმა არ იცის გამონაკლისი; 2. ა დაერთვის არა მხოლოდ არსებით სახელებს, არამედ ყველა მეტყველების ნაწილს; 3. ა-ს

<sup>1</sup> სიმოკლისათვის ჩვენში გაერყელებული „განსამღვრულობა-განუსამღვრულობის კატეგორიის“ ნაცვალად ვიხმარ „არტიკლის კატეგორიას“, რომლისადაც მას მოიხსენიებენ ამ კატეგორიის მქონე ენებში.

გაჩენას ფონეტიკური საფუძველი უდევს, იგი სიტყვის ბოლოს ღია მარცხალს ქმნის.

ჩემი დამსახურებაა: 1. ეჭვი შევიტანე მანამდე არსებულ თეორიებში; 2. არ „შემეშინდა“ ავტორიტეტებისა, ამკარად დაუპირისპირდი მათ.<sup>1</sup>

კამათში მონაწილეობა მიიღეს ბატონებმა: გ. ახელედიანმა, აკ. შანიძემ, ვ. თოფურიამ... ვერ ვიტყვი, რომ მოხსენების ძირითადი დებულებები მაშინვე ყველამ გაიზიარა. ბატონმა აკაკიმ, კერძოდ, ბრძანა: „სრულიად ახალი მოსაზრება მოვისმინეთ. იგი ეწინააღმდეგება ყველა იმ შეხედულებას, რომლებიც აქამდე იყო გამიარებული. ამჯერად რისამე გადაჭრით თქმა მიძნელდება. დაიბეჭდოს მოხსენება და უფრო ნათლად გამოჩნდება მისი ჭეშმარიტება-მსდარობაო“. ამ ნათქვამმა ვ. თოფურიას რეპლიკა გამოიწვია: „იმ შრომას რედაქტორობა თქვენ გაუწიეთო“. თავად ბატონმა ვარლამმა ჩემი მოსაზრებები არ გაიზიარა. ძველი ქართულის ანალიზის დროს მოიშველია მოქმედებითი ბრუნვა, სადაც ა-დართული ფორმები განსხვავდებიან ა-დაურთველებისგან: – პირეულები გადმოგვეყვან ინსტრუმენტალისს („დაჭრილი ხმლით-ა“), მეორენი – აბლატივს („მოსული ქალაქით“). ამას შეიძლება დამატებოდა მიცემითის ფორმაც: ა-დართული ფორმები გადმოგვეყვან მოქმედების ადგილს („იყო იგი ქალაქსა“), ხოლო ა-დაურთველი ფორმები – მოქმედების მიმართულებას („წავიდა იგი ქალაქს“),<sup>2</sup> თუმცა ეს ფორმები ერთმანეთს ვერ უპირისპირდებიან განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის მიხედვით და, ამდენად, ჩემი დებულების საწინააღმდეგოდ ვერ გამოდგებიან.

<sup>1</sup> მოხსენების დროს სხდომას ესწრებოდა ყველა ცნობილი ენათმეცნიერი, გარდა არნ. ჩიქობავასი.

<sup>2</sup> იხ. შ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997, გვ.26.

მოსხენების მხოლოდ ერთი ნაწალი დაიბეჭდა („მარცვალთ-  
ლიაობის ა ახალ ქართულში“),<sup>1</sup> რომელშიც ლაპარაკი იყო მხოლოდ  
ახალ ქართულზე. მანამდე დაბეჭდულ თემისებში კი („ლიაობის ა  
ახალ ქართულში“)<sup>2</sup> ვეხებოდი ძველ ქართულსაც.

მოსხენებაში გამოთქმული პოსაზრება ძირითადად მაშინვე  
გაიზიარა პროფ. ს. ქლენგმა, რომელიც 1960 წელს გამოცემულ წიგნში  
(„ქართველურ ენათა შედარებათი ფონეტიკა, I“), მიუთითებდა რა  
ჩემს სტაგიაზე, წერდა: „...ეს ა მაშინ დაერთვის სახელს,  
როდესაც აბსოლუტური ბოლო თანხმოვნით ბოლოვდება,  
ამიგომ შესაძლებელია არ იყოს იგი ნაშთი განსაზღვ-  
რების ნაწილაკისა ანუ ნაწევრისა, როგორც ეს სპეცია-  
ლურ ლიტერატურაშია აღნიშნული (ნ. მარი, აკ. მანიძე),  
არამედ წარმოადგენდეს წმინდა ფონეტიკური ფუნქციის  
ა-ს, რომელიც გონის მოძრაობის გამართვას ემსახუ-  
რება“ (გვ. 97-98, ხაზი ჩემია – ა.ფ.).

უფრო გვიან, 1962 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნში  
„Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом  
аспекте“ პროფ. გ. კლიმოვი აცხადებდა: „Однако наряду с приведен-  
ным предположением (ლაპარაკია ნ. მარისა და მასზე დაყრდნობილი  
კ. დონდუას შეხედულებაზე – ა.ფ.) в Картвелистике выдвинута и  
другая теория происхождения этого – а в грузинском языке. В  
недавнее время выдвинута мнение, что гласный – а в исходе  
падежных морфем возможно возникает для преодаления скопления  
согласных на стыке согласного исхода вследствие чего оно назы-  
вается «– а аткрытости».

ავტორი მოიხმობდა ჩემი მოხსენების თემისებს, როგორც ჩანს,  
მაშინ სტაგიას არ იცნობდა.

<sup>1</sup> კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ., 1959.

<sup>2</sup> თსუ. ფილოლოგიის უკულტეტის IV სამეცნიერო სესია, ტ. ქავთას გეგმა და  
მოსხენებათა თემისები, თბ., 1959.



გ. კლიმოვი აქვე განაგრძობდა: „наконец не исключенной представляется и точка зрения по существу очень близкая последней (ხაზი ყველგან ჩემია – ა.ფ.) что эта - а исторический появляется по ритмико-фонетическим причинам; во всяком случае мнение Г. Дестерса о том, что ныне эмфатическое – а имеет ритмико-фонетическое значение в свете иложенного выше вряд ли вызывает сомнения“ (გვ.28).

გ. კლიმოვი აღნიშნავდა, რომ ღვეგერსმა ეს დებულება წამოაყენა 1926 წელს წერილში – „არმენიმ უნდ ზუღაევკასიმ“ („კაკუკასია“ 3, გვ.53).

რადგან ღვეგერსის მოსაზრება ქართველი ენათმეცნიერებისათვის მანამდე უცნობი იყო, ჩემს შრომაში, ცხადია, მასზე ლაპარაკი ვერ იქნებოდა. სამაგიეროდ მე ვუთითებდი უკლებლივ ყველა ავტორს, რომელთაც ჩემს საკვლევ საკითხთან რაიმე ურთიერთობა ჰქონდათ, მათ შორის, სტუდენტი დ. მელიქიშვილის მოხსენების თეზისებსაც კი.

ყოცა გვიან ამ მოსაზრებებს – ქართული სიტყვის ბოლო მარცვლის ღიაობისკენ მიდრეკილებას, – რომელიც თავის მხრით გ. ახვლედიანის დებულებებს ემყარება, შეუერთდა გ. ნებიერიძეც წიგნში „სალიტერატურო ქართული ენის გენერატორულიფონოლოგიური მოდელი და მისი აგების პრინციპები“ (თბ., 1974). ჩემს ნაშრომზე საგანგებოდ მიუთითა ღიგველმა ქართველოლოგმა ღიგა ჰალმაიგისმა (ჰალმაიგმა) სტატიაში „ემფატუკური „ა“ სახელთა მორფოლოგიის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით“ („მაცნე“, ენ. ღიგა, 1978). იგი განიხილავდა რა ამ ხმოენის წარმოშობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს, ჰირეულად ჩამოთელიდა გრადიციული შეხედულების მიმღვეარ ავტორებს (ნ. მარს, კ. ღონღუას, არნ. ჩიქობავას), მერე კი წერდა: „მეორე მოსაზრების მიხედვით, „ემფატუკური“ ა-ს ბუნება არის არა მორფოლოგიური, არამედ ფონეტიკური. ასე, გ. ღვეგერსი მიუთითებს „ემფატუკური“ ა-ს რიგმიკულ-ფონეტიკურ არსზე, ხოლო ალ. ფოცხიშვილი მის მარცვალთლიაობაზე.

უკანასკნელმა პირველმა ხამგასმით აღნიშნა, რომ „ემფატიკური“ ა ჩნდება მხოლოდ თანხმობიანი ამოსავლის შემდეგ“.

მაშ, ასე, ოთხი მეცნიერი – ს. ქლენტი, გ. კლიმოვი, ლ. პალმაიგი და გ. ნებიერიძე – ეთანხმებოდა ჩემს მოსაზრებას. მათგან ქართველები – ს. ქლენტი და გ. ნებიერიძე ნეიგრალური შეფასებით, ხოლო არაქართველები ამ მოსაზრებას უფრო გამოკვეთილად – „სხვა მოსაზრების“ თუ „სხვა თეორიის“ სახით მოიხსენიებდნენ.

სამწუხაროდ, სრულიად სხვანაირად მოიქცა მეცნიერთა მეორე ჯგუფი თ. ბურაბიშვილი, თ. ბერომაშვილი, ა. ლომთაძე, თ. უთურგაიძე. მათ შრომებში ჩემს მოსაზრებაზე საერთოდ არ იყო მითითება. თ. ბურაბიშვილი არც გ. კლიმოვზე მიუთითებდა, თუმცა მის შრომაში გ. დეეტერსი სწორედ გ. კლიმოვის შრომის წყალობით რომ გაჩნდა, ამკარაა.

ცხადია, გულს მტკენდა მეცნიერთა ამ ჯგუფის ქმედება არა მხოლოდ ჩემ მიმართ, არამედ საერთოდ მეცნიერული ეთიკის თვალსაზრისით და იმიტომაც, რომ ერთი და იმავე საკითხთან დაკავშირებულ სრულიად სხვადასხვა თვალსაზრისიდან თუ ერთს ემხრობი, მეორის დებულებათა გაბათილების ცდა მაინც უნდა წარმოადგინო. საწინააღმდეგო დებულებათა არსებობაზე თვალის დახუჭვა მამკიცებელ არგუმენტად ვერ გამოდგება. და მიუხედავად ამისა, სულ უკანასკნელ დრომდე, ვიდრე ჩემი უგულებელყოფა მოგ მეცნიერს ჩვევად არ ექცა,<sup>1</sup> გაჩუმებული ვიყავი. მერე კი იძულებული გაეხდი, ოღონდ ცოცხა სხვა ასპექტში, ორიოდ სიგყვით ბატონ თ. უთურგაიძის სტატიებში ჩემი „მარცვალთლიაობის ა-სთან“ დაკავშირებული მოსაზრებების უგულებელყოფასაც შეეხებოდი,<sup>2</sup>

<sup>1</sup> იხ. „ენათმეცნიერება ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, წიგნში – ალ. ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია“ თბ., 1995წ.

<sup>2</sup> „მეცნიერული არაკეთილსინდისიერების გზით“, იმავე წიგნში.

რამაც აღრესაგის განაწყენება გამოიწვია,<sup>1</sup> მერე კი – პასუხი,<sup>2</sup> ოღონდ ეს „დილოგი“ ჩემი მხრიდან, როგორც ენათმეცნიერების ისტორიკოსის პოზიციებიდან იყო წარმართული და უფრო საკითხის ეთიკურ მხარეს ეხებოდა, ვიდრე არსებითს.

ახლა არსებითად.

თ. უთურგაიძემ 1976 წელს დაბეჭდილ წიგნში „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ საგანგებო თავი დაუთმო „ქართული ენის მარცელის“ ანალიზს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ტენდენციებს, რომლებიც გამოიკვეთებოდა სიგყვის თავკიდური და ბოლოკიდური მარცელების შედგენილობის თვალსაზრისით.

ასეთ ვითარებაში მოსალოდნელი იყო, მოეხმო ის შეხედულებები, რაც მარცეალთან დაკავშირებით მანამდე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობდა და შემდეგ, თუ განსხვავებული პოზიცია ექნებოდა, იგი ნათლად და გამოკვეთილად წარმოეჩინა. თ. უთურგაიძემ არაფერი თქვა ჩემს წერილზე, რომელიც სწორედ მარცელის პრობლემას – „მარცეალთლიანობას“ მიეძღვნა.

მართალია, სხვისი შრომისადმი ასეთი დამოკიდებულება, ცოტა არ იყოს, სახამუშოა, მით უფრო, რომ ავტორი ამავე წიგნში საკუთარ შრომებზე 25-ჯერ მიუთითებს, სხვაგან კი საბუთად გამოუქვეყნებელ შრომებსაც (იბეჭდებო) იმოწმებს, მაგრამ...

საკუთარი პოზიცია ავტორმა ასე წარმოგვიდგინა: „უპირველეს ყოვლისა დგება კითხვა: რამდენად გავრცელებულია თავკიდური პოზიციის ძირითადი მოდელის (ე. ი. მზარდი ნაპრალოენობის) კომპლექსები სიგყვის ბოლოში, პაუზის წინ, და როგორი რეალიზაცია ახასიათებს ამავე პოზიციის არაძირითად მოდელებს (დამავალ და ნულოვან ნაპრალოენობის) კომპლექსებს?“ ამ კითხვას თავადვე უპასუხა: „მზარდი ნაპრალოენობის კომპლექსები

<sup>1</sup> საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბ., 1995.

<sup>2</sup> ალ. ფოცხიშვილი, ანტონ პირველი ბაგრატიონი და ქართული საზოგადოებრიობა, თბ., 1996.

სრულად რეალიზდება V-# პოზიციამი. ქართულ ენაში ჩვეულებრივ სიგყეები ბოლოვდება -ბღ, -ღღ... -ფრ, -თრ... -შღ ...-სნ... (სულ ჩამოთვლილია 25 კომპლექსი - ა.ჟ.) და მზარდი ნაპრალოვნობის მოდელის სხვა კომპლექსებზე, რაც კიდეე გვიდასტურებს იმას, რომ *მზარდი ნაპრალოვნობის მოდელი ქართული ენის თანხმოვანთა კომპლექსისთვის ძირითადია*“ (გვ. 110, 111). რაც შეეხება დამავეალ კომპლექსებს, ავტორის აზრით: „დამავეალ კომპლექსთა საკმაოდ დიდი ნაწილი არ რეალიზდება სიგყეის ბოლოს და ხშირად, რაც არის ისიც მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაში“ (იქვე).

ასეთი უთუოდ ფასეული დაკვირვების შემდეგ მოსალოდნელი იყო, ავტორი განაგრძობდა ძიებას ამ მიმართულებით და ყურადღებით მოეკიდებოდა გამოთქმულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ სიგყეის ბოლოში ღიაობისაკენ (ნაპრალოვნობისაკენ) მიდრეკილების გენდენცია ქართულისთვის დამახასიათებელია და სწორედ ამ გენდენციის რეალიზებას ემსახურება თანხმოვანზე დამთავრებულ სიგყეებზე ე. წ. ემფატიკური ხმოვნის დართვა. მოხდა კი პირუკუ, ავტორმა ურყევი ჭეშმარიტების ფორმით განაცხადა, რადგან „ქართულში სიგყეათა დიდი უმრავლესობა იწყება თანხმოვნით და ასევე დიდი უმრავლესობა ბოლოვდება თანხმოვნით ... უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ქართული ენის მარცვალს მიდრეკილება აქვს დახურულობისაკენ“. სხვაგან კიდეე უფრო კატეგორიულად: „მივიღოთ დებულება: ქართული ენა ამჟღავნებს მიდრეკილებას დახურული მარცვლებისადმი.“ (იქვე, გვ. 136).

ჯერ აქ შევჩერდეთ.

პირველი ციგაგის ბოლოს სქოლიოს მაჩვენებელი „შღრ.“ უმის და გვაგზავნის გ. ახელედიანის ცნობილი წიგნის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლების“ 151-ე გვერდთან, სადაც ბ-ნ გ. ახელედიანს უწერია: „ქართულ მარცვალს, ჩვენი აზრით, მიდრეკილება აქვს

ღიაობისადმი, თუ სხვა რამ ფაქტორი (მაგ. სიგყვის მორფოლოგიური შედგენილობა) ხელს არ უშლის, ქართულ მარცხალს ადვილად შეუძლია გათავდეს არა მხოლოდ ხმოვნით (ე. ი. იყოს ღია), სონორული თანხმოვნებითაც, მაგ. ვარ-ღი – ვა-რღი (არც ერთი არ არღვეეს ქართული მარცხლის ბუნებას)“, ანუ გ. ახელეღიანი წერს სრულიად საწინააღმდეგოს იმისას, რასაც თ. უთურგაიძე გვიმტკიცებს. რა თქმა უნდა, თეღო უთურგაიძეს უფლება აქვს, დაუპირისპირდეს გ. ახელეღიანის მოსაზრებებს (ამის უფლება ყველასა აქვს), ოღონდ ჯერ უნდა გვიჩვენოს ეს მოსაზრებები და საკუთარი პოზიციაც აქვე დაგვისაბუთოს იმ მტკიცებულების გაბათილებით, რა მტკიცებულებებსაც მოწინააღმდეგე მხარე ეყრდნობა.

თ. უთურგაიძემ გ. ახელეღიანის მოსაზრებები არ გაგვიმხიღა, საკუთარი კი ასეთი სახით წარმოგვიღგინა: „ამ თვალსაზრისით (ე. ი. ქართული ენის მარცხალი რომ დახურულობისკენ მიისწრაფვის – ა.ფ.) საყურადღებოა შემდეგი ფაქტები: 1. შეიძლება ვთქვათ, რომ მზნათა ფორმების ღიღი უმრავლესობა ბოლოვდება თანხმოვნით, რადგანაც (ა) მრავლობითი რიცხვის ფორმები, როგორც წესი, უგამონაკლისოდ თანხმოვანზეა დაბოლოებული, ეს უკვე მზნის ფორმათა 50%-ს უღრის; (ბ) ამას ემატება მხოლოდითი რიცხვის ფორმები, რომლებიც თანხმოვნით ბოლოვდება და რომელთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა ქართულში; 2. რაც შეეხება სახელებს, თუ ბრუნვის ნიშანთა მიხედვით ვიმსჯელებთ, ძირითადად თანხმოვანზე დაბოლოებულ ფორმებთან გვექნება საქმე მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით, ნაწილობრივ მოთხრობით და წოდებით ბრუნვებში; 3. მზნიზეღათა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმოვნით ბოლოვდება“ (გვ. 133).

ღავიწყოთ იმით, რომ, რადგან მზნები მრავლობით რიცხვში თანხმოვნებით მთავრდებიან, უთურგაიძის აზრით, ეს იძლევა მზნათა დაბოლოების 50%-ს.

ერთი შეხედვით ეს დებულება სწორია, მაგრამ იგი ჭეშმარიტი მაშინ იქნებოდა, თუ გვეცოდინებოდა, რომ ენის ფუნქციონირების დროს მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები აბსოლუტურად ერთნაირი სიხშირით გამოიყენება. ასეთი გათვლა, რასაკვირველია, უთურგაიძეს არ ჩაუგარებია. მე საგანგებოდ დაეთვალე ზმნურ ფორმათა შეფარდება მისი იმ წიგნის სწორედ იმ გვერდზე, რომელ გვერდზედაც თ. უთურგაიძე ამ ამრს ავითარებს. მივიღე მეგად საინტერესო მონაცემები. სულ გამოყენებულია ზმნის 32 ფორმა, აქედან: 26-ჯერ – მხოლოდითი და მხოლოდ 6-ჯერ – მრავლობითი. ეს უკანასკნელი ტექსტის სტილმა განარიპობა – ავტორი თავის პოზიციას მრავლობითის ფორმით გადმოგვეყვას (ჩვენ განვიხილეთ... გამოვიყენეთ... შეიძლება ვთქვათ...). რაც შეეხება მხოლოდითში წარმოდგენილ ფორმათა დაბოლოებებს (მარცელის ღიაობა-დახურულობის თვალსაზრისით), თ. უთურგაიძე სწორი არც აქ გამოდგა: 26 ზმნიდან ხმოვანზე დაბოლოებული აღმოჩნდა 21, ხოლო თანხმოვანზე – მხოლოდ 5, ანუ 80,7% // 19,3%-თან – ხმოვნის სასარგებლოდ.

ასეთია მდგომარეობა ზმნებთან.

ახლა გავსინჯოთ სახელთა დაბოლოებები.

ბატონმა თედომ მტკიცებულებად აქაც ჩვეულებრივი არითმეტიკული გათვლა წარმოგვიდგინა: 7 ბრუნვიდან თურმე 6 (მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, „ნაწილობრივ მოთხრობითი და წოდებითი“) თანხმოვანზე ბოლოვდება.

ფაქტობრივი მონაცემები ასეთია:

სახ.	–	44, ანუ – ყველა ხმოვანზე დამთავრებული;
მოთ.	–	
მიც.	–	14, ანუ თანხმოვანზე დამთავრებული;
ნათ.	–	16, „_____“
მოქ.	–	19, „_____“
ვით.	–	2, „_____“
წოდ.	–	

ღამხმარე სიგყეები თანხმოენიანები 17; სულ თანხმოვანზე ღამთავრებულღია 80.

სახელობითი ბრუნენის ჟორმებს, ანუ ხმოვანზე ღამთავრებულებს, ემაგება ხმოვანზე ღამთავრებული თანღებულები ღა ღამხმარე სიგყეები, ყველანი ერთაღ გვაძღევენ 96-ს, რაც იმის მაჩენებელია, რომ ენობრივი სინამღეღე არ უწეეს ანგარიშს განყენებულ არითმეტიკას. ამ თვალსაზრისით საინგერესოა მოთხრობითის არარსებობა გექსტმი (წოღებითის მღგომარეობა გასაგებღია). გექსტის საერთო მონაცემები (ხმოვანზე ღაბოლოებულთა სასარგებლოღ) – ერთი შეხეღვით, არც თუ ისე შთამბეჭღაღია, თუმცა უთურგაიძის „თეორიის“ სრულიაღ საწინააღმღეგო. ხმოენით ღამთავრებულ სიგყეათა ასეთი შეღარებითი სიმცირე გამოწეეულია გექსტის თავისებურებით, მასში თითქმის არც ერთხელ არაა გამოყენებული მარცხალთღიაობის ა. უფრო შთამბეჭღაღია სურათი ქეემოთ მოყვანიღ ცხრიღში.

სიგყეის ბოლოში ხმოვან ღა თანხმოვან ბგერათა განაწილების ცხრიღი:

1. ზ. ჟანღიიქიქე – „აქტიური მღის წელიწაღი“ (თბ., 1980 წ., გვ. 1,2,3)

სიგყეათა საერთო რაოღენობა 527

ა) ხმოვანზე ღამთავრებული	–	287	55%
ბ) სონორზე ღამთავრებული	–	80	15%
გ) თანხმოვანზე ღამთავრებული	–	160	36%

2. ო. ზიღაკე – „ყოვეღმან ჩემღან მარვენღმან“ („მნათობი“, 1975 წ., გვ. 8,9,10)

სიგყეათა საერთო რაოღენობა 1111

ა) ხმოვანზე ღამთავრებული	–	550	49%
ბ) სონორზე ღამთავრებული	–	155	13%
გ) თანხმოვანზე ღამთავრებული	–	406	36%

3. ბაგ. „კომუნისტო“, წერილი საყოფასსოვრებო საკითხებზე (1982 წ., 8. III, გვ.4)

სიგყვათა საერთო რაოდენობა 751

ა) ხმოვანზე დამთავრებული	–	535	59%
ბ) სონორზე დამთავრებული	–	71	9%
გ) თანხმოვანზე დამთავრებული	–	145	32%

4. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (ტ. III, გვ. 7,8,9)

სიგყვათა საერთო რაოდენობა 724

ა) ხმოვანზე დამთავრებული	–	362	50%
ბ) სონორზე დამთავრებული	–	82	11%
გ) თანხმოვანზე დამთავრებული	–	280	39%

5. ღიბ. მურმანიშვილი – „თირკმელი“ (თბ. 1975, გვ. 95-100)

სიგყვათა საერთო რაოდენობა 1496

ა) ხმოვანზე დამთავრებული	–	721	48%
ბ) სონორზე დამთავრებული	–	130	9%
გ) თანხმოვანზე დამთავრებული	–	645	45%

6. ჯ. ჩარკვიანი „ღამაში სიკვდილი“, ლექსი

სიგყვათა საერთო რაოდენობა 751

ა) ხმოვანზე დამთავრებული	–	535	59%
ბ) სონორზე დამთავრებული	–	71	9%
გ) თანხმოვანზე დამთავრებული	–	145	32%

7. ბ. ტაბიკე „ეშემერა“, ლექსი

სიგყვათა საერთო რაოდენობა 261

ა) ხმოვანზე დამთავრებული	–	167	64%
ბ) სონორზე დამთავრებული	–	16	6%
გ) თანხმოვანზე დამთავრებული	–	78	30%



ამ ბათელების შემდეგ მიღებული შეფარდება ასეთია<sup>1</sup>:

სიგყვათა საერთო რაოდენობა 4873

ა) ხმოვანზე დამთავრებული	–	2671	54%
ბ) სონორზე დამთავრებული	–	496	10%
გ) თანხმოვანზე დამთავრებული	–	1706	36%

როგორც ვხედავთ, თ. უთურგაიძის კატეგორიული განცხადება, რომ „ქართული ენის სიგყვათა უმრავლესობა თანხმოვანზე“ მთავრდება ფაქტებით არ დასტურდება. ხმოვანზე დამთავრებულ სიგყვათა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე თანხმოვანზე და სონორებზე ერთად აღებულზე, თუმცა გ. ახვლედიანის საესებით სწორ მოსაზრებას თუ მივეყებით, რომლის მიხედვითაც სონორები ხმოვნების გვერდით უნდა განვიხილოთ, მაშინ შეფარდება მოგვეყვს 2/3-ს // 1/3-ის წინააღმდეგ ღიაობისაკენ მიდრეკილების სასარგებლოდ.

ფიქრობ, საინტერესო იქნება, გავეცნოთ სხვა სტატისტიკურ მონაცემებსაც. „ინვერსიული ლექსიკონის“ მიხედვით ქართული სიგყვის აუსლაუტის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ 114593 სიგყვიდან ხმოვანზე ბოლოვდება 34044, სონორზე (ვ, მ, ნ, რ, ლ) – 42534, დანარჩენ 23 თანხმოვანზე – 38015 სიგყვა, საიდანაც მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ბ და დ თანხმოვანზე მთავრდება 27215, ხოლო დანარჩენი 21 თანხმოვნის წილად მოდის მხოლოდ 10800. თვალში საყვამია უკანაენისმიერთა სიმცირე სიგყვის ბოლოში, რაც ხმოვნებზეც ვრცელდება – უ ხმოვანზე სულ 117 სიგყვაა დამთავრებული.

მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ბგერებიც დაახლოებით მსგავს სურათს გვიჩვენებს: ხმოვნებთან და სონორებთან ერთად ფორმის

<sup>1</sup> მსგავსი შედეგები მიიღეს ფილოლოგ ფაკის სხვადასხვა კურსის სტუდენტებმაც (სულ 55 კაცმა), რომელთაც ეთხოვედი, დაეთვალათ ნებისმიერი ფორმისა და შინაარსის 5-გვერდიანი ტექსტის შემადგენელ სიგყვათა ბოლოკიდური ბგერების (ხმოვანი, სონორი, თანხმოვანი) რაოდენობა. გათვლები ჩემთან ინახება.

მწარმოებელ სუფიქსებად ყველაზე ხშირად ნაპარალოვანი ს და წინა წარმოების ხმულები ბ, დ, თ გვხვდება. როგორც წესი, არც ერთი ყელხმული და უკანა წარმოების ბგერა მორფოლოგიური ფუნქციით დაგვირგთული არაა. ამ წესს ემორჩილება უ ხმოვანიც.

ჩემი აზრით, ეს მონაცემები აშკარა დადასტურებაა იმ ტენდენციისა, რომ ქართულ ენას მიდრეკილება აქვს სიგყვის ბოლოში იოლად წარმოსათქმელი პოზიცია შექმნას, რისი ყველაზე უკეთესი გამოხატულება სწორედ ღია მარცვალაია.

ახლა თ. უთურგაიძის საბუთებიც განვიხილოთ. იგი წერს: „ცნობილია, რომ სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნები (-ო//ა; მან//მა//მ), აგრეთვე ე. წ. ემფატიკური ხმოვნები მიეცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ნაცვალსახელური წარმომავლობისაა და უკავშირდება სახელის განსამდგერულობას, დაკონკრეტებას (მოგადიდან გამოყოფას)“<sup>1</sup>. როგორც ხედავთ, ბაცონმა თელომ იოლად გაგვისწორა ანგარიში ექვს მეცნიერს – გ. დეეკერსს, ს. ქლენგს, გ. კლიმოეს, გ. ნებიერიძეს, ლ. პალმალგსა და მე – ჩვენი მოსაზრებები არარსებულად ჩათვალა და თავისი და K° მოსაზრებები შეუვალ ჭეშმარიტებად გამოაცხადა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოგანილი ციგაგის მიხედვით შეუძლებელია დადგენა, ქართული ენის რა ღონეზეა ლაპარაკი: ძველზე, თუ – ახალზე? იმის დადგენაც შეუძლებელია ქართული ენის ფუნქციონირების ამ პერიოდებს შორის რაიმე სხვაობა არის თუ არა, სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების მითითებულ მაჩვენებელთა გამოვლენის თვალსაზრისით.

თუმცა ავტორი არც უარყოფს, რომ მისთვის ქართული ენის განვითარების ამ ღონეებს შორის სხვაობა არ არსებობს, ისინი ერთ სიბრტყეზე განიხილებიან: „საყურადღებოა ის ცვლილებები, რაც

<sup>1</sup> დასახ. ნაშ., გვ. 133, ხაზი ჩემია, ა . ფ .

ფონეტიკური მოდელის დაწოლით ხორციელდება ამ ნიშნებით წარმოდგენილ სახელებთან ძველ ქართულში და თანამედროვე ქართულში (ლიტ. ენა, დიალექტები), კერძოდ (1) სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა ძველ ქართულსა და დიალექტებში, (2) ემფატიკური ხმოვნების დისტრიბუცია<sup>1</sup>.

რა საბუთები აქვს ავგორს ასეთი განცხადებისთვის? თურმე ის ფაქტი, რომ ნასესხები საკუთარი სახელები (ანტონი, გრიგორი-ს ტიპისა) ძველსავე ქართულში *ი*-ს კარგავენ, ერთი მხრით, და მთის კილოებში ნასესხები საკუთარი სახელების ბოლოკიდური *ი* იკარგება (აკაკი > აკაკ, გიორგი > გიორგ), მეორე მხრით, ერთნაირი პროცესი ყოფილა, რომლებიც გვერდში უდგანან ძველ ქართულში ხმარებულ სუფთა ფუძეებს: „გუელ“, „თავ“ („მოსე აღამაღლა გუელ უღაბნოსა“, „ძესა კაცისასა არა აქუს სადა თავ მიიდრიკოს“) და ყველაფერი ეს თურმე ქართული ენის სიგყვათა თანხმოვნებით დაბოლოებისაკენ მიდრეკილებად უნდა ჩაითვალოს. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ „თანამედროვე მთის დიალექტებში სახელობითის *ი* იკარგება საზოგადო სახელებშიც (კაცი > კაც, სახლი > სახლ)“. ავგორის აზრით: „ბუნებრივია ყველა ამას ერთი საერთო ახსნა მოეძებნოს“ (იქვე, ხაზი ჩემია – ა.ფ.) და განაგრძობს: „დამაკმაყოფილებელი ახსნა ქართული ენის სხვადასხვა სისტემაში მომხდარი პროცესისა, ვფიქრობთ, არის შემდეგი: სიგყვის ბოლოს *ი* ფუძისეული თუ ბრუნვის ნიშანი იკარგება დახურული მარცელისაკენ მიდრეკილებით“ (იქვე, ხაზი ჩემია – ა.ფ.).

მაშასადამე, ის, რომ მთის კილოებზე მოსაუბრე რამდენიმე ათასი კაცი ხმარობს „აკაკ-“ და „კაც-“ ფორმებს („აკაკი“-სა და „კაცი“-ს ნაცულად) ქართული ენის ზოგადი ტენდენციის მაჩვენებელია; ამიტომაც მათზე დაყრდნობით (რაც ყველაზე თამამი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 134.

განგარიშებითაც კი ქართულ ენაზე მოლაპარაკე მასის ერთ პროცენტსაც ვერ შეადგენს) უნდა გაკეთდეს დასკვნა: ქართული ენის სიტყვებს დახურული მარცვლებისკენ მიდრეკილება ახასიათებთ. უფრო მეტიც, ქართულის ამავე ტენდენციის დამადასტურებლად უნდა ჩავთვალოთ სვანურის მონაცემებიცო: „ამ ვარაუდს განამტკიცებს სვანური ენა, რომელიც დღესაც დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებს დახურული მარცვლისადმი“ (გვ. 135). და კვლავ შემაჯამებელი „აქსიომა“: „უნდა მივიღოთ დებულება: ქართული ენა ამჟღავნებს მიდრეკილებას დახურული მარცვლისადმი“ (იქვე, ხაზი ჩემია – ა.ფ.).

თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია და უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ თ. უთურგაიძის შრომებიდან გამოკვეთილად ჩანს ავტორის მონდომება, ქართულ ენაში არსებული თითქმის ყველა ფონეტიკური თუ მორფოლოგიური მოვლენა მთის კილოების მონაცემებით ახსნას. არადა ცნობილია, რომ სწორედ ამ კილოებს აქვთ ყველაზე ნაკლები გავლენა და სიახლოვე თანამედროვე ქართულთან, რაც, უნდა ვიფიქროთ, იყო დიდი აკაკის ამხედრების საფუძველი იმ კაცის წინააღმდეგ, ვინც, თავად აკაკისვე თქმით, „მარგალიტებს გვიოთესავდა“.

სტაგიაში „სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსის შეხორცებისათვის ადამიანთა სახელებში“<sup>1</sup> ავტორს მოაქვს „თანხმონით დაბოლოებული ფუძეების მქონე ბრუნების პარადიგმა“.

სახ.	{კაც-ი}>/კაც-ი/>/კაც-0/
მთ.	{კაც-მა}>/კაც-მ/>/კაც-მა/
მიც.	{კაც-ს}>/კაც-ს/>/კაც-ს/და/კაც-0/
ნათ.	{კაც-ის}>/კაც-ის/>/კაც-ი/
მოქ.	{კაც-ით}>/კაც-ით/
ვით.	{კაც-ად}>/კაც-ად/>კაც-ა/
წოდ.	{კაც-ო}>/კაც-ო/>/კაც-უ/

<sup>1</sup> იკე. ტ. XXIV, თბილისი, 1985.

პარადიგმას ასეთი კომენტარი ახლავს: „სახ. კაც-ნ და კაც-0, მოთ. კაც-მ, წოდებითი კაც-წ დასტურდება მთის კილოთა განსაზღვრულ პრინციპებში (მაგალითად: „მოვიდ კაც-ნ“<sup>1</sup>, მაგრამ „კაც-მ მოვიდ“. ნაწილაკების წინ შეუძლებელია კაც-ნ და კაც-წ ფორმები: კაც-ი-წ, „კაციო“, კაც-ო-წ, „კაციო“, მაგრამ „კაც-0 მორჩ“, კაც-წ მიმართვის ფორმაა“. ყველა ეს მაგალითი და მსჯელობა მოხმობილია იმ მთავარი არგუმენტის დასაცავად, რომ „აღნიშნულ ფორმებში ხმოვანთა დაკარგვა ან გაუმარცხლოვანება ხდება სიგყვის ბოლოს დახურული მარცხლისკენ მიდრეკილებით“ (გვ.1, ხაზი ჩემია – ა.ფ.). ერთი სიგყვით: – ოღონდ მარცხალთლიაობა არა... და... „თუნდაც წარდენა“.

კი ბატონო, არაეინ არ დაობს, რომ მთის კილოებში და სეპ-ნურშიც შეიმჩნევა სიგყვის ბოლო მარცხლის დახურულობისაკენ მიდრეკილება, მაგრამ რა კავშირი აქვს ამას თანამედროვე ქართულის გენდენციებთან? თანამედროვე ქართულის საყრდენ თბილისურ ქართულში ვინმეს გაუგონია ან „კაც-მ“, ან „კაც-წ“?

მთის კილოების აპოლოგია თ. უთურგაიძესთან იმდენად შორს მიდის, რომ წიგნში „ქართული ენის სახელთა მორფოლოგიური ანალიზი“ ერთი თავი („სახელთა თანდებულებიანი ფორმები“) პირწმინდად მთის კილოების მონაცემებს ეყრდნობა (გვ.91-99).

თ. უთურგაიძე, რა თქმა უნდა, ხედავს, რომ ჩვენს თვალწინ, ქართულში თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმები, განურჩევლად ბოლო თანხმოვნის თვისებებისა, *ი* ხმოვანს დაირთავენ და ეს *ი* ხმოვანი მათ გაჰყვებათ ყველა ბრუნვაში; მან იცის, რომ ანთროპონიმთა თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს *ი*-ს გარდა დაერთვიან *ი*, *ე*, და *ო* ხმოვნები და მოგჯერ ა-ხმოვანიც (ვიუ-ი, გურამ-ე, ეთერ-ო ანგონ-ა, გირგოლ-ა...) და რადგან დაუფარავად მარცხალთლიაობისაკენ ამ, მართლაც, ამკარა ლგოლვის წინააღმდეგ რისიმე

<sup>1</sup> ასეა სტატიამი, ოღონდ წიგნში „ქართული ენის სახელის მორფ. ანალიზი“ „მოვიდ“ ფორმაა.

თქმა აღარ შეიძლებოდა, ასეთი განმარტება მოგვაწოდა: „როგორც სხვა ანთროპონიმთა ფუძეების ბოლოს სხვა პირობებში გაჩენილი /ი/, /უ/, /ე/ ხმოვნები თავდაპირველად რაღაც ფუნქციით იყვნენ აღჭურვილი და შემდგომდა გახლნენ უფუნქციო და შეერწყნენ სახელთა ფუძეს „რიგით შემადგენლად“ ასევე წარმოქმნის ა ელემენტიც ჩამოთვლილ სახელებში (ანტონა, გრიგოლა) და ბევრ სხვაშიც, რომლებიც აქ არ მოგვყავს (არადა ნამდვილად იგულისხმება მარცვალთლიაობის ა – ა.ფ.). *ფუძის რიგითი კონსტიტუენცია(?)*. ეს განაპირობა იმან, რომ ხმოვნით დაბოლოება უპასუხებს ფუძეთა მორფოლოგიურ მოთხოვნას“ (გვან, ხაზი ჩემია – ა.ფ.). ე.ი. კელაფ ყველაფერი, ოღონდ არა მარცვალთლიაობა. და ისიც არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ეს ენის მომგები „კონსტიტუენცი“ ცალკე არ იხმარება. ჩვეულებრივ ამბობენ: „კონსტიტუენტური ნიშანი“, რაც სინონიმია ადამიანურად ნათქვამი „დიფერენციალური ნიშნისა“ და გამოიყენება „ფონემის უმცირესი ელემენტის“ მნიშვნელობით, ვთქვათ, ღ//თ-ს დაპირისპირებისას: მათ შორის განმასხვავებელი ნიშანი იქნება კონსტიტუენტური.

თ. უთურგაიძე, განიხილავს რა სახელობით ბრუნვაში ა-ფუძიანი სახელის ფორმებს: ძმა-ი>ძმა-ე>ძმა, ასკენის: „სახელობით ბრუნვაში მომხდარი ცვლილება ემყარება ფონემატურ კანონზომიერებას, რომლის მიხედვითაც ქართულში გამოირიყხება უშუალო თანამიმდევრობით ორი ან მეტი ხმოვანი. ამას ემატება მეორე მოთხოვნა – სწრაფვა დახურული მარცვლისკენ სიკყევის ბოლოს, რის გამოც ამ პოზიციაში ხმოვანი არ არის ბუნებრივი, მამასადამე, სახელობითის ფორმის ბოლოში /ი/-ს დაკარგვისათვის (ძმაი > ძმა) არსებობდა ორი ფონემატური პირობა. ქართულში ამ პოზიციაში ფუძისეული ხმოვანი იკარგება. სვანურში ჩვეულებრივია ორ და მეტმარცვლოვან სიკყევებში“.

აქ რომ სვანურზე აპელირება სრულიად უადგილოა, ამკარაა, მაგრამ ახლა უფრო სხვა გვიანგერესებს.

ვინ დაამტკიცა ან საერთოდ ვინ თქვა, რომ ქართულში „უშუალო თანამიმდევრობით“ (ე.ი. ერთიმეორის გვერდით) „აკრძალულია ორი და მეტი ხმოვანი“? ვუიქრობ, ზედმეტია თავკიდურ პოზიციითა მაგალითების მოხმობა, ეგ იმდენად აშკარაა ქართულში, განსაკუთრებით, მზნურ ფორმებში; ჩვენი ენა წყვილ ხმოვანს იგანს სიტყვის ფუძემიც კი. ასეთი შემთხვევები ძირითადად ნასესხებ სიტყვებში გვაქვს, მაგრამ იმავე ნასესხებ სიტყვებში ენამ ხომ ვერ მოითმინა წყვილი თანხმოვანი (დალლაქ > დალაქი; ფარრამ > ფარემი; ბაყყალ > ბაყალ-ი); წყვილი ხმოვანი კი ჩვეულებრივია: ბაასი, მასლაათი (არა გვაქვს „ბაასი“, „მასლაათი“). აღარას ვამბობ „ოთარაანთ“-ის მსგავს გამოთქმებზე ან აფიქსი-სეული ფორმანტების ორხმოვნთან ვარიანტებზე (-იან, -ნაირ, -იერ, -ეულ) და -ია-ზე დაბოლოებულ ფუძეებზე (ბაბუა, ბებია, ტყვია, ყუა, თოლია, ღვია, ჩია...). ხოლო, თუ ბაგონ თედო უთურგაიძეს მივბაძავდი და მხოლოდ ჩემს მშობლიურ დიალექტს დავეყრდნობოდი, იქ ერთიმეორის მიმდევრობით ორი კი არა, სამი ხმოვანია და ხმოვანთა ასეთი თავმოყრა ხდება სწორედ იქ, სიტყვის ბოლოში, რომლის მიმართაც პატ. მკვლევარი დაჩინებით გვიმტკიცებს, რომ „მხოლოდ თანხმოვანი და სხვა არაფერიო“. ასე, მაგალითად: გურულში (რაც ქვემო იმერელისთვისაც ჩვეულებრივია) დედაიე, დაიე, მამაიე, ანთროპონიმებში: სამაიე, თეკლეიე, ბონდოიე, ლეტკიე და ა.შ. და ა.შ. თითქმის ერთადერთი ფორმებია.

მართალია, ბაგონი აკაკი შანიძე მიუთითებს იმაზე, რომ ქართული სიტყვის ფუძეში ორი ხმოვანი არ გვხვდება, ხმოვანთა დაწყვილება მოსალოდნელია ფორმანტთა შესაყარშიო, მაგრამ სულ ბოლოდროინდელი ქართული ამ დებულებასაც უარყოფს. დღეს მეტყველებაში ასე გავრცელებული ძაან < ძალიან, კაი < კარგი, ყოოლთვის < ყოველთვის და მ.თ. ჯიუტად იკაფავენ გზას სალიტერატურო ენისაკენ (ყოველ შემთხვევაში ტელეხედვის დიქტორთა მეტყველებაში ეს ფორმები ძალიან ხშირია).

იმ ორ „უეჭველ“ კანონზომიერებასთან ერთად (1. „ქართულ ენას აქვს სიგყვის ბოლოს მარცელის დახურვის ტენდენცია“, 2. ქართული ენისათვის ბუნებრივი არ არის ხმოვანთა კომპლექსები“) ბატ. თ. უთურგაიძემ კიდევ ერთი „ტენდენცია“ გამოავლინა ქართულში: „ქართული ენისათვის ბუნებრივია სიგყვათა ერთმარცველიანი და ორმარცველიანი ფორმები“.<sup>1</sup>

ასეთი კატეგორიული განცხადება გვაფიქრებინებს, რომ მკვლევარმა გამოთვალა სიგყვათა რაოდენობა ტექსტში ან ლექსიკონებში და მიღებულ შედეგს ამოგადებს. როგორც გაირკვა, ბატონ თედოს ასეთი გამოთვლა არ გაუკეთებია. ეს ჩანს მისი განცხადებიდანაც: „ასეთი ვარაუდის საფუძველს ქმნის ის, რომ ფუძისეულ ხმოვანთა რედუქცია კუმშვის გზით იწყება სახელთა სამ და მეტმარცველოვან ფორმებში“, ე.ი. ეს ე.წ. „ბუნებრიობა“ ვარაუდზე ყოფილა დამყარებული და წინადადების ბოლოს მითითებული სქოლიოც (მისივე აღრინდელ ნაშრომზე) კელავ არაფრის მომცემია. იქნებ ძირებზეა ლაპარაკი? იქნებ! მაგრამ „სიგყვა“ და „ძირი“ ხომ უნდა განვასხვაოთ?!

სინამდვილეში ქართულში ერთ და ორმარცველიან სიგყვათა რაოდენობის შეფარდება სამ და მეტმარცველიან სიგყვათა რაოდენობასთან სწორედ იმის საწინააღმდეგო სურათს გვიჩვენებს, რასაც თ. უთურგაიძე გვიმტკიცებს: „ინვერსიული ლექსიკონიდან“ შემთხვევით გადაშლილი 184-ე და მომდევნო ცხრა გვერდზე (სულ ათი გვერდი) გამოთვლილ სიგყვათა საერთო რაოდენობა უდრის 2.784-ს. აქედან ერთმარცველიანია 13, ხოლო ორმარცველიანი – 251. დანარჩენი 2.418 სიგყვა სამ და მეტმარცველიანია, ანუ 9.4% // 90.6%-თან თ. უთურგაიძის საწინააღმდეგოდ.

ფიქრობ, წარმოდგენილი არგუმენტები სრულიად დამაჯერებლად მიუთითებენ იმაზე, რომ გ. ახვლედიანის მიერ დასაბუთებული

<sup>1</sup> თ. უთურგაიძე, ქართული ენის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986, გვ.107.



დებულება – ქართული ენის სიგყვის ბოლო მარცვალს მიდრეკილება აქვს ღიაობისაკენ, – ურყევია და ძალაში რჩება, ხოლო ეს მიდრეკილება როგორ რეალიზდება ბრუნვის ნიშნების გავრცობასთან დაკავშირებით, ამის შესახებ ქვემოთ.

მარცვალთლიაობის ა-ს პრობლემას ბ-ნმა თ. უთურგაიძემ წიგნში „ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი“ მთელი თავი („სახელთა დეგერმინაცია ძველ ქართულში“) უძღვნა. ის ფაქტი რომ ძველ ქართულში ერთნაირი ფუნქციით გვაქვს სუფთა ფუძე „კაკ“ და ო-ნიშნისანი „კაცი“, ამავე დროს, აგრეთვე, აბსოლუტურად თანხედუნილი ფუნქციით მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვები გაუვრცობელი და გავრცობილი (ა-დანამატისანი) „გვაგარაუდებინებსო, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ ცელილებებთან, რაც მომხდარა ენის განვითარებაში უძველესი პერიოდიდან ძველ ქართულამდე“.<sup>1</sup> ასეთი ანალიზი რომ სწორია, აეგორის აზრით, მტკიცდება ენის შემდგომი განვითარებით: „წრფელობითი ბრუნვის ფორმები საერთოდ აღარა გვაქვს ენაში, ხოლო ბრუნვათა გავრცობა-გაუვრცობლობა აღარ უკავშირდება განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის სემანტიკურ პლანს და მთლიანად განეკუთვნება მორფოლოგიური და სინტაქსური ცელილებების სფეროს“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, გავრცობა-გაუვრცობლობა სემანტიკურად აპრიორი უკავშირდება განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობას, თუმცა არც ერთ ქართველ თუ არაქართველ ენათმეცნიერს არც ერთი მზაგალითი არ მოუგანია იმის დამადასტურებელი, რომ ქართული ენის განვითარების რომელიმე დონეზე ფუძის გავრცობა-გაუვრცობლობა ურთიმეორეს უპირისპირდებოდა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის სემანტიკით.

მაინც რას გვთავაზობს აეგორი? „ზემოთქმულთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ სახელთა განსაზღვრულობის

<sup>1</sup> თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986, გვ.7.

სემანტიკური სისტემა ძველ ქართულამდე და ძველ ქართულში ენის მონაცემთა მიხედვით“ (იქვე, ხაზი ჩემია – ა.ფ.).

წერილობით დაუდასტურებელი ფორმების აღდგენის ორი მეთოდი არსებობს: 1. შედარების, ე.წ. გარეგანი რეკონსტრუქციის, ანუ ისეთი, როცა ორი ან მეტი ახლო მონათესავე ენების ფორმები უდარდება ერთმანეთს, და 2. შინაგანი რეკონსტრუქციისა, რომელიც საკვლევი ენის წერილობით დადასტურებულსა და ღიალექტების მონაცემებს ემყარება. რადგან ქართულის მონათესავე არც ერთ ენაში ასეთი დაპირისპირების არავითარი კვალი არა ჩანს, გარეგანი რეკონსტრუქცია გამორიცხულია. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ საძიებელი ფორმისა და მისი სემანტიკის აღდგენა მოხდება შინაგანი რეკონსტრუქციის გზით. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ან წერილობით დადასტურებულ ძეგლებში, ან ღიალექტებში უნდა არსებობდეს თუნდაც გადმონამთვის სახით საძიებელი მოვლენის ფაქტები. როგორც ვთქვით, არც ძველი ქართულის წერილობითი ძეგლების მონაცემები და არც ღიალექტები მხარს არ უჭერენ იმის მტკიცებას, რომ გავრცობილი და გაუვრცობელი ელემენტები ერთიმეორეს უპირისპირდებოდნენ სემანტიკურად. ყველა შემთხვევაში ეს ფორმები თავისუფალი მონაცვლეობის წესით უპირისპირდებიან ერთმანეთს. გამომდინარე აქედან მტკიცება იმისა, რომ შევძლებთ ამ ასპექტში უძველესი ქართულის მონაცემთა აღდგენას, განუხორციელებელი ილუზიაა, მაგრამ მაინც მოეუსაძინოთ ავტორს: იგი სვამს კითხვებს: „1. თუ სახელობით და მოთხრობით ბრუნვათა ნიშნები ერთდროულად დეკერმინაციულ ფუნქციასაც ასრულებენ, მაშინ რატომ უჩნდება ისინი საკუთარ სახელებს? (ასეთი მაგალითები მე-10 საუკუნემდეც გვაქვს და მერე უფრო ხშირად); 2. სახელობით და მოთხრობით ბრუნვათა გვერდით (ალბათ, უნდა თქმულიყო „ბრუნვის ფორმათა გვერდით“ – ა.ფ.) რა საჭირო იყო ნაწევარი – წმინდა დეკერმინაციული ელემენტი: კაც-ი იგი, კაც-ი ესე, კაც-ი ეგე; 3. შეიძლება გავიმეოროთ ადრე ნათქვამი: ძველ ქართულში რატომ

ხდება სახელთა, ერთი მხრივ, წრფელობითი და სახელობითი ბრუნვების და, მეორე მხრით, ემფატიკურ ხმოენიანი და ამ ხმოენის არმქონე ფორმათა თავისუფალი მონაცელებობა?“ (გვ.8).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი კითხვები ძველი ქართულის მიმართ მართლაც დაისმის, ოღონდ ახლავე უნდა ითქვას, რომ პირველი კითხვის მონაცემებში ლოგიკური ცდომილებაა — ჰიპოთემა გასაღებულია დამტკიცებულ ფაქტად. მართალია მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნები გამოცხადებულია მადეკერმინირებულ ელემენტებად, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ეს ჰიპოთემა მტკიცებულებად გამოდგება.

ქართულში არტიკლის კატეგორიის არსებობის ჰიპოთემა ნ. მარს ეკუთვნის. თ. უთურგაიძე სწორედ მას ეყრდნობა: „ნ. მარის თვალსაზრისით, წერს იგი, ბრუნების სისტემა ქართულში ძველ-ქართულამდევე ხასიათდებოდა განსაზღვრულობის კატეგორიის (იგულისხმება არტიკლის კატეგორია — ა.ფ.) ქონებით. აქ ერთიმეორეს უპირისპირდება ცალკეულ ბრუნვათა განუსაზღვრელი და განსაზღვრული ფორმები. ეს უკანასკნელნი იყენებდნენ ნაცვალ-სახელებს. აღნიშნული ოპოზიცია შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

განუსაზღვრელი	განსაზღვრული
გაუფორმებელი ბრუნვა(НФ)-კაც	კაც-ი(<კაც-ჰი)
მიც. <sup>2</sup> (M <sup>2</sup> ) ————— კაც-ან (წიგნ. — კაც-ინ	კაც-მან კაც-მინ
ნათ.	
ხალხ. — კაც-ის	კაც-ის-ა(<კაც-ის-ჰა)

მოქ. — კაც-ით

კაც-ით-ა(<კაც-ით-ჰა)

ჰი\*, ჰა\*, მ\* განსაზღვრებითი ელემენტებია — ნაცვალსახელები. განსაზღვრულობის კატეგორიის მიხედვით არც მიცემითი ბრუნვის ფორმების აღდგენა გაჭირდება:

განუსაზღვრელი

განსაზღვრული

მიც./ (მ') კაც-სა<კაც-ას

კაც-ას-ა<კაც-ას-ჰა (გვ.9).

მიუხედავად ნ. მარისადმი ჩემი დიდი პატივისცემისა, რაც ბუჭდურადაც არაერთხელ გამომიხატავს, ამ ფანტაზიის სარწმუნოდ მიღება არ შეიძლება. ეს „თეორია“ იმ დროის გამოძახილია, როცა ნ. მარი ქართულ ენას სემიტურ ენებთან მონათესავედ თვლიდა. ასეთი შენიშვნის მოსალოდნელობა ბატონ თ. უთურგაიძესაც უგრძენია და სიტყვიერად გამიჯვნია კიდევ იმდროინდელ მარს: „ნ. მარის სახელთა ბრუნების პარადიგმების განხილვისას ვიფარგლებით მხოლოდ იმით, რაც ეხება სახელთა განსაზღვრულობის სისტემის კვლევას. არ ვიხილავთ ბრუნვის ნიშანთა სემიტურ წარმომავლობას, რაც სხვა მკვლევართა მსგავსად ჩვენთვისაც მიუღებელია“ (იქვე). ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა: თუ სემიტურთან ნათესაობის თეორიას გაემიჯნა, *კაც-ან* და *კაც-ინ* ფორმები საიდან გაჩნდა პარადიგმაში? და მიუხედავად ამ უპასუხო კითხვისა თ. უთურგაიძე აცხადებს: „*ჩვენს წინამე სრულიად ნათელი სურათი წარმოდგება: ძველი ქართული ენის წინა საფეხურზე სახელთა ბრუნების სისტემაში პარადიგმების წევრები ხასიათდებოდნენ განსაზღვრულობის კატეგორიის ქონებით*“. ავტორი განაგრძობს: „მარკირებული იყო განსაზღვრული წევრები, რომლებიც ირთავენ ჩვენებით ნაცვალსახელებს:

პი, პა, მ;<sup>1</sup> განსაზღვრებითი ელემენტი წიგნურ გაუფორმებელ (Hφ) ნათესაობით და მეორე მიცემით (M<sup>2</sup>) ბრუნვებში პირდაპირ ერთ-ვოდა სახელის ფუძეს და იბრუნეოდა, ფუძე კი უცვლელი რჩებოდა. ხალხურ ნათესაობითსა და მოქმედებითში განსაზღვრებითი ელემენტი ა(<პა) ბრუნვის ნიშანს მოსდევდა. ნ. მარმა ამ უკანასკნელს უწოდა „ემფატიკური“.

შემდგომ პერიოდში წიგნური ფორმების განსაზღვრებითი ელემენტები შეერწყა ბრუნვის ნიშნებს და ცალკე ელემენტებად აღარ გამოიყოფა; ეს შერეული ელემენტები გაფორმდნენ ერთიან ბრუნვის ნიშნებად“ (გვ.10).

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველაფერი ძალიან „მოწესრიგებული და დალაგებულია“. ავტორს ერთხელაც არ უჩნდება კითხვა: ეს „წიგნური ფორმები“ მაინც საიდან გამოჩნდა იმ დროისათვის, როცა ჩვენში წიგნიერები არ იყვნენ, ანუ იმ დროში, როცა დამწერლობა არ არსებობდა; ანდა წიგნური ფორმები მხოლოდ ნათესაობითს რატომ გაუჩნდა, სხვა ბრუნვებმა რა დააშავეს?!

რადგან უძველესი ქართულის შესახებ „ყველაფერი ასე კარგად აეწყო“, ავტორი გადადის ძველ ქართულზე. „ძველ ქართულში დეტერმინაციის სხვა სისტემაა. ეს სისტემა ყალიბდება მას შემდეგ, როცა დამთავრდა სახელთა ბრუნვის ნიშნების შერწყმა განსაზღვრებით ელემენტებთან“. ძველ ქართულში ნაწევარი, ანუ განსაზღვრებითი წვერი, ცალკე მდგომი „იგი“ ნაცუალსახელია, რომელიც ირიბ ბრუნვებში იწარმოება „შ“ ფუძით. ბრუნებისას სახელი ემფატიკური სახითაა წარმოდგენილი, ნაწევარი კი – უმისოდ (კაც-სა მას)“. მრავლობითის „თა“-ს ა ელემენტი ემფატიკური ხმოვნის როლში გამოდის.

<sup>1</sup> ამ ე.წ. ნაცუალსახელებს ამჟერად აღდგენილის ნიშანი აღარ უმით, რაც იმის მარჯვენაა, რომ მათ არსებულის სტატუსი შეიძინეს.

ნ. მარის მოსაზრებებთან დაახლოებული მოსაზრებები გამოთქვა პ. ფოგტაო, გვაუწყებს თ. უთურგაიძე და იძლევა ამ უკანასკნელის შეხედულებათა ანალიზს, რომლის დროსაც იძულებულია აღიაროს, რომ ფოგტის აზრით: „*ვეროპული ენების არტიკლიან სახელებს მნიშვნელობით შეესაბამება ძველი ქართულის ნაწვერიანი სახელები (კაცი იგი, კაცმან მან, კაცსა მას) და არა გრძელი ფორმები (კაცი, კაცმან, კაცსა...), რომელთაც არასწორად მიიჩნევენ განსაზღვრულ ფორმებად*“ (გვ.11).

ფოგტიც ხედავს ძველ ქართულში „კაც“ და „კაცი-ი“ ფორმების არსებობას და ამ ფორმებისათვის შემოაქვს გერმინები: „*გეარეობითი*“ და „*სახეობითი*“. შესაბამისად: „კაც“ ნიშნავდა ადამიანს ზოგადად, საერთოდ – ყოველგვარი განსაზღვრულობისა და რიცხვისაგან დაცლილი. მომდევნო ხანაში გაჩნდა „კაცი-ი“, „კაც-სა“. „ი“ და „ა“ ფოგტისთვის „ჩვენებითი ელემენტებია“ და არა – განსაზღვრების ნაწილაკები. ეს ელემენტები გვაქვს ნაცუალსახელთა და გმნიშვლათა ფორმებში: *ამა, იმა; აქა, იქი*.

საინტერესოა ისიც, რომ ფოგტი არ განიხილავს მოთხრობითს (მას მხოლოდ ერთი ფორმა აქვს), ვითარებითსა (იგი სხვა ფუნქციისაა, ვიდრე ჩამოთვლილი ბრუნვები: ესიეი, ლაგვიი...) და წოდებითს.

თ. უთურგაიძის აზრით, ნ. მარსა და პ. ფოგტს საერთო აქვთ: 1. „*სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი და ირიბ ბრუნვათა ემფატიკური ხმოვანი ა წარმომავლობით ჩვენებითი ელემენტებია, რომლებიც დასტურდება ჩვენებით ნაცუალსახელებსა და გმნიშვლებში პირებთან სიახლოვის მისათითებლად*; 2. *ორივე მკვლევარი თვლის, რომ განსაზღვრულობა-განუსაზღვრულობა (ნ. მარი) ანუ გეარეობრივ-სახეობრივი (პ. ფოგტი) თუმცა ბრუნების სისტემაში არ შედის, ბრუნების პარადიგმას ბოლომდე გასდევს*“.

თ. უთურგაიძე საქმის ვითარებას ორივე შემთხვევაში არასწორად წარმოგვიდგენს, რადგან ის „ჩვენებითი ელემენტები“, რაც ფოტგმა წარმოგვიდგინა, ფორმალურ პარალელს, მართლაც, პოულობენ (სხვა საკითხია რამდენად ტექმარიგია ეს პარალელი) ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და მზნიშედების ფორმების საწყის ელემენტებთან. ნ. მარის მიერ მოხმობილი (ჰა, ჰი, მ) კი ფანგაზის ნაყოფია. არც ისაა სწორი, თითქოს ორივე მეცნიერის აზრით, „ეს ელემენტები“ ბრუნვის პარადიგმებს ბოლომდე გასდევდა. როგორც ვთქვი, ფოტგი გამოირიცხავდა სამ ბრუნვას; ბრუნვათა პარადიგმა სრულად არც ნ. მართანაა წარმოდგენილი.

ასევე დამახინჯებულად წარმოგვიდგენს თ. უთურგაიძე ენათმეცნიერების დამოკიდებულებას ნ. მარის დებულებისადმი: „განსაზღვრულობის კატეგორიის ნ. მარისეული გაგება მოგადად ქართული ენის ყველა მკელეუარმა მიიღო“... „ირობ ბრუნვათა ა და სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების *ი* და *მან* დაბოლოებების ნაცვალსახელური წარმომავლობა, მათი განსაზღვრებითი ხასიათი მისაღები იყო ყველასათვის“ (გვ.15).

ჩემს მოხსენებაში და მასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ თემისებში სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება იყო გამოთქმული, ეს მოსაზრება გაიზიარეს ს. ქლენგმა და გ. ნებიერიძემ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართულ მეცნიერთა ერთი ჯგუფი არ ვლბებულობდით ნ. მარის მოსაზრებებს.

სხვათაშორის ამ კონტექსტში საინტერესოა თავად ბაგონი უთურგაიძის ერთი განცხადება: „როგორც კი *ი* და *მან* იქნენ ბრუნვის ნიშნებად (ე.ი. ლაპარაკია ძველ ქართულზე), რასაც ის მოჰყვა, რომ ძველი წესით *დაპირისპირება განუსაზღვრელ და განსაზღვრულ ფორმებისა მოიხსნა*, ე.ი. დაპირისპირებანი *კაც/კაც-ი; კაც-ს/კაც-სა* ვეღარ მოქმედებენ; ვეღარ ვიტყვი, რომ *კაც* განსაზღვრულია, ხოლო *კაც-ი, კაც-მან* განსაზღვრული: ძველი ტექსტები საზოგადო სახელებში ამის უფლებას არ იძლევიან“ (იქვე),

ეს აღიარებაა ჩემი დებულებისა – ძველ ქართულში ასეთი დაპირისპირება არ გექონდა.

ამავე წიგნში თ. უთურგაიძე ეხება ჩემს სტატიასაც (რომლის არსებობა ცოცხალი ზევით საერთოდ დაივიწყა) და მოაქვს სათანადო ციტატა: „თანამედროვე ქართულში ა-ს მხოლოდ ფონეტიკური ფუნქცია შემორჩა და ეს ფუნქცია გამოიხატება სიტყვის ბოლო მარცვლის დიაოზის შექმნაში. ამიტომაცაა, რომ ა ნაწილაკიანი სიტყვები ჩვეულებრივ წინადადებას კეცავენ (წარმოთქმაში წინადადება ერთ ფონეტიკურ მთლიან წარმოადგენს), ჰაუმის წინ გვხვდებიან“... „ა-ზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ იგი ერთვის მხოლოდ თანხმოვანზე დამთავრებულ სიტყვებს. ამ კანონმა არ იცის გამონაკლისი არც ძველსა და არც ახალ ქართულში; მაგალითად: ერთიმეორის პარალელურად შეიძლება ეთქვას „შენა ხარ“ და „შენ ხარ“, მაგრამ არ შეიძლება ითქვას „შენა ვარ“.

აქვე ავგორმა გააკეთა შენიშვნა: „ალ. ფოცხიშვილის მიერ გაანალიზებული ფორმები: *ხვალა, შენა, მეგა, თორემა, ხომა*... დიალექტური ფორმებია, ამდენად „ახალი ქართული“ ავგორის მსჯელობაში, ლიტერატურული ქვესისტემის გარდა დიალექტურ ქვესისტემებსაც ვარაუდობს“.

ასეთი შენიშვნა თ. უთურგაიძეს იმიტომ დასჭირდა, რომ შემდგომში, ჩემთან კამათისას, შესაძლებლობა ჰქონოდა, მოეხმო დიალექტური ფორმები ძირითადად მთის დიალექტებიდან. არადა, რა თქმა უნდა, ჩემს წერილში დიალექტურ ფორმებზე საუბარი არ ყოფილა, ოღონდ არც გამორჩეულად სალიტერატურო ქართულზე ემსჯელობდი; ვგულისხმობდი სამეტყველო საერთო-სახალხო ქართულს, რომელიც გასაგებია საშუალო განათლებამიღებული ყველა ქართველისათვის.

ახლა გავსინჯოთ ის საბუთები, რითაც თ. უთურგაიძე უარყოფს ა-ს მარცვალთლიაობის ფუნქციას: „ეს მოსაზრება მთლიანად ემყარება ამ ნაწილაკის პოზიციას: 1. მაერსობი ა გვხვდება ჰაუმის



წინ და 2. მოსდევს მხოლოდ და მხოლოდ თანხმონით დამთავრებულ ფორმებს (ეინ-ა, კაც-სა, ზეგ-ა, რომ-ა, ილებს-ა და სხვ.). ამ არგუმენტებს თუ კარგად გაესინჯათ ა მავრცობს ვერ მივიჩნევთ მარცხალთლიანობის ელემენტად (ა) თუ სიგყვას ენის ბუნებით ღიაობა სჭირდება ბოლო მარცხალში, ეს გენდენცია რატომ ელინდება მხოლოდ პაუზის წინ, სხვა პოზიციებში რამ მოშალა?“ (გვ.43).

კი არ მოიშალა, არამედ არ იყო. რატომ? – ძნელი სათქმელია. ძნელი სათქმელია იმიტომ, რომ ა-ს მოქმედების არეალის გადიდება (იგი ერთვის ყველა მეტყველების ნაწილს) შედარებით ახალი მოვლენაა და ჯერ მკაცრი წესები ჩამოყალიბებული არ არის. იქნებ ამას ხელს უშლის დასაელური დიალექტების, რომელთათვისაც მარცხალთლიანობის ა დამახასიათებელი არაა, დაწოლა თანამედროვე ქართულზე. ამას გარდა, ენაში არსებული ყველა მოვლენა როდი ექვემდებარება ახსნას. მაგალითად, როგორ ავხსნათ ან რატომ უნდა ვიკვლიოთ, I სუბიექტური პირის ნიშანი რატომ არის ფ და არა სხვა რომელიმე ბგერა?

თ. უთურგაიძე კითხულობს: „სხვათა სიგყვის ო ნაწილაკზე დაბოლოებული ფორმები ხომ ისეც ღია მარცვლით ბოლოვდებიან, რატომ ჩნდება იქ მავრცობი ა (ძმასაო, ძმისაო, ძმითაო, ძმადაო) სისტემატურად? აღნიშნულ ფორმებში ა მავრცობი რა ფუნქციას ატარებს?“ (გვ.41).

აქ უთუოდ რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ეს მაგალითები განა გამოდგება ჩემი დებულების საწინააღმდეგოდ? აქ რომ პირუკუ ყოფილიყო (ეთქვათ ასე: ძმას-ო-ა, ძმით-ო-ა) ე.ი. ბრუნვის ფორმას დართოდა ო, რომელიც მას მართლაც აძლევს ღიაობას, ხოლო მერე დართოდა ა, მაშინ არ იქნებოდა სწორი ჩემი მოსაზრება და შეკამათებასაც აზრი ექნებოდა. სინამდვილეში ჩემი დებულება – ა ერთვის თანხმონიან ფუძეს – ურყევეია. იგი დაერთვის ძმას-ა, ძმით-ა ფორმებს, რომელთაც შემდეგ ემატება

სხვათა სიტყვის ნაწილაკი ო. მე არსად მიმტკიცებია, რომ მარცვალთლიაობის ა-ს არ შეიძლება მოსდევდეს ხმოვანი. ამ საკითხით არ დაინტერესებულვარ. ისე კი ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ ა ხმოვანი შემაერთებული ბგერის ფუნქციით გამოდის ისეთ შემთხვევებში, როცა თანხმოვნით დამთავრებულ ფუძეს ახალი ხმოვანი უნდა დაერთოს. ასე მაგალითად, შედგენილი შემასმენლის „არის“ გმნის ნაშთი შეკვეცილ ა თანხმოვნიან ფუძესთან, აგრეთვე, მარცვალთლიაობის ა-ს დართვას მოითხოვს მანამ, ვიდრე თავად მიერთვის ხოლმე ფუძეს, ხმოვანფუძიანი ფორმები კი ა-ს დართვას არ საჭიროებენ: ვინ-ა-ა=ვინ არის, ეგ-ა-ა=ეგ არის; მაგრამ: რა-ა=რა არის; ოქრო-ა=ოქრო არის; ყრუ-ა=ყრუ არის.

უთურგაიძე იქვე შენიშნავს: „ბუნებრივია „დაუძახა კაცსა“, „მოუხმო კაცსა“, მაგრამ არაბუნებრივია ემფატიკური ა შებრუნებულ რიგში: „კაცს დაუძახა“, „კაცს მოუხმო“.

საქმე ისაა, რომ ეს შესიტყვეებები ფონეტიკურად ერთ მთლიანად აღიქმებიან. პირველ შემთხვევაში ფონეტიკური მთლიანის ბოლოს აღმოჩნდა თანხმოვანი, ამიგომ მან მოითხოვა მარცვალთლიაობის ა-ს დართვა. მეორე შემთხვევაში კი ფონეტიკური მთლიანის ბოლოს ხმოვანია და მარცვლის ღიაობა ისედაც დაკულია.

შემდეგი პუნქტი თ. უთურგაიძის საბუთებისა ასე გამოიყურება: „ჩვენი მსჯელობისათვის არსებითია ისიც, რომ სიტყვათა ფორმებში ა მავრცობის არსებობა დამოკიდებული აღმოჩნდა მომდევნო გმნის გრამატიკულ აგებულებაზე (გმნისწინებისა და ხმოვან პრეფიქსთა ქონა-არქონაზე)“. შეიძლება ითქვას: „რასა უფროსობ“, „რასა ეშმაკობ“... მაგრამ არ შეიძლება: „რასა ეუფროსები“, „რასა ეჩხუბები“. მე კი მგონია, რომ ასეთი ფორმების ხმარებაც ჩვეულებრივია, ხოლო თუ მსგავსი გამოთქმა თ. უთურგაიძეს არ შეხვედრია, ეს კიდე არ ნიშნავს, მათი არსებობა საერთოდ უარვეყოთ. ამას გარდა ის, რაც ენის სტრუქტურული მთლიანობიდან

გამომდინარე აკრძალული არაა, მოსალოდნელია, დღეს თუ არა, ხედავს გამოჩნდეს – ყველაფერი დამოკიდებულია ამ ენაზე მეტყველთა ნება-სურვილზე.

შემდეგი შენიშვნა ასეთია: „არ არის სწორი თითქო სიგყვაში ა მავრცობი ხმოვანთა მომდევნოდ არ მოდიოდეს. ქვემოთ მოგვყავს სათანადო მაგალითები ქართული დიალექტებიდან. დაეწყოთ „მეა“ ფორმით, რომელიც ალ. ფოცხიშვილის თქმით, „არ შეიძლება ითქვას ქართულში“. „არ ეიცი მეაე“... (ფლ., 134, 30) – მეაე „მეო“ <მე-ა-ო. ო სხვათა სიგყვის ნაწილაკია ფშაურში ხმოვანთა მომდევნოდ ე-დ ქეუული, ა – კი მავრცობია“. თუშურში კი ასეთი მაგალითებიც დაიძებნება: „მეაე ორ ჯიკე დაეგორეე“, „ფარის კუკუმას წავაღებებავ შიავ, ნუ ამარქარებ კიაე“... მთის დიალექტებში ა არის ღ(ა)-ს წინაც (მეაღ)“ (იქვე, გვ.42).

უნდა გულახდილად ვაღიარო, რომ აქ მოგანილი მაგალითების ამრი კარგად არც მესმის და მათ შესახებ არაფრის თქმა შემიძლია. ამ და მსგავსი მაგალითებით კამათი, როგორც ჩანს, თ. უთურგაიძესაც სახამუშოდ მოსჩვენებია და თავს ასე იმართლებს: „მართალია, ქართლ-კახურსა და სალიგერატურო ქართულში ა ჩნდება თანხმოვანთა მომდევნოდ, მაგრამ კანონზომიერება ერთია და ხმოვანთა მომდევნოდაც ა-ს გაჩენა საერთო წესით ხდება. გავრცობის ა ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება მარცხეულიანობასთან დაკავშირებულ ელემენტად“.

ერთი სიგყვით, მოლაპარაკეთა 99%-ისათვის მისაღებ ფორმაზე, ანუ ზოგად კანონზე, ხელი უნდა ავიღოთ მოლაპარაკეთა ერთი პროცენტის სასარგებლოდ. „მეაე“ და „კიაე“ ქართულად მოლაპარაკეთა მხოლოდ ერთი პროცენტის მეტყველებამი შეიძლება გამოჩნდეს. თანაც ისიც საფიქრებელია, რომ „მე-ა-ე“ ისე არც იშლებოდეს, როგორც თ. უთურგაიძე გვთავაზობს. იგი თურმე ნიშნავს „მე-ო“-ს. ამიგომ სრული შესაძლებელია: „მე“-ს შემდეგ გვაქვს არა ორი ფორმანტი (ა და ე), არამედ – ერთი „-აე“;

რომელიც მიღებულია „ო“-სგან ისევე, როგორც „ო“ გვაძლევს „აჟ“-ს სხვა შემთხვევებშიც (როგორა ხარ>რაჟა ხარ).

ამაზე უფრო ნაკლებ სარწმუნოა გურული და ინგილოური დიალექტების მონაცემთა მოხმობა. უთურგაიძის აზრით, გურულში ხმარებული გრძელი ხმოვანი წინადადებაში: „უმ გამევიდა, ღუუქახა“ და ინგილოურში ცალკე ნახმარი მსგავსი ხმოვანი „ეეს რომ თქოა, კაც მაშინავ მოკლო“ ერთი და იგივე ოდენობაა – ორივე ემფატიკურ ა-დ უნდა მივიჩნიოთ. თუმცა ამ მაგალითების მომხმობ ქ. ლომთათიძეს ეს „ა“ „არა“ ნაწილაკის ნაშთად მიუჩნევია.

თუ ამ გზით ვივლით, „არის“ გზნის ნაშთი „ა“-ც (კარგია, ცუდია, ბეჯითია-ა...) მარცვალთლიაობის „ა“-დ უნდა მივიჩნიოთ, ანუ ყველა ცალკე გამოვლენილი „ა“ ამავე ფუნქციისად დაესახოთ.

ამათ გვერდით, მართლაც, მარცვალთლიაობის ფუნქციის მქონედ უნდა მივიჩნიოთ ქ. ძოწენიძის მიერ გემო იმერულში სიგყვათა ბოლოს გამოვლენილი ხმოვნები (ე, ზ, უ) სიგყვებში: რაცხას-ე, ხეს-ე, ერთნაირს-ე; ვიცოდით-ზ, ხუთშაბათს-ზ; ვიცოდით-უ, ხუთშაბათს-უ. ამიგომაცაა, რომ ისინი მოუღლით მხოლოდ თანხმოვნთან ფუძეებს.

შემდეგ მოდის ხანგრძლივი მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მაერსობ ა-ს ენაში აკისრია არა მარცვალთლიაობის ფუნქცია, არამედ იგი *სადემარკაციო ნიშანია*. ავტორს მოაქვს ასეთი მაგალითი: „*ცხენი ამხანაგის სახლს მიუახლოვდა*“. ეს წინადადება ორნაირად შეიძლება გაეიგოთო: „*ცხენი/ამხანაგის სახლს მიუახლოვდა*“ და „*ცხენი ამხანაგის/სახლს მიუახლოვდა*“. ადგილი რომ არ ჰქონდეს ორამროვნებას, საჭიროა, „ამხანაგს“ დაერთოს ა და დემარკაციული ხაზი გაავლოს წინადადების მომდევნო ნაწილთან.

სხვისი არ ვიცი და ჩემში ასეთი წინადადება ყოველგვარი სადე მარკაციო ა-ს გარეშეც არავეითარ ორამროვნებას არ გამოიწვევს (რა თქმა უნდა, თანამედროვე ქართულის მიხედვით), რადგან საკმარისია დავინახო ნათესაობით ბრუნვაში ჩასმული სიგყვა და

ინტუიციით ვხვდები, რომ მომდევნო სიტყვა იქნება საზღვრული. ამიგომ ჩემთვის „ცხენი ამხანაგის სახლს მიუახლოვდა“ მხოლოდ ერთაზროვნად იკითხება: *ცხენი* – ქვემდებარეა; *სახლს* – ირიბი დამატება, *ამხანაგის* – მისი განსაზღვრება და *მიუახლოვდა* – შემასმენელი. თანამედროვე ქართულში „ცხენი“-ს შემდეგ არსებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში მდგომი წინადადების წვერი, პოსტ-პოზიციურ მსაზღვრელად გაიზრება, რადგან კარგად ჩამოყალიბებული წესის მიხედვით მსაზღვრელი წინ უმის საზღვრულს.

მაგრამ მთავარი ჩემთვის მაინც ისაა, რომ ეს და მსგავსი მაგალითები მარცხალთლიაობის ა-ს სტატუსს ვერ ცვლის, რადგან თ. უთურგაიძის მიერ „სადემარკაციო“ ფუნქციით აღჭურვილი ა მაინც იმ თვისების მქონეა, რაც გამონაკლისის გარეშე აქვს – *დაერთვის თანხმონიან ფუძეს („ამხანაგის-ა“), რის შემდეგაც იქმნება ღია მარცხალი.*

თ. უთურგაიძე განიხილავს თ. ბურაბიშვილისა და თ. ბეროზაშვილის მოსაზრებებს ა-ს ფორმალურ-ფუნქციურ თავისებურებებთან დაკავშირებით: ა) იგი მახვილიანია; ბ) არ იხმარება ხმოვნით დაწყებული ზმნების წინ (გამონაკლისს შეადგენენ ის ზმნები, რომელთა ხმოვანი ფუძისეულია); გ) არ იხმარება ზმნისწინიანი ზმნების წინ და სხვ. „ამიგომო, – ასკენის ჩემი ოპონენტი, – მარცხალთლიაობა, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია“.

მკვლევარი ვერ ხედავს, რომ ვერც ეს ე.წ. წესები არღვევენ ჩემს მოსაზრებას, რადგან ყველა შემთხვევაში ა მიერთვის მხოლოდ დახურულმარცხლიან ფუძეს და მას ღიაობას აძლევს. თ. უთურგაიძისთვის ა მხოლოდ და მხოლოდ სადემარკაციო ფუნქციას ასრულებს მაშინაც კი, როცა დაერთვის „ძმასაო“, „კაცსაო“ და მსგავს ფორმებს: რადგან ეს ხმოვნები უმახვილოა და ეკედლებიან წინა სიტყვას (აქვე განიხილება „და“ კავშირიც), „მათ შორის სადემარკაციო ა აუცილებელიაო“, – ფიქრობს ავტორი.

საფიქრებელი კი სწორედ პირუკუა. მარცვალთლიაობის ა, რომელიც, რა თქმა უნდა, ყველა ჩამოთელილ შემთხვევაში თანხმონიან ფუძეს დაერთვის, ასეთ ფორმებში შემაერთებლის როლს ასრულებს, იგი ფუძისა და მასზე დართული ნაწილაკის შემაერთებელია და არა გამთიშველი, რასაც დემარკაცია გულისხმობს.

თუ ნაწილაკი -*ც* ფუძესთან მიერთებისას სადემარკაციო ა-ს მოითხოვს, რატომ არ დაერთვის ეს ა სახელობითის ფორმას (რატომ არა გვაქვს კაც-ი-ა-ც)? არ დაერთვის იმიგომ, რომ ფუძესა და -*ც* ნაწილაკს შორის დემარკაცია კი არაა საჭირო, საჭიროა შემაერთებელი ხმოვანი. სახელობითის შემთხვევაში ეს ხმოვანი, სხვა ხმოვნების (ა, ე, ო, უ) მსგავსად, ი არის, ხოლო სხვა ბრუნვებში (მათ შორის, მოთხრობითშიც, როცა ფუძის ბოლოს თანხმოვანია დედა-შა-ც) მარცვალთლიაობის ა ასრულებს ამ როლს.

ასეთია ჩემი პოზიცია თ. უთურგაიძის მოსაზრებებთან დაკავშირებით.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ მესახება მე მარცვალთლიაობის პრობლემა უპირველესად ძველ ქართულში.

ერთიმეორის გვერდით „კაც“ და „კაც-ი“ ფორმების არსებობა აბსოლუტურად ერთნაირი ფუნქციით, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ხმოვანფუძიან სახელებს, ძირითად (სახელდებით) ბრუნვაში *ა* ემაგებოდა, ე.ი. თანხმოვანზე ან სონორზე მთავრდებოდა, გვაძლევს შესაძლებლობას, დავუშვათ, რომ ყველა ფუძე ძველი ქართულის მიჯნაზე ბოლოვდებოდა თანხმოვანზე. ეს პერიოდი შეიძლება მივიჩნიოთ სწორედ იმ ტენდენციის გამოვლინებად, რაც დღეს მეტნაკლებად გვაქვს სევანურში და ქართულის ზოგიერთ, განსაკუთრებით, მთის დიალექტებში. ძველ ქართულში, ალბათ, იმ ტენდენციის წყალობით, რომელიც ქართულ-მანური ერთობის ხანაში გაჩნდა, იწყება სიგყვის ბოლო მარცვლის დიაობისაკენ ლგოლება, რასაც მოჰყვა დასახელების ფორმებში ხმოვანფუძიანებთან *ა-ს*

დაკარგვა, ხოლო თანხმოდანფუძიანებთან – *o* ხმოვნის დართვა სუფთა ფუძეზე. ასე და ამგვარად, დასახელების, ანუ ძირითადი ბრუნვის ფუძე ყველა შემთხვევაში დაბოლოვდა ხმოვანზე<sup>1</sup>. გამო-  
ნაკლისებს შეადგენდა (რაც დღემდე შემოგვრჩა) ნაცვალსახელები: *შენ, ჩვენ, თქვენ, ვინ*, რომლებიც ბოლოვდებიან სონორ თანხმოდან *ნ-ზე*. ეს უკანასკნელი გათანასწორებული იყო ხმოვნებთან, ამიგომაც არის, რომ ეს ნაცვალსახელები – *ყ* ნაწილაკის დართვისას ხმოვანს არ მოითხოვენ (*შენც, ჩვენც, თქვენც, ვინც*), როგორც ცნობილია, ეს ნაწილაკი მხოლოდ ხმოვნიან ფუძეს მიერთვის (კაც-ი-ც, კაც-მა-ც, კაც-სა-ც, კაც-ისა-ც; კლდე-ც, ოქრო-ც, ყრუ-ც).

ამდენად, ის მოსაზრება, რომ სახელობითის *o* მოდის ე.წ. განსამღვრების ნაცვალსახელი *იგო-სგან* („ჰი“-დან, თუ „ესე“, „ეგე“, „ისი“-დან) ფანგაზიის ნაყოფია<sup>2</sup> და ფაქტობრივი მასალებით არ დასტურდება. ეს ტენდენცია-ლგოლვა ხმოვანფუძიანობისაკენ მთლიანად გატარდა ჭანურსა და ქართულში, ნაწილობრივ – მეგრულში. რასაკვირველია, არავითარი განსამღვრულობა-განუსამღვრელობის მიხედვით დაპირისპირება ბრუნვის ნიშნებიდან მომდინარე ძველ ქართულში არა გვექონია. ამის დამადასტურებელია ე.წ. გრძელი და მოკლე ბრუნვის ფორმების (მავრცობიანი და უმავრცობო ფორმების), ანუ მარცვალთლიაობის ა-ს მქონე და არამქონე ფორმების

<sup>1</sup> დამაჯერებელი მსჯელობა იმის შესახებ, რომ სახელობითის *o* „იგი“ ნაცვალსახელიდან არ მოდის იხ. ალ. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989, გვ.85-90.

<sup>2</sup> ასეთივე ამრისანი იყვნენ XVIII-XIX საუკუნის ქართველი გრამატიკოსები: კაცი, ტაძარ-ი და მსგავსი ფორმების -*o* მათაც ფუძისეულ ხმოვნად მიაჩნდათ. დასახელების, ანუ ძირითადი ბრუნვის დაბოლოებად (სხვა ხმოვნების მსგავსად) *o*-ს მიჩნევას მხარს უბამს მეტი წილი ენებისა, რომლებსაც ბრუნვის კატეგორია აქვთ, მათ შორის – რუსულიც: ასე, მაგალითად, რუსულში რომელიმე *руха-ს* *а* ითვლება არა სახელობითის ნიშნად, არამედ – ფუძისეულად, თუმცა, ქართული დასახელების ბრუნვის *o*-ს მსგავსად, ისიც აღარ გააკვება ირიბ ბრუნვებში: *рух-и, рух-е, рух-у, рух-иѣ, o рух-е*.

თავისუფალი მონაცვლეობა. ორიოდ გამონაკლისს (ქალაქს//ქალაქსა; ქალაქით//ქალაქითა), მართალია, განსხვავებული სემანტიკა აქვთ, მაგრამ ეს სემანტიკა არტიკლის კატეგორიასთან კავშირში არაა.

ისმის კითხვა, ძველ ქართულში არ გადმოიციემოდა განსაზღვრულობა-განუსაზღვრულობა (არტიკლის კატეგორიის სემანტიკა), ანუ უცნობი და ცნობილი საგნებისა და მოვლენების დაპირისპირება? რასაკვირველია, გადმოიციემოდა და გადმოიციემოდა ისე, როგორც თანამედროვე ქართულში. ერთმანეთს უპირისპირდება „ერთი კაცი“ და „ეს კაცი“, ოღონდ ძველ ქართულში წყობა იყო შებრუნებული („კაცი ერთი“, „კაცი იგი, ესე, ეგე“).

რაც შეეხება მოთხრობით ბრუნვას, მასთან ეს საკითხი საერთოდ არც უნდა დასმულიყო (ამიგომ იგი განხილვიდან გამორიცხა ფოტგმაყ) იმის გამო, რომ მას ყველა დადასტურებულ დონეზე მხოლოდ ერთი ნიშანი (-მან) ჰქონდა, რის გამოც ე.წ. განსაზღვრულობა-განუსაზღვრულობის მიხედვით დაპირისპირების ვარაუდიც კი მოხსნილია.

ძველ ქართულში არტიკლის კატეგორიის არსებობის მომხრეებს ჰქონდათ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი – ადამიანთა (ანთროპონიმთა) სახელები სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავდნენ, წარმოდგენილნი იყვნენ ე.წ. სუფთა ფუძის სახით. მართალია, მოგვიანებით ეს წესიც დაირღვა და ნელ-ნელა ანთროპონიმებმაც სახელთა მსგავსად მიიღეს ბრუნვის ნიშანი, მაგრამ აღრეული პერიოდის ფაქტები თითქოს მართლაც მეტყველებდა იმაზე, რომ, ვინაიდან ანთროპონიმები თავისთავად განსაზღვრულნი არიან, ამიგომ არ მოითხოვეს ბრუნვის ნიშნები, რომლებიც განსაზღვრებითი ნაცვალსახელების ნაშთებს წარმოადგენენ.

ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ, უპირველესად, უნდა ითქვას, რომ ანთროპონიმებს მხარს არ უჭერენ ტოპონიმები (გეოგრაფიული



სახელები), რომლებიც, როგორც წესი, საკუთარ სახელთა რიგს განეკუთვნებიან. ეს კი იმაზე მიგვანიშნებდა, რომ ანთროპონიმთა უბრუნველობის საიდუმლოების გასაღები სხვაგან უნდა გვეძებნა. ბოლო გამოკვლევებმა, მართლაც, მოგვცეს ეს გასაღები: *ანთროპონიმთა უბრუნველობის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ თავისებურებებში, რაც ბრუნებისას პირის ნაცვალსახელებს აღმოაჩნდათ.*

ქართულშიც ისევე, როგორც ამას ცნობილი უნივერსალია მოითხოვს, ერთმანეთს უპირისპირდებიან მოსაუბრე (მოლაპარაკე, კომუნიკაციაში მონაწილე) I, II პირები და კომუნიკაციაში არმონაწილე III პირი. ეს უკანასკნელი ბრუნებისას გააყვია საზოგადო სახელებს, ხოლო I და II პირის ნაცვალსახელები (მათ რიგშია „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელიც), როგორც ვიციტ, სახელობითსა და მოთხრობითში წარმოდგენილნი არიან უბრუნველი ფუძის სახით, ანუ ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავენ. იგივე ნაცვალსახელები, ანთროპონიმთა მსგავსად, არც მარცხალთღიაობის ა-ს დაირთავენ ირიბ ბრუნებში. როგორც დადგინდა, პირის ნაცვალსახელთა ბრუნების ეს თავისებურება განპირობებულია იმით, რომ ეს სიტყვები ენაში განცალკევებულ ადგილს იკავენ თაჲიანთი განსხვავებული სემანტიკით, გადმოგვემენ ადამიანთა კლასს.

რატომ გამოეყო I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნება საზოგადო სახელთა ბრუნებას, ძნელი სათქმელია, ოღონდ ფაქტი ისაა, რომ მათი ბრუნების თავისებურება აისახა ენის სიტყვათა იმ კლასში (ანთროპონიმებში), რომელი კლასიც სემანტიკურად მათ გვერდით დგას – გადმოგვემენ ადამიანებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ თვალსაზრისით ანთროპონიმები გამოეყო საკუთარ სახელთა ზოგად ერთობას, რომელშიაც ირიცხებიან გეოგრაფიული სახელებიც. ეს უკანასკნელნი ქართულში იბრუნვიან, როგორც საზოგადო სახელები.

მაშასადამე, ანთროპონიმთა ბრუნების თავისებურება, ბრუნვის ნიშანთა უქონლობა სახელობითსა და მოთხრობითში, გამოწვეული იყო არა იმით, რომ მათ განსაზღვრება არ ესაჭიროებათ, როგორც ამას ფიქრობდნენ, არამედ იმით, რომ გაერთიანებულნი იყვნენ ადამიანის გადმომცემ სიტყვათა კლასში.

სახელობითი ბრუნვის მსგავს ფორმებს გვიჩვენებდა ირიბი ბრუნვები: მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი. ამ ბრუნვებში ერთიმეორის გვერდით აბსოლუტურად თანაბარი სემანტიკური ფუნქციით გამოიყენებოდა გრძელი და მოკლე დაბოლოებები, გაუერცობელი და გაერცობილი ბრუნვის ნიშნებით: კაც-ს//კაც-ს-ა; კაც-ის//კაც-ის-ა; კაც-ით//კაც-ით-ა).

რადგან ამ ფორმებს შორის განსხვავებას მხოლოდ ხმოვანი აქმნიდა, რომელიც მიერთვოდა ოდენტანხმოვნიან ფუძეს, გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს ხმოვანიც ჩათვლილიყო იმ მიდრეკილების დამადასტურებლად, რა მიდრეკილებაც – სიტყვის ბოლო მარცვლის ლგოლვა ღიაობისაკენ (ხმოვნის დართვის მოთხოვნილება) – გამოჩნდა საერთოდ ენაში. ამ ხმოვანს ეწოდა მარცვალთღიაობის ა. მისი ფუნქციით *ო* და *უ* ხმოვნებზე დამთავრებულ სიტყვებთან ნათესაობითსა და მოქმედებითში *ი* ხმოვანი გვევლინება ხოლმე.

თანხმოვანფუძიან სიტყვაფორმის ბოლოში ღია მარცვლისადმი ლგოლვამ თავი იჩინა არა მხოლოდ სახელებში, არამედ გმნებშიც. ამ ტენდენციის უსაჩინოეს მაგალითებს წარმოადგენს უწყვეტლის ფორმებზე *ო-ს* დართვა. გვექონდა: *ე-წერ-დ*, *ს-წერ-დ*, *წერ-დ-ა*; *ე-წერ-დ-ით*, *ს-წერ-დ-ით*, *წერ-დ-ეს*. ახლა გვაქვს: *ე-წერ-დ-ი*, *სწერ-დ-ი*, *წერ-დ-ა*). ამ ცვლილებამ უწყვეტელი ხოლმეობითს დაამსგავსა (*ე-წერ-დ-ი*, *ს-წერ-დ-ი*, *წერ-დ-ის*), რის გამოც უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი საერთოდ დაიკარგა. საფიქრებელია, ამავე მიზეზით დაიკარგა I ბრძანებითიც (*წერ-დ*, *წერ-დ-ინ*; *წერ-დ-ით*, *წერ-დ-ედ*). აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ II ბრძანებითის III პირის ფორმები (*წერ-ენ*, *წერ-ედ*) შეიცვალა კავშირებითის ფორმებით (*წერ-ოს*, *წერ-ონ*), რითაც თავიდან იქნა აცილებული ძნელად

გამოსათქმელი ფორმა (წერ-ე-ღ) სიგყვის ბოლოს. საერთოდ გაქრა ზმნის ფორმათა ბოლოში თანხმოვანი -ღ, მისი ადგილი შედარებით იოლად წარმოსათქმელმა ბგერებმა (-ნ, -ს) დაიკავეს.

ამავე ტენდენციის გამოძახილი უნდა იყოს თანამედროვე ქართულში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის გავრცობაც -აღ-ა, რაც ძველ ქართულში არ იყო. მარცვალთლიაობის ა-ს დართვა მოითხოვა თანხმოვანზე დამთავრებულმა ბრუნვის ნიშანმა.

ძველი ქართულის მიდრეკილება - სიგყვაფორმის ბოლოს ხმოვნის დართვისა კიდევ უფრო ძლიერ გამოჩნდა ახალ ქართულში. ამის უპირველესი დადასტურებაა ისევ სახელობითი ბრუნვა, რომელშიაც თანხმოვანზე დამთავრებული ფუძე საერთოდ ვერ ძლებს. ამ მხრივ სამაგალითოა უცხოურ ენათაგან შემოსული ანთროპონიმებისა და გეოგრაფიული სახელების გაფორმება. თუ ტოპონიმი ან ანთროპონიმი ხმოვნით ბოლოვდება, იგი ცვლილებას არ განიცდის (კააგა, ოსლო, კაბერნე, ეღუ), ხოლო თუ თანხმოვან-ფუძიანია, სახელობითში ხმოვან ო-ს დაირთავს (ვოლგოგრაღ-ი, ლონდონ-ი, სტოკჰოლმ-ი, ზინოვიევი-ი, ბალზაკ-ი).

ღა კიდევ ერთი საკითხი.

ბ-ნ თ. უთურგაიძეს, რომ ქართული მარცვლის კვლევის დროს ძირითად მიზნად ჩემი მოსაზრების წინააღმდეგ ბრძოლა არ დაესახა, დაუბრკოლებლად შეეძლო თავისი მოსაზრებები ჩემოსათვის შეეხამებინა. ასე მაგ., თუ მას სჯერა, რომ ა მავრცობი სადემარკაციოდ გამოიყენება, ღაე, სჯეროდეს, მაგრამ ჩემი დაკვირვების შედეგები ასეთ დაშვებას სრულიადაც არ გამორიცხავღა, რადგან ის, რასაც მე ვამტკიცებღი, ა-მავრცობის გამოვლენის კონსტანტაცია იყო: ეს ხმოვანი მუღამ ღაერთვის თანხმოვნიან მორფემას, ფუძეს თუ ბრუნვის ნიშანს, ანუ მისი ფუნქციაა სიგყვის ბოლოს ღია მარცვლის შექმნა, რის გამოც მას ეწოღა მარცვალთლიაობის ა. შეიძლებოღა ამას დამატებოღა, რომ იგი (მარცვალთლიაობის ა) წინაღაღებაში გამოიყენება სადემარკაციოდ ღა ყვეღაფერი რიგზე იქნებოღა.

### 3. ფონეტიკური სიმბოლოზგის შესახებ ქართულში<sup>1</sup>

1. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა წინაშე წამოიჭრა პრობლემა: რა ურთიერთობა იყო საგანსა და მის სახელს შორის. ფილოსოფოსები ორ ბანაკად დაჯგუფდნენ: ერთნი ფიქრობდნენ, რომ კავშირი სახელსა და სახელსადაც საგანს შორის კანონზომიერია; საგნის ბუნება, თვისება, განსაზღვრავს, თუ რა სახელი უნდა ერქვას მას. მეორეთა აზრით, სახელსა და მნიშვნელობას შორის კავშირი შემთხვევითია, პირობითია, სახელმძღვანელების ნებაზეა დამოკიდებული.

გვიანი შუასაუკუნეების გერმანული ფილოსოფია, როგორც ჩანს, მეორე თვალსაზრისს იზიარებდა. ქრ. ბაუმაისტერი (ლეიბნიც-ელფის მიმდევარი) „ლოგიკაში“ სწორედ ამ მოსაზრებას იცაუდა, რაც აისახა ანტონ პირველის „ქართულ ღრამმატიკაში“, სადაც ნათქვამია – „ლექსი არს ნიშანი მოგონებისა ნებისაებრ ჩვენისა“. „მოგონება“ ანტონთან ცნების ეკვივალენტია.

სიგყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობას (აღმნიშვნელსა და აღსანიშნს) შორის კავშირის ნებისმიერობის პრობლემა XX საუკუნეში წინა პლანზე წამოსწია ფ. დე-სოსიურმა. საკითხის ასეთ გადაწყვეტას მხარს უჭერს მრავალენიანობაც – თუ აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის კავშირი ბუნებრივია, ერთსა და იმავე საგანს ყველა ენაზე ერთი და იგივე სახელი უნდა ერქვას.

<sup>1</sup> ანტონ პირველი ბაგრატიონის დაბადებიდან 275 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1996წ.

2. მეორე მხრით, აშკარაა, რომ ენის ლექსიკა, შედგება საკმაო რაოდენობის ისეთი სიტყვებისაგან (ხმაბაძეითი სიტყვები, შორის-დებულები...) რომელთა ბგერითი მხარე უშუალო კავშირშია გადმოსაცემ შინაარსთან.

3. ქართველ ენათმეცნიერთა შორის ერთ-ერთმა პირველმა ტ. გულაევამ სცადა დაედგინა კავშირი სიტყვის ბგერით მხარესა და გადმოსაცემ შინაარსს შორის: მეგრული ენის მასალაზე დაყრდნობით დაადგინა, რომ თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემის საშუალებით მნიშვნელობებიც სამ რიგად ჯგუფდებიან:

„მიგვაგვალუ“ – მიგორავს დიდი, მსხვილი, მძიმე რაღაც;

„მიქვაქვალუ“ – მიგორავს, მიგოვმანობს (ჩვეულებრივი მნიშვნელობა);

„მიკვაკვალუ“ – მიგორავს პატარა, წერილი რაღაც.

4. ჩემი ყურადღება მიიქცია აშკარად ხელოვნურმა სიტყვამ „წაკლაკმა“, რომლითაც მოსაუბრე მისთვის არასასიამოვნო ქალს ახასიათებდა. დაინტერესდი, არასასიამოვნო ელფერის გადმოცემა ხომ არ ეკისრებოდა ამ სიტყვის რომელმე ცალკე აღებულ ბგერას, მსგავსად ფსიქოლოგთა და ენათმეცნიერთა ერთი ჯგუფის მოსაზრებისა, რომლებიც ფიქრობენ, რომ სიტყვის ბგერითი მხარე ქვეცნობიერად უკავშირდება გადმოსაცემ შინაარსს და კავშირის მატარებელი მეტწილად ერთ-ერთი ბგერაა – სწორედ ასეთი მოვლენა იწოდება ფონეტიკური სიმბოლიზმის სახელწოდებით.

ძიებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ბგერა უნდა იყოს „წ“, რომელსაც სხვა მრავალ შემთხვევაშიც უნდა ეკისრებოდეს, ერთი მხრით, არასასიამოვნო ემოციების მომგვრელისა და, მეორე მხრით, მცირე მოცულობის საგნებისა და მოვლენების გადმოცემის როლი: წუპაკი, წუნკალი, წუნჯი, წუნჯი, წიტი... წიწილი. წიწაკა, წრიოტი, წუთი, წამი... წა- ზმნისწინიც ხომ მოქმედების სიმცირეს, ზერელობას, არასრულობას გადმოგვცემს.

## II მორფოლოგია

### 1. ნაცვალსახელი თანამედროვე ქართულში (ბრუნების სინქრონიული ანალიზი)<sup>1</sup>

1. თანამედროვე ქართული გრამატიკული ლიტერატურის გაცნობისას თვალში გვევemat შეუთანხმებლობა, სიჭრელე ნაცვალსახელთა ბრუნების საკითხში.

სამაგალითოდ გამოდგება „ვინ“ ნაცვალსახელი:

სახ.	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ
მოთხ.	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ
მიც.	ვი-ს(ა)	ვი-ს	ვი-ს	ვი-ს
ნათ.	ვი-ს(ა)	ვი-ს	ვი-ს	ვი-ს
მოქ.	(ვის-ით)კითხ.კუთ.	(ვისით)		
ვით.	(რა-დ)	(ვისად)		
წოდ.				

ლ. კვაჭაძე

აკ მანიძე  
ფინანსური

აკ მანიძე

შ კეკელია  
აკადემიკოსი

ლ. კვაჭაძე –სასკ. სახელმძღ.

<sup>1</sup> თემისები მოხსენებისა, რომელიც წაკითხული იყო თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე 1975 წლის 25 თებერვალს, დაიბეჭდა კრებულში, თსუ, ფილოლოგია I, სამეც. კონფერენციის მასალები, 1975წ. თსუ-ს გამომცემლობა.

2. თითქმის ყველა ავტორი ერთხმად აღნიშნავს, რომ I და II პირის ნაცვალსახელები არ იბრუნვიან და წარმოდგენილი არიან ერთი და იმავე ფუძის სახით, გამონაკლისია პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“, რომელსაც ნათესაობითში ენაცვლება „ჩემ“ ფუძე. ეს უკანასკნელი კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძიდან ნასესხებად არის მიჩნეული.

კუთვნილებითად გულისხმობს აკ. შანიძე „ჩემ-ის-თანა“, „ჩემ-მე“ და „ჩემით“, „ჩემ-ად“ ფორმებში გამოყენებულ ფუძეებსაც.

3. ცნობილია, რომ ჩვეულებრივ კუთვნილებითი ნაცვალსახელები იყენებენ პირის ნაცვალსახელთა ფუძეს და არა – პირუკუ. ეს გასაგებიცაა: ჯერ უნდა იყოს ვინმე პირი, რომელიც პირის ნაცვალსახელით აღინიშნება, მერე კი – მისი კუთვნილება. ამ ასპექტში საინტერესოა ჰ. ფოგჯის მოსაზრება. იგი ქართული ენის ნაცვალსახელებში სამ ჯგუფს გამოყოფს (1. პირის; 2. ჩვენებითი; 3. კითხვითი). დანარჩენი ნაცვალსახელები სრულიად სამართლიანად ამათვან ნაწარმოებად მიაჩნია.

4. თანამედროვე ქართულში სადაო ფორმების მქონე ნაცვალსახელთა ბრუნება ჩვენ ასე გვესახება:

სახ.	მე	შენ	ვინ
მოთხრ.	მე	შენ	ვინ
მიც.	მე ჩემ-ს(ა) (ჩემ-სა-ვით)	შენ-ს(ა)	ვი(ნ)-ს(ა)
ნათ.	ჩემ-ის(ა) (ჩემ-ის-თანა)	შენ-ის(ა)	ვის(ა)
მოქ.	ჩემ-ით(ა)	შენ-ით(ა)	ვის-ით(ა)
ვით.	ჩემ-ად (ჩემ-ა-მდე)	შენ-ად	ვის-ად(ა)
წოდ.		შენ, მე	

მეორე პირის (შენ) ნაცვალსახელის მსგავს ფორმებს მოგვცემდა „ჩვენ“ და „თქვენ“ ნაცვალსახელთა ბრუნებაც და გვექნებოდა პირის „მე“, „შენ“, „თქვენ“. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები და კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ“ სახელობითსა და მოთხრობითში წარმოდგენილი არიან ფუძის სახით, დანარჩენ ბრუნებში ისინი ჩვეულებრივ იბრუნვიან, ოღონდ გასათვალისწინებელია ის

გარემოება, რომ „მე“ მიცემითში სუპლეტურ ფუძეს „ჩემ-ს“ გაიჩენს და შემდგომ ბრუნებში გაჰყვება ამ ფუძეს, ასევე, ვინ ნაცვალსახელიც მიცემითში ახალ ფუძეს „ვის“ გაიჩენს და შემდგომში გაიყოლებს მას.

როგორც საერთო წესია, ქართულშიც კუთვნილებითი ნაცვალსახელები იწარმოებიან პირის ნაცვალსახელთაგან: *შენ>შენი; თქვენ>თქვენი; ჩვენ>ჩვენი*. ამათგან გამონაკლისია *მე*, რომელიც კუთვნილებითს საკუთარი ფუძიდან ვერ აწარმოებს, მას ენაცვლება ფუძე „ჩემ“>„ჩემი“.



## 2. პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში

### I – პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, ჩვენ, თქვენ

საზოგადოდ სახელთა და ნაცვალსახელთა ბრუნება ერთმანეთისგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. ბრუნვათა საერთო წესს არ ემორჩილებიან პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, რომელთაც გვერდით უდგას კითხვითი „ვინ“.

აქ. შანიძესთან I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნების ასეთი სქემაა მოცემული:

სახ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მოთხ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მიც.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
ნათ.	ჩემ	*შენ	*ჩვენ	*თქვენ
მოქ.	–	–	–	–
ვით.	–	–	–	–
წოდ.	–	შენ, შე	–	თქვენ, *თქვე

ვარსკვლავ-დასმული ფორმები ცალკე არ იხმარება, არამედ სხვა სიტყვებთან დაკავშირებით: მაგ.: ჩემ-თვის, შენ-გან, ჩვენ-მიერ, თქვენ-თვის, შე ბეჩაეო, თქვე ზარმაცებო“ [1.100].

ავტორი განმარტავს, რომ I და II პირის ნაცვალსახელებს არც ბრუნვა აქვთ და არც რიცხვი: „ფორმათა უქონლობის გამო, აღნიშნულ სიტყვებს ზოგ შემთხვევაში შეიძლება მაგიერობა გაუწიონ და ამგვარად ნაკლი შეუვსონ სათანადო კუთვნილებითმა ნაცვალსა-

ხელებმა, რომელთაც ფუძედ აღებული აქვთ უბრუნველი პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვისათვის ნაცვლისხმევი „ფორმა“ (რასაც გარჩევით მხოლოდ *ჩემ* გვიჩვენებს). ესენი ყველა თითქმის წესებრივად იბრუნვიანო“. – შენიშნავს ავტორი და იქვე იძლევა კუთვნილებითი ნაცვალსახელების (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი) ბრუნების პარადიგმებს.

აკ. *შანიძე* განაგრძობს: „კუთვნილებითი (ბრუნვიანი) ნაცვალსახელები სათანადო პირის (უბრუნველ) ნაცვალსახელებს ნაკლს უესებენ ან მაგიერობას უწევენ მოქმედებითსა და ვითარებითში და ზოგჯერ იქაც კი, სადაც პირის ნაცვალსახელებს თითქოს ბრუნვის ფორმა მოეპოვებათ, როგორცაა, ვთქვათ, ნათესაობითი; მაგ., „*ჩემის-თანა*“. დღეს უკვე სწორედ ასეთ მაგიერობას გულისხმობს; ხოლო „*ჩემ-თან*“, „*შენ-თან*“ და სხვა ან კიდეც „*ჩემ-ზე*“, „*შენ-ზე*“ და სხვ. ასეთსავე მაგიერობას გულისხმობს მიცემითსა და სადაობითში (უკანასკნელ მაგალითებში მიცემითის ფორმის ნიშან-კვალი წამლილია ფონეტიკური<sup>1</sup> წესის ზეგავლენით. უნდა გვექონოდა: *ჩემს-თან*, *შენს-თან*, *ჩემს-ზე*, *შენს-ზე*). ასეთივე მაგიერობა შეიძლება სახელობითშიც გვექონდეს: „მე რომ *თქვენი* ვიყო, იმას ერთი ლამაზად მივგყეპადი რუსული წკეპალითა“ (ჭავ. „გლეხთა განთ. სცენები“), „მე რომ *თქვენი* ვიყო, ამ სიცრუვისათვის ციმბირში დავაკარგეინებდი“ (იქვე).

ერთი სიგყვით, ა. *შანიძის*ათვის I და II პირის ნაცვალსახელები უბრუნველი სიგყვებია, ყოველ შემთხვევაში, პირველი რიგის (სახ. მოთხრ. მიც.) ბრუნებში. მართალია, მათ ზოგჯერ ნაკლს უესებენ, თუ მათ მაგიერობას ეწევიან, კუთვნილებითი ნაცვალსახელები, მაგრამ ეს არაა საკმარისი იმისათვის, რომ ისინი ბრუნვის ნამდვილ ფორმებად<sup>1</sup> მივიჩნიოთ და პარადიგმებში შევიტანოთ.

<sup>1</sup> ამიტომაცაა, სიგყვა „ფორმა“-ს ავტორი ბრჭყალებში სვამს.

თანამედროვე ქართული ენის ფორმალურ-ფუნქციურ მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენ წარმოვადგინეთ I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნების სხვა სქემა:

სახ.	მე		შენ(ა)
მთ.	მე		შენ(ა)
მიც.მე	ჩემ-ს(ა)	(ჩემ-სა-ვით)	შენ-ს(ა)
ნათ.	ჩემ-ის(ა)	(ჩემ-ის-თანა)	შენ-ის(ა)
მოქ.	ჩემ-ით(ა)		შენ-ით(ა)
ვით.	ჩემ-ად(ა)	(ჩემ-ამდე)	შენ-ად(ა)
წოდ.	—		შენ,შე <sup>1</sup>

განვმარტავდით: „მეორე პირის ნაცვალსახელის მსგავს ფორმებს მოგვეცემა „ჩვენ“, „თქვენ“ ნაცვალსახელთა ბრუნებაც და გვექნებოდა: *პირის ნაცვალსახელები მე, შენ, ჩვენ, თქვენ და კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ“ სახელობითსა და მოთხრობითში ფუძის სახით არიან წარმოდგენილნი, დანარჩენ ბრუნებში ისინი ჩვეულებრივ იბრუნვიან, მხოლოდ გასათვალისწინებელია ფონეტიკური ფაქტორები [2.24-25].*

თანამედროვე ქართულში I და II პირის ნაცვალსახელთა უბრუნელობის შესახებ განმგვიცხეული ამრის ჭეშმარიტებაში დაეჭვების საბაბი მოგვცა თბილისელ ახალგაზრდათა ეარგონზე დაკვირვებამ. ყურადღება მიიქცია გამოთქმებმა „ვის ეუბნები მაგას – მეს?“ ან „ვიზე ლაპარაკობ – მეგე?“

ეს თავისთავად საინტერესო ფორმები მეტყველებაში (და აქედან ენის სისტემაში) დაიმკვიდრებენ თუ არა ადვილს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ისინი კარგად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ „მეგე“ ფორმის

<sup>1</sup> იხ. ზემოთ – თემისები მოხსენებისა „ნაცვალსახელი თანამედროვე ქართულში“. სქემაზე წარმოდგენილი იყო „ვინ“ ნაცვალსახელის ბრუნების ფორმებიც, ამაზე ქვემოთ. ეს სქემა სრულიად უმნიშვნელო ცვლილებებით, ჩვენზე მიუთითებლად, გაიმეორა ლ. შალვაშვილმა [3.61-62].

ნამდვილი სიგყათნაცვალი „ჩემზე“ თანამედროვე სამეცყველო ქართულის, ცოცხალი ენობრივი ელემენტი და I პირის ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმაა.

იგივე მოვლენა აშკარას ხდის შეუსაბამობას, რომლის მიხედვითაც „ჩემ-თვის“- პარადიგმაში ნათესაობითის ფორმადაა მიჩნეული (აქედან „ჩემ“ ფუძე კუთენილებითი ნაცვალსახელის ნათესაობითის ფორმიდან ნასესხები), ხოლო „ჩემზე“, „ჩემში“, „ჩემთან“ პარადიგმის გარეთაა დაგოეებული.

არაერთსელ აღნიშნულა, რომ ქართულში იბრუნვიან არა მხოლოდ სახელები, არამედ (რა თქმა უნდა, გარკვეულ სიტუაციაში) – ყველა მეცყველების ნაწილი, მათ შორის მმნებიც კი – თანაც ბრუნების ყველა ფორმალური მოთხოვნილების დაცვით.

ამ გენდენციის დადასტურებაა თანამედროვე ქართულში საკუთარი სახელების ბრუნების, ძველი ქართულიდან განსხვავებული, ახლებური ფორმები – ისინიც, სამოგადო სახელების მსგავსად, ბრუნვის ნიშნებს ყველა ბრუნვაში დაირთავენ და საჭირო შემთხვევაში მარცვალთლიაობის ხმოვნებსაც მიიღებენ (შოთა-მ(ა), ელენეს(ა)).

მიუხედავად ასეთი ძლიერი გენდენციისა, I და II პირის ნაცვალსახელები სახელობითსა და მოთხოვობითში არ იბრუნვიან. I და II პირის ნაცვალსახელთა და (მათთან გათანაბრებულ) ადამიანის საკუთარ სახელთა (ანთროპონიმთა) ბრუნების თავისებურება, განსხვავებული სამოგადო სახელთა ბრუნებისგან, ძველ ქართულში დადასტურებული მოვლენაა და, თავის მხრით, სათავეს, ალბათ, საერთო ქართველურიდან იღებს.

I და II პირის ნაცვალსახელთა ფორმებში საერთო ქართველურ ღონებე (-ჶე-) ფორმანტის აღდგენასთან დაკავშირებით თ. გამყრელიძე წერდა: „მამასადამე (-ჶე-) ელემენტის სახით უძველეს ნაცვალსახელურ ფორმებში საქმე უნდა გქონდეს რადაც მნიშვნელ ფორმანტთან, რომელიც გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა და

იწვევდა პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა გაერთმინებულ-ლიანებას. ნაცვალსახელურ ფუძეთა ეს საერთო (-ჴე-) მორფემა მათ ერთ კატეგორიად აერთიანებდა და უპირისპირებდა მესამე პირის ფორმებს, რომლებიც წარმოშობით ჩვენებით ნაცვალსახელებს წარმოადგენენ.

ნაცვალსახელურ ფუძეებში არსებული (-ჴე-) ელემენტის ამგვარი ინტერპრეტაცია საფუძველს გვაძლევს იგი ადამიანთა კლასის ექს-პონენტად მივიჩნიოთ. ნიშანდობლივი ამ მხრივ ის არის, რომ (-ჴე-) მორფემა თავს იჩენს მხოლოდ იმ ფორმებში, რომლებიც მოსაუბრი-სა და მსმენელის, ე.ი. სამეცხველო კომუნიკაციის სუბიექტია, მხოლოდ ადამიანთა სახელნაცვალთა, მაშინ როდესაც „არაპერსო-ნალური“ მესამე პირის აღმნიშვნელ ნაცვალსახელებში, რომლებიც აერთიანებენ ადამიანისა და ნიეთის კლასებს, (-ჴე-) ფორმანტი არ არის წარმოდგენილი. მესამე პირის ნაცვალსახელური ფორმები პირთა კორელაციის არამარკირებულ წვერებს გამოხატავდა. აქ ამკარად იგრძნობა დაპირისპირება *ვინ* და *რა* ჯგუფის სახელებს შორის“ [4, 43].

I და II პირის ნაცვალსახელთა და „*ვინ*“ კითხვითი ნაცვალ-სახელის ფუძეების შედგენილობა-მსგავსების საკითხს ჩვენ ქვევით უფრო დაწვრილებით შევხებით, აქ კი ვიგყვივით მხოლოდ იმ ნიშან-დობლივ მოვლენაზე, რაც მზნის სტრუქტურაში ე.წ. *ორიენტაციის* ახლებურად გააზრებამ გამოავლინა: დადგინდა, რომ ე.წ. სააქეთო *ორიენტაცია*, სინამდვილეში *საპირველმეორეპირო* *ორიენტაცია*აა, ე.ი. იგი გულისხმობს მოსაუბრე პირებს (ანუ I და II პირებს) და არა მათ სივრცობრივ მყოფობას. *მო-* მზნისწინი ხმარება მაშინაც, როცა მოქმედი პირი (მოცურავე) აუზის მოპირდაპირე ნაპირიდან ჩემკენ, პირველი პირისკენ მოძრაობს (*მო-ცურავს*) და მაშინაც, როცა პირველი პირიდან (ჩემგან) იქითკენ *მი-ცურავს*, თუ „იქითკენ“ მეორე პირი იმყოფება („*მო-ცურავს*“ ჩემკენ, „*მო-ცურავს*“ შენკენ). მზნისწინის ხმარებას პირველ შემთხვევაში განაპირობებს პირველი

(მოსაუბრე) პირის, ხოლო მეორე შემთხვევაში – მეორის (საუბრის მონაწილე პირის) პოვნირება.

*მო-* (*მო-ეფრინაე*) ზმნისწინი გამოიყენება მაშინაც, როცა მოსაუბრე თბილისიდან ლენინგრადში მყოფ მეგობარს აცყობინებს მისი მომავალი მოქმედების შესახებ, თუმცა მეორე პირის მყოფობა პირველი პირის არეში, თუ პირველ პირთან ახლოს (როგორც ამას ამტკიცებენ [1,246]) სრულიად გამორიცხულია.

ამან განაპირობა ე.წ. „სააქეთო“ ორიენტაციისთვის, რომელიც *მო-* ზმნისწინით გადმოიყება, გვეწოდებინა „საპირველმეორე-პირო“ („მოუბართკენული“) ორიენტაცია, ხოლო „საიქეთო“-სთვის – „სამესამეპირო“ („სხვათამიმართი“)<sup>1</sup>.

„ეინ“ და „რა“ კლასკატეგორიათა დაპირისპირება კარგად ჩანს ნაცვალსახელების ბრუნვათა ფორმებშიც. „ეინ“ ნაცვალსახელი როგორც ადამიანთა კლასის მარკერი, აბსოლუტურად ისეთსავე ფორმებს ავლენს, როგორსაც – I და II პირის ნაცვალსახელები, ხოლო „რა“ იბრუნვის ისე, როგორც ნივთის კატეგორიის წარმომადგენელი ყოველი საზოგადო სახელი.

I და II პირის ნაცვალსახელთა დაპირისპირება სხვა ნაცვალსახელებთან კარგად ჩანს რუსულშიც, სადაც III პირის ნაცვალსახელები, საზოგადო სახელების მსგავსად, ავლენენ სხვაობას სქესის და რიცხვის მიხედვით, I და II პირის ნაცვალსახელები კი ამ კატეგორიებს ეერ გაარჩევენ.

ამ კონტექსტში საინტერესო იქნებოდა, ალბათ, იმის აღნიშვნაც, რომ ცნობილი ფრანგი ენათმეცნიერი ე. ბენვენისტი, რომელმაც საგანგებო ყურადღება მიაქცია ნაცვალსახელთა ასეთ ბინარულ (I და II // III) დაპირისპირებას, თავის მოსაზრების დასადასტურებლად ქართული ენის მონაცემებსაც იშველიებს [5,262].

<sup>1</sup> უფრო დაწერილებით ამ საკითხის შესახებ აქვე, გვ. 42-46.

ერთი სიგყვით, ის ფაქტი, რომ I და II პირის ნაცვალსახელები „განსაკუთრებულად“ იქცევიან და არ ემორჩილებიან საზოგადო სახელთათვის დადგენილი ბრუნების წესებს განპირობებულია იმ თავისებურებებით, რომლებიც ამ ნაცვალსახელებს განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს, საერთოდ, ენის სისტემაში და უნივერსალური ხასიათისაა. რასაკვირველია მათი ამ განსხვავების მარკირება შეიძლებოდა სხვა ფორმითაც რეალიზებულიყო, მაგრამ ქართულმა რაგომდაც ასეთი ხერხი აირჩია: I და II პირის ნაცვალსახელი (და მათ გვერდით მათი კორელატი კითხვითი ნაცვალსახელები „ვინ“) უბრუნველად, ფუძის სახით წარმოგვიდგინა.

„ვინ“ და „რა“ ჯგუფების დაპირისპირების მომლამ, უპირველესად, ანთროპონიმთა და საზოგადო სახელთა ბრუნების ფორმათა გათანასწორებისაკენ სწრაფვაში იჩინა თავი. შემდეგ კი ნაცვალსახელებშიც გამოჩედა.

როგორც მ. სარჯველაძე მიუთითებს, ანთროპონიმთა ბრუნებში პირველი სიახლე (სახელობითი ბრუნების ნიშნიანი ფორმები) დოკუმენტურად VII საუკუნიდან დასტურდება [6,364], რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამეყყველო ენაში იგი დიდი ხნის წინათ გამოჩნდა.

ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს ნაცვალსახელთა ბრუნებაში მომხდარი ცვლილებების ქრონოლოგიური დონის განსაზღვრას, თუმცა ერთი ამკარაა: „მე“ ფუძის გვერდით თანდებულიანი „ჩეშ“ ფუძის არსებობა, ყოველ შემთხვევაში ნათესაობითსა და მოქმედებითში, ალბათ, საერთო ქართველურ დონეზე უნდა ვიგულისხმოთ<sup>1</sup>.

უფრო გვიან უნდა გაჩენილიყო თანდებულიანი მიცემითის ფორმები. „ეფუხისტყაოსანში“ ერთადერთი მაგალითია -მე თანდებულიანი მიცემითისა და ისიც საეჭვოა, არის კი აქ გამოყენებული

<sup>1</sup> ამ დონეზე სუპლეტური ფორმების დამეების შესაძლებლობაზე თ. გამყრელიძე მიუთითებს [4,50].

ფორმა პირის ნაცვალსახელის ფუნქციით ნახმარი — „ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არა *შენზე* კრფებიან“.

*ში* თანდებულებანი მიცემითი („ჩემში დარწმუნებულ იყავი“, *შენში* ვხედავ მამაშენის ორეულს“...), როგორც იტყვიან, ჩვენი თვალის წინ გაჩნდა, მაგრამ ძალიან ჩქარა იკიდეხს ფეხს.

რაც შეეხება უთანდებულო მოქმედებითს („*ჩემ-ით*“, „*შენ-ით*“)<sup>1</sup>, ეს ფორმებიც შედარებით ახალია. ახალია, რა თქმა უნდა, ქართული ენის მდიდარი ისტორიის თვალსაზრისით, თორემ დადასტურებული ფორმა XII საუკუნეს განეკუთვნება: „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „მაგრა სჯობს, შენცა გალხინოს ჩემმან *შენითა* ლხენამან“, ე.ი. „ის სჯობს, შენც მოგალხინოს ჩემმა სიხარულმა, რომელიც თვითონ *შენით* მაქვს“, ანუ „ის სიხარული, რაც *შენ* მე მომანიჭე, შენვე მინდა გაგიზიარო“.

ამდენად, „*მე*“-ს გვერდით „*ჩეშ*“ ფუძე (მეგწილად თანდებულებანი ნათესაობითსა და მოქმედებითში, ნაკლები გავრცელებით თანდებულებანი მიცემითსა და უთანდებულო მოქმედებითსა და ვითარებითში) პირველი პირის ნაცვალსახელის ამოსავალ ფორმად დიქრონიულადაც დადასტურებულია.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულს, ვფიქრობთ, იქ საეჭვო არაფერია: „*ჩეშ*“ ფუძიანი მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი პირველი პირის ნაცვალსახელად სრულფასოვანი სტრუქტურული ელემენტია მისი მთლიანი სისტემისა და, გასაგებია, მან („*ჩემ*“ ფუძიანმა ფორმებმა) ბრუნების პარადიგმაში შესაფერისი ადგილი უნდა დაიჭიროს.

I პირის ნაცვალსახელად „*ჩეშ*“ ფუძიანი ფორმების პოენირება დადებით პასუხს სცემს იმ ენობრივი უნივერსალის მოთხოვნულ-

<sup>1</sup> „ჩემით“ რიგის ფორმები პირის ნაცვალსახელით მოქმედებითად მიაჩნდათ ქართულ გრამატიკოსებს. ამ აზრისა იყო ნ. მარცი. შემდეგ ეს თვალსაზრისი გააკრიტიკეს და „ჩემ-ით“ და მისთ. ამოიღეს პირის ნაცვალსახელთა პარადიგმებიდან [354].



ბასაც, რომლის მიხედვით კუთვნილებითი ნაცვალსახელები წარმოსდგებიან პირის ნაცვალსახელთაგან და გამოიყენებენ მათსავე ფუძეებს.

„ჩეშ“-ი კუთვნილებითი ნაცვალსახელი ისევე მოდის „ჩეშ“ პირის ნაცვალსახელის ფუძიდან, როგორც „შენ-ი“ – „შენ“ ფუძიდან, „ჩვენ-ი“ – „ჩვენ“-იდან და „თქვენ-ი“ – „თქვენ“-იდან.

რაც ითქვა „ჩეშ“ ფუძის ბრუნვებში გამოყენებაზე, იგივე უნდა ითქვას „შენ“, „ჩვენ“ და „თქვენ“ ფუძეებზეც. ირიბ ბრუნვებში (თანდებულებიან და უთანდებულობებში) ისინიც „ჩეშ“ ფუძის მსგავსად აწარმოებენ პირის ნაცვალსახელებს და საბოლოოდ თანამედროვე ქართულში I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნება ასეთ სახეს მიიღებს:

სახ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მოთ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მიც.	მე,*ჩემ-ს(ა)	*შენ-ს(ა)	*ჩვენ-ს(ა)	*თქვენ-ს(ა)
ნათ.	*ჩემ-ის(ა)	*შენ-ის(ა)	*ჩვენ-ის(ა)	*თქვენ-ის(ა)
მოქ.	ჩემ-ით(ა)	შენ-ით(ა)	ჩვენ-ით(ა)	თქვენ-ით(ა)
ვით.	ჩემ-ად(ა)	შენ-ად(ა)	ჩვენ-ად(ა)	თქვენ-ად(ა)
წოდ.	–	შენ, მე	–	თქვენ,თქვე <sup>1</sup>

## II. კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ“

ქართულში ვერ იპოვიან მეორე სიგყვას, რომლის ფორმაცვალეების შესახებ იმდენი დაწერილიყოს (ზოგჯერ ერთიმეორის სრულიად გამომრიცხავი), რამდენიც „ვინ“-ზე დაიწერა. სამეცნიერო შრომებში ამრთა სხვადასხვაობა არავის უკვირს, მაგრამ საკმარისია გადავხედოთ სასწავლო სახელმძღვანელოდ დამტკიცებულ გრამატიკულ ლიტერატურას (სადაც თითქოსდა ამრთა სიჭრელე გამორიცხული უნდა

<sup>1</sup> ვარსკვლავიანი ფორმები მხოლოდ თანდებულდართული იხმარებიან, რა თქმა უნდა, იმ ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით, რაც ამ ბრუნვებში ამა თუ იმ თანდებულის დართვასთან დაკავშირებითაა მოსალოდნელი.

იყოს) და ვნახავთ, რომ არცერთ სახელმძღვანელოში ერთნაირი ფორმა არ მეორდება. უფრო მეტიც, ერთი და იგივე ავტორი საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში ერთ აზრს ადგას, უმაღლეს სისაში კი – სხვას.

სახ.	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ
მთ.	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ	ვი-ნ
მიც.	ვი-ს(ა)	ვი-ს	ვი-ს	ვი-ს
ნათ.	ვი-ს(ა)	ვი-ს	ვი-ს	ვი-ს
მოქ.	–	(ვი-სით)	(ვი-სით)	–(კითხ კუთვნილება)
ვით.	–	რა-დ	(ვისად)	–
წოდ.	–[1,103]	–[10,203]	–[11,63]	–[12,159]

სქემის მიხედვით აშკარაა, ავტორები ორ რამეში შეთანხმებულან:

- ა) პირველ ოთხ ბრუნვაში „ვი-ნ“ ერთნაირად იბრუნვის.
- ბ) „ვი-ნ“-ში „ვი“ ფუძეა, ნ სახელობითისა და მოთხრობითის ნიშანია, ს – კი მიცემითისა და ნათესაობითისა.

აკ. შანიძის აზრით: „ვი-ნ“ ნაცვალსახელის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სულ ორ ფორმას გვიჩვენებს ოთხი ბრუნვისათვის, რომლებიც მას მოეპოება: ესენია ვინ (სახ. მოთხ.) და ვის(ა) (მიც. ნათ.) ამ ფორმების ერთმანეთთან შეპირისპირებით ბრუნვის ნიშნებად ნ და ს გამოდის, ხოლო ფუძედ ვი (მამასადაამე, ფუძის ბოლოში მოუდის ხმოვანი ი). სახელობითსა და მოთხრობითში ბრუნვის ნიშნად წარმოდგენილი ნ, როგორც ეს პირველად კ. შუხარდგმა აღნიშნა, წარმოშობით მარტოოდენ მოთხრობითისაა და სახელობითში შემდეგ არის გადასული. რაც შეეხება ნათესაობითისა და მიცემითის ფორმათა ურთიერთობას, აქ ნათესაობითში -ის დაბოლოებისაგან, წინამაველი მსგავსი ხმოვნის გავლენით, მარტო-

ოღენ -ს დაგერჩა და ამიგომ ნათესაობითის ფორმა მიცემითისას დაემსგავსა. ნათესაობითის მაგალითებია *ვის* მიერ, *ვის*-გან, *ვის*-თვის. მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი აკლია. ამათგან მოქმედებითსა და ვითარებითში ნაკლი შეიძლება შეესებული იქნეს სათანადო კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმით, რომელიც თითქმის წესებრივ ფორმებს გვიჩვენებს“ [1,103].

როგორც ვხედავთ, პატ. ავტორი აქაც ლაპარაკობს „ნაკლის შეესებაზე“, მაგრამ „ნაკლის შემავსებელი“ ფორმები პარადიგმაში შეტანილი არაა. სამაგიეროდ ასეთი ფორმები (ფრჩხილებში ჩასმული) პარადიგმას ახლავს საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში, რაც, ცოცხა არ იყოს, გაკვირვებას იწვევს: თუ ეს ფორმები სტაბილურია, რატომ არაა შეტანილი „საფუძვლებში“, ხოლო თუ სტაბილური არაა, რატომ მოხდნენ სასკოლო სახელმძღვანელოში?

„საფუძვლებიდან“ ზემოთ მოგანილი ციგაგისა და, საერთოდ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული ამრის მიხედვით „ეინ“ ნაცვალსახელი განცალკევებულად მდგომი წარმოგიდგება არა მხოლოდ ნაცვალსახელთა შორის, არამედ, საერთოდ, ქართული ენის სახელთა სისტემაში:

1. იგი ერთადერთი სიგყვაა, რომლის ფუძე *ი* ხმოვანზე მთავრდება;
2. თითქმის ერთადერთი სიგყვაა, რომელსაც მოთხრობითის ბრუნვის ნიშნად მოუღის *ნ*;
3. ერთადერთი სიგყვაა, რომელსაც მოთხრობითსა და სახელობითში ერთი და იგივე ნიშანი აქვს;
4. სახელობითის ნიშნად *ნ* მხოლოდ მას აქვს;
5. დაბოლოს, მოქმედებითი ეწარმოება კითხვით-კუთვნილებითის ფუძიდან, რაც სამგზის ოპერაციას მოითხოვს. მართალია, ავტორი არ მიუთითებს, რომ კითხვით-კუთვნილებითი კითხვითის ფუძეს ეყრდნობაო, მაგრამ, რადგან აქ სხვა ფუძე არა გვაქვს, ეს თავისთავად იგულისხმება და

გამოდის: გვექონდა კითხვითი ფუძე \**ვის*, რომელიც ისესხა კითხვით-კუთვნილებითმა. მან ნათესაობითში მოგვცა *ვისი*. ეს ფორმა უკან დაიბრუნა კითხვითმა, დაურთო მას მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი -*ით* და მივიღეთ: *ვი-ს > ვი-ს-ი > ვი-ს-ი-(ი)თ*.

ასეთია მდგომარეობა მხოლოდ *ა. შანიძის* მოსაზრებების ანალიზის შედეგად, ხოლო თუ ამას *ა. მარტიროსოვის* მოსაზრებასაც მიუმატებთ, „უცნაურობათა“ რიგი საკამოდ გაიზრდება:

6. გარდა სახელობითისა და მოთხრობითისა, *ვინ* ნაცვალ-სახელს ერთნაირი ფორმა აქვს, აგრეთვე, მიცემითსა და ნათესაობითში. როგორც ეს აღრე *ნ. მარს* ჰქონდა აღნიშნული, ფუძისეული *ი-სა* და ნათესაობითი ბრუნვის ხმოვანი ელემენტის შერწყმით მიღებულია *ვის (ვი-ის)*, რის გამოც უძველეს ქართულშივე ნათესაობითი ფორმის მხრივ მთლიანად დაემთხვა მიცემითს. რაც შეეხება სხვა ბრუნვებს, *ვინ* ნაცვალსახელს არ გააჩნია არც მოქმედებითი, არც ვითარებითი, მაგრამ ასეთი ფორმები რომ უნდა არსებულებოდა, ეს ჩანს მთელი რიგი ზმნისართებიდან. *მოქმედებითი ბრუნვის ფორმა ვით,<sup>1</sup> რომელიც წარმოდგარია ნათესაობითის მსგავსად ხმოვნის შერწყმით (ვი-ით > ვით), საფუძვლად უღევს ვითარ, ვითარცა, ვითარმედ ზმნისართებს, ხოლო ვითარებითის ფორმა ვიდ* გაქვავებული სახით შემონახულია ერთადერთ ნაწარმოებ ზმნისართში, როგორცაა *ვიდრე*“ [13,332 – ხაზი ჩვენია – ა.ფ.].

აქ უკვე ყველაფერი ისევ თავიდან იწყება: ჯერ გვექონდა „*ვი*“ ფუძე, რომელიც იბრუნებოდა და რომელმაც მოქმედებითში სრულიად კანონზომიერად მოგვცა *ვით (ვი-ით > ვით)*, ე.ი. „*ვი*“-ს

<sup>1</sup> ამ ამრს იზიარებს თ. შარაძენიძეც [14,158].

როგორც კითხვით ნაცვალსახელს მოქმედებითი არ ჰქონდა, ისეხა კუთვნილებითის ნათესაობითისგან და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის დართვით მივიღეთ საჭირო ფორმაო (*ვის > ვისი > ვის-ი-ით > ვისით*).

„ვიზ“-ის თავგადასავალი არც ამით მთავრდება:

7. „ვი“ გამოიყოფა „ვი-ეთ“ სიკყეაშიც,<sup>1</sup> რომლის „ეთ“ სუფიქსი მრავლობითობის მაწარმოებლადაა აღიარებული (კელაე ერთადერთი ფორმა) და რაც მთავარია ამ მრავლობითის სახელობითის ფორმა არა აქვს, თანაც მრავლობითობის ნამდვილ ნიშანს (*ნ, თა*) თავიდან მიიღებს (*ვი-ეთ-ნ-ი, ვი-ეთ-თა*) და ისიც საცნაურია, რომ „ვიეთ“-ის მნიშვნელობა აღარაფრით ჰგავს არქეტიკის „ვიზ“-ის მნიშვნელობას: გადმოგვეყვს განუსაზღვრელობას (ვიდაც, ვიდაც-აეხი [13,335]).

ეფიქრობთ, ერთ სიკყეაში ამდენი გამონაკლისი მეგისმეგად ბევრია და ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზის ძიების აუცილებლობა გვაეალებს, ეჭვი შევიგანოთ „ვიზ“ ნაცვალსახელის აქ წარმოდგენილ ინტერპრეტაციაში.

რადგან ყველა ამ „უცნაურობათა“ სათავე *ნ*-ს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად გამოცხადებაში უნდა ვეძიოთ, საჭიროა დაწერილებით განვიხილოთ სწორედ ის დებულებები, რომელზე დაყრდნობითაც *პ. შუხარდგმა* (რომლის მოსაზრებასაც იმეორებს ყველა შემდგომი დროის მკვლევარი) *ნ* „ვიზ“-ში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნია, ხოლო შემდეგ მთელი ფორმა – სახელობითის მიერ ნასესხებად.

შუხარდგის სტაგია ერგაციული კონსტრუქციის არსის ძიებას ეხებოდა და, რასაკვირველია, ამ ბრუნვის ნიშნის წარმომავლობის საკითხს გვერდს ვერ აუელიდა.

<sup>1</sup> ამავე აზრისაა არნ. ჩიქობავაც [15,169].

ეკამათება რა *მ. ბროსეს* მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მოთხრობითი „ჩვენებითი ნაცვალსახელია“ და არა ბრუნვა, *მუხარდგი* წერს: „*მან* წარმოადგენს სწორედ მოთხრობით ბრუნვას *იგი* ნაცვალსახელიდან და შეეფარდება დაბოლოება – *მან*-ს (*კაყ-მან-ში*) დაახლოებით ისე, როგორც რუსული დაბოლოება *ему хороша-ему*-ში ან *им хороша-им*-ში. გამოვრება ჩვენებითი ნაცვალსახელისა დასაშვებია მხოლოდ მესამე პირში: „*მან უგუნურმან*“ (მაგრამ „*შენ უგუნურმან*“, „*მათ უგუნურთა*“ [16,48].

მუხარდგიდანვე მოდის ბრუნვისნიშნისანი ფორმის მომდევნოდ ხმარებული „*მან*“-ის (*კაყ-მან მან*) ემუფატიკურ არტიკლად გამოცხადების იდეაც: „რაც შეეხება *მან*, *იგი*, *მას*, ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ემუფატიკური არტიკლები, თუ რაოდენ ცოცხალსაერთო აქვთ მათ მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოებასთან, ამას ადასტურებს უამრავი გექსტი ბიბლიიდან, რომლებიც, რა თქმა უნდა, *მ. ბროსესათვის* კარგადაა ცნობილი, მაგალითად, „*რომელი მოიღო დედაკაყმან*“ (ლუკა, 13,21)<sup>1</sup>, „*მიუგო ერთმან მათგანმან*“ (ლუკა, 24,18), „*კაყმან ვინმე დაასხა...*“ (ლუკა, 20,9), სადაც „*ვინმე*“ – ბერძნულ *τις* – სრულ წინააღმდეგობაში იქნებოდა „*მან*-თან, რომელიც ბერძნულ *ο-ს* უდრის“ [16,49].

ერთი სიგყვით, ჩვენებითი ნაცვალსახელი *მან*, ბრუნვის ნიშანი *მან* (*კაყ-მან*) და ნაწევრად გამოყენებული „*მან*“ (*კაყ-მან მან*) მისთვის სხვადასხვა ოდენობაა.

და იქვე უცებ კეთდება მოულოდნელი დასკვნა, რომელიც ბემოთ თქმულს სრულიად ეწინააღმდეგება: „თუმცა მე დაჟინებით ვამგვიციებ, რომ დაბოლოება „*მან*“ არაა ჩვენებითი ნაცვალსახელი, მაინც ვთვლი, რომ ამ უკანასკნელმა პირველისგან აიღო თავისი *ნ* (უკანასკნელი პირველისგან დავალებულია *ნ-თი*)“ [16,51].

<sup>1</sup> მუხარდგი ამ წინადადებას, სრულიად სამართლიანად, თარგმნის არა როგორც „*განსამდგურულმა დედაკაყმა*“, არამედ – როგორც „*ერთმა* (განუსამღურელმა) *დედაკაყმა*“.

აქ მოულოდნელობა სწორედ იმაშია, რომ, თუ „მან“ ისე შეეფარდება „მან“-ს (კაყ-მან-ში), როგორც „emy“ – xopɔɯ-emy-ს, როგორღა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ისინი სხვადასხვა ოდენობაა? რუსული ნაცვალსახელი „emy“ ხომ მიცემითი ბრუნვაა „oɯ“-ისა და ითვლება იმავე ოდენობად, რა ოდენობადაც xopɔɯ-emy-ს დაბოლოება?

რუსულთან შეპირისპირება ჩვენ სხვა მხრივაც გვეჩვენება გაუმართლებლად. როგორც ცნობილია, -emy, -ɯm და მსგავსი დაბოლოებანი რუსულში მხოლოდ გედსართაეებში იჩენენ თავს, ე.წ. „მოკლე“ ფორმების საპირისპიროდ, მაშინ როცა სამოგადო სახელებში ასეთი ფორმები არ გვხვდება. ქართულში კი, ბრუნების ერთი ტიპი გვაქვს და ბრუნვის ნიშნებიც ყველა ბრუნებადი სიტყვისთვის საერთოა (რა თქმა უნდა, ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით).

ამ შეუსაბამობათა მიუხედავად ერთი ამკარაა, *მუხარდგისათვის მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი „მან“ (კაყ-მან) და ნაცვალსახელი „მან“ სხვადასხვა ოდენობაა*. მუხარდგის მოსაზრებების გამზიარებელი მეცნიერები კი პირუკუ იქცევიან, ისინი მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს „მან“ ნაცვალსახელიდან მიღებულად თვლიან.

დაუბრუნდეთ ისევ *მუხარდგის* მოსაზრებებს. იგი წერს: „თუ განვიხილავთ *იმან*-ს (და მის შემოკლებულ *მან*-ს) როგორც აქტიურ ბრუნვას (სახ. *იგი, ის*) მიღებულს \**იგ-მან*, \**ის-მან*-იდან, ასევე ამან-ს (სახ. *ეგ(ე), ეს(ე)*) მიღებულს \**აგ-მან*, ან \**ას-მან*-იდან (შეად.; *აქ/იქ, ასე/ისე; აგო/ასე*) დავინახავთ, რომ *მ* განეკუთვნება ძირს. ეს მტკიცდება არა მხოლოდ მონათესავე ენების მონაცემებით, არამედ ქართულის ირიბი ბრუნვების ჩვენებითაც. (ნათ. *(ი)მ-ისი, ამ-ისი*, მიც. *(ი)მა-ს, (ა)მა-ს* და სხვა). ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ *(ი)მან*, *ამან* წარმოსდგებიან სახელობითის \**(ი)მა*, \**ამა*-საგან აქტიური ბრუნვის ნიშნის დახმარებით; ეს

უკანასკნელი უპირისპირდება მ(ა) ნიშანს არსებითსა და ზედსართავ სახელებში.

უკანასკნელი ფორმები არსებობენ სინამდვილეში, როგორც *იმა*, *იმ*, და *ამა*, *ამ*, თუმცა უფრო ფართო მნიშვნელობით, ვიდრე სახელობითი ბრუნვაა. ამასთანავე, ისინი გამოიყენებიან არა სახელობითში, არამედ – ირიბ ბრუნვებში, მათ შორის აქტიურში, უშუალოდ არსებითების წინ, რომელთაც ისინი განსამღვრავენ სახ. „*ის ხე*“, მოთ. „*იმ ხეშ*“, „*ამა და იმ კაცმა*“. უფრო აშკარად ჩანს ეს *ნ* აქტიურ ბრუნვაში *მაგა-ნ* (სახელობითიდან) ნათ. *მაგ-ისი*, მიც. *მაგა-ს* სახელების წინ კი – *მაგ*.

გამომდინარე აქედან, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, დავინახოთ თავდაპირველი აქტიური ბრუნვა „*ეინ*“ ფორმაშიც (ნათ. „*ეი-სი*“? მიც. „*ეი-ს*“?), რომელსაც მხოლოდ გვიან დაეკისრა სახელობითის როლი“ [16,52].

როგორც ვხედავთ, *შუხარდგმა* დაუშვა, რომ სახელობითში გვქონდა *იმა*, *ამა*, რომელთა მიცემითი ბრუნვის ფორმებთან შედარება (*იმა-ს*, *ამა-ს*) თავისთავად გვადიქვებდა მოთხრობითისათვის *ნ* ნიშანი გამოგვეყო. სწორედ ეს ნიშანი მიიჩნია მან მოთხრობითი ბრუნვის ფორმად.

აქვე შუხარდგი აცხადებს: „მართალია, დაბოლოება *მან* (იგულისხმება საზოგადო სახელების *კაც-მან* – ა.ფ.) განეკუთვნება ძველ ქართულ ენას, მაგრამ მე ვთვლი მას უფრო გვიანდელად, ვიდრე დღეს ქართულში არსებულ „-*მა*“ „-*შ*“-ს, რომლის სვანურ „*შ*“-სთან ნათესაობა მე საეჭვოდ არ მეჩვენება და, თუ მე დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ – „*მან*“-ი წარმოშობით არ არის ნაცვალსახელი „*მან*“-ი, მაინც მიმაჩნია მას ნასესხები აქვს უკანასკნელისგან დაბოლოება *ნ* (იგი ვაღიარებულობა უკანასკნელისგან *ნ*-თი)“ [16,51].

მამასადამე, შუხარდგი რამდენიმეჯერ ახსენებს *ნ* მორფოლოგიურ ნიშანს, მაგრამ არსად არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ საიდანაა



იგი მიღებული. მისთვის ამ ნიშნის არსებობის დაშვების ერთადერთი საფუძველი არის ჰიპოთეტური \*ამა-, \*იმა- და ნამდვილად არსებული „მაგა-//მაგ-“ ფუძეების ბრუნებისას პარადიგმაში მოთხრობითის ადგილას ნ-ს გაჩენა.

სახ.	ამა-	იმა-	მაგ-
მთ.	ამა-ნ	იმა-ნ	მა-ნ
მიც.	ამა-ს	იმა-ს	მა-ს

*მუხარდგი* ამკარად ცდება, როცა „მან“ ბრუნვის ნიშანს უფრო გვიანდელ წარმონაქმნად მიიჩნევს, ვიდრე თანამედროვე ქართულსა და ძველშიც დადასტურებულ „-მა“, „-შ“-ს. ზ. სარჯველაძემ ლოკუმენტურად დაადასტურა, რომ ძველი ქართულის უბეელეს ტექსტებში *მა*, *შ* არსად არ გვხვდება. ისინი ჩნდებიან მხოლოდ X საუკუნიდან. „მან“ ძველია და მისი გაცვეთის გზით მიღებულია -*მა*, -*შ* [6,361].

ერთი სიტყვით, მესამე პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების მოთხრობითში ნ ნიშნის დაშვებას მხოლოდ ბრუნვის პარადიგმის ჩვენება უღვევს საფუძვლად და არა – ძველი ქართული ენის მონაცემები, რომელშიც ცალკე დამოუკიდებელ ბრუნვის ნიშნად ნ არსად არ გვხვდება.

ამ დაშვების ჭეშმარიტებად გასაღების შემდეგ *მუხარდგი* ორ ახალ ვარაუდს აყენებს: „*გამომდინარე აქედან ჩვენ ვაღიარებულნი ვართ* თავდაპირველი აქტიური ბრუნვა დაინახოთ „*ეინ*“-ში (მიც. ვი-ს? ნათ. ვ-ისი?), რომელზედაც უფრო გვიან გადატანილი იქნა სახელობითის როლი (*რომელსაც მოგვიანებით დაეკისრა სახელობითის გამოხატვა*) [14,52].

ე.ი. „*ეინ*“-ში ნ-ს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად გამოცხადება აღრე „*მან*“-ში მის ამავე ბრუნვის ნიშნად მიჩნევის დაუსაბუთებელ ვარაუდს ემყარება და არც ის ვარაუდია ენობრივი მონაცემებით

შემაგრებული, თითქოს მოთხრობითი ბრუნვის ფორმა მერე სახელობითს გამოეყენებინოს. *მუხარდგის* ამ დაშვებების მცდარობა განაპირობა იმან, რომ:

1. იგი არ დაინგერესდა ნაცვალსახელთა სხვა ფორმებში დაეძებნა ისეთი შემთხვევები, როცა მოთხრობითი და სახელობითი, აგრეთვე, ემთხვეოდა ერთმანეთს;
2. „ვიზ“-ის ფუნქციური მხარის (რაც *ნ*-ს ქონებით უნდა ყოფილიყო განპირობებული) ანალოგიის ძებნა დაიწყო ჩვენებითსა და III პირის ნაცვალსახელებში, რომელთა კორელაცია- იგი („ვიზ“) არ წარმოადგენს. შემოთხსენებულ თემისებში ჩვენ „ვიზ“-ის ბრუნება ასეთი სახით წარმოედგინეთ.

სახ.	ვინ
მოთ.	ვინ
მიც.	ვის(ა)
ნათ.	ვის(ა) (ვის-ის-ა)
მოქ.	ვის-ით-ა
ვით.	ვის-ად
წოდ.	—

ბრუნებათა ეს ფორმები თანამედროვე ქართულში არსებული ფაქტია. დასადაგენი იყო მხოლოდ ის გზა, რომელმაც ამ ფორმეამდე მიგვიყვანა.

თუ დაეუშვებდით, რომ სახელობითისა და მოთხრობითის „ვიზ“ ფორმებში *ნ* ბრუნვის ნიშანი იყო, უნდა დაგვეშვა ყველა იმ გამონაკლისების არსებობა, რომლებმაც შემოთხსენებით ვილაპარაკეთ და, რაც იქიდან მოდიოდა, რომ „ვიზ“-ის *ნ*-ს ანალოგიად „მან“-ის *ნ* ცხადდებოდა.

ჩვენ ავირჩიეთ სხვა ვა: ქართულში უნდა არსებულიყო „ვირ“ და „რა“ კატეგორიათა დაპირისპირება, რის საფუძველზედაც „ვინ“ ნაცვალსახელს გვერდით ამოუდგებოდა *მე(ნ), მენ, ჩვენ, თქვენ*, ნაცვალსახელები, რომლებთანაც მას საერთო აქვს, სწორედ, *ნ* ელემენტი და რომელთა კორულაგსაც თავად წარმოადგენს.<sup>1</sup>

მსჯელობის ამ მიმართულებით წაყვანას მხარს უჭერდა კელაე ენაში დადასტურებული ფორმები: „ვირ“, I და II პირის ნაცვალსახელების მსგავსად, სახელობითსა და მოთხრობითში ერთნაირი ფორმით იყო წარმოდგენილი. ახსნას მოითხოვდა მიცემითისა და შემდგომი ბრუნვის ფორმები. და სწორედ აქ დაგვიჩინდა *ერთადერთი დამეება*, თანაც ქართული ენის ფონეტიკის თვალსაზრისით საესებით მისაღები და მსგავს სიგუაყიაში დადასტურებული: *მიცემითში მოსალოდნელი „ვინ-ს“ ფორმაში ო მორფოფონების წინ ფუძისეული ო ფონემის დაკარგვა* და მივიღეთ „ვის“ (*ვი(ნ)-ს*), რომელიც რეინგერპრეტირებული იქნა მიცემითის ფუძედ და, „ჩემ“ ფუძის მსგავსად, შემდეგ ბრუნვებში ძირეულ (resp. ფუძე) სეგმენტად გამოყენებული.

ნათესაობითში ამ ახალ ფუძეს უნდა მოეყა „ვის-ის“, მაგრამ რადგან ფუძისეულ სეგმენტში არსებული „ის“ ბგერათკომპლექსი მასალობრივად იმეორებდა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს, იგი

---

<sup>1</sup> მსგავსი აზრი ჯერ კიდევ 1960 წელს გამოუთქვამს ბ. კიკვიძეს [17,60-62]. ბ. კიკვიძის სტატიას მოხსენების წაკითხვის დროს ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცნობდით და იგი არც დაგვისახელებია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს მხოლოდ ერთ შემთხვევაში ემთხვევა: ბ. კიკვიძეცა და ჩვენი „ვირ“-ში *ნ-ს* ბრუნვის ნიშნად არ ვთვლით და ისიც მას I და II პირის ნაცვალსახელთა მსგავს ნიშანთან ათანაბრებს. მსჯელობის მიმართულება და არგუმენტირება ჩვენ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გვაქვს. ბ. კიკვიძე „ვირ“ ნაცვალსახელის სხვა ბრუნვის ფორმებით არ დაინტერესებულა.

ბ. კიკვიძის ამრს ემთხვევა გ. კლიმოვის დებულება, ვისთვისაც ჩვენი მოსაზრებისგან განსხვავებით „ვირ“-ის *ნ* და „მან“-ის *ნ* ერთი და იგივე ოდენობაა. გ. კლიმოვისათვის მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი „მან“-ი იგივე „მან“ ნაცვალსახელია, რასაც ჩვენ, აგრეთვე, არ ვიზიარებთ [9,61].

გაგებული იქნა სწორედ ასეთად და იმის გამოც, რომ ქართულს *ო* და *უ* ფუძიან სახელებში მიცემითისა და ნათესაობითის ფორმათა დამთხვევის პრეცედენტი უკვე ჰქონდა, ამ ბრუნვის ფორმა („*ვის*“) დაემთხვა მიცემითს.

რაც შეეხება მოქმედებითს, აქ მოიხსნა ყველა ზევით განხილული სამ თუ ოთხსაფეხურიანი დაშვებები და ყველაფერი ჩვეულებრივი წესით წარმოვიდგა „*ვის*“ ფუძე + *ით* = *-ვის-ით*“. ასევე იწარმოება შედარებით ნაკლები გამოყენების მქონე ვითარებითიც.

აქ შეიძლებოდა დაგვემთაერებინა, მაგრამ, როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სულ სხენაირი მოსაზრებებია გამოთქმული. ფიქრობენ, რომ ქართული ენის *მე(ნა)*, *შენ(ა)*, *თქვენ(ა)*, *ჩვენ(ა)*; *მე-ნა*, *ქვე-ნა*, *უკუა-ნა*, *წი-ნა*, *ში-ნა*, ნაცვალსახელებსა და ზმნიშვლებში, აგრეთვე, მეგრულ-ჭანურის *მა(ნ)*, *სი(ნ)*, *მუ(ნ)*, *თე-ნა*, *თი-ნა* ნაცვალსახელებში და მათ გვერდით „*მან*“, „*ვინ*“ ფორმებში დადასტურებული *ნ(ა)* ელემენტი წარმოადგენს დეტერმინანტ სუფიქსს [15,178]. ამ დეტერმინანტს I და II პირის ნაცვალსახელებში გამოყოფს *თ. გამყრელიძე* [4,41], მაგრამ ამ უკანასკნელთან, როგორც ენახეთ, *ნ*-ს წინამავალი ხმოვანი (ე) მიეკედლებოდა \*ჟ-ს და ვაძლეუდა (-ჟე-) სევმენტს, რომელსაც ავგორი ადამიანის კლასის გადმომცემ ფუნქციას უკავშირებდა.

როგორც ჩანს, ეს მოსაზრება არ (თუ ვერ) გაითვალისწინა დ. მელიქიშვილმა.<sup>1</sup>

მისი აზრით: „როგორც ცნობილია, ნაცვალსახელურ ძირებად აქ (იგულისხმება ზევით ჩამოთვლილი ფორმები – ა.ფ.) გამოყოფილია თანხმონებითი ელემენტები: *მ.შ.ჩუ*, *თქუ*, *მ.ე*, ხოლო დეტერმინანტ ელემენტად – *-ნ(ა)*. მაგრამ რა ფუნქციისაა მათ შორის არსებული ხმოვნები *ე, ა, ი*, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფე-

<sup>1</sup> იგი თ. გამყრელიძეზე საერთოდ არ მიუთითებს და არც ჩვენს თეზისებს იყნობს.

რია ნათქვამი, თუ არ ჩათვლით ნ. მარის ვარაუდს, რომლის მიხედვითაც *მან* ნაცვალსახელსა და *მუნ* ზმნისართში სემიგური ენების ანალოგიით *ან* და *უნ* მიცემითი ბრუნვის ნიშნებადაა მიჩნეული“... [18,50].

ავტორმა *ნ*-სთან ერთად დეკერმინანტ ერთეულად მიიჩნია ხმოვნითი (*ა, ე, ი*) ელემენტებიც და *ან, ენ, ინ, უნ* სუფიქსები გამოყო არა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ფორმებში, არამედ – *აქ-ან-ა, ი-ქ-ან-ა, მ-ენ-ა, წ-ინ, შ-ინ, მ-უნ, ძოდ-ან, გუშ-ინ* ზმნისართებშიც და, ვფიქრობთ, სრულიად უსაფუძვლოდ უარყო *ირ. ეშმაკიძის* ვარაუდი ამ უკანასკნელთა თანდებულებთან და ზმნისწინებთან დაკავშირების თაობაზე [19,99]. *დ. მელიქიშვილი* განაგრძობს: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ კითხვითი „ვიზ“ ნაცვალსახელის ბრუნება ჩამოყალიბდა III პირის ნაცვალსახელის ყალიბის მიხედვით, სადაც *ნ*-ს ბრუნვის ნიშნად რეინტერპრეცაციის შემდეგ ფუძედ გაგებული იქნა *მა-ხოლო ნ, -ს, ის...* ბრუნვის ნიშნებად. ანალოგიურად გაეწყობოდა „ვიზ“ ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმაც (*ვი-ნ, ვი-ს*), ოღონდ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აქ სახელობითსა და მოთხრობითის ფორმალური დიფერენციაცია არ მომხდარა“ [18,55-56].

აქ ამჟამად არაა ნათქვამი, მაგრამ გუმანით შეიძლება მაინც მივხედეთ, რომ *დ. მელიქიშვილი ბ. კიკვიძის* მოსაზრებებს ეყრდნობა, რადგან მისთვისაც „ვიზ“-ის ფორმაცვალების დადგენისათვის „*მან*“-ის ჩვენებაა ამოსავალი და ამ მოსაზრებებში რაციონალური მარცვალი ისაა, რომ „ვიზ“-ი *სახელობითშიცა და მოთხრობითშიც უბრუნველ ფუძედაა გამოცხადებული*.

### III. ჩვენებითი ნაცვალსახელები, კითხვითი ნაცვალსახელი „რა“

ზემოთ საკმაოდ ნათლად ვთქვით დიაქრონიულად ქართულში აღამიანისა და ნივთის კატეგორიის არსებობის დაშვების აუცილებ-

ლობაზე და აღენიშნეთ ისიც, რომ I და II პირის ნაცვალსახელები და მათი კორელატი „ვიწ“ ნაცვალსახელი ანთროპონიმებთან ერთად ფორმალურად (უბრუნეელობით) ამ კლასში ერთიანდებოდნენ.

თავისთავად ცხადია, ჩვენებითი ნაცვალსახელები (რომელთა ერთი ჯგუფი III პირის ნაცვალსახელის როლში გამოდის) და მათი კორელატი „რა“ ნაცვალსახელი მათთან დაპირისპირებულ ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიას ქმნიდნენ და ერთიანდებოდნენ *ნივთის კატეგორიის* კლასში. ეს სწორედ ის კლასია, რომლის ბირთვს საზოგადო სახელები ქმნიდნენ და რომელიც პირველად გაფორმდა ბრუნვის ნიშნებით.

ჩვენ ვიზიარებთ გ. კლიმოვის მოსაზრებას (თუმცა ეს მხოლოდ მისი მოსაზრება არაა) იმის თაობაზე, რომ სახელობითისა და მოთხრობითის ნიშნების ამოსავლად ქართულში (შესაბამისად) „ი“ და „მან“ იქნეს მიჩნეული.

ჩვენთვის მთლად ნათელი არაა ჩვენებით ნაცვალსახელებში სახელობითისა და მოთხრობითის ფუძეების ურთიერთობა: ისინი ერთი და იგივე ფუძეებია, როგორც ამას *შუხარდტი* ფიქრობდა, თუ სხვადასხვაა, როგორც ქართველი მეცნიერები ფიქრობდნენ, ჩვენ მოთხრობითი ბრუნვის ფუძე გვაინტერესებს, სადაც საკითხი სრულიად ნათელია, სახეგმა *აშა-*, *იშა-*, *შაგა-*, *შა* ფუძეები.

ჩვენი აზრით, ამ ფუძეებიდან მოთხრობითი ბრუნვის საწარმოებლად ენამ გამოიყენა იგივე ნიშანი, რომელიც გამოიყენებოდა საზოგადო სახელთა მოთხრობითის საწარმოებლად და უძველეს ტექსტებში დადასტურებულია ფაქტობრივად. ეს ნიშანია „მან“. თუ *აშა-*, *შა* – ფუძეებს „მან“ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს დაეურთავდით (ზემოთ განხილული „ვი-ის“ მსგავსად), მორფმათა გასაყარზე გამეორდებოდა აბსოლუტურად მსგავსი კომპლექსები („შა“), რამაც გამოიწვია ბრუნვის ნიშნის „მან“-იდან („შა“) კომპლექსის დაკარგვა და მხოლოდ „ნ“ ელემენტის შენარჩუნება. ამ გზით მივიღეთ: *აშა-ნ*,

იმა-ნ, მა-ნ. ამათი ანალოგიით მოსალოდნელი „მაგა-მან“ ფორმაშიც მსგავსი პროცესი მოხდა და იქაც მივიღეთ „მაგა-ნ“.

რადგან ასეთი ფონეტიკური გარემო არ იყო, არავითარი ცვლილება არ მომხდარა „რა“ ნაცვალსახელის ბრუნებაში, იგი მუსტად, ყოველი წესის დაცვით, იმეორებს ა ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელების ბრუნების ტიპს.

აქვე შეიძლებოდა კიდევ ერთი ვარაუდის გამოთქმა: როგორც მემოთაც აღვნიშნეთ, თ. *გაშყრელიძემ* – I და II პირის ნაცვალსახელებში ყველგან აღადგინა ბაგისმიერი თანხმოვანი  $\hat{\text{ჟ}}$  და I // II პირის ნაცვალსახელთა არქეტიპად იგულისხმება: \*მ- $\hat{\text{ჟ}}$ -ენ, \*მ- $\hat{\text{ჟ}}$ -ენ, \*თქ- $\hat{\text{ჟ}}$ -ენ, საიდანაც გამოყო (- $\hat{\text{ჟ}}$ -) ელემენტი და ნ დეტერმინანტი.

ჩვენი აზრით, შეიძლებოდა ამ ორი ელემენტის ერთში გაერთიანება, რომელსაც გვერდში „ეინ“ ამოუდგებოდა (*უენ//უინ*), მით უფრო, რომ *ე/ი* აბლაუგი ქართულისთვის ასე დამახასიათებელია, ხოლო მნიშვნელობის პლანში დაბრკოლება არაა.

### დასკვნითი დასკვნები:

1. პირველი პირის ნაცვალსახელი ქართულში სუპლეტური ფორმითაა წარმოდგენილი. მიცემითში „მე“-ს გვერდით უდგას „ჩემ“ ფუძე, რომელიც აგრძელებს ირიბ ბრუნვებს და რომელიც დაედო საფუძვლად კუთვნილებით ნაცვალსახელის ფორმას;
2. „მე“-ს მსგავსად სახელობითში და მოთხრობითში ფუძის სახით გვაქვს: „მენ“, „ჩვენ“, „თქვენ“, რომლებიც ირიბ ბრუნვებში მეტწილად თანდებულებით, ზოგჯერ უთანდებულოდაც, ყველა ბრუნვაში არიან წარმოდგენილნი და რომელთა ფუძეებსაც იყენებს კუთვნილებითი ნაცვალსახელები;

3. ქართულში არა გვაქვს „ვი“ ფუძე და ყველა ის დაშვება, რომელიც ამ ფუძის ვარაუდთან იყო დაკავშირებული უნდა მოიხსნას;
4. ქართულში არასდროს არ გვქონია მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად *ნ* (ამდენად, იგი ვერ გამოჩნდებოდა სახელობითშიც).
5. საზოგადო სახელთა მოთხრობითი ბრუნვის „მან“ ერთადერთი ნიშანი იყო ამ ბრუნვისათვის ქართული ენის ისტორიის მთელ მანძილზე;
6. მოთხრობითის ნიშანი – „მან“ არაა მიღებული „მან“ ნაცვალ-სახელიდან, უნდა ვივარაუდოთ შებრუნებული პროცესი;
7. სამუშაო ჰიპოთეზა: ა) „ვი-ეთ“ <ვინ-ერთ-ი, მით უფრო, რომ „ვი-ეთ“-ი განუსაზღვრელობის მნიშვნელობით იხმარება; ბ) „ვითარ-ი“ <„ვით-არის“.

ლიტერატურა:

1. აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973წ.
2. ალ. ფოცხიშვილი, ნაცვალსახელი თანამედროვე ქართულში (ბრუნების სინქრონული ანალიზი), ფილოლოგთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ფილოლოგია I, თსუ, 1975წ. თეზისები.
3. ლ. შალვაშვილი, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმებისათვის, ქართული ენა, წერილების კრებული, თბ., 1969წ.
4. თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესაგყვისობანი და ქართულურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1969წ.
5. Э. Бенвенист, Общая лингвистика, М., 1974г.
6. მ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984წ.
7. K. Tschenkeli, Einführung in der georgische sprache, Bd.I, Zurich Amirani-Verclag, 1958.



8. H. Vogt. Irammeire de lange georgienne, Oslo, 1971.
9. Т. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962г.
10. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1969წ.
11. აკ. შანიძე, ივ. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა I, 1975წ.
12. შ. კეკელია, აკ. დავითიანი, ქართული ენა, თბ., 1973წ.
13. ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964წ.
14. თ. შარაძენიძე, „ვით“ თანდებული ქართულში, თსუ შრომები, ტ.10, 1939წ.
15. არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ, შრომები, 1939წ.
16. Г. Шухардт, О пассивном характере переходного глагола в кавказских языках, сб. Эргативная конструкция предложения, М.1950г.
17. ბ. კიკვიძე, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გენეზისისათვის, კომუნისტური აღზრდისათვის, 1960, №2.
18. დ. მელიქიშვილი, პირის ნაცვალსახელის ფუძის აგებულება-სთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ნარკვევები იმერულ-კაეკასიური ენის მორფოლოგიიდან, თბ., 1980წ.
19. ირ. 'ვეშაპიძე, გმნისწინის, გმნიზდისა და თანდებულების ურთიერთდამოკიდებულებისთვის, თსუ. ტ.96, 1963წ.

### 3. კვლავ პირის ნაცვალსახელთა ბრუნებისა და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის შესახებ

მკითხველმა უკვე ნახა აქვე დაბეჭდილი შრომები:

1) „ნაცვალსახელი თანამედროვე ქართულში“ (ბრუნების სინქრონიული ანალიზი); 2) „პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში“, რომლებშიაც წამოყენებული იყო იმისგან განსხვავებული თვალსაზრისი, რაც გრადიციულ გრამატიკულ ლიტერატურაში მანამდე გვექონდა. ამ შრომების გამოსვლის შემდეგ აღნიშნული საკითხების გარშემო გამოქვეყნდა რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა-მონოგრაფია. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: ალ. თნიანის მონოგრაფია „ქართულურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები“ (თბ., 1989); ლ. შალვაშვილის „პირისა და ვინ კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადგმათა ჩამოყალიბება ქართულში“ (სადისერტაციო მაცნე, თბ., 1993); რ. ასათიანის „ქართულურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით“ – თბ., 1994) დაბოლოს – ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენა“ (თბ., 1997).

ალ. თნიანს, როგორც ჩანს, ჩემი შრომები გამოეჩინა და, თუ რა შეხედულებისა იქნებოდა იმ დებულებებზე, რაც მათში იყო დასაბუთებული, ძნელი წარმოსადგენია. ოღონდ თავისთავად მნიშვნელოვანია მისი განცხადება: „ქართული (ნ)-ს (იგულისხმება მოთხრობით

ბრუნვაში გამოვლენილი „ნ“ – ა.ფ.) წარმომავლობისა და მისი დიაქრონული რაობის საკითხი საკვლევე ლინგვისტურ პრობლემად რჩება“.<sup>1</sup>

ავტორი ამ განცხადებას აკეთებს, სწორედ, იმის შემდეგ, რაც განიხილა აკ. შანიძის მოსაზრება „ნ“-ს „მან“ ნაცვალსახელიდან მომდინარეობის თაობაზე და არნ. ჩიქობაეას დებულება – იგივე „ნ“ დაკავშირებოდა მზნიშვლებში გამოვლენილ ღ,თ,ნ ელემენტებს. ე.ი. ალ. ონიანი არ ეთანხმება არც ერთ თეალსაზრისს და საკითხის გადაწყვეტას მომავლის საქმედ მიიჩნევს.

ზ. სარჯველაძე იცნობს „ვინ“-ის ნ-ს შესახებ არსებული გრადიციულისგან განსხვავებულ მოსაზრებებს („ამრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ „ვინ“ ფორმისეული ნ ფუძისეულია, თუ მოთხრობითი ბრუნვის უძველესი ფორმანტი“ – ხაზი ჩემია, ა.ფ.). ძველი ქართულის ღონემე ვინ და ვის ფორმათა დაპირისპირება ნ-ს და ს-ს გამოგვაყოფინებს.<sup>2</sup>

და მართლაც, თუ მხოლოდ პარადიგმის ჩვენებიდან ამოვალთ, „ვი-ნ“, „ვი-ს“ დაპირისპირება იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ „ვი-ნ“-ის ნ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ვიგულოთ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: ქართული ენის განვითარების რომელ ღონემე? ძველი ქართული ხომ ასეთი დაშვების საბუთს არ იძლევა? (ამიგომაც დასჭირდა ზ. სარჯველაძეს ახალი ოდენობის – „უძველესის“ შემოტანა). ეს ე.წ. „უძველესი ფორმანტი“ კი მხოლოდ პიპოთემის საზღვრებში რჩება, რადგან ძნელია, ლაპარაკი იმაზე, რაც არავეითარი ფაქტობრივი მასალით არ დასტურდება – ჩვენ საერთოდ არაფერი ვიცით ე.წ. „უძველესი ქართულის“ შესახებ.

<sup>1</sup> ალ. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989, გვ.116.

<sup>2</sup> ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997, გვ.67.

რაც შეეხება III პირის ნაცვალსახელებს, მათთან მოთხრობითში გამოვლენილი „ნ“ ბოლო სეგმენტი მ. სარჯველაძისთვის ყოველგვარი შენიშვნის გარეშე მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია: „III პირის ნაცვალსახელები ბრუნებისას რამდენიმე თავისებურებას გვიჩვენებენ: ა) მხოლოდითი რიცხვის სახელობითში არ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს; ბ) მოთხრობითსა და სხვა ბრუნვებში მათ სხვა ფუძე ენაცვლებათ; გ) მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად *ნ* გამოიყოფა“.<sup>1</sup>

კითხვითი „*ვინ*“ ნაცვალსახელისა და III პირის „მან“-ის მოთხრობითში ბრუნვის ნიშნის საკითხი თითქოს ერთ-ერთი პირველი რიგის პრობლემა უნდა ყოფილიყო ლ. შალვაშვილის შრომაში, მაგრამ ავტორმა მას გვერდი აუარა იმ მოტივით, რომ ა პრიორი დასაბუთებულად ჩათვალა მეცნიერთა (არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, კ. გაბუნია...) მოსაზრებებით, რომელთა მიხედვითაც „*ვინ*“-ისა და „*მან*“-ის *ნ* ელემენტი ერთი და იმავე ფუნქციის მქონე დეტერმინანტული სუფიქსია. უფრო მეტიც, შალვაშვილისთვის „*მან*“-იცა და „*ვინ*“-იც სახელობით-მოთხრობითის ოდინდელი ფორმებია; „*იგი*“ სახელობითში უფრო გვიანდელია, ვიდრე „*მან*“-ი. კ. გაბუნიაზე მითითებით, ლ. შალვაშვილი წერს: „ამოსავალში პირის ნაცვალსახელთა სისტემა წარმოდგენილი იყო სამი წევრით: „*მე-ნა*“, „*შე-ნა*“, „*მა-ნა*“, რაც იმას ნიშნავს, რომ I და II პირის ნაცვალსახელთა „*ნა*“ ელემენტი დივიუა, რაც „*მა-ნა*“-ს „*ნა*“. ლ. შალვაშვილი ამათ გვერდით აყენებს „*ვინ*“ ნაცვალსახელსაც და საბოლოოდ ღებულობს: „შესაბამისად *ვინ-მან* ნაცვალსახელებისთვის აღდგება პარადიგმები:

სახ.	ვინ,	*მან,	*ვიეთ,	*მათ
მოთ.	ვინ,	მან,	ვიეთ,	მათ
მიც.	*ვინ,	*მან,	*ვიეთ,	*მათ

<sup>1</sup> მ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

ამის მიხედვით დამუსტდება პირის ნაცვალსახელურ ფორმათა საეარაულო რიგიც; დღეისათვის ცნობილ მეჩვენ, შენ-თქვენ, იგი-იგინის ნაცვალად დასახელებითის (ანუ სახელობითის – ა.ფ.) ფორმაში გვექნება: მე(ნ)-ჩვენ, შენ-თქვენ, მან-მათ.

*ვინ-მან* ნაცვალსახელთა მხოლობითის პარადიგმებში წარმოდგენილია მოთხრობითის ფუნქციის ცოცხალი, მიცემითის გადაშენებული და სახელობითის ორივენაირი მეწყვილეები. მოთხრობითის ჩვენება, ცხადია, უძველესია, მიცემითისა და სახელობითის-მერმინდელი<sup>1</sup>.

ერთი სიგყვით, „ვინ“ და „მან“ ფორმები გვექონია სამივე ბრუნვაში. „მიცემითში იგი გადაშენებულია“. იგულისხმება, რომ „ეს გადაშენება“ დიდი ხნის წინათ მოხდა. და მიუხედავად ამ „დიდი ხნის წინანდლობისა“, მოთხრობითის ფორმები მაინც აღრინდელია, „მიცემითისა და სახელობითის“ – მერმინდელი, რაც გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ მოთხრობითის ფორმა რომელიღაც „უხსოვარი“ დროინდელი ქართულის ფაქტია. ასეთი მარჩიელობა ავტორს იმ მიზნით სჭირდება, რომ როგორმე გაამართლოს ცნობილი დებულება (არნ. ჩიქობაეას მოსაზრება), რომლის მიხედვითაც მოთხრობითი ბრუნვა უფრო აღრინდელია, ვიდრე სახელობითი. თუმცა ლ. შალვაშვილი იმავე ნაშრომში ამტკიცებს, რომ იგი არ იზიარებს ამ მოსაზრებას: „სახელობით-მოთხრობითის უწინარესობა – შემდგომობის თუ ერთდროულად ჩამოყალიბების შესახებ, ანუ ამ ბრუნვათა გენეზისის თაობაზე, ამრთა სხვადასხვაობაა; მიაჩნიათ, რომ: 1) ჯერ მოთხრობითი ჩამოყალიბდა, შემდეგ – სახელობითი: „მოთხრობითი ისტორიულად პირველი სახელობითია (არნ. ჩიქობაეა); 2) სახელობითი და მოთხრობითი ერთად ჩამოყალიბდა ერთი – ნომინატიური (დასახელებითი) ბრუნვის დამლის შედეგად (თ. უთურგაიძე).

<sup>1</sup> ლ. შალვაშვილი, პირისა და ვინ კითხვითი ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმების ჩამოყალიბება ქართულში, საღისერტაციო მაცნე, თბ., 1993, გვ.14-15.

ჩვენ ვიზიარებთ სახელობითისა და მოთხრობითის ერთი ბრუნვისგან, ერთდროულად ფორმირების თვალსაზრისს<sup>1</sup>. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ამ ე.წ. თვალსაზრისთა გარდა ქართველოლოგთა აბსოლუტური უმრავლესობა იზიარებს იმ ბუნებრივ და ერთადერთ ლოგიკურ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც დასახელების (სახელობითი) ე.წ. „პირდაპირი ბრუნვა“ უპირველესია, თუნდაც იმიტომ, რომ საგანი, უპირველესად, სახელს, დასახელებას საჭიროებს და მერე შეიძლება იგი ჩაერთოს ამროვნების პროცესში და გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით ენის საშუალებით. მაგრამ უფრო უცნაური ისაა, რომ, თუ ავტორი მოთხრობითისა და სახელობითის ერთდროულად გაჩენის მოსაზრებას ეთანხმება (ამიტომაცაა, ალბათ, მისთვის „ეინ“-„მან“ სახელობითი და მოთხრობითი), მოთხრობითი სახელობითსა და მიცემითზე უპირატესი როგორღაა?!

ასეთი და მსგავსი წინააღმდეგობებით საესეა ეს ნაშრომი. თუნდაც ის რად ღირს, რომ, ავტორის თქმით, „მან“ დასახელების, ანუ სახელდების ფორმა იყო და „იგი“ გაჩნდა უფრო გვიან, ასევე პირველი იყო „მათ“, ხოლო „იგინი“ – შემდგომდროინდელია.

მთავარი ნაკლი ამ შრომისა კი მაინც ენათმეცნიერული აქსიომეტური დებულებების ჯიუტი უგულებელყოფა და ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგო პოზიციების ჯიუტი დაცვაა. სხვანაირი კვალიფიკაცია ვერ მიეცემა ავტორის კატეგორიულ მტკიცებას იმისას, რომ პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმები პირწმინდად კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმათაგან ნასესხებია, თუმცა ზოგ შემთხვევაში ერთიმეორის გვერდით გვხვდება როგორც გაუფორმებელი (მისი გერმინით, ინდეფინიტური), ისე ნასესხები და სუპლეტური ფორმებიცო.

ლ. შალვაშვილი წერს: „საენათმეცნიერო წყაროებში(!) გავრცელებული თვალსაზრისით, კუთვნილებითი ნაცვალსახელები იწარ-

<sup>1</sup> იქვე, გვ.16.

მოუბიან პირისა და კითხვით ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმისგან (აკ. შანიძე).

ჩვენ არ მივეყვებით ამ თვალსაზრისს.

ჯერ ერთი, მიგვაჩნია, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელთა გვერდით უნდა წარმოქმნილიყვნენ ჯერ კიდევ სახელთა ბრუნების სისტემის ჩამოყალიბებამდის – ისინი ვერ დაუკვდიდნენ(!) პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითის ფორმირებას;

მეორეც, თვით პირის ნაცვალსახელთაგან ზოგი, მაგალითად I და II პირისა, დღესაც უბრუნებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კუთვნილებითთაგან ნასესხებ ფორმებს; მათ არა აქვთ საკუთარი ნათესაობითი და, მაშასადამე, შეუძლებელია, რომ პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითის ფორმები კუთვნილებითთა საყრდენ ფუძეებად დაესახოთ. იგივე ითქმის კითხითსა და კითხვით-კუთვნილებითი ფორმებზეც<sup>1</sup>.

ჯერ აქ შევჩერდეთ. დავეუშვათ, ლ. შალვაშვილი არ იზიარებს ჩემს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ I პირის ნაცვალსახელის „ჩემ“ ფუძე, რომელიც გამოჩნდება მიცემითშიც (და არა მხოლოდ ნათესაობითში, როგორც ამას გრადიციული გრამატიკები გეაცნობენ) „მე“-ს გვერდით სუპლექტურია, ხოლო მომდევნო ბრუნებში „მე“-ს ადგილს იგი იჭერს. სწორედ, ეს ფუძე აქვს აღებული კუთვნილებითს „ჩემ-ი“-ს სახით? ხომ უნდა დაგვიმტკიცოს, საიდან მოდის კუთვნილებითი ნაცვალსახელების „შენ-ი“, „ჩვენ-ი“, „თქვენ-ი“ ფუძეები? შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჯერ გვექონდა „შენი“ და აქედან მივიღეთ „შენ“-ფუძე? ანდა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კითხვით-კუთვნილებითი „ვისი“ ფორმიდან მივიღეთ „ვინ“? არადა, სწორედ, ამას ამტკიცებს ავტორი.

შალვაშვილი განაგრძობს: „პირისა და კითხვით ნაცვალსახელთა ნათესაობითის ფუნქციით გამოყენებული ფუძეები ფაქტობრივ

<sup>1</sup> იქვე. გვ.24.

სათანადო კუთვნილებითა უცვლელადვე დატოვებული ან სტრუქტურულად სახეცელილი ფორმებია. მაგალითად, *ჩემისაგან* – კუთვნილებითი პირის ნაცვალსახელია(!), ხოლო *ჩემგან* – პირისა<sup>1</sup>.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, „*ჩემისგან*“ როგორაა ერთდროულად პირის ნაცვალსახელიცა და კუთვნილებითიც.

ლ. შალვაშვილს არ მოსწონს ჩემი მოსაზრებებიც, რომლებიც ჯერ დაამახინჯა, მერე კი უარყო. იგი წერს: „შრომის მიხედვით (იგულისხმება „მაცნეში“ გამოქვეყნებული ჩემი სტატია) ნაცვალსახელებს მხოლოდ საკუთარ ფორმათა პარადიგმები აქვთ. ამასთან ფორმათა წარმოების წესით ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდებიან პირისა და *ვინ* კითხვითი ნაცვალსახელები, რაც ჩვენთვის მიუღებელია“<sup>2</sup>.

არადა ჩემი შრომის ლაიგმოგივი გახლავთ იმის მტკიცება, რომ I და II პირის ნაცვალსახელთა ფორმისა და ბრუნების საკითხები უშუალოდ მათ კორელატ „*ვინ*“ კითხვითი ნაცვალსახელის ფორმასა და ბრუნებას დავეუკავშირე<sup>3</sup>. ამ დაკავშირებამ ცალკე გამოგვაყოფინა მოუბარ პირთა სისტემა, რომელიც ფორმითაცა და მნიშვნელობითაც დაუპირისპირდა III პირის ნაცვალსახელებს, რომლებიც საზოგადო სახელთა ქვესისტემაში ერთიანდებიან ფორმითაცა და მნიშვნელობითაც – პირველები ადამიანთა კლასს აღნიშნავდნენ, მეორენი კი – ნივთისას.

ასევე არსად არ შემეძლო მეთქვა, რომ „ნაცვალსახელებს მხოლოდ საკუთარ ფორმათა პარადიგმები აქვთ“, რადგან კატეგორიულად ვამტკიცებ, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელთა ფუძეებს იყენებს. არ შევხებივარ, თორემ, ასევე,

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ლ. შალვაშვილი, დასხ. ნაშრომი, გვ.54.

<sup>3</sup> იხ. აგრეთვე, ლ. პალმაიტი „ემფატიკური ა“ სახელთა მორფოლოგიის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით“, „მაცნე“ ენისა და ლიტ. სერია, № 1, 1978წ.



ვიტყოდ, რომ განუსაზღვრელი ნაცვალსახელებიც სხვის, კერძოდ, კითხვით ნაცვალსახელთა ფუძეებს იყენებს და ა.შ.

სრულიად სხვანაირად უნდა დაისვას საკითხი რ. ასათიანის შრომასთან („ქართველურ ენათა გიპოლოგიის საკითხები“) დაკავშირებით. მისი ამ გამოკვლევის შედეგები იმდენად ახლოსაა ჩემს შრომებში მიღებულ დასკვნებთან, რომ ჩემს შრომებზე მიუთითებლობა ეჭვსაც კი აღმიძრავდა მისი ქმედების მართლზომიერებაში, ავტორის კეთილსინდისიერებაში დარწმუნებული რომ არ ვიყო. თუმცა ისიც აუცილებლად უნდა ითქვას: რ. ასათიანის გამოკვლევების შედეგები ჩემი დასკვნების სისწორესაც ადასტურებს და, რომ პირველადმოჩენის პრიორიტეტის საკითხი არ იდგეს, რ. ასათიანის მიმართ მაღლობის მეტი არა მეთქმოდა რა. თავისთავად ცხადია, თუ ორი მეცნიერი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა მიზნითა და კვლევის მეთოდებით დაწერილ შრომებში ერთსა და იმავე ან, თუნდაც, მსგავს დასკვნებს ღებულობს, ეს მოსაზრებები ანგარიშგასაწევ და მისაღებ ღებულებებს შეიცავენ.

როგორც ზემოთაც ვთქვი, ჩემს შრომებში ძირითადად გატარებული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ I // II პირის ნაცვალსახელთა ფორმალური მხარის ანალოგი უნდა გვეძებნა ამ ნაცვალსახელთა კორელატ „ვიზ“ კითხვით ნაცვალსახელში.

ამას გარდა, ვამბობდი იმის შესახებაც, რომ ენათმეცნიერული უნივერსალია – I/II პირის ნაცვალსახელთა და III პირის ნაცვალსახელთა ურთიერთგამიჯვნა-დაპირისპირება ქართულშიც მეტად რელიეფურადაა წარმოდგენილი. ეს ფენომენი დადასტურებული იქნა ზმნებშიაც, კერძოდ, ორიენტაციის კატეგორიის ახლებურად გააზრებისას.

ყველა ამ ღებულებამ სათანადო გამოხატულება და დასაბუთება პოვა რ. ასათიანის შრომებშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას I // II პირის ნაცვალსახელები, გრადიციული გრამატიკების მონაცემთა კვალად, უბრუნველებად მიაჩნია და ორიენტაციის კატეგორიის

განხილვის დროსაც მხოლოდ I და III პირების დაპირისპირებაზე მსჯელობს, მაშინ როცა ჩემს შრომაში კარგადაა ილუსტრირებული ის მოსაზრება, რომ I პირის გვერდით დგას II პირიც, ანუ საქმე გააქვს „საპირველმეორეპირო“ და „სამესამეპირო“ ორიენტიაციასთან. უმნიშვნელოა ჩვენ შორის ტერმინოლოგიური სხვაობაც: მე I/II პირებს „მოუბარ პირებს“ ვეძახი. ამიტომაც ვცადე, აღრინდელი „სააქეთო“ ორიენტიაციისათვის „მოუბართკენული“ მეწოდებინა, ხოლო „საიქეთოსათვის“ – „სხვათამიმართი“. რ. ასათიანი I // II პირებს „კომუნიკაციაში მონაწილე“ პირებს უწოდებს. როგორც ვხედავთ, სხვაობა, მართლაც, უმნიშვნელოა.

სამაგირეოდ, ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს მნიშვნელოვნად დამორღნენ „მან“-ის *ნ* ელემენტის გენეზისისა და ფუნქციის საკითხში. და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, მეჩვენება, რომ ეს დამორება რ. ასათიანის საზიანო გამოდგა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩემი მოსაზრების საწინააღმდეგოდ მან „*ვინ*“-ისა და I/II პირების მახასიათებელი (ნა)-ნ „მან“-ის „*ნ*“-სთან გააიგივა.

რ. ასათიანი წერს: „I და II პირის ნაცვალსახელების ფორმალური ანალიზის შედეგად ამკარად გამოიყოფა -ენ ელემენტი: შ-ენ, ჩ-ენ, თქ-ენ. შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდს თუ მოვიშველიებთ, პირველი პირის ნაცვალსახელისთვისაც შეიძლება აღდგეს \*„შქენ“ ფორმა (სქოლიოში მითითებულია თ. გამყრელიძის ნაშრომი „სიბილანტთა შესაყვისობანი“ ... – ა.ფ.), რომლის გამოვლინებადაც შეიძლება მივიჩნიოთ მენ/მენა დიალექტური ფორმები. ყველა ეს ნაცვალსახელი შეიძლება განიერცოს „ა“ ელემენტით: მენა, შენა, ჩვენა, თქვენა. ამგვარად I ქვესისტემის ფარგლებში ამკარად გამოიყოფა ფორმალურად ენ/ნა ელემენტები. საინტერესოა, რა სემანტიკურ კატეგორიას გამოხატავენ ისინი?

მსგავს -ენ ელემენტს ვხედავთ ვინ/ვიენ კითხვით ნაცვალსახელებშიც. I და II პირის ნაცვალსახელებსა და ვინ კითხვით ნაცვალსახელს შორის არსებული ამ ფორმალური მსგავსების გამომწვევად

შეიძლება ვივარაუდოთ „პიროვნების“ კატეგორია: I/II „მეტყველო მსმენელი“ პირი ყოველთვის ადამიანი, პიროვნებაა; ვინ ნაცვალსახელიც პიროვნების მიმართ დასმულ კითხვაშია მხოლოდ. მაშასადამე, -ენ(ა) ელემენტი შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც [+პიროვნების] ფორმალური მაჩვენებელი და „პიროვნება“ კი მიჩნეული იქნეს გრამატიკულ კატეგორიად I/II პირის ნაცვალსახელთა ქეისიტემაში<sup>1</sup>.

ეს მსჯელობა, თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა „მაენეში“ გამოქვეყნებული ჩემი სტატიის დებულებებს. უარყოფდი რა „ვინ“-ში „ნ“-ს („მან“-ის მსგავსად) მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად მიჩნევას, ვწერდი: „ჩვენ ავირჩიეთ სხვა გზა ნაკარნახევი იმ დებულებიდან, რომ ქართულში უნდა არსებულიყო „ვინ“ და „რა“ კლასკატეგორიათა<sup>2</sup> დაპირისპირება, რის საფუძველზედაც „ვინ“ ნაცვალსახელს გვერდით ამოუდგებოდა მე(ნ), მენ, ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელები, რომლებთანაც მას საერთო აქვს „ნ“ ელემენტი და რომელთა კორელატსაც თავად წარმოადგენს“.

„მსჯელობის ამ მიმართულებით წაყვანას მხარს უჭერდა ის გარემოებაც, რომ „ვინ“ ნაცვალსახელი, I და II პირის ნაცვალსახელთა მსგავსად, სახელობითსა და მოთხრობითში ერთნაირი ფორმით – ფუძის სახით იყო წარმოდგენილი“<sup>3</sup>.

ამის შემდგომ, როგორც იცყვიან, ჩვენი გზები გაიყარა. რ. ასათიანი წერს: „საინტერესოა, რომ ვინ ნაცვალსახელის სახელობით-მოთხრობითი ბრუნვები ფორმალურად დიფერენცირებულნი არ არიან, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ პიროვნების სემანტიკური კატეგორიის ფარგლებში (I/II პირის ნაცვალსახელები+ვინ კითხვითი ნაცვალსახელი) ფუნქციონალური გამოცალკევება გარდამავლის სუბიექტისა (Ag) არ ხდება – ე.ი. მოთხრობითი

<sup>1</sup> დასახ. ნაშრომი, გვ.51.

<sup>2</sup> რასაკვირველია, კავკასიურ ენებში გამოვლენილ კლას-კატეგორიის ცნებას არ ვგულისხმობდი.

<sup>3</sup> „მაენე“, გვ.117.

ბრუნვა (და შესაბამისად ერგატიული კონსტრუქცია) ჩამოყალიბებული არაა<sup>1</sup>. სქოლიოში კი ავტორი მიუთითებს: „ამდენად „ვიზ“ გაუდიფერენცირებელი ფუძე მოთხრობითის ფორმის სახელობითად განზოგადების ფაქტს კი არ ასახავს (როგორც ეს მიჩნეულია ქართულ გრადიციულ გრამატიკაში (აკ. შანიძე), არამედ სახელობით-მოთხრობითის ფუნქციების გაუდიფერენცირებულობაზე მიუთითებს“<sup>1</sup>.

ამ მსჯელობიდან მთლად კარგად არ ჩანს, მოთხრობითი ბრუნვა ჯერ საერთოდ არ არსებობს, თუ იგი გაუდიფერენცირებელია მხოლოდ I/II პირისა და „ვიზ“ კითხვით ნაცვალსახელთა არეალში, ანუ მხოლოდ I ქვესისტემაში? ასეთი კითხვის დასმა უპირიანი იმიტომაც, რომ ხომ არსებობს ენაში საზოგადო სახელები და III პირის ნაცვალსახელთა არქეტიპი – ჩვენებითი ნაცვალსახელები? – რა მდგომარეობაა ამ ქვესისტემაში – მოთხრობითი ბრუნვა არსებობს თუ არა და თუ არსებობს, რა ნიშნითაა წარმოდგენილი?

ავტორი განაგრძობს: „თუ გავიხსენებთ საკმაოდ ცნობილ უნივერსალიას უმთავრეს ენებში მესამე პირის ნაცვალსახელთა მეორეული წარმომავლობის შესახებ, აშკარა გახდება, რომ I ქვესისტემა ეინ კითხვით ნაცვალსახელთან ერთად ასახავს იმ პერიოდის ვითარებას, როდესაც ქართველურ ენებში III პირის ნაცვალსახელი დამოუკიდებელ ერთეულად ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო... მესამე პირის ნაცვალსახელის წარმოქმნა, როგორც ჩანს, ემთხვევა ქართველური ენობრივი ცნობიერების ცვლას – სახელთა თანაბარი ფუნქციონალური დაგვირთულობა იცვლება ერგატიული კონსტრუქციისთვის დამახასიათებელი სახელთა ფუნქციონალური დაპირისპირებით A-S/p“<sup>2</sup>.

მამასაღამე, I/II პირისა და კითხვითი ნაცვალსახელები, რომლებიც ქმნიან I ქვესისტემას ჩამოყალიბებულია, რაც შეეხება III პირის ნაცვალსახელებს, ისინი გვიანდელი წარმოშობისანი არიან და

<sup>1</sup> რ. ასათიანი, დასახ. ნაშ. გვ. 51.

<sup>2</sup> რ. ასათიანი, იქვე, გვ. 51-52.

ჯერ კიდევ არ ჩანან ენაში. სამაგიეროდ, ენაში არის ჩვენებითი ნაცვალსახელები. ავგორის აზრით, სწორედ ჩვენებით ნაცვალსახელებთან გაჩნდა -ენ, აქედან კი „მან“ ფორმა შემდგომში დაუკავშირდა ყველა სახელს, რომელიც Ag-ის ფუნქციისა იყო. მოვუსმინოთ თავად ავგორს: „Ag, როგორც წესი, უმაღლესი აქტივობის მქონე სულიერი სახელია, ძირითადად (+პიროვნება) ნიშან-თვისების მაგარებელი, ამიგომ ბუნებრივი უნდა ყოფილიყო მისთვის (+პიროვნებისათვის) დამახასიათებელი ფორმალური ნიშნის (ენ(ა)) განზოგადება ქართულში“. ამ მოსაზრებასაც ახლავს სქოლიო, სადაც ნათქვამია: „მოლაპარაკე-მსმენელი“ და ის ვინც პოტენციურად შიძლება იყოს „მოლაპარაკე-მსმენელი“ (ასეთი ძირითადად Ag-ია) აღინიშნება – (ე)ნ-ით“<sup>1</sup>.

ამ, ერთი შეხედვით, ლოგიკური თანამიმდევრობით აგებულ მსჯელობაში სერიოზული ცდომილებაა: მართალია, „მოლაპარაკე-მსმენელი“ მუდამ (+პიროვნებაა) Ag-ია და პიროვნების მარკერით – (ე)ნ-ით ფორმდება, მაგრამ ეს წესი ვრცელდება მხოლოდ I/II პირისა და „ეინ“ კითხვითი ნაცვალსახელის ფორმალურ მხარეზე და არა ყველა პოტენციურ „პირველ-მეორე“ პირზე, რომელიც სინამდვილეში შეიძლება იყოს III პირი. ასე, მაგალითად: „მე-ნ“ და „შე-ნ“, ანუ I/II „მოლაპარაკე-მსმენელი“ პირები ვართ, რასაკვირველია (+პიროვნება), ამიგომაც პიროვნების მარკერით (ე)ნ-ით გაფორმებული, მაგრამ „კაც-მ“, რომელიც, აგრეთვე, (+პიროვნებაა) არასდროს არ ფორმდება ამ მარკერით იმიგომ, რომ +პიროვნებობა არაა საკმარისი (ე)ნ-ის შექმნისთვის, ამისთვის აუცილებელია I/II პირისადმი კუთვნილება. ამის შესახებ ხომ თავად ავგორიც მიუთითებდა ზემოთმოცხინულ სქოლიოში.

ავგორი განაგრძობს: „სწორედ ამ ფაქტს უნდა ასახავდეს (ანუ +პიროვნებასთან (ე)ნ-ის გამოჩენის დაშვება – ა.ფ.) ჩვენებითი

<sup>1</sup> რ. ასათიანი, იქვე, გვ.51-52.

ნაცვალსახელების მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად – ნ(ა) ელემენტის დადასტურება ყველა III პირის ჩვენებით ნაცვალსახელებთან: იმან, მან, მაგან, ამან. მესამე პირის ნაცვალსახელის „მან“ ფორმა კი შემდეგში დაუკავშირდა Ag-ის ფუნქციის მქონე დანარჩენ სახელებს და ქართულში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი მაგ.

კაც იგი > კაცი

კაც მან > კაცმა<sup>1</sup>

მამასადაამე, I/II პირისა და „ვინ“ ნაცვალსახელის მარკერი (ე)ნ სრულიად დაუბრკოლებლად გადმოვიდა II ქვესისტემაში და იქცა ჩვენებითი ნაცვალსახელების მარკერად ისევე, როგორც იგი იყო I სისტემაში და ითვლებოდა I/II პირისა და ვინ კითხვითი ნაცვალსახელების მარკერად, რასაკვირველია, იმავე ფუნქციით.

ეს დებულება თავდაყირა აყენებს მთელ იმ, ჩემი აზრით, მწყობრ სისტემას, რაც მანამდე აეგორმა წარმოგვიდგინა და რასაც, ვფიქრობთ, საკმაო საბუთიანობა ახლდა, კერძოდ: I/II პირისა და „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელები საერთო ან მსგავსი ფორმალურ-სემანტიკური მაჩვენებლებით ქმნიან ცალკე ქვესისტემას (I ქვესისტემას), ხოლო III პირის ნაცვალსახელები – მათგან განსხვავებულ, დაპირისპირებულ II ქვესისტემას. თუ (ე)ნ(ა) ელემენტი მშვენიერად მოერგო ჩვენებით ნაცვალსახელებს, რომლებიც III პირის ნაცვალსახელთა არქტიკიპად ითვლებიან, სადღაა I და II ქვესისტემების დიქოტომია?!

ამიგომაცაა, რომ ამ კონტექსტში ჩემს გაკვირვებას იწვევს აეგორის განცხადება: „ამგვარად, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისი ქართულში გულისხმობს „პიროვნების“ გრამატიკული კატეგორიის მაჩვენებლის გადაამრებას Ag-ის მარკერად იმგვარად, რომ სემანტიკურ დონეზე ვინ, რა (პიროვნება/არაპიროვნება) დაპირისპირება

<sup>1</sup> რ. ა ს ა თ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ.2.

კვლავ რჩება და გარკვეულ სემანტიკურსა (სახელთა დაყოფა „ვინ“ და „რა“ კლასებად) თუ გრამატიკულ (ბრუნებათა I/II ქვესისტემების დაპირისპირება) ძალას კვლავ ინარჩუნებს<sup>1</sup>.

ის, რომ „ვინ“ და „რა“ კატეგორიების სახელთა სემანტიკურ დაპირისპირება ძალაში რჩება ჭეშმარიტებაა, მაგრამ თუ ავტორის ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებას გავიზიარებთ, მათს ფორმალურ მხარეზე იმასვე ვერ ვიტყვით.

რ. ასათიანის აქ წარმოდგენილი მოსაზრება რომ გავიზიაროთ, უნდა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. თუ (ე)ნ(ა) ელემენტი+პიროვნების თანმხლებია (რამიაც ეჭვის შეპარება არ შეიძლება) და ჩვენებით ნაცვალსახელებთან იმიტომ გამოჩნდა, რომ მოქმედი, აქტიურია, აგენსია, რითაც იგი I ქვესისტემაში შემავალი წევრების ანალოგიურ სემანტიკას ამჟღავნებს, რატომ არ გამოჩნდა იგივე ელემენტი იმავე ნაცვალსახელებთან სახელობითში, როგორც ეს I ქვესისტემის წევრებთან გვექონდა? რატომ არა გვაქვს: იგ-ნ, ეს-ნ, ეგ-ნ?

როგორც ვნახეთ, I/II პირის ნაცვალსახელებთან და „ვინ“ კითხვითთან პიროვნების მაწარმოებლად მიჩნეული იქნა „უენ“>ენ/ინ. ეს სეგმენტები უკლებლივ ყველა ნაცვალსახელს ახლდა, არსად არ გვექონია მხოლოდ „ნ“ ელემენტი. რ. ასათიანის დაშვებაში კი ფიგურირებს არა „ენ“, არამედ – „ნ“. სად და რატომ დაიკარგა „ენ“-ის „ე“, უცნობია, ავტორს ეს საკითხი საერთოდ არ აინტერესებს.

2. რატომ უელის გვერდს ავტორი პ. მუხარდგის (ეინც პირველმა მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ნ მიიჩნია) მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მესამე პირის ნაცვალსახელთა მოთხრობითის (და აქედან შემდგომი ბრუნვების) ფორმები ახალი ფუძეები კი არაა, არამედ სახელობითის ფორმებზე „მან“ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის დართვის შემდეგ ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმებია:

<sup>1</sup> იქვე, გვ52-53.

იგი+მან>იგ-მან>ი-მან>მან; ისი+მან>ის-მან>ი-მან>მან; ასევე, ეგ // ესე: \*აგ-მან>ა-ამან>მან (შდრ. აქ/იქ, ასე/ისე, აგი/ასე)<sup>1</sup>.

თუ გავითვალისწინებთ დასავლური კილოების მონაცემებს, არაფერი ელოდება წინ იმ მოსაზრებას, რომ შინაგანი რეკონსტრუქციის მოშველიებით „ეგე/ესე“-სა და „იგი//ისი“-ს გვერდით აღვადგინოთ „აგო“, „მაგო“ და „იგო“, უფრო მეტიც, მათი გამარტივებული ვარიანტები: „აო“, „მაო“ და „იო“. ხოლო თუ ამ ფორმებს, რომლებიც უთუოდ სახელობითის ფორმებია, საზოგადო სახელებთან გამოყენებული ერთადერთ ბრუნვის ნიშანს „მან“-ს დაეურთავთ ყოველგვარი სუპლექტური ფორმების დამუშავების გარეშე მივიღებთ: „აგ-მან“, „მაგ-მან“ და „იგ-მან“, საიდანაც მივიღეთ „ა-მან“, „მა-გან“, „ი-მან“ და „მან“. ამის შემდეგ კი, რადგან ქართულში თითო ხმოვნინანი ფუძეები არ არსებობდა, ფუძისეული „ო“-ს +ბრუნვისნიშნისეული „მა“ გაგებული იქნა ახალ ფუძედ, რამაც მოგვცა: მიცემითში – იმა-ს; ნათესაობითში – იმ-ის; მოქმედებითში – იმ-ით და ა.შ.

3. რატომ აუარა გვერდი ავტორმა იმ ნაცვალსახელების ბრუნვის ფორმებს, რომლებიც „ვინ“-ის საპირისპიროდ II ქვესიტემის სახელთა კითხვაა (მხედველობაში გვაქვს „რა“ და „რომელ“ კითხვითი ნაცვალსახელები). ეს ნაცვალსახელები, როგორც ცნობილია, იბრუნვიან ყოველგვარ „თავისებურებების“ გარეშე, მუსტად ისე, როგორც მათი მსგავსი ფუძეების მქონე საზოგადო სახელები:

	კითხვითი ნაც.	საზოგ. სახ.	კითხვ. ნაც.	საზოგ. სახ.
სახ.	რომელ-ი	მშობელ-ი	რა-ე	მთა-ე
მთ.	რომელ-მან	მშობელ-მან	რა-მან	მთა-მან
მიც.	რომელ-სა	მშობელ-სა	რა-სა	მთა-სა
ნათ.	რომლ-ისა	მშობლ-ისა	რ-ისა	მთ-ისა
მოქ.	რომლ-ითა	მშობლ-ითა	რ-ითა	მთ-ითა
ვით.	(რომლ-ად)	მშობლ-ად	რა-დ	მთა-დ
წოდ.	–	მშობელ-ო	–	მთა-ო

<sup>1</sup> იხ. აქვე, გვ.30.



როგორც ვხედავთ, დამთხვევა თითქმის აბსოლუტურია, ამიტომ უფრო უპირიანი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც, ჩვეულებრივ, საზოგადო სახელთა რანგში გადაიან, გამოიყენებიან ატრიბუტებად და რომლებიც სათავეს უდებენ III პირის ნაცვალსახელებს, ბრუნებისას აირჩევენ სწორედ იმ გზას (საზოგადო სახელთა), რა გზასაც საზოგადო სახელები გაპყენენ და, ამდენად, მოთხრობით ბრუნვაში მიიღებდნენ არა არარსებულ „ნ“ ნიშანს, არამედ – ენობრივი ფაქტებით დადასტურებულ „მან“-ს, რის მაგალითიც უკვე ვნახეთ.

4. ამას გარდა, საკითხავია ისიც (ეს კითხვა უნდა დაესვას ყველას, ვინც მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად „ნ“-ს გამოყოფს), რატომ მაინდამაინც მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი გახდა საკამათო და წერილობითი ძეგლებით დადასტურებული ნიშნის ადგილზე მოვიხმობთ არარსებულ „ნ“-ელემენტს, ხომ არცერთი სხვა ბრუნვის ნიშნის ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის არ შეგუპარვია, განა ეს გზა (პ. შუხარდგის კეალად), რომელიც ზემოთ ვაჩვენეთ, ფონეტიკური თვალსაზრისით რაიმე დაბრკოლებას აწყდება და რაიმე მოულოდნელის დაშვებას გულისხმობს? და თუ ამ გზით წავიდოდით, თავს დავადწევდით არარსებული ახალი ფუძის დაშვებას სახელობითისგან განსხვავებით მოთხრობითსა და შემდგომ ბრუნვებში.

არცერთი ეს უკასუხო კითხვა არ გაჩნდებოდა, ავტორი რომ თანამიმდევრული ყოფილიყო და სწორად არჩეული პოზიციებიდან არ გადაეხვია – I/II პირის ნაცვალსახელთა და მათ კორელატ „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელის ფორმალური ნიშანი არ გაევერცელებინა ჩვენებით და III პირის ნაცვალსახელებზე, რომლებიც, მისივე მტკიცებით, სხვა ქვესისტემას ქმნიან.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ I და II პირის ნაცვალსახელები და მათი სემანტიკური კორელატი „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელები საერთო ფორმალური „ენ“ ნიშნით ქმნიან ერთ ქვესისტემას. დავარქვათ მას მოუბარი პირების, „კომუნიკაციაში

მონაწილე პირების“ ქვესისტემა. ამ სისტემისათვის, ფორმალურ მაწარმოებელ „*ეზ*“-ს გარდა, ისიცაა დამახასიათებელი, რომ სახელობითსა და მოთხრობითში უბრუნველი ფუძით არიან წარმოღვენინი.

ამ სისტემას უპირისპირდება ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და მათგან მომდინარე III პირის ნაცვალსახელთა ჯგუფი – II ქვესისტემა, რომლის შემადგენელი ერთეულები სემანტიკურად საზოგადო სახელებს უკავშირდებიან (გამოიყენებიან, მეგწილად, ატრიბუტებად) და შეიგუებენ კითხვით „*რა*“ და „*რომელი*“ ნაცვალსახელებს. მსგავსი სემანტიკური მხარე წინაპირობაა იმისა, რომ ერთმანეთს ფორმალური ნიშნებათაც ემსგავსებოდნენ და ბრუნების საერთო ყალიბში თავსდებოდნენ. ეს ყალიბი კი საზოგადო სახელების ბრუნების ყალიბია, სადაც მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ყველგან ერთადერთი დადასტურებული „*მან*“ სუფიქსი გამოიყოფა.

თუ ჩვენებითი ნაცვალსახელების დადასტურებულ ერთეულებს რამდენიმე სავარაუდოსაც დავემატებთ, უნდა ვიგულისხმობთ, რომ სახელობითის ფორმით გექონდა: *ეგე//ესე, იგი//ისი; აგი, მაგი, იგი; აი, მაი, იი*. ამ ფორმებზე დართული „*მან*“ ბრუნვის ნიშანი, ყოველგვარი ახალი ფუძის დაშვების გარეშე მოგვეცემა: *ამან, მაგან, იმან, მან* ფორმებს მოთხრობითში, საიდანაც ფუძისეული და ბრუნვისნიშნისეული ელემენტების შერწყმის შემდეგ მიცემითისა და შემდგომი ბრუნვებისთვის მივიღებდით ახალ ფუძეებს: *ამა-, იმა-, მაგა-, მა-*.

#### 4. ორიენტაციის კატეგორიის ბაზებისათვის თანამედროვე ქართულში

ქართულ ზმნაში ორიენტაციის კატეგორიის გამოხატვას პირველად *დავით ჩუბინაშვილი* შეეხო. ამავე საკითხზე ყურადღება გაამახვილა *ნიკო მარმაყ* „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“, თუმცა მისი ნამდვილი არსის დადგენა, გერმინი „ორიენტაცია“ და ზმნის კატეგორიათა შორის ადგილის მიჩნევა ბ-ნი *აკაკი შანიძის* დამსახურებაა<sup>1</sup>.

*აკ. შანიძის* განმარტებით: „ორიენტაციის სახელით აღვნიშნავთ გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც გვიჩვენებს მოუბარი პირის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატულ მოქმედებასთან, რომლის მიხედვით ირკვევა, განიხილავს მოუბარი (I-ლი პირი) ამ მოქმედებას, როგორც ისეთს, რომელიც მიმართულია იმ პოზიციისაკენ, რომელიც თვითონ უჭირავს სივრცეში, თუ ისეთს, რომელიც საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის. თუ მოქმედება მიმართულია იმ ადგილისაკენ, სადაც მოუბარი იმყოფება, მაშინ მოქმედების სუბიექტი (თუ ზმნა გარდაუვალია), ან პირდაპირი ობიექტი (თუ ზმნა გარდაუვალია). *აქეთ* მოემართება, *უახლოვდება* მოუბარის პოზიციას და, თუ მიმართულება საწინააღმდეგოა, მაშინ მოქმედების სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი იქით მიემართება, კშორდება მას. ამის

<sup>1</sup> ი რ . ვ ე მ ა პ ი ძ ე , ზმნისწინი ძველ ქართულში, თბ., 1967წ., გვ.43.

მიხედვით გვაქვს ორი ორიენტაცია – მაახლოებელი და მამორუბელი, ანუ სააქეთო და საიქეთო<sup>1</sup>.

ავტორი განაგრძობს: „*ცურავს*“ მზნასთან, მაგალითად, *მი-ც* შეგვიძლია ვიხმართო და *მო-ც*: *მი-ცურავს*, *მო-ცურავს*. ამათგან „*ცურავს*“ აღნიშნავს გარკვეული სახის მოძრაობას წყალში ორიენტაციის აღნიშნავეად, ხოლო *მი-ცურავს* და *მო-ცურავს* ამასთანავე აღნიშნავენ ცურვის ორიენტაციას: *მი-ცურავს იქითკენ*, სადაც მე ვარ, *მო-ცურავს* – აქეთკენ, სადაც მე ვარ. რაც ითქვა ცურავს მზნის შესახებ, იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ ამათ შესახებაც: გორავს, ფრინავს, ქრის, ბზუს და სხვა... მაშასადამე, *მი-* და *მო-* ნაწილაკებმა გარკვეული ხასიათის ცელილება შეიტანეს მზნის ლექსიკურ მნიშვნელობაში, აღნიშნეს მიმართულება, რომელიც უიმათოდ მზნაში არ არის მოცემული. „*ცურავსო*“, რომ თქვეს, ის გავიგეთ მხოლოდ, რომ ვილაც ან რაღაც მოძრაობს წყალში და სხვა არაფერი, *მო-ცურავს* კი მეტს გვეუბნება: წყალში მოძრაობს ისე, რომ იმ ადგილს უახლოვდება, სადაც მე ვარ, *მი-ცურავს* – კმორდება იმ ადგილს, სადაც მე ვარ. „*ტროიკა, რომელსაც ნუნუ მი-ჰყავდა, მი-გრიალეზდა ვლადიკაეკასისაკენ*“ (ყაზ. 367,14) – ეხედებით, რომ ტროიკა შორდება იმ ადგილს, სადაც მოუბარი იმყოფებოდა.

საერთოდ *მი-* და *მო-* ერთიმეორის საწინააღმდეგო მზნის წინებია, როგორც ამას სხვა მაგალითებიც გვიჩვენებენ: *მი-იტანა* და *მო-იტანა*, *მი-ვიდა* და *მო-ვიდა*, *მი-აკითხა* და *მო-აკითხა*... მაშასადამე, *ამ ნაწილაკებს დაკისრებული აქეთ გამოხატონ მოქმედების მოძრაობა I-ლი პირისაკენ ან საწინააღმდეგო მიმართულებით*<sup>2</sup> (ხაზი ჩვენია, ა.ფ.).

სრულიად სწორია დებულება იმის შესახებ, რომ „*მი*“ და „*მო*“ ერთიმეორის სააწინააღმდეგო (უფრო სწორი იქნებოდა, ალბათ,

<sup>1</sup> აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973წ., გვ.238.

<sup>2</sup> აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973წ., გვ.241.

დაპირისპირებული – ა.ფ.) გზისწინებია, მაგრამ გადასინჯვას საჭიროებს დებულება: „ამ ნაწილაკებს დაკისრებული აქეთ გამოხატონ მოქმედების მოძრაობა I-ლი პირისაკენ ან საწინააღმდეგო მიმართულებით“.

ჯერ მოძრაობის მიმართულების ყველა შესაძლებელ ვარიანტზე.

*ი.რ. ვეშაპიძე*, რომელმაც დაწერილებით გააანალიზა მოქმედების სუბიექტ-ობიექტის მოძრაობის სავარაუდო მიმართულების ყველა ვარიანტი ძველი ქართულის მასალაზე ერთპირიან, ორპირიან (გარდამავალ და გარდაუვალ) და სამპირიან გზებში, შეადგინა 34 სქემა და რამდენიმე ცხრილი, რომლებშიც გარკვევა, ცოცხალი იყოს, ძნელდება კიდევ, მაგრამ დასკვნა ძირითადად (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველი ქართულის ზოგ თავისებურებას) იგივე მიიღო, რაც აკ. შანიძემ. „... ეს გზისწინები (ჩამოთვლილია ყველა გზისწინი – ა.ფ.) ორ რიგს შეადგენს. ერთში თავს იყრის ყველა ის გზისწინი, რომელიც რთული შედგენილობისაა და მეორე კომპონენტად მო- გზისწინს შეიცავს. ესენი *აქეთ*, *მოუბარი პირის პოზიციისაკენ* მიმართულ მოძრაობას გამოხატავენ და ამიგომაც მათ *სააქეთო მიმართულების გზისწინები* ეწოდება. ამავე ჯგუფს განეკუთვნება მარტივი მო- გზისწინიც, რომელიც უშუალოდ გადმოსცემს სააქეთო მიმართულებას.

ყველა დანარჩენი გზისწინი იქით, *მოუბარი პირის პოზიციისაგან დამაშორებელ* მიმართულებას გამოხატავს და ამიგომაც მათ *საიქეთო მიმართულების გზისწინები* ეწოდება“<sup>1</sup> (ხაზი ავტორისაა – ა.ფ.).

ერთი სიტყვით, ორიენტაციის კატეგორიის არსის ახსნისათვის გადამწყვეტი და ერთადერთი საყრდენი I პირის პოზიციაა: მისკენ მიმართული მოქმედება მო-თი აღინიშნება, მის საწინააღმდეგოდ კი – მი-თი.

როგორც მოგანილი ციგაგიდან ვნახეთ, აკ. შანიძესთან ლაპარაკი იყო მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როცა მოძრაობდა მესამე პირი- ერთპირიანი ან ორპირიანი გზების სუბიექტი. რა თქმა უნდა,

<sup>1</sup> ი.რ. ვეშაპიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ.29.

ავტორს არ დაეწეება მეორე პირი: „როგორღაა საქმის ვითარება ორიენტიაციის საკითხში მეორე პირთან, რომლის მყოფობის არე მკაფიოდ გარჩეულია ჩვენებით ნაცვალსახელებში და მზნისმედებში: ეს, ეგ, ის; ასეთი, ეგეთი, ისეთი; ამნაირი, მავნაირი, იმნაირი; აქ, მანდ, იქ? საერთო მოსამრების თანახმად მოსალოდნელი იყო, რომ მე-2 პირისკენ მოქცეული მოქმედებაც აშკარად გამოჩნდებოდა. მაგრამ ქართულ ენას ამის საშუალება არ მოქპოვება, რადგანაც მე-2 პირი ის პირია, რომელსაც ეუბნებიან, ხოლო ასეთი პირი ჩვეულებრივ იქვე არის, სადაც მოუბარია, ამიტომ ის I-ლი პირის მყოფობის არეში იგულისხმება და იმავე მზნისწინს ხმარობს, რასაც I პირი, ე.ი. მო-ს. როდესაც ვკითხულობთ „თქვენთანაც კი მო-მასწავლეს-ო“ (ჭავ. „აკაც. ადამ.“) ეს იმას ნიშნავს, რომ მე-2 პირი, რომელსაც ელაპარაკებიან, იქვეა, სადაც I პირი“. მე-3 პირმედაც ითქმის მო-: მო-პვეარა, მო-სწერა, მო-უგანა და მისთან. მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მე-3 პირიც ახლოს არის I-ლ პირთან, იქვეა სადაც და, მაშასადამე, აქ მაინც ნაჩვენებია მოქმედების ორიენტიაცია I-ლი პირისაკენ“<sup>1</sup>.

დაეწეოთ იმით, რომ ამ მაგალითებში სრულიად არ არის გათვალისწინებული თავად მოლაპარაკე პირის (I პირის) მოძრაობის შესაძლებელი მიმართულების აღნიშვნა და ისიც, თუ რანაირი კვალიფიკაცია მიეცება ასეთ მოძრაობას: იგი პირველი პირიდან, ე.ი. „ჩემგან“ დამამორებელი იქნება, თუ – დამაახლოებელი: *სააქეთო* იქნება, თუ – *საიქეთო*?

უდავოა, თუ I პირის (მოლაპარაკე პირის) პოზიცია იქნება განმსაზღვრელი, იმავე პირველი პირის მოძრაობისათვის ან რადაც ახალი მზნისწინი უნდა ვივარაუდოთ, ან საერთოდ ვერ უნდა დავადგინოთ ასეთი მოძრაობის მიმართულების აღმნიშვნელი აფიქსი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის წერტილი, რომლიდანაც ათუ-

<sup>1</sup> ა. კ. მანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973წ., გვ.247.

ლა იწყებოდა ერთ ადგილზე არ დგას და ყოველი ახალი ადგილსამყოფელისთვის ახალი აფიქსი უნდა დაგვეძებნა.

ქართული ენის ფაქტობრივი მონაცემებით კი ვიცი, რომ, როცა I პირი მოძრაობს, მისი მოძრაობის მიმართულება ხან *მი-გმნის-წინით* გადმოიქცემა (*მი-ვეურავ*), ხან – *მო-თი* (*მო-ვეურავ*). გმნისწინთა მონაცვლეობას განაპირობებს II პირის, ან III პირის პოზიცია. თუ II პირისკენ, ანუ მსმენელისკენაა მიმართული ჩემი მოძრაობის გეზი, ვამბობ: „*მო-ვეურავ შენკენ*“, ხოლო, თუ გეზი აღებული მაქვს III პირისაკენ ან გაურკვეველი მიმართულებით, ვამბობ: „*მი-ვეურავ მისკენ*“, „*მი-რბის, მი-მაფრენს უგზო-უკელოდ ჩემი მერანი*“.

ამდენად, უკვე ამ მაგალითიდანაც აშკარაა, რომ გერმინები *სააქეთო* და *საიქეთო*, გამოუსადეგარია და I პირის სიერცობრივ სამყოფელსაც გადამწყვეტ პოსტულადად ვერ მივიღებთ; რადგან, ჯერ ერთი, I პირი თავად მოძრაობს და ამ მოძრაობისათვის „*აქეთ*“ გმნიზება აღარ ვარგა; მეორეც, მეორე პირიცა და მესამეც, ალბათ, სადღაც „*იქით*“ არიან და ამიტომ თითქოსდა *მო-გმნისწინის* ხმარება უადგილოა.

ზემოთ მოტანილ ციკატებში განხილული იყო ისეთი მაგალითები, როცა მოქმედებდა III პირი, იგი მოძრაობდა ან ჩემკენ (I-ლი პირისკენ), აქეთკენ (*მო-ცურავს*), ან ჩემგან, იქითკენ (*მი-ცურავს*), მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი იმ პირზე, ვისაც მე (I პირი) მოსაუბრე, მივმართავდი, თუმცა კარგად ვიცი, რომ ენა მხოლოდ პირველი და მეორე პირის ურთიერთსაუბრის გადმომცემია – ენა მეტყველსა და მსმენელს გულისხმობს და პირველი პირის, მოუბრის, ნათქვამი ყოველთვის მეორე პირს, მსმენელს გულისხმობს.

„*მი-ცურავსო*“, როცა ვამბობთ, იგულისხმება, რომ მსმენელს (წერილის ადრესატს, თუ წიგნის მკითხველს), მეორე პირს, ვთქვათ, ვანოს ვეუბნებით, „*ვახგანგი მი-ცურავს*“, ე.ი. იგი მოძრაობს სადღაც, მესამე პირისაკენ ან გაურკვეველი მიმართულებით.

კონკრეტულ სიტუაციამი სიქმე ასე წარმოვიდგებოდა: აუმის ერთ მხარეს ვდგაერთ მე და ვანო (II პირი), წყალში კი ვახტანგია (III პირი), რომელიც ცურვით გემორღება, მე ვამბობ: „*ვანო, ხედავ? ვახტანგი მი-ცურავს*“.

მაგრამ, სიქმარისია, II პირი აუმის მოპირდაპირე მხარეზე იყოს და ვახტანგი მისკენ მოძრაობდეს, მე მას უნდა ვუთხრა: „*ვანო, ხედავ? ვახტანგი მო-ცურავს*“.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგი ჩემგან იქით მი-ცურავს, მე მმორღება (ე.ი. მოლაპარაკის, I-ლი პირის პოზიციას შორღება), გამოვიყენეთ *მო-* მზნისწინი.

ამ წესმა გამონაკლისი არ იყოს.

ახლა სხვა მაგალითიც გავსინჯოთ.

როცა ყაზბეგთან ვკითხულობთ, რომ „*გროიკა, რომელსაც ნუნუ მი-ჰყავდა, მი-გრიადებდა ვლადიკავკასისაკენ*“, „*გროიკა*“, მართლაც, შორღებოდა იმ ადგილს, სადაც მოუბარი იდგა, მაგრამ თუ მე თბილისში, ჩემს ოთახში მჯდომი, ვანოს ვეუბნებ: „*ვანო, ვახტანგი დღეს სამ საათზე ბათუმიდან ფოთში მი-ფრინავს*“, მი- მზნისწინის ხმარება განა იმან გამოიწვია, რომ ვახტანგი შორღება ჩემს ადგილ-სამყოფელს? ანდა, ბათუმი ჩემთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ფოთი? მე ხომ ასევე მშვენიერად მემეძლო მეთქვა: „*ვანო, ვახტანგი დღეს სამ საათზე ფოთიდან ბათუმში მი-ფრინავს-მეთქი*“ და, რა თქმა უნდა, ამის გამო ფოთი ამჯერად უფრო ახლოს არ მოვიდოდა თბილისთან, ე.ი. ჩემ სამყოფ ადგილთან, ვიდრე პირველად.

სრულიად აშკარაა, რომ ამ და მსგავს მაგალითებში, როცა მესამე პირის მოძრაობის საწყისი და სასრული წერტილების მიმართება პირველი პირის პოზიციასთან საერთოდ არ მიიღება მხედველობაში (რადგან მათი სიახლოვე-სიმორე არ დგინდება და ვერც დადგინდება), სააქეთო ან საიქითო ორიენტიაციამე ლაპარაკი უსაფუძელოა, რა თქმა უნდა, იმ გაამრებით, რომელსაც ამ ტერმინებში



ვლენ: *სააქეთო* – პირველი პირისკენ დამაახლოებელი, *საიქეთო* – პირველი პირისაგან დამამორებელი.

არც ის დებულებაა სწორი, თითქოს *მო-* ზმნისწინს მეორე პირის მიმართ იმიტომ ვხმარობთ, რომ „მეორე პირი ის პირია, ვისაც ეუბნებიან, ხოლო ასეთი პირი, ჩვეულებრივ, იქვე არის, სადაც მოუბარია, ამიტომ ის I-ლი პირის მყოფობის არეში იგულისხმება“.

ჯერ ერთი, *ენაში პირები განისაზღვრება არა იმის მიხედვით, თუ რამდენი მანძილით არიან ისინი დამორებული ერთიმეორისაგან, არამედ – იმის მიხედვით, თუ ვინ საუბრობს და ვის მიმართავენ (I და II პირები), შესამე პირი კი ის პირია, რომელიც საუბარში არ მონაწილეობს.*

ენახოთ, როგორ „უყურებს“ ენა სივრცობრივ პოზიციებს:

ჩემი მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან ლევანი იყურება. მე და ეახტანგი კი ჩემი სახლის ფანჯრიდან ველაპარაკებით მას. ლევანი მეძახის: „*მო-მეცი შეპირებული წიგნი*“. მე ვპასუხობ: „*ვერ მო-გცემ, ჯერ ეახტანგს უნდა მი-ვეცე*“.

ე.ი. იმის მიმართ, ვინც ჩემ გვერდით და, მამასადამე, ჩემი მყოფობის არეშია, *მი-* ზმნისწინი ვიხმარე, იმის მიმართ, ვინც ჩემგან მოშორებით, „საწინააღმდეგო“ პოზიციაში იყო – *მო-*.

აღარას ვამბობ იმაზე, რომ, როცა რამდენიმე ათასი კილომეტრით დამორებულ ქალაქში მაცხოვრებელსაც ვწერთ თუ ტელეფონით ველაპარაკებით, ვხმარობთ, აგრეთვე, *მო-* ზმნისწინს: „*წერილი გამო-გიგზავნე*“, „*ფული უნდა ჩამო-გიტანო*“ და მისთან.

არც ისაა სწორი, თითქოს მესამე პირის მიმართ *მო-* ზმნისწინის ხმარებაც ამ უკანასკნელის პირველ პირთან ახლო პოზიციით იყოს გამოწვეული, რადგან *მო-* ზმნისწინით გადმოიცემა მოქმედების მიმართულება მაშინაც, თუ მესამე პირი მეორე პირის მყოფობის არეშია მოქცეული, ჩემგან (I პირისგან) კი რამდენიმე ათასი კილომეტრითაა დამორებული.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითი გამოდგებოდა:

ჩემი ორი მეგობარი – ვანო და ვახტანგი – ლენინგრადში ცხოვრობენ. მე ვანოს ერთ-ერთ წერილში ვსწერ: „მაისში შენთან ერთად წერილი ვახტანგსაც მო-ვწერე“ ან „...წერილი ვახტანგსაც გამო-ვეუგზავნე“...

როგორც ვხედავთ, ორივე ზმნასთან – მო-ვწერე, გამო-ვეუგზავნე – (და ასე იქნებოდა ყველა ზმნასთან, რომლებიც ორიენტიაციას განასხვავებენ) მო- ზმნისწინი გამოვიყენე, თუმცა მოძრაობის ადრესატი პირი არა თუ „იქითკენაა“, არამედ რამდენიმე ათასი კილომეტრითაა დაშორებული ჩემგან, I-ლი პირისაგან, მოსაუბრე პირისგან, ამიტომაც მო-ს ხმარებაში მხოლოდ I პირის ადგილ-სამყოფლის გავლენაზე ლაპარაკი სწორი არ არის. აშკარაა, ამ შემთხვევაშიც I პირის გოლფარდი როლი II პირს ეკუთვნის.

ასეთია საქმის ვითარება იმ ზმნებთან, რომლებიც გადმოგვცემენ მოძრაობას სიერცეში გადაადგილებით. და, რადგან, როგორც ვნახეთ, გერმინები სააქეთო და საიქეთო უვარგისია მათ მიმართაც კი, მით უფრო არ გამოდგებიან ისინი იმ ზმნათა მიმართ, რომლებიც მოძრაობას საერთოდ ვერ გადმოსცემენ, მაგრამ მო- და მი- ზმნისწინებს მაინც ზემოთ ნათქვამი წესის მიხედვით მოითხოვენ: მო-ს – I და II პირებისთვის, მი-ს – III პირისთვის:

I და II პირების მიმართ

1. მო-მესიყვარულე  
მო-მესიყვარულა  
მო-გესიყვარულე  
მო-გესიყვარულა
2. მო-მენდე  
მო-მენდო  
მო-გენდე  
მო-გენდო
3. მო-მახარე  
მო-მახარა  
მო-გახარე  
მო-გახარა

III პირის მიმართ

- მი-ვესიყვარულე  
მი-ესიყვარულე  
მი-ესიყვარულა
- მი-ვენდე  
მი-ენდე  
მი-ენდო
- მი-ვახარე  
მი-ახარე  
მი-ახარა

და სხვა.

ამრიგად, ორიენტაციის კატეგორია გადმოგვეყვამ ისეთ მოქმედებას, რომელიც, ერთი მხრით, მიმართულია პირველი და მეორე პირისაკენ (ან განკუთვნილია მათთვის) და, მეორე მხრით, ისეთ მოქმედებას, რომელიც გამორიცხავს I-სა და II პირს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება მიმართულია III პირისაკენ (ან განკუთვნილია მისთვის), თუმცა შეიძლება მოქმედების აღრესატი, საერთოდ, უცნობი იყოს, ამდენად, მოქმედების მიმართულებაც – გაურკვეველი.

გადასაწყვეტია გერმინების საკითხი.

რადგან I და II პირები ურთიერთმორის მოუბარი პირები არიან, იქნებ გამომდგარიყო გერმინი „მოუბარმოქმედო“, რომელსაც დაუპირისპირდებოდა „სხვათა მიმართი“, მაგრამ მაინც სხვა გერმინები ვარჩიეთ, კერძოდ: „საპირველმეორეპირო“ და „სამესამეპირო“. მართალია, ამ გერმინთა წარმოთქმისმხრივი იერი სიმსუბუქით არ გამოირჩევა, მაგრამ ეს ნაკლი ანაზღაურდება მათი შემადგენელი ენობრივი ერთეულების სემანტიკური დახასიათების სიოლით.

თუ ნათქვამს შევაჯამებთ, გვექნება: ქართულ ზმნას შეუძლია გადმოგვეყვას ორიენტაციის გრამატიკული კატეგორია.

*ორიენტაცია ორგვარია – საპირველმეორეპირო და სამესამეპირო. საპირველმეორეპირო მოქმედება მიმართულია ან განკუთვნილია I და II პირებისათვის. სამესამეპირო მოქმედება III პირისაკენ მიემართება (ან მისთვისაა განკუთვნილი), თუმცა მოგჯერ მოქმედების მიმართულება საერთოდ უცნობია და ზმნით გადმოცემული მოქმედებაც გაურკვეველი მიმართულებისაა.*

საპირველმეორეპირო ორიენტაციას აწარმოებს მო- და ამ ზმნისწინით გართულებული მარტივი ზმნისწინები, ხოლო სამესამეპირო ორიენტაციას – მო-ს გამოკლებით ყველა მარტივი ზმნისწინი.

## 5. უნებლიობის ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია ქართულ ზმნაში

სანამ საკითხის არსს შევხებოდეთ, ორიოდ სიტყვა კატეგორიის ცნებაზე ზოგადად.

უნდა განვასხვაოთ კატეგორიათა სამი ჯგუფი: 1. *გრამატიკული კატეგორიები* (ბრუნვა, პირი, ასპექტი... ე.წ. უღლების კატეგორიები). 2. *ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიები* (გვარი, ქცევა, კონტაქტი და სხვა წარმოქმნის კატეგორიები) და 3. *ლექსიკური კატეგორიები*.

გრამატიკული და ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიები, როგორც წესი, ახალ მნიშვნელობას რომელიმე აფიქსით გადმოგვცემენ, მაგ.: კაც-*ი*, კაც-*მა*; ვ-*შენებ*, ვ-*უ-შენებ*...

პირველ ორ შემთხვევაში –*ი* და –*მა* მორფემები ახალი მნიშვნელობის გადმომცემია, მაგრამ ეს მნიშვნელობა სემანტიკური არაა, იგი სინტაქსურია (ფუნქციურია). უფრო სწორად: *ი* და *მა* მორფემების მიმატება *კაც*- ფუძეზე ამ უკანასკნელის ლექსიკურ მნიშვნელობას ვერ ცვლის, ამიტომ ასეთსა და მსგავს შემთხვევაში საქმე გვაქვს *გრამატიკულ კატეგორიასთან*.

სხვანაირად წარმოვიდგება საქმე *ვ-ი-შენებ* და *ვ-უ-შენებ* დაპირისპირებისას. იქ *ი* და *უ* მორფემები სიტყვებს ახალ მნიშვნელობას აძლევენ. „ვიშენებ“ და „უშენებ“ სიტყვები ერთმანეთისაგან ლექსიკურადაც განსხვავდებიან, მაგრამ, რადგან ეს განსხვავება (ახალი მნიშვნელობა) კვლავ მორფემით (მოცემულ შემთხ-

ვევაში *ი* და *უ*-თი) გადმოიცემა, ასეთ კატეგორიას ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია შეიძლება ეუწოდოთ.

სხვანაირი მდგომარეობა გვაქვს ლექსიკურ კატეგორიებთან. ლექსიკური კატეგორიები ახალ მნიშვნელობას მთელი სიტყვის საშუალებით გადმოგვცემენ. ეს ფაქტი კარგად შეინიშნება დაპირისპირებაში: „*ეგრეხ თოქს ჩემთვის*“ და „*ე-ი-გრეხ თოქს*“. პირველ წინადადებაში სამი სიტყვაა, მეორეში – ორი, ამრიგად იდენტურია. მეორე წინადადებაში ერთი სიტყვის ნაკლებობა კომპენსირებულია გზნა-შემასმენელში *ი* აფიქსის ჩართვით.

რადგან გრამატიკული და ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიები ენაში საგანგებო მორფემებით გადმოიცემა, მათი რაოდენობა შეზღუდულია, ლექსიკური კატეგორიების რაოდენობა კი – თეორიულად შეუზღუდველი. ამიტომაცაა, რომ ლექსიკურად *ქევეის* კატეგორია ყველა ენაშია, გრამატიკულად კი, ჩვენთვის ცნობილ ენათაგან, – მხოლოდ ქართულში.

ქართული სალიტერატურო ენის ნიშნებსა და, განსაკუთრებით, ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართულ გზნას მოეპოვება ერთი მეტად თავისებური ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია, რომელსაც ჩვენ *უნებლიობის კატეგორია* ეუწოდეთ.

რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ეს კატეგორია არაა შემზღვეული არც ინდოევროპულ, არც სემიტურ, არც თურქულ და არც იბერიულ-კავკასიური ენების წრეში, ამიტომ, ვფიქრობთ, საკითხი ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

*უნებლიობის კატეგორია გადმოგვცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც რეალურმა სუბიექტმა – მოქმედების რეალურმა ჩამდენმა – შეასრულა უნებლიედ, წინასწარ განუსამდგრელად, შემთხვევით ისე, რომ მას ამის გაკეთება არ სურდა.*

საკითხს ამკარას გახდის დაპირისპირება: „კაცი მოეკალი“ // „კაცი შემომაკედა“; „ფული დაეხარჯე“ // „ფული შემომეხარჯა“; „ფული შევჭამე“ // „ფული შემომეჭამა“; „მეზობელი გავლანძღე“ // „მეზობელი შემომელანძღა“ და სხვა.

მედვის თვალსაზრისით „მოეკალი“, „შემომაკედა“ ერთნაირი მნიშვნელობისაა – კაცი მოკლულია, მაგრამ მოქმედების მიმდინარეობისა და მასთან რეალური სუბიექტის ურთიერთობის თვალსაზრისით ამ ფორმებით გამოცემული მოქმედებები ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდებიან: „შემომაკედა“ გზაში ის მომენგია ხაზგასმული, რომ მოქმედების ჩამდენს, რეალურ სუბიექტს, ეს უნებლიეთ მოუხდა. იქნებ ამიტომაცაა, რომ *შემომ-მ-აკედ-ა*; *შემომ-გ-აკედ-ა*; *შემომ-ა-კედ-ა* ფორმებში რეალური სუბიექტი ობიექტური პირის ნიშნებითაა (*მ*, *გ*) წარმოდგენილი, ხოლო რეალური ობიექტი, მოქმედების განმცდელი – სუბიექტის ნიშნით (*ა*). მაშინ, როცა „მოეკალი“ გზაში ამ თვალსაზრისით ნეიგრაღური და სუბიექტ-ობიექტის ნიშნებსაც თავთავის ადგილზე წარმოგვიდგენს.

საინგერესოა ის გარემოება, რომ „შემომაკედა“ ორპირიან პასიურ ფორმას გვერდით უდგას „შემომაკლა“ სამპირიანი აქტიური ფორმა. ეს უკანასკნელიც მსგავს მოქმედებას გადმოგვეცემს – *მე, რეალურ სუბიექტს, არ მქონდა სურვილი, გადაწყვეტილება კაცის მოკელისა, მოქმედება მოხდა ჩემი ნება-სურვილის გარეშე; მოქმედების გამომწვევი მიზეზი რეალურ ობიექტში – მოკლულში – უნდა ვეძიოთ*. იქნებ ამიტომაც გზაში იგი სუბიექტური ნიშნით წარმოგვიდგინა: „შემომ-მ-აკლ-ა“ ფორმაში *მ*- პირველი (ირიბი) ობიექტური პირის მაჩვენებელია, ბოლოკიდური *ა* კი – სუბიექტურისა მესამე პირში (*შემომ-მ-აკლ-ა*; მე მან იგი).

თუ „შემომ-მ-აკლ-ა“ ფორმის ანალიზს განვაგრძობთ, კვალიფიკაცია დასჭირდება, ერთი მხრით, ობიექტური პირის ნიშანსა და

ძირს შორის არსებულ ა პრეფიქსს და, მეორე მხრით, „შემო“ აფიქსს.

პირველი გზნის აქტიურობის (გარდამავლობის თუ მოქმედებითობის) მაწარმოებლად შეგვეძლო მიგვეჩნია, ყოველ შემთხვევაში, აქ მას სხვა არავითარი ფუნქცია არ ეძებნება, რითაც კიდევ ერთი საბუთი მიემატებოდა იმ მოსაზრებას, რომ ე.წ. საარვისო ქცევის ა გარდამავლობისა თუ მოქმედებითობის მაწარმოებლად იქნეს გამოცხადებული (მ. ჯანაშვილი, ე თოფურია, ფ. ერთელიშვილი).

მაგრამ საქმეს აძნელებს ის გარემოება, რომ ა პრეფიქსი რამდენსამე გზნაში: შემო-მ-ა-კედ-ა, შემო-მ-ა-კყდ-ა, შემო-მ-ა-ცედ-ა, პასივსაც ახლავს, თუმცა უმრავლესობა გზნებისა პასივს ე ხმოვნით იკეთებს: შემო-მ-ე-თალ-ა, შემო-მ-ე-მგერ-ა, შემო-მ-ე-ლახ-ა...

დაგვრჩა აფიქსი „შემო“. სწორედ მას უნდა ეკისრებოდეს უნებლიობის კატეგორიის წარმოება. რადგან სწორედ ამ აფიქსის მიმატება აძლევს ორივე შემთხვევაში (*შემო-მ-ა-კედ-ა*, *შემო-მ-ა-კლ-ა*) გზნას უნებლიობის მნიშვნელობას.

აფიქს „შემო“-ს, რომელსაც გზნისწინთა რიგში ვათავსებთ, უნებლიობის კატეგორიის გადმოცემისას, დაკარგული აქვს გზნისწინთათვის დამახასიათებელი ფუნქცია – გეზისა და ორიენტიაციის წარმოებისა, მას არ შეუძლია ასპექტის კატეგორიის წარმოებაც, რადგან უამაფიქსო ფუძეები იშვიათად გვხვდება.

*უნებლიობის კატეგორია* მეგალ მყარი და საკმაოდ გავრცელებულია ჩვენს ენაში. აწმყოს მწკრივები რომ გამოვრიცხოთ, რვა მწკრივი მაინც დაგვრჩება, ისინი მშვენიერად აწარმოებენ ამ კატეგორიას. და თუ იმასაც ვიგულისხმებთ, რომ ყოველ მწკრივს ორი კონვერსიული ფორმა (პასივი – „*შემომაკედა*“ და აქტივი – „*შემომაკლა*“) აქვს სუბიექტ-ობიექტური პირების ჩვეულებრივი კომბინაციით, აშკარა გახდება მისი გავრცელების არე.

ამ ფორმებს ისგორიაც საკმაოდ დიდი აქვთ, პირველად იგი გვხვდება 1505 წლით დათარიღებულ სიგელში, რომელიც იმერეთის

მეფე ალექსანდრე II-ს ვინმე ივანე ქეროხიძისათვის უბოძებია. ძეგლში ვკითხულობთ: „ვისაც თქვენი გუარის კაცი *შემოაკედეს*, ას ოცი ათასი ძველი თეთრი გადაგიხადოს...“ (საქ. სიძვ. II, გვ.517). ამ წლიდან მოკიდებული მსგავსი ფორმები გაცილებით მეტი სიხშირით გვხვდება სიგელ-გუჯრებში. მხატვრულ ლიტერატურაში პირველად მას ვხვდებით „შაჰ-ნამეში“, სადაც შესანიშნავადაა დახასიათებული მზნით გადმოცემული მნიშვნელობაც: „იმან თავი *შემოგვაკლა* არ გვინდოდა ჩვენის ნებით“ („შაჰ-ნამე“, 3494, 3). შემდეგ ეს ფორმები არაერთხელ გვხვდება „რუსულანიანში“, თეიმურაზ I-თან, საბასთან, უფრო ხშირად XIX საუკუნის მწერლებთან და კიდევ უფრო ხშირად თანამედროვე ქართულში.

ძველ ქართულში უნებლიობის კატეგორიის ხმარების სიმცირე, ერთი შეხედვით, იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ იგი ახალი და უახლესი ქართულისათვისაა, ძირითადად, დამახასიათებელი, მაგრამ საკითხის ასე გადაჭრას ართულებს ის გარემოება, რომ ვახტანგ VI-სთან დასტურდება თანამედროვე ქართულისათვის სრულად უცნობი ფორმა:

„თუ ფათერაკად კაცს კაცი *შემოაკედეს* ან *შემოეჭრას*, ან დაშაედეს, რისაც ფათერაკით, რომ იმ კაცს არ ნდომოდეს, ცხენით თუ იარაღით“... (ქართული სამართ. ძეგ., ვახტანგის სამართ., I, 1963, გვ.504). „*შემოეჭრას*“ სიტყვა, რაც უნებლიეთ დაჭრას ნიშნავს, თანამედროვე ქართულში არა გვაქვს<sup>1</sup>.

ვუჩქრობთ, შეიძლებოდა დაგვესკენა, რომ უნებლიობის ფორმები საკმაოდ იყო გავრცელებული ძველ ქართულშიც, მაგრამ იგი ძირითადად ბეპირი მეტყველების კუთვნილება გახლდათ. ახალ ქართულში – ბეპირი და ლიტერატურული ენის დაახლოების ეპოქაში –

---

<sup>1</sup> სოფელში გამიგონია „რა კარგი სიმინდი *შემომეჭრა*“, როცა გლესს უნებლიედ კარგად გახარებული სიმინდი მოუჭრია, ცუდის მაგიერ. მაგრამ ამ „*შემომეჭრა*“-ს უნებლიედ „*მოეჭერი*“-ს მნიშვნელობა აქვს.



ამ ფორმებმა ფართოდ გაიკაფეს გზა სალიტერატურო ენაში, რამაც ასახვა პოვა მწერლობაში.

ნათქვამის შემდეგ, ვფიქრობთ, უნებლიობის კატეგორიაში თავისი ადგილი უნდა დაიკავოს ქართული მხნის წარმოქმნის კატეგორიების გვერდით და შეგანილ იქნეს გრამატიკაში გვარის კატეგორიის შემდეგ.

რა თქმა უნდა, შემდგომი კვლევა-ძიება ამ კატეგორიას უფრო დახვეწილ და ჩამოყალიბებულ სახეს მისცემს.

დაბოლოს, ჩვენს ხელთ არსებული მღვა მასალიდან მოვიგანთ რამდენიმე მაგალითს:

„გენაცვალე, მე ჩემს გოგონას ხელუხლებლად დაუეგოვე მამამისის ქონება და თუ ნათესავეებმა შემოაჭამეს, რა ჩემი საქმეა“ (ახ. კომ. 1958. 17/II, 3, 9, 30).

„კასპის რაიკოოპკავშირის საწყობის გამგე ნოე ანდლულაძეს 4,974 მანეთი „შემოეხარჯა“ („კომ.“ 1950, 21/X 3,5).

„გლეხების ფული რომ შემოეჭამა, მერე ქუთაისის ურიებს მიმართა“ (გ. წერეთელი, მოთხრ. 41,12).

„დღე პატარაა, თუ არ დაუეჩქარებთ, მზის სინათლე ლაპარაკში შემოგეაქრება“ („ცისკარი“, 1958, ბ. ჩხეიძე, გვ.26).

„ამას წინათ, ამბობს ბულალგერი, ბანკის ღირექტორი შემომელანძღა“ („კომ.“ 6/X, 50,331).

„აგრონომს ხელში რაც მოხვდა, ყველაფერი შემოატყდა და შემოეფშენა“ (ს. კლდიაშვილი, კრებ. 1948, 198, 1).

„საწყალ მამაჩემს ტყის კაცს ეძახდნენ. იმაზედ ამბობდნენ, ვითომ ბატონი შემოაკედომოდეს და ტყეში ეცხოვროს ოცი წელიწადი“.

## 6. კვლავ უნებლიობის კატეგორიის შესახებ

ბ-ნმა აკაკი შანიძემ თავისი არაჩვეულებრივად ნაყოფიერი, ჩვენი ერის წინსვლისათვის დღენიდაღ ფიქრში გატარებული ცხოვრების 96-ე წლის პირველსავე დღეს, 1981 წლის 27 თებერვალს, საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა რესპუბლიკურ კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება: – „უნებლიობის კატეგორია თუ უნებლიობის ვნებითი?“<sup>1</sup>

მოხსენებაში, რომლის თეზისებიც, აგრეთვე, გამოქვეყნდა, განხილული იყო ჩემი გამოკვლევა „უნებლიობის კატეგორია ქართულ მზნაში“.

ბ-ნი აკაკი თეზისებში კატეგორიულად („სრული გაუგებრობაა, თითქოს მოქმედებითი გვარის მზნას მოეპოვებოდეს ის გაგება, რომელსაც ა. ფოცხიშვილმა „უნებლიობის კატეგორია“ დაარქვა“), ხოლო „მაცნეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ცოტა შერბილებულად („ასეთი განცხადება უთუოდ გაუგებრობის ნაყოფია“) უარყოფს იმის დაშვების შესაძლებლობას, რომ მოქმედებითი გვარის მზნას (მაგ „შემომაკლა“ ფორმას) უნებლიე მოქმედების გადმოცემის ძალა ჰქონდეს.

„ეგრე რომ იყოს საქმის ვითარება, როგორც ა. ფოცხიშვილი ფიქრობს – განაგრძობს ბ-ნი აკაკი – მაშინ გარდამავალი მზნის ყოველგვარ სამპირიან ფორმას, რომელშიც ირიბი ობიექტის პირიყ

<sup>1</sup> მოხსენების სრული ტექსტი დაიბეჭდა ჟურ. „მაცნის“ ენისა და ლიტ. სერიის 1982 წლის №4-ში.

შედის, ექნებოდა ძალა უნებლიობის გაგების გამოხატვისა (მაგ. „შემომიგანა“-ს, „გამომიგზავნა“-ს, „მომცა“-ს და სხვას) („მაცნე“, გვ.140).

ეფიქრობ, რომ ჩემი შრომიდან არ უნდა გაკეთდეს ისეთი დასკვნა, თითქოს „ყოველგვარ სამპირიან ფორმას, რომელშიც ირიბი ობიექტის პირიუ შედის“ უნდა ჰქონდეს „ძალა უნებლიობის გაგების გამოხატვისა“ და რომ ასეთი გაგება უნდა ჰქონდეს მზნებს: „შემომიგანა“, „გამომიგზავნა“, „მომცა“-ს. განა ეს მზნები შეიძლება დავაყენოთ: „შემომაკლა“, „შემომალანძლა“, „შემომაჭამა“ და სხვათა გვერდით?

„შემომიგანა“, „გამომიგზავნა“, „მომცა“ ფორმებში „მე“ ირიბი ობიექტი ვარ რეალურადაცა და ფორმალურადაც, ე.ი. „მე“ მოქმედების არც რეალური და არც ფორმალური ჩამდენი არა ვარ. თუ შეიძლება ითქვას, „მე“ უმოძრაოდ, უმოქმედოდ ვარ. ამიგომაც, სრულიად მართებულად, როგორც ლოგიკური, ისე გრამატიკული თვალსაზრისით, „მე“ წარმოდგენილი ვარ ობიექტის ნიშნით: „შემომ-ი-განა“-ს, „გამომ-ი-გზავნა“-ს, „მომ-ცა“-ს, მაშინ, როცა „შემომაკლა“, „შემომალანძლა“ და მისთ. მოქმედების ჩამდენი „მე“ ვარ რეალურად, ფორმალურად კი წარმოდგენილი ვარ მ ირიბი ობიექტის ნიშნით.

აბა, შეპირისპირებით გავაანალიზოთ ეს ფორმები:

რას ნიშნავს „გუშინ მეზობელმა თავი შემომალანძლა?“ უთუოდ იმას, რომ გუშინ მე მეზობელი გავლანძლე, მაგრამ ასეთი მოქმედების ჩადენა არ მინდოდა. მეზობლის საქციელმა, მოქმედებამ თუ ლაპარაკმა მაიძულა ჩემი ნებისა და სურვილის წინააღმდეგ ეს მომემოქმედა – იგი გამელანძლა.

ჩემი აზრით, „შემომალანძლა“ ფორმაში უთუოდ გამოსჭვივის რაღაც სინანული, თითქოსდა მობოდიშება ამ მოქმედების ჩადენის გამო, ასე რომ არა, მე პირდაპირ ვიგყოფი: „გუშინ მეზობელი გავლანძლე-მეთქი“.

რაც შეეხება, აგრეთვე, სამპირიან ფორმას, „შემომიგანა“ ზმნისა, მასში მოქმედების რეალური შემსრულებელი და ზმნის სუბიექტური ნიშნით გადმოცემული პირი ერთი და იგივეა. „მე“ ობიექტი ვარ რეალურადაც და ზმნაში გადმოცემული ფორმის თვალსაზრისითაც (შემომ-მ-ი-გან-ა). ამიტომ რადგან „მე“ საერთოდ არ ვმოქმედებ, რა თქმა უნდა, ვერც „უნებლიე მოქმედების“ ჩამდენი ვიქნები.

ბ-ნი აკაკი განაგრძობს:

„ა. ფოცხიშვილი შეცდომაში შეჰყავს, მე მგონია, ისეთ წინადადებას, როგორცაა მის მიერ „მაჰნამედან“ მოყვანილი ერთი ტაეპი: „იმან თავი შემოგვაკლა. არ გვინდოდა ჩვენის ნებით“. აქ რაკი ნათქვამია, რომ „არ გვინდოდა ჩვენის ნებით“, ა. ფოცხიშვილს ჰგონია, რომ იგი გამომდინარეობს „თავი შემოგვაკლას“ შინაარსიდან: „შესანიშნავადაა დახასიათებული ზმნით გადმოცემული მოქმედება“-ო, ამბობს იგი. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ „თავი შემოგვაკლა“-ს მსგავსად შეგვიძლია ვთქვათ: ძმა შემოგვაკლა, შვილი შემოგვაკლა, მამა შემოგვაკლა, ბიძა შემოგვაკლა და სხვა. მოყვანილი ობიექტები (ძმა, შვილი, მამა, ბიძა) ყველა პირდაპირი ობიექტია. პირდაპირი ობიექტია აგრეთვე თავიც, რომელიც ამ შემთხვევაში უკუქცევითი ნაცვალსახელის როლს ასრულებს. აქ არსად უნებლიობის გაგება არ არის წარმოდგენილი. რომ შევადგინოთ მსგავსი წინადადება, მაგ. ასეთი: იმან ქრთამი მოგვიგანა (ან: ჩვენ შემოგვძღვნა), არ გვინდოდა ჩვენის ნებით, განა „მოგვიგანა“ (ან „შემოგვძღვნა“) აქ უნებლიობის გადმოცემა იქნება? რა თქმა უნდა არა“ (გვ.140).

როგორც ქვემოთაც დავინახავთ, მე უნებლიობის კატეგორიის მაწარმოებლად მიმაჩნია „შემო“ აფიქსი. ამიტომ „მოგვიგანა“ ფორმა თავისთავად უნდა გამოირიცხოს, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უნებლიე მოქმედების გადმოცემ სამპირიან ზმნებში მოქმედების შემსრულებელი ირიბი ობიექტია: „შემოგვძღვნა“-ში კი

მოქმედებას არც ფორმალურად, არც ფაქტიურად „ჩვენ“ (ირიბი ობიექტი) არ ვიღენთ.

ამიგომ ეს მაგალითები ჩემი ღებულების დასარღვევად ვერ გამოდგებიან.

რაც შეეხება „შვილი შემოგვაკლა“, „ძმა შემოგვაკლა“, „მამა შემოგვაკლა“, „ბიძა შემოგვაკლა“ ფორმებს, მათ, თუ მართლაც არ ექნებოდათ უნებლიობის გაგება, ჩემი ღებულება იქნებ შერყეულიყო, თუმცა არ დაირღვეოდა.

ბატონი აკაკი ბრძანებს: „აქ არსად უნებლიობის გაგება არ არის წარმოდგენილი“-ო, მაგრამ ამ მოსაზრებას საბუთი არ ახლავს და, რაც მთაუარია, არც იმაზე რაიმე ნათქვამი, თუ რანაირი მოქმედება იგულისხმება ასეთ ფორმებში, რატომ სწორედ ასეთი ფორმა იხმარა ქართულმა კაცმა?

აქ აუცილებელია, მოვიგონოთ პროფ. თ. უთურგაიძის შენიშვნა, რომელიც მან გამოთქვა ბ-ნი აკაკის მოხსენები განხილვის დროს. თ. უთურგაიძემ ყურადღება მიაქცია „შემომაკლა“, „შემომახარჯა“, „შემომალანძლა“ ფორმების გვერდით „მომაკვლევინა“, „დამახარჯვინა“, „გამალანძლვინა“ და მსგავსი კაუზატური მნიშვნელობის გადმომცემი ფორმების არსებობაზე და იკითხა: „რისთვისღა დასჭირდა ენას ახალი ფორმის წარმოება, თუ მას რაიმე განსხვავებული ნიუანსის გადმოცემა არ შეეძლო?“

და მართლაც, განა „მან შვილი მოგვაკვლევინა“ და „მან შვილი შემოგვაკლა“; „მან ფული დაგვახარჯვინა“ და „მან ფული შემოგვახარჯა“ მნიშვნელობის თვალსაზრისით პარალელური ფორმებია? თუმცა მოქმედების მიმართ სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით მათ შორის მართლაც რომ სრული პარალელიზმია: „იმან შვილი მოგვაკვლევინა“ – იგი სუბიექტია, თუმცა მოქმედების რეალური შემსრულებელი ჩვენ – ირიბი ობიექტი – ვართ, ისევე როგორც „იმან შვილი შემოგვაკლაში“ „იგი“ სუბიექტია და ჩვენ მომკვლელები – ირიბი ობიექტი.

ბ-ნი აკაკი მე არ მეთანხმება, როცა „შემომაკლა“ ფორმაში უნებლიე მოქმედების (იქნებ უფრო სწორი ყოფილიყო ჩემი სურვილის გარეშე ჩადენილი მოქმედების) გაგებას ვხედავ, მაგრამ თავადაც არ ბრძანებს, რანაირი მნიშვნელობა უნდა ვიგულისხმოთ ასეთი ფორმით გადმოცემულ მოქმედებაში. და, რადგან ჩვენ ორივენი ქართველები ვართ და ქართული ენა ჩვენთვის მშობლიურია, ვის მხარესაა სიმართლე, სხეებმა უნდა გადაწყვიტონ.

ასევე, ვერ დავეთანხმებით ბ-ნი აკაკის ამჯერად, აგრეთვე, მედარებით ნაკლები კატეგორიულობით გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მე შეცდომაში „შაჰნამეში“ ნახმარ წინადადებას შევყავარ.

თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მე „შემოგვაკლა“ და მსგავსი ფორმა მანამდე არსად გამეგონა, ვიდრე მას „შაჰნამეში“ ამოვიკითხავდი, ასეთი ეჭვისათვის საფუძველი შეიძლება მართლაც ყოფილიყო, მაგრამ „შემომალანძლა“, „შემომალახა“, „შემომაუპატიურა“ (როგორც ეფემისგურად მწერალმა ნ. ღუმბაძემ გააკეთა) და მსგავსი ფორმები ხომ წამლაუწუმ ისმის ქართველის მეტყველებაში? ამიგომ უფრო უპრიანი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ მე „შაჰნამეში“ ნაპოვნმა წინადადება კი არ „შემიყენა შეცდომაში“, არამედ ის წინადადება საგანგებო ძიების შემდეგ ვიპოვე და რადგან ყველაზე უკეთ უდგებოდა ჩემს მოსაზრებას, სანიმუშოდ სწორედ ის შევარჩიე.

ბ-ნი აკაკი განაგრძობს: „ა. ფოცხიშვილს უნებლიობის კატეგორიის მაგალითად მოჰყავს კიდეც მოქმედებით გვარის ფორმა *შემოაჭამეს* („მე ჩემს გოგონას ხელუხლებლად დაუტოვე მამამისის ქონება და, თუ ნათესავეებმა *შემოაჭამეს*, რა ჩემი საქმეა“), მაგრამ, როგორც ზემოთ განემარტეთ, მოქ. გვარის ზმნას არ შეუძლია უნებლიე მოქმედების გადმოცემა“ („მაყნე“, გვ.141).

მე კი მეჩვენება, მოგანილი მაგალითი, აგრეთვე, ცხადი დამადასტურებელია იმისა, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებიც გადმო-

გვემენ ისეთ მოქმედებას, რომელი მოქმედებაც გამოწვეულია სხვის მიერ, გრამატიკული სუბიექტის მიერ (ამიგომაც მნიშვნელობის თვალსაზრისით უნებლიობის კატეგორია ზოგჯერ ჩამოპგავს შუალობით კონტაქტს). მოცემულ შემთხვევაში შეიძლებოდა გვედავა ტერმინზე, რადგან ტერმინი „უნებლიე“ იქნებ მართლაც არ ვარგოდეს. როცა საქმე ეხება ფულის დახარჯვას, მაგრამ როდის იყო ტერმინი ერთნაირად მოიყავდა ყოველ კონკრეტულ ფაქტს?

როცა ტერმინი „უნებლიე“ შევარჩიე, მე, უპირველესად, „შემომაკედა“ ზმნით გადმოცემულ მოქმედებას ეგულისხმობდი, რომლის მიმართაც ეს ტერმინი სწორედ. რომ ზედგამოჭრილია და რადგან ენაში მსგავსი მნიშვნელობები ერთი და იმავე ფორმით „შემო“ ზმნისწინით გადმოიცემოდა, როგორც ასეთ შემთხვევებში იქცევიან, მეუ ყველას ერთად „უნებლიობის კატეგორია“ ეუწოდე.

*ამრიგად, ღებულება იმის შესახებ, რომ „შემომაკედა“ ორპირიან პასიურ ფორმას გვერდით უდგას „შემომაკლა“ სამპირიანი აქტიური ფორმა (ეს უკანასკნელიც მსგავს მოქმედებას გადმოგვეცემს) ძალაში უნდა დარჩეს. მით უფრო, რომ ასეთ ამრს (ან კი სხვანაირად როგორ შეიძლებოდა) თავად ბატონი აკაკიე გვაწვდის:*

„რა ფორმაა „შემომაკედა“? კითხულობს ბატონი აკაკი და პასუხობს: როგორც აღნიშნული მაქვს „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“, ზოგიერთ ზმნას არ მოეპოვება კონვერსიული ფორმა იმავე ფუძისა, მაგრამ შეიძლება, რომ ეს ნაკლი შევსებული იქნეს სხვა ფუძის ზმნით. ერთი ასეთთაგანია „ჰკლავს“ ზმნა. თუ ის „დაკლავს“ გულისხმობს, ვნებითად „იკვლებას“ გვაძლევს, მაგრამ „მოკვლის“ შემთხვევაში ვნებითი არ იხმარება და მას „კვდება“ ენაცვლება. ამიგომ „კლავს“ და „კვდება“ ისე ეფარდებიან ერთმანეთს, როგორც სევანური ადგარ („კლავს“) და იდგარ („კვდება“) (§380). ამიგომ ცხადია, რომ „შემომაკლა“ აქტივია და „შემომაკედა“ – პასივია („მაცნე“ გვ.141).

ბ-ნი აკაკი არ ეთანხმება ჩემს მტკიცებულებას უნებლიობის კატეგორიის მაწარმოებლის თაობაზე.

„ა. ფოცხიშვილი ამტკიცებს, რომ უნებლიობის კატეგორიის მაწარმოებელია ზმნისწინი „შემო“, „სწორედ მას უნდა ეკისრებოდეს უნებლიობის კატეგორიის წარმოება, რადგან სწორედ ამ აფიქსის მიმატება აძლევს ორივე შემთხვევაში (შემო-მ-ა-კედ-ა, შემო-მ-ა-კლ-ა) ზმნას უნებლიობის მნიშვნელობას“ (გვ.154). ასეთი მტკიცება რომ საცილობელია, ეს ჩანს იქიდან, რომ მოიპოვება *შემო* ზმნისწინდართული ენებითი გვარის ზმნათა ფორმები, სადაც არავითარი უნებლიობა არა ჩანს. მაგალითებად მოვიყვანოთ ისეთი ზმნები, რომელთაც ჩვეულებრივ სხვა ზმნისწინებიც აქვთ, მაგრამ „*შემო*“-საც დაირთავენ.

და: და-მაკლდა. დახლში ფული დამაკლდა. ახალგაზრდა რომ ვიყავ, ფულს უთაებოლოდ ეხარჯაედი და მალე შემომაკლდა. „დამაკლდა“ და „შემომაკლდა“ ერთისა და იმავე მნიშვნელობის მქონეა“ („მაცნე“ გვ.142).

როგორ მკრეხელობადაც არ უნდა ჩამომართვას მკითხველმა, ბ-ნი აკაკის ამ ბოლო მოსაზრებასაც ვერ დავეთანხმები და არა როგორც ენათმეცნიერი და საკუთარი დებულებების დამცველი, არამედ როგორც ქართულ ენაზე მოლაპარაკე. და ისევ იმ საბუთით, რომ ღრმად ვარ დარწმუნებული: „დამაკლდა“ და „შემომაკლდა“ ვერც მოგანილ წინადადებაში ჩაენაცვლებიან ერთმანეთს და ვერც სხვა შემთხვევაში.

ავიღოთ ასეთი სიტუაცია: მაღაზიაში ფეხსაცმლის ყიდვა გინდოდათ. გაისინჯეთ ჯიბე და აღმოგაჩნდათ 30 მანეთი, ფეხსაცმელი 45 მანეთი ღირს. ამ დროს თქვენი ნაცნობი გამოჩნდა და შეწუხებული რომ დაგინახათ, გკითხათ: – „რას შეწუხებინართო?“ თქვენ როგორ პასუხობთ? – „ფეხსაცმლის ყიდვა მინდოდა და 15 მანეთი „*შემომაკლდა*“ თუ „*დამაკლდა*“? – რა თქმა უნდა, ფეხსაცმლის სრული ფასის გადასახდელად თქვენ თხუცმეტი მანეთი კი არ



„შემოგაკლდათ“, არამედ „დაგაკლდათ“, თუმცა ფაქტიური ვითარება მხოლოდ ერთია, თქვენ თხუცმეტი მანეთი გჭირდებათ.

სამაგიეროდ, თუ თქვენ სხვა ქალაქში შეგხვდით ნაცნობი და გეკითხებათ: „როდის ბრუნდებით სახლშიო?“ თქვენ შეიძლება ასე უპასუხოთ: „თვის ბოლომდე ვაპირებდი დარჩენას, მაგრამ ფული შემომაკლდა და ადრე უნდა წავიდე“. ამ სიტუაციაში „ფული დამაკლდა“ არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება.

თუმცა ისიც არსად მითქვამს და არც შემძლო მეთქვა, რომ „შემო“ ზმნისწინის დართვა ყველა ზმნას და ყველა ვითარებაში აძლევს უნებლიობის გაგებას-მეთქი: მე არ შეიძლებოდა არ მცოდნოდა, რომ ერთი და იგივე აფიქსი (ამ შემთხვევაში ზმნისწინი) ხშირად სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობას აძლევს ზმნებს<sup>1</sup> (მაგ., მო-ისულელებს – ცოგა სულელია; მო-იმღერის – სიმღერით მოდის) და სხვადასხვა აფიქსი (ზმნისწინი) – ერთნაირს (მაგ., მო-ისულელებს და წა-ისულელებს – ცოგა სულელია).

ასეთია ბ-ნ აკაკის შენიშვნებზე პირადად ჩემი პასუხი, მაგრამ მე მარტო არა ვარ და საინტერესო იქნებოდა, ალბათ, სხვების ამრის მოსმენაც.

1980 წელს კრებულში „თანამედროვე მოგადი ენათმეცნიერების საკითხები“-V ტ. დაიბეჭდა მ. მაჭავარიანის წერილი „რეფლექსივისა და ქცევის კატეგორიის მიმართებისათვის“. წერილში ჩეხური ენის ერთ-ერთი წინადადების ქართულ შესატყვისად მ. მაჭავარიანი გვაწვდის „კაბა შემომეხა“-ს და სქოლიოში მიუთითებს:

<sup>1</sup> იგივე უნდა ეუპასუხო ქალბატონ მერი დამენიას შენიშვნასაც, რომელიც გამოთქმული აქვს წიგნში – „ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები“, თბ., 1982წ. გვ.86-87. ის ფაქტი, რომ უნებლიე მოქმედების მინაარსი სხვა ფორმითაც იქნა გადმოცემული, მაგ.: „მი-მაღულა“, „და-მესწავლა“, „გამიფარდა“, ანდა „შემო“- ზმნისწინიანი ფორმები ვერ აწარმოებენ „უნებლიობას“: „შემო-ამტვრია“, „შემო-ინახა“- რა თქმა უნდა, ვერ აბათილებს დებულებას იმის თაობაზე, რომ ჩემ მიერ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში უნებლიობის მაწარმოებელი „შემო“- ზმნისწინია.

„ქ. ლომთათიძემ მიაქცია ჩვენი ყურადღება იმ ფაქტს, რომ უნებლიობის გამომხატველი ზმნები, როგორც წესი, ქართულში ირთავენ ზმნისწინ „შემო-ს“ (გვერდი 105, ხაზი ჩემი – ა.ფ.).

ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს იმას, იცნობდა თუ არა ქ-ნი ქეთევანი ჩემს მოსაზრებას, მთავარია ის, რომ იგი დარწმუნებულია: *უნებლიე მოქმედების გადმოსაცემად აუცილებელია „შემო“ ზმნისწინის დართვა, რასაც უყოყმანოდ იზიარებს მ. მაჭავარიანი.*

ამას გარდა, ჩემს შრომაზე, როგორც თავად ბატონი აკაკი აღნიშნავს, მიუთითებს *ჰანს ფოგტი*, შრომა გამოყენებული და მითითებული აქვთ: *ბ. ჯორბენაძეს, ნ. ჭანიშვილს*. შრომას იცნობს *ეინფრიდ ბოდერიც* და არც ერთ მათგანს შრომაში წამოყენებული არც ერთი ჩემი დებულება საკამათოდ არ გაუხდია – ესეუ მაგულიანებს, მტკიცედ ვიღგე ჩემს პოზიციებზე. თუმცა როგორც შრომაში ეწერ: „რა თქმა უნდა, შემდგომი კვლევა-ძიება ამ კატეგორიას უფრო დახეწილ და ჩამოყალიბებულ სახეს მისცემს“.

ახლა უნებლიობის კატეგორიის ადგილის შესახებ გრამატიკაში.

ბ-ნი აკაკი, რა თქმა უნდა, არ უარყოფს იმას, რომ ქართული ზმნის სტრუქტურაში მიღებულია უნებლიე მოქმედების გადმომცემი ფორმები, მაგრამ, მისი აზრით, საქმე გვაქვს არა ცალკე კატეგორიასთან, არამედ, დინამიკური ვნებითი გვარის ერთ-ერთ ნიუანსთან მსგავსად *შესაძლებლობის, მიჩნევისა და გუნების* ვნებითებისა.

კატეგორიის არსებობა ბ-მა აკაკიმ გამოორიცხა იმ საბუთით, რომ როგორც დაეინახეთ, უარყო მოქმედებითი გვარის ზმნებში უნებლიობის გაგება, უარყო ამ კატეგორიის მაწარმოებლად „შემო“- ზმნისწინის გულვება და განაცხადა, ასეთი ე.ი. უნებლიობის მნიშვნელობის გაგება, „ათიოდე ზმნას“ აქვსო.

ჩემი აზრით, საქმის ვითარება მთლად ასე არაა.

მე სახელდახელოდ 22 ზმნა დაეძებნე, რომელთაც ეს ფორმა ეწარმოებათ და რაც მთავარია, მკაფიოდ გამოხატული დაპირისპირებით – აქტივი // პასივი.

აი ეს ზმნებიც:

*ენ. გვარი*

შემომაკვლა

შემომეჭამა

შემომეხარჯა

შემომეტყვიპა(ბ-ნი აკაკის მაგალითია)

შემომესვა

შემომეპარსა

შემომეთათხა

შემომეყევა •

„შემომეუპატიურა“

შემომეჭყლიტა

შემომემსხერა

შემომეთალა

შემომეთეთქვა

შემომეხვრიპა

შემომეფშენა

შემომემტვრა

შემომატყლა

შემომასკლა

შემომეკრიტა

შემომელახა

შემომეჩიჩქვა

შემომელანძლა

*მოქ. გვარი*

შემომაკლა

შემომეჭამა

შემომეხარჯა

შემომეტყვიპა

შემომასვა

შემომეპარსა

შემომათათხა ჯ

შემომეყევა

„შემომეუპატიურა“

შემომეჭყლიტა

შემომემსხვრია

შემომეთალა

შემომეთეთქვა

შემომეხვრია

შემომეფშენა

შემომემტვრია

შემომატყხა

შემომეხეთქა

(ღიალექტური

შემომასკლიცა)

შემომეკრიტა

შემომელახა

შემომეჩიჩქვა

შემომელანძლა

შემომაცვდა	შემომაციტა
შემომეგლიჯა	შემომაგლიჯა
შემომეხა	შემომახია
შემომადნა	შემომადნო
შემომექო <sup>1</sup>	შემომაქო

რადგან უნებლიობის კატეგორიას „შემო“ გმნისწინი აწარმოებს, მას შენარჩუნებული აქვს გმნისწინისათვის დამახასიათებელი ის თვისება, რომ ვერ აწარმოებს აწმყოს მწკრივებს, სამაგიეროდ, სრულად თავისუფლად აწარმოებს სხვა რვა მწკრივს: მყოფადს, ხოლმეობითს, მომ.-ის კავშირებითს, წყვეტილს, წყევ.-ის კავშირებითს, I თურმეობითს, II თურმეობითს და თურ.-ის კავშირებითს – სუბიექტურ-ობიექტური პირების მონაცულებით.

ახლა გავსინჯოთ, რას წარმოადგენენ შესაძლებლობის, მიჩნევისა და გუნების ვნებითები?

მათ საკუთარი მაწარმოებლები არა აქვთ: *მ-ე-ჭმე-ბა*, *მ-ე-სმე-ბა* (შესაძლებლობის), *მ-ე-ყოტავება*, *მ-ე-ქატარავება* (მიჩნევის), *მ-ე-მღერება*, *მ-ე-გირება* (გუნების) ისეთივე ყალიბით იწარმოებიან, როგორითაც ჩვეულებრივი ვნებითები: *მ-ე-ზრდება*, *მ-ე-ხატება*.

რა თქმა უნდა, არცერთ მათგანს არა აქვთ საპირისპირო აქტივი: არ ითქმის „მაჭმევს“, „მაქატარავენს“, „მაგირებს“ – უფრო სწორად, ასეთი ფორმები ენას აქვს, მაგრამ ისინი სულ სხვა მნიშვნელობას გადმოგეცემენ და ამიტომ აღნიშნულ ვნებითთა კონვერსიულ ფორმებად არ ითვლებიან. ამას გარდა, ეს ვნებითები მხოლოდ აწმყოს მწკრივებს აწარმოებენ, გამონაკლისს წარმოადგენენ მიჩნევის ვნებითები, რომელთაც ზოგჯერ ეწარმოებათ II სერიის მწკრივებიც.

მამასადამე, ერთი მხრით, გვაქვს გმნები, რომლებიც სხვა ვნებითებისაგან ფორმით არ განსხვავდებიან, აწარმოებენ ძირითა-

<sup>1</sup> „ლიტერატურული საქართველო“, 1987წ. 11.09. გვ.13.

დად მხოლოდ აწმყოს მწკრივებს მხოლოდ პასივში და, მეორე მხრით, გვაქვს ზმნები, რომელთაც აქვთ საკუთარი მაწარმოებელი, აწარმოებენ რვა მწკრივს და თავისუფლად გვიჩვენებენ აქტიურ-პასიურ დაპირისპირებას.

შეიძლება ზმნათა ამ ჯგუფების ერთიმეორის გვერდით მოთავსება?

უფიქრობთ, არა.

ამიგომ, რადგან თავად ბ-ნი აკაკი გვასწავლის, რომ „ყოველგვარი გრამატიკული კატეგორია საპირისპირო ფორმათა ნიადაგზეა ჩამოყალიბებული (საფუძელები. 1973წ., გვ314). მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა უნებლიობის ვნებითან, არამედ უნებლიობის კატეგორიასთან.

აქ შეიძლებოდა დაგვემთავრებინა, მაგრამ პასუხს მოითხოვს ბ-ნი აკაკის სრულიად მართებული შენიშვნა: „ა. ფოცხიშვილს ვერც იმაში დავეთანხმებით, რომ ვნებითი გვარის ფორმა შემოგვაქრება იყოს უნებლიე მოქმედების გამოშხაგველი (ამ ფრაზიდან: „დღე პატარაა. თუ არ დავუჩქარებთ, მზის სინათლე ლაპარაკში შემოგვაქრება – ბ. ჩხეიძე, ცისკარი, 1958, გვ26).

როგორც მკითხველიც შეამჩნევდა, ზემოთმოტანილ სიაში მე ეს ზმნა აღარ შევიგანე სწორედ იმიგომ, რომ იგი არ პასუხობს უნებლიობის კატეგორიის ჩემსავე განსაზღვრას, რომლისთვისაც ძირითადია ის, რომ „მე“ ირიბი ობიექტი, მოქმედების რეალური შემსრულებელი ვარ. რა თქმა უნდა, თუ მზის სინათლე „შემოგვაქრება“, ჩვენ („მე“-ს ფარდი სიგყვა) არაერთიანი მოქმედების შემსრულებელი არა ვართ.

მაგრამ სიაში შევიგანე სიგყვები: შემომავჯა, შემომაცვდა, შემომადნა, რომლებიც ერთი შეხედვით, აგრეთვე, ეწინააღმდეგებიან ჩემსავე მოსაზრებას და საკითხავია, ვერ ვხედავ მე ამ „წინააღმდეგობას“?

რა თქმა უნდა, ვხედავ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ზმნებით გადმოცემული მოქმედების ხასიათი ძალიან ჰგავს უნებლიე მოქმედებას,

ფორმით (შემო- აწარმოებს ამათაც) ხომ ემთხვევიან და ემთხვევიან ერთმანეთს.

აი, რანაირი შინაარსი მაქვს მხედველობაში:

ქუჩაში მოულოდნელად წააწყდით თქვენს ნაცნობს, რომელსაც ხელში ნახევრადდამღნარი ნაყინის გუნდა უჭირავს და თავად არ იყის, რა უქნას.

დაგინახათ თუ არა, თითქოს თავი გაიმართლაო, გეუბნებათ:

„— გასტრონომში ნაყინი ვიყიდე, როგორც ჩანს, მაცივარში არ ედოთ და ისე შემომადნა ხელში, ჭამაც ვერ მოვასწარიო“.

სხვა ნაცნობმა ასეთი ისტორია მოგიტხროთ:

„— გუშინ ერთი ნაჭერი ხელოვნური ტყავი ვიყიდე. ვთქვი, სამაგრეს გაეუსინჯაჲ-მეთქი და გაექაჩ-გამოექაჩე. ეს ჩემი, ძლივს ნაშოფნი ტყავი, ისე შემომაგჯა ხელში, რომ ნაკუწიც არ დამრჩაო“.

რანაირი მოქმედებებია „შემომადნა“, „შემომაგჯა“?

ასეთ მოქმედებას, ალბათ, უნებლიეს ვერ დავარქმევთ; უკეთესი იქნება, „მოულოდნელი“ ეუწოდოთ, მაგრამ, რადგან მათაც „შემო“ აწარმოებს და „მოულოდნელ“ მოქმედებაშიც „უნებლიობის“ ნიუანსი ჩანს (ამას გარდა, მათ შესანიშნავად ეწარმოებათ აქტიუპასივი), ვფიქრობ, მათ უნებლიობის კატეგორიაში გაერთიანება სავსებით შესაძლებელია.

დაბოლოს, გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ბ-ნ აკაკის, იმ დიდი ყურადღებისათვის, რაც მან, საკუთარ უმნიშვნელოვანეს გამოკვლევებზე მუშაობით ასე დაკავებულმა, ჩემი შრომისადმი გამოიჩინა.

დაე, ეს იყოს შესანიშნავი მაგალითი ყოველი ჩვენთაგანისთვის.

**ნუ ავეულით გვერდს ჩვენი კოლეგების გამოკვლევებს!**

პირუთვნელად ვუთხრათ მათ ჩვენი ამრი — დადებითიცა და უარყოფითიც — ამით, უპირველესად, მოიგებს თავად ავტორი, მერე კი — მეცნიერება!

## 7. მოჩვენებითობის ლექსიკურ-გრაფიკული კატეგორია ქართულ გენაში

ქართული გენის სისტემაში გამოიყოფა საკმაოდ დიდი ჯგუფი სახელგმნურ ფუძეთაგან ნაწარმოები ფორმებისა, რომელთაც მოქმედება-მდგომარეობის გადმომცემი მეტად თავისებური შინაარსი ახლავთ – მხედველობაში გვაქვს ფორმები: „მო-ი-ავადმყოფა თავი“, „მო-ი-სულელა თავი“, „მო-ი-მძინარა თავი“ და სხვა. მათი მნიშვნელობა შეიძლება ასე განისაზღვროს: *თუ პირი მოლაპარაკეა (პირველია), იგი თავისთავს მიაწერს ისეთ მდგომარეობაში ყოფნას, რაც გმნის ფუძეში ჩაქსოვილი მნიშვნელობის სიმულაციაა* – „მო-ი-მძინარე თავი“ ნიშნავს, რომ სინამდვილეში არ მეძინა, ასეთ მდგომარეობაში მყოფად თავი სხვებს ვაჩვენე, რაღაც მიზეზისა თუ მიზნის გამო. ასევე გაიგება მდგომარეობა, რომელსაც მოლაპარაკე პირი II-ს ან III პირს მიაწერს („მო-ი-მძინარე“, „მო-ი-მძინარა“). მოლაპარაკე თავიდანვე გვაფრთხილებს, რომ მოქმედება-მდგომარეობის აგენტმა თავი მოგვაჩვენა ისეთ ყოფაში, რაშიაც იგი სინამდვილეში არ იყო.

ამ ენობრივი ფენომენის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ 1976 წლის 22 მაისს მოვახსენეთ ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 42-ე სამეცნიერო კონფერენციას (1,13)... მაშინ მას „მოჩვენებითობის კატეგორია“ ვუწოდეთ. უფრო გვიან რესპუბლიკის ქართული ენის კათედრათა IX სამეცნიერო კონფერენციაზე კი – „მოჩვენებითობის სემანტიკური ველის“ სახელით

მოვიხსენიეთ (2,50-51). ბოლო დროის კვლევამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ იგი „სემანტიკურ ელემენტ“ მეტია, რადგან საკუთარი მორწორებითი მანქანითი აქვს და მზერი წარმოების გარკვეულ მოდელს ექვემდებარება.

1. შორმის წარმოება. მოჩვენებითობის იერის მქონე მზებს ეწარმოებათ ყველა მწკრივი, ოღონდ სხვა ორპირიანი გარდამავალი ფორმებისაგან განსხვავებით, უსრული ასპექტის ფორმები არა აქვთ. შეიძლება: „მო-მთერალა თავი“, „მო-უმთერალეზია თავი“, მაგრამ არ შეიძლება „მ-მთერალა-თავი“, „უმთერალეზია თავი“. ამ მხრივ მოჩვენებითობის კატეგორია ძალიან ჰგავს „უნებლიობის კატეგორიას“ (5,152-56; 6,5-10; 7,13); გვაქვს: „შემო-ულანძლა“, „შემო-უჭამა“, მაგრამ არა გვაქვს: „ულანძლა“, „უჭამა“; უფრო სწორად, ასეთი ფორმები კი გვაქვს, მაგრამ ისინი უნებლიობის მნიშვნელობას ვერ აწარმოებენ.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უნებლიობის კატეგორიისაგან განსხვავებით, მოჩვენებითობის კატეგორიას აწმყოს მწკრივის ფორმები ეწარმოებათ („მ-მძინარებს თავს“, „მ-მთერალებს თავს“ მოჩვენებითობის გადმოცემი ფორმებია).

მამასაღამე, ერთი მხრით, გვაქვს I სერიის მყოფადის წრისა და II-III სერიის მწკრივები, რომლებიც აუცილებლობით მოითხოვენ „მო“ მზნისწინის დართვას. მათ გვერდში უდგანან სახელმზნებიც („თავის მო-მთერალეზა“, „თავის მო-მძინარეზა“, „თავ-მო-მთერალეზული“, „თავ-მო-მძინარეზული“, ერთადერთი ფორმებია ქართულში), რაც იმის მამკიცებლად უნდა გამომდგარიყო, რომ „მო“ მზნისწინი აწარმოებს ამ კატეგორიას, მაგრამ, მეორე მხრით, გვაქვს უმზნისწინო ფორმებიც, რაც ასეთ დასკვნას ეჭვს ქვეშ აყენებს.

ამათ გარდა, არის კიდევ ერთი ენობრივი ნიშანი, რომლის არსებობაც აუცილებელია მოჩვენებითობის კატეგორიის რეალიზაციისათვის – ესაა უკუქვეითი ნაცვალსახელი „თავი“. იგი განუყრელი თანმზლებია მოჩვენებითობის კატეგორიისა მაშინაც, როცა



გმნური ფორმები „მო“ გმნისწინის გარეშეა წარმოდგენილი („ომთერალებს თავს“, „ომპინარებს თავს“) და მაშინაც, როცა „მო“ გმნისწინიცა გვაქვს და „ი“ პრეფიქსიც („მო-ი-კოჭლა თავი“, „მო-ი-აუადმყოფა თავი“) და მაშინაც, როცა სახელგმნურ ფორმებს („მომთერალება თავის“, „თავის მო-ბრუსიანება“; „თავმომპინარებული“, „თავმომთერალებული“) მხოლოდ „მო“ გმნისწინი აწარმოებს.

ერთი სიგყვით, მოჩვენებითობის კატეგორიის საწარმოებლად საჭიროა გარკვეულ ფუძეს ახლდეს „მო“, „ი“ და „თავი“ ასეთი განაწილებით:

- |  |             |        |
|--|-------------|--------|
| 1. აწმყოს მწკრივები:                             | მ+ი+ ფუძე + | } თავი |
| 2. მომავლის წრისა და<br>II-III სერიის მწკრივები: | მო+ი+ფუძე + |        |
| 3. სახელგმნები:                                  | მო+მ+ფუძე + |        |

როგორც ვხედავთ, ორი არამუდმივი მორფოლოგიური ნიშნის („მო“-სა და „ი“-ს) გვერდით წარმოდგენილია ორი მუდმივი ლექსიკური „ნიშანი“ (ორი ლექსიკური ერთეული): „ფუძე“, რომელთანაც დაკავშირებულია ამა თუ იმ სიგყვის კონკრეტული მნიშვნელობა („მო-ი-მთერალა“ –სათვის – თრობა, ალკოპოლის მიღება; „მო-ი-მპინარა“ –სათვის – ძილი) და „თავი“, რომელსაც მორფო-სინტაქსური ფუნქცია ეკისრება – გადმოგვემს, რომ მოქმედების რეფერენტი (ობიექტი) იგივე სუბიექტია (აგენტია).

რადგან მოჩვენებითობის კატეგორიისათვის საერთო და მუდმივი მნიშვნელობა მოქმედების სიმულაციაა, ლოგიკური იქნებოდა, გვეფიქრა: სწორედ შემთ ნაჩვენები მუდმივი „ნიშნებია“ („ფუძე“+„თავი“) ის მაწარმოებლები, რომელთაც გმნაში მოჩვენებითობის მნიშვნელობა შეაქვთ. მაგრამ ასეთი დასკვნა ჭეშმარიტი არ იქნება, რადგან ფუძესთან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაკავშირებულია კონკრეტული მნიშვნელობა, ჩვენ კი გვჭირდება დაქებნოთ იმ აბსტრაქტული მნიშვნელობის მაწარმოებლები,

რომლებიც ამ ფუძეებს ერთ კატეგორიაში აქცევენ, ე.ი. ის, რაც მნიშვნელობის პლანში საერთო აქვთ: „მო-ი-მძინარა თავი“, „მო-ი-აჟადმყოფა თავი“ და მსგავს ფორმებს.

ე.ი. კონკრეტული ფუძე გამოირიცხა. იქნებ „თავია“ მოჩვენებითობის ნიუანსის შემტანი წარმოდგენილ ზმნათა მნიშვნელობაში? ის ფაქტი, რომ ამ სიტყვაფორმებს „თავი“ აუცილებლად ახლავთ, ბევრის მთქმელია; მისი მონაწილეობა ამ შინაარსობლივი განკერძოებულობის შექმნაში უეჭველია, მაგრამ ისიც ღირსსაცნობია, რომ მოჩვენებითობის ნიუანსს იგი ვერ ქმნის, რასაც ადასტურებს მეტად დიდი რაოდენობა ზმნებისა, რომელთაც, აგრეთვე, ახლავთ „თავი“, მაგრამ ზმნა-შემასმენლის მიერ გადმოცემული მოქმედება სიმულაციას არ გულისხმობს; „ე-ი-კლავ თავს“, „ე-ი-რწმუნებ თავს“, „ე-ი-ლამაზებ თავს“ და სხვა.

ახლა იმ „არამუდმივი“ მაწარმოებლების ფუნქციებიც გავსინჯოთ, რომლებიც იშვიათი გამონაკლისის გარდა ამ ზმნურ ფორმათა წარმოებაში უცვლელად მონაწილეობენ.

დავიწყოთ „ი“ მორფემით:

თანამედროვე ენათმეცნიერული ე.წ. რანგობრივი თეორიის მიხედვით, ყოველ აფიქსს ენაში სინგაგმატიკური თანმიმდევრობის მიხედვით გარკვეული ადგილი უკავია, რაც, რასაკვირველია, პარალიტმატული სრული დახასიათებისათვის არ კმარა, მაგრამ ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ზმნაში მორფემები ფუძის ირგვლივ ირი მიმართულებით ლაგდებიან: მარცხნივ ადგილს იკავებენ პრეფიქსული მორფემები, ხოლო მარჯვნივ – სუფიქსური. ყოველ მორფემას ფუძესთან მიმართებით აქვს წინასწარგანკუთვნილი ადგილი, რომლის შეცვლა აკრძალულია. როგორც მ. დამენიამ გამოარკვია (8,144-46), ფუძის მარცხნივ (ე.ი. პრეფიქსთაგან) მასთან უშუალო მეზობლობაში რანგობრივად იმყოფებიან გვარისა და ქცევის აღმნიშვნელი მორფემები. ჩვენს შემთხვევაში („მო-ე-ი-მძინარე თავი“, „მო-ე-ი-სულელე თავი“) ფუძესთან უშუალო მეზობლობაში „ი“

პრეფიქსია, ე.ი. ის უნდა იყოს ან გვარის მაწარმოებელი, ან – ქვევისა. რადგან მოჩვენებითობის ფორმები ორპირიანია და გარდამავალი, იგულისხმება, საქმე გვაქვს მოქმედებითი გვარის ფორმებთან, რომლებსაც საკუთარი მარკერი არა აქვთ. მაშასადამე, „ი“ პრეფიქსი გადმოგვემს ქვევას და ეს ქვევა, აგრეთვე, ცნობილი პირობების გამო (ორპირიანი გარდამავალი ზმნისათვის), მხოლოდ სათავისოა, ხოლო თუ უფრო დაეაკონკრეტებდით, გადმოგვემს უკუქვევითობას (რეფლექსიეს).

ამ ბოლო დროს უკუქვევითობის (რეფლექსიის) კატეგორიაზე ხშირად შეხედებით მსჯელობას (9,104-23; 10,39-65; 19, 132-145; 12,76-82; 13,106-142; 14,233-240).

აგორები სამართლიანად მიიჩნევენ სათავისო ქვევას უკუქვევითი კატეგორიის ფორმად. თუმცა, ალბათ, ძნელია დაეთანხმო მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, თუ „ი“ პრეფიქსიანი ყველა ფორმა უკუქვევითობის კატეგორიაში ერთნაირად შემოვა („ი-შენებს“, „ი-კბინება“, „ი-ქანგება“, „ი-ზრდება“ და მისთანანი) ძალიან ძნელი იქნება (თუ საერთოდ მოხერხდება) უკუქვევითობის სტატუსის დადგენა.

ჩვენი აზრით, უმართებულოა ერთიმეორის გვერდით დაეაყნოთ, ერთი მხრით: „ვ-ი-შენებს სახლს“ და მეორე მხრით: „ვ-ი-რწმუნებს თავს“ ან „ვ-ი-მძინარებს თავს“. პირველ შემთხვევაში ჩემი მოქმედება გამოსულია გარეთ, მისი პროცესი და შედეგი საჯაროა და გამოგანილი. ასეთი მოქმედება არაფრით არაა განსხვავებული ისეთისაგან, რომელსაც „ვ-უ-შენებს“ ფორმით აღვნიშნავთ, რადგან ჩემი მოქმედება აქაც სხვა (ჩემს გარეთ მდებარე) ობიექტზე გადადის; რაც შეეხება ფორმას „ვ-ი-რწმუნებს თავს“, „ვ-ი-კლავ თავს“, ჩემი მძღელობა-მოქმედება მევე მიბრუნდება, მოქმედი და სამოქმედო (აგენტი და პაციენტი) ერთი და იგივე პირი ვარ, იგი სხვებისათვის ხელშეუხებელია და მეტწილ – უხილავი.

ერთი სიკვებით, მოქმედი და სამოქმედო პირების ურთიერთობის თვალსაზრისით „ა-ვ-ი-შენე სახლი“ და „გა-ვ-ი-მათრახე თავი“ ერთი-მეორის გვერდით ვერ დადგებოდა, ორივე ერთი კატეგორიის – რეფლექსივის ფორმა ვერ იქნებოდა.

აქ არ გვაქვს შესაძლებლობა, უფრო დაწვრილებით შევეხოთ რეფლექსივის განსაზღვრას ან იმის დადგენას, თუ რომელი ფორმები და მაწარმოებლები ჩავთვალოთ ამ კატეგორიის კუთვნილებად და რომელი არა. ვიტყვიტ მხოლოდ იმას, რომ ქართულისათვის ყველაზე უპრიანი იქნებოდა უკუქცევეითობის ფარგლები შემოგვე-საზღვრა იმ ფორმებით, რომლებიც გადმოგვეცემენ სუბიექტის (აგენ-ტის) საკუთარ „თავზე“ ან „თავისთავზე“ მოქმედებას, როცა აგენტი იგივე რეფერენცია ან მისი ნაწილია. ასევე რეფერენტი (ობიექტი), როგორც წესი, პირდაპირია და გამოხატულია „თავი“ უკუქცევეითი ნაცვალსახელით ან ამავე ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, თუ მოქმედება აგენტის სხეულის ნაწილზე გადადის.

უკუქცევეითობის ეს „კლასიკური ტიპის ფორმები“, როგორც მას მ. მაჭავარიანმა უწოდა (9,118), ქართულში შეიძლებოდა ცალკე გამოგვეყო „თავისობის კატეგორიის“ სახელწოდებით (2,50-51). სწო-რედ ამ კატეგორიის – „თავისობის კატეგორიის“ – უთვალსაზრისო გამოხატულებაა „მოჩვენებითობაც“, რადგან „თავი“ – რეფერენტის არსებობას მოჩვენებითობის შინაარსი აუცილებლობით მოითხოვს.

ახლა თუ ისევ „ი“ პრეფიქსის ფუნქციის კვლევას დავეუბრუნდე-ბით, ამკარაა, რომ ფორმაში „ვ-ი-მძინარე თავს“ იგი თავისობის კატეგორიას აწარმოებს. მისი რეფერენტი წინადადებაში „თავია“, ისე, როგორც ფორმებში „ვ-ი-რწმუნებ თავს“, „ვ-ი-ლამაზებ თავს“. მამასადამე, მოჩვენებითობის მნიშვნელობა მისთვის რელევანტური ვერ იქნებოდა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ სახელმძნებიც, რომ-ლებიც, როგორც უკვე ვთქვით, მოჩვენებითობას აწარმოებენ, მაგ-რამ „ი“ პრეფიქსს არ დაირთავენ.

აქ შეიძლება გვითხრან, რომ ქცევის მაწარმოებლები სახელმძღვანელებში საერთოდ არა გვაქვს ქართულში და მოცემული მაგალითიც ამ წესის დაცვააო. საქმეც ის არის, რომ ქცევის (თუ ამჯერად, უკუქცევითობის) მაწარმოებლები არ გადააკყვებათ სახელმძღვანელთა წარმოებას და ისინი ქცევას ვერც გაარჩევენ.

აქედან უნდა გაკეთდეს ცალსახა დასკვნა: „ი“ პრეფიქსი მოჩვენებითობის კატეგორიის თანმხლებია, მაგრამ მაწარმოებელი არაა. იგი, ძირითადად, უკუქცევითობის (რეფლექსივის) მაწარმოებელია და „თავი“ ნაცვალსახელის აქტანტი მზნაში.

დაგერჩა „მო“ ზმნისწინი.

„მო“ – წინსართი (პრეფერბი) ზმნისა ჩვეულებრივ აღნიშნავს: 1. მიმართულებას აქეთ (საპირისპირო მი-); 2. ზმნის უსრული სახის ფორმას აქცევს სრული სახისად (ქსოვა, მო-ქსოვა); 3. აწმყოს ფორმას აძლევს მყოფადის მნიშვნელობას (ხეს ჭრის, მო-ჭრის); 4. ზოგჯერ ზმნას უცვლის მნიშვნელობას (მო-ხვდა, მი-ხვდა, და-ხვდა)“ (ქგლ, ტ.V).

ამ ზოგადი მნიშვნელობისათვის შეგვეძლო დაგვემატებინა: 1. „მო“ ზმნისწინი აღნიშნავს რისამე ირგვლივ მოქმედებას (მო-აყარა, მო-არტყა ღობე ეზოს) (15,102); 2. მოძრაობის პროცესში მიმდინარე მოქმედებას (მო-იმღერის, მო-თამაშობს) (17,83); 3. ზედაპირზე მოქმედებას (მო-ათბო, მო-ასებადა) (17,262); 5. ამათ უნდა დაუემატოთ მოქმედება – მდგომარეობის ერთობლიობის გადმოცემა (მო-იაგარაკა, მო-იქორწილა, მო-იმოსკოვა), კერძოდ, ისეთი მოქმედებისა, რაც გულისხმობს მოქმედებათა სხვადასხვა სახის გაერთიანებას გარკვეული დროისა და სივრცის ფარგლებში – „როგორ მოიაგარაკეო?“, როცა გვეკითხებიან, გულისხმობენ: დასვენებას, მკურნალობას, დროს გაგარებას...

ახლა თუ შევაჯამებთ „მო“ ზმნისწინის ფუნქციებზე ნათქვამს, გვექნება:

**მოგადი ხასიათისა:**

1. მიმართულების წარმოება
2. აწმყოდან მყოჟადის წარმოება
3. უსრული ასტეკიდან სრულის წარმოება
4. ზმნის მნიშვნელობის ცვლა

**კერძო ხასიათისა:**

1. ირგვლივი მოქმედება
2. ზედაპირზე მოქმედება
3. მოქმედების ოდნაობა
4. ზმნის ფუბით გადმოცემულ მოქმედებათა ერთობლიობა

სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „მო“ ზმნისწინის აქ ჩამოთვლილ ფუნქციათაგან მოჩვენებითობის მნიშვნელობას არც ერთი არ იძლევა, ამავე დროს ისიც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ისაა („მო“ ზმნისწინია) ერთ-ერთი ფორმალური მაწარმოებელი ამ თავისებური მნიშვნელობისა.

ასეთი დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს უპირველესად ყოფილი: 1. ის, რომ საანალიზო ზმნებში მას არც ერთი აქ ჩამოთვლილი ფუნქციის გადმოცემა არ ეკისრება და, თუ მოჩვენებითობის მაწარმოებლად არ მივიჩნევთ, საერთოდ უფუნქციოდ დაგვრჩება, რაც დაუშვებელია. 2. „მო“-სთვის მოჩვენებითობის ფუნქციის მიკუთვნების სასარგებლოდ მეტყველებენ სახელმზნური ფორმებიც, რომლებიც სწორედ ამ მორფემის წყალობით გადმოგვცემენ სათანადო მნიშვნელობას.

თუმცა, როგორც ვთქვით, არის ერთი დაბრკოლება, რომელსაც ახსნა ესაჭიროება: მოჩვენებითობის კატეგორიას ეწარმოება აწმყოს მწკრივები: „ი-მთერალებს თავს“, „ი-მძინარებს თავს“ („...ბატუ ყოველ დილით ამ სიციფებით დგებოდა საწოლიდან, როცა კუსას ეძინა ან თავს იმძინარებდა“ (18,282), ან უნდა დავეუვათ, რომ აღნიშნული ფორმები მოჩვენებითობას ვერ აწარმოებენ, ან უარი უნდა ვთქვათ იმის მტკიცებაზე, რომ მოჩვენებითობის შინაარსს მხოლოდ „მო“ ზმნისწინის დართვა აძლევს ზმნას.

პირველი დაშვება გამორიცხულია, რადგან ქაროული ენობრივი მონაცემები აშკარად ამტკიცებენ, რომ აწმყოს მწკრ. კის ფორმები,

მართალია, „მო“ გმნისწინს არ დაირთავენ, მაგრამ მოჩვენებითობის შინაარსს მაინც გვიჩვენებენ. უფრო ზუსტი იქნებოდა თუ ვიცოდით, „მო“ გმნისწინს დაირთავენ, მაგრამ სხვა მნიშვნელობას გადმოგვცემენ, და, ჩვენი აზრით, ანომალიის საფუძველიც იმ ფორმების არსებობაში უნდა ვეძიოთ.


ცნობილია, რომ ქართულში ჩვეულებრივია ფორმები: „მო-ოსულელებს“, „მო-ი-კოჭლებს“, „მო-ი-ლამაზებს“ სწორედ აწმყოს მნიშვნელობით. რას გადმოგვცემენ ისინი? მოქმედება-მდგომარეობის ოდნაობას, ცოტაობას, ე.ი. ოდნავ სულელია, ცოტა კოჭლია, ცოტა ლამაზია, ანუ მო-სულელო არის, მო-ლამაზო არის, მო-კოჭლო არის. ახლა ძნელი სათქმელია, რომელი ფორმებია აღრინდელი: მო-ოსულელებს თუ მო-სულელო და არის თუ არა მათი საერთო მაწარმოებელი „მო“ ერთი და იგივე მორფემა... ფაქტი ისაა, რომ აწმყოს მწკრივებში „მო“ გმნისწინიანი ფორმები გვაქვს, ოღონდ ერთპირიანი მედიოაქტივების სტაგუსით, რომელთაც არც ახლავთ და რომლებიც არც საჭიროებენ „თავი“ ნაცვალსახელის ხლებას.

იქნებ, სწორედ, გარეგნულად პარალელური, ომონიმური ფორმების არსებობას მოერიდა ენა და მოჩვენებითობის გადმოსაცემად უგმნისწინო ყალიბი ირჩია, მით უფრო, რომ „თავი“ ნაცვალსახელის ხლება მაინც აუცილებელი იყო და ამ თავისებური შინაარსის გადმოცემა მას დაეკისრა?.. როგორც არ უნდა იყოს, ფაქტი ერთია: აწმყოს წრის მწკრივებში მოჩვენებითობის შინაარსის გადმოცემას „ი“ პრეფიქსი და „თავი“ ნაცვალსახელი კისრულობენ, რაც გვაიძულებს ვთქვათ, რომ მცირე, იქნებ, უმნიშვნელო, მაგრამ მოჩვენებითობის მნიშვნელობის გადმოცემაში მათაც უღვეთ რაღაც წილი.

2. უპიის წარმოშობა. ჩვენ დასაწყისში გაკერით ვახსენეთ ფუძე და ვთქვით, რომ იგი სახელური წარმოშობისაა. ახლა უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ამ საკითხზე. სახელურში ვიგულისხმებთ საერთოდ ის ნიშან-თვისებები, რომლებითაც სახელგმნელები ერთიანდებიან სახელის კატეგორიაში, თორემ, თუ კონკრეტულად მოჩვენე-

ბითობის კატეგორიის მაწარმოებელ ფუძეებს ვიგულისხმებთ, უნდა გვეთქვა: ეს ფუძეები წარმოშობით ან მიმდებარა (ზედსართავის ფუნქციით გამოყენებული: მთერალი, მძინარი, აუადმყოფი), ან ზედსართავი (კოჭლი, ბრუციანი, ყრუ, სულელი), ან გასუბსტანტივებული ზედსართავები (გენერალი, ექიმები, სტუდენტი). ამ აუცილებელ პირობას გამონაკლისი არ აქვს.

ეს თავისებურება არის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მოჩვენებითობის კატეგორიის გადმომცემი სიგყვათფორმებისა ისეთთაგან, რომლებიც „მო“ ზმნისწინსაც დაირთავენ „ი“ პრეფიქსსაც და „თავ“ უკუქცევით ნაცვალსახელსაც, მოჩვენებითობის მნიშვნელობას კი ვერ აწარმოებენ. საერთო ფორმალური მაწარმოებლები მათ (ჩვენი ტერმინოლოგიით) „თავისობის კატეგორიაში“ აერთიანებთ, მაგრამ ფუძეთა განსხვავებული წარმომავლობათვისება – სხვადასხვაში. ეს ურთიერთკავშირი და ურთიერთდაპირისპირება სქემაზე ასე წარმოგვიდგება:



არის კიდევ ნიშანი, რომელიც ზმნათა ამ ორ ჯგუფს ერთმანეთისაგან გამოყოფს: მოჩვენებითობის კატეგორია, როგორც ვთქვით, ვერ აწარმოებს უსრული ასპექტის ფორმებს, ე.წ. „ჩვეულებრივ უკუქცევითობებს“ კი რეალურად (თუ პოტენციურად) ასეთი („ი-კლა თავი“, „ი-კობტავა თავი“, „ი-ტყუა თავი“) აქვთ...



მაშ ასე, მოჩვენებითობის კატეგორიას აწარმოებს „მო“ ზმნის-წინი, იგი დაერთვის ნასახელარი ფუძეებიდან თავისობის კატეგორიის ყალიბით წარმოქმნილ ფორმებს. როცა „მო“-ს ხმარება „აკრძალულია“ მოჩვენებითობის იერის ფუნქციებს კისრულობს თავისობის ყალიბისა და ფუძეთა ზოგადი მახასიათებლის ერთობლიობა.

აქვე უნდა ითქვას იმაზედაც, რომ მოჩვენებითობის კატეგორიის ზმნები პოტენციურად (ასე ვამბობთ იმიტომ, რომ საილუსტრაციოდ ლიტერატურიდან მაგალითი ვერ დავვიძებნია) აწარმოებენ კაუზატივსაც. თუ ვინმე გამოიყენებს: „მო-ა-მთერალებინა თავი“, „მო-ა-მძინარებინა თავი“, სავსებით გასაგები იქნება, რომ: ვილაცამ ვილაც აიძულა „თავი მო-ე-მძინარებინა“...

მაშასადამე, მოჩვენებითობის ფორმალური მაწარმოებლებია: უპირველესად „მო“, მოგჯერ „ი“ და ყველა შემთხვევაში „თავი“. ფუძედ გვევლინება სახელზმნები ან მათთან გატოლებული არსებითები.

## ლიტერატურა

1. ალ. ფოცხიშვილი – მოჩვენებითობის ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია ქართულში („მო“ ზმნისწინის ერთი ფუნქციის შესახებ). ა.ს. კუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა 42-ე სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის გეგმა, 1976წ. 22-24 მაისი.

2. „————“ – მოჩვენებითობის სემანტიკური ველი თავისობის კატეგორიისა ქართულ ზმნაში, ენათმეცნიერება I, აკ. შანიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1986წ. 17-20 ლექსები.

3. აკ. შანიძე – ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953წ.

4. „————“ – თხზულებანი, ტ.III, 1980წ.

5. ალ. ფოცხიშვილი – უნებლიობის კატეგორია ქართულ მზნაში, თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, საიუბილეო კრებული, თბ., 1969წ.

6. აკ. შანიძე – უნებლიობის კატეგორია, თუ უნებლიობის ენებითი, ქართული ენა, წერილების კრებული, თბ., 1984წ.

7. ალ. ფოცხიშვილი – კელაე უნებლიობის კატეგორიის შესახებ, საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა მასწავლებლების X რესპუბლიკური კონფერენციის თეზისები. თბ., 1982წ.

8. მ. დამენია – ქართული მზნური ფუძეების სტრუქტურული მოდელები. თბ., 1982წ.

9. მ. მაჭავარიანი – რეფლექსივისა და ქცევის კატეგორიის მიმართებისათვის, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, ტ.V, თბ., 1980წ.

10. მ. მაჭავარიანი – ქცევის კატეგორიის საკითხისათვის, იკე, XXII, თბ., 1980წ.

11. გ. ნებიერიძე – ქცევის კატეგორია ქართულში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1976წ.

12. ბ. ჯორბენაძე – მზნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975წ.

13. „—“ – მზნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში. თბ., 1983წ.

14. П. Жиго – Версия грузинского глагола в сопоставлении с возвратностью и интенцией словацкого языка. (თსუ შრომები, ენათმეცნიერება 9ტ. 262, თბ., 1985წ.)

15. ირ. ვეშაპიძე – მზნისწინები ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967წ.

16. არ. მარტიროსოვი – მზნისწინის შედგენილობა და ფუნქციები ძველ ქართულში, იკე, ტ.V.

17. Hans Vogt, Esquisse d'une grammaire du georgien moderne, Oslo. 1936

18. ოთ. ჭილაძე – გზაზე ერთი კაცი მიდიოდა, თბ., 1979წ.

## 8. I ლა II ~ III პირთა ლაპირისპირების გამოსატვა ქართულში

ენა, ანუ ადამიანთა საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობა, სინამდვილის ასახვაა. სინამდვილე ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული საგნებისა და მოვლენების, მათი ურთიერთმიმართებების ერთობლიობაა, რაც ენაში, უპირველესად, საგნის (მოვლენის) სახელითა და მათ შორის ურთიერთობების (მოქმედების) აღმნიშვნელი სიტყვებით რეალიზდება. რადგან ენათა მრავალფეროვნება ამ ერთობლიობის ნაირგვარად ასახვის შედეგია, ენათმეცნიერთა წინაშე დღის წესრიგში დადგა, გამოეყლინათ ის საერთო და განმასხვავებელი, რაც ენაში, ერთი მხრით, სინამდვილიდან, ყველასთვის საერთოდან, მოლაპარაკე ადამიანის მიღმა არსებულიდან, მეორე მხრით, ყოველი ენისათვის კონკრეტულად დამახასიათებელი ელემენტებიდან მომდინარეობდა. გიპოლოგიურმა ენათმეცნიერებამ სწორედ ასეთი ამოცანა დაისახა და უკანასკნელ ხანებში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები გამოაქვინა ე.წ. უნივერსალიების სახით. ერთ-ერთი უმთავრესი და უზოგადესი უნივერსალია არის სახელისა და გზნის კატეგორიათა ქონა. არ არსებობს ენა, რომელსაც (რასაკვირველია, მოსალოდნელია ფორმალურად განსხვავებული) არა ჰქონდეს სახელისა და გზნის კატეგორიების გადმოცემის შესაძლებლობა.

ერთ-ერთი გამოკვეთილი და ენათმეცნიერთაგან აღიარებული უნივერსალია ნაცვალსახელთა კატეგორიაა. იგი დამახასიათებელია

ყველა ენისთვის. ეს გასაკვირიც არაა – ენა მოლაპარაკე ადამიანის მეშვეობით რეალიზდება და არსებობს იმდენად, რამდენადაც მოსაუბრე, უპირველესად, რაღაც ინფორმაციას გადასცემს მსმენელს (თუ მკითხველს). ამდენად, I და II პირის არსებობა-გამოხატვა ენაში ისევე აუცილებელია, როგორც აუცილებელია საგნისა და მოვლენის სახელდება (ფსიქიკური აქტი), რომელიც უნდა გამოვლინდეს ფიზიკური ბუნების მქონე საშუალებებით – სამეცნიერო ბგერებად გარდაქმნილი ქაერის გაღლების მოძრაობით.

ახლა შორს წაგვიყვანდა მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ უყურებს თეორიული ენათმეცნიერება ენის წარმოშობა-განვითარების საქმეში ნაცვალსახელების როლსა და ადგილს: ზოგის ამრით, ნაცვალსახელი უძველესი წარმონაქმნია. ზოგი ფიქრობს, რომ იგი უფრო გვიანდელი წარმოშობისაა; ორივე მხარეს საკმაო არგუმენტი აქვს, თუმცა პირველთა სასარგებლოდ მაინც უნდა ითქვას, რომ ენის შემოქმედ-მატარებელ ადამიანს თავისი თავი და მისი პარტნიორი, გვერდით მდგომი, ადრესატი, ვისთანაც ურთიერთობა აუცილებლად ესაჭიროებოდა (სწორედ, რისთვისაც ენა შეიქმნა) ყველაზე ადრე უნდა შეეცნო და ნაცვალსახელით გამოეხატა. ენათმეცნიერებს უჭველად მიაჩნიათ ისიც, რომ ნაცვალსახელთა შორის ძირითადი და აუცილებელი პირის ნაცვალსახელებია, მათ შორის კი წამყვანი როლი I და II პირის ნაცვალსახელებს ენიჭებათ. ზოგი მეცნიერი სწორედ ამ ორ ნაცვალსახელს მიიჩნევს ნამდვილ ნაცვალსახელად, ხოლო III პირის ნაცვალსახელს, რომელიც აბსოლუტურად უმრავლეს ენაში სათავეს იღებს ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან, პირის ნაცვალსახელად არც თვლის. ასეთი, სიდრმისეული, დაპირისპირება სხვადასხვა ენაში ზედაპირზე, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირად რეალიზდება; ქართულში იგი თავისებურადაა წარმოდგენილი: I და II პირის ნაცვალსახელები სახელობითსა და მოთხრობითში (ნაწილობრივ მიცემითში) უბრუნველი ფუძის სახით გადმოიყვება, მათთან

სრულ პარალელიზმს გვიჩვენებს „ვინ“ ნაცვალსახელის ბრუნვის ფორმებიც.

როცა ქართული ენის ბრუნების სისტემაში I, II პირისა, ერთი მხრით, და III პირისა, მეორე მხრით, გათიშვა-დაპირისპირება გამოვლინდა, გაჩნდა ეჭვი, მსგავსი დაპირისპირება გვეძებნა მზნის ფორმალურ მაჩვენებლებშიც და აღმოჩნდა რომ „მო“ და „მი“ მზნისწინებით გადმოცემული ორიენტაციული დაპირისპირება სხვა არაფერია თუ არა დაპირისპირება I და II პირებისა III პირთან, ამიტომაც „სააქეთოსა“ და „საიქეთოს“ ნაცვლად დაგვეჭირდა ახალი ტერმინების: „საპირველმეორეპიროსა“ (მოუბართკენული) და „სამესამეპიროს“ (სხვათამიმართი) შემოღება.

ამავე ასპექტში ყურადღებას იქცევს ე. ბენენისტის გონებამახვილური მიგნება იმის თაობაზე, რომ ქართული მზნის სუბიექტური პირის ფორმალური მაჩვენებლები მსგავსი დაპირისპირების მანიფესტაციაა: I და II პირების (მხოლოდით რიცხვში) ნიშნები პრეფიქსებია, ხოლო III-სი – სუფიქსები. ასეთივე დაპირისპირება ვლინდება მრავლობით რიცხვშიც – პირველ-მეორე პირის საზიარო „თ“ უპირისპირდება III პირის ნიშნებს. მართალია, ამ დაპირისპირებათა სემანტიკა ჯერ დადგენილი არაა, მაგრამ, რადგან ფორმალური სხვაობა არსებობს, უნდა ვივარაუდოთ, მას რაღაც საფუძველი მოეპოვება.

აშკარაა I და II პირის მაჩვენებელთა დაპირისპირება III პირთან სასხვისო ქცევის ფორმებშიც: ორივე (I და II პირი) ერთი პრეფიქსით, „ი“-თი, იწარმოება III პირის „უ“-ს საპირისპიროდ.

აღნიშნავენ დაპირისპირებას კილოს კატეგორიის შიგნითაც, განსაკუთრებით ბრძანებითის ფორმებში.

როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში დაპირისპირებაა პირდაპირი ობიექტის გამოხატვის თვალსაზრისითაც: I და II პირს მაწარმოებლად, შესაბამისად „მ“ და „გ“ აქვთ, III პირს კი ნიშანი არასდროს ჰქონია.

მიუთითებენ იმაზედაც, რომ ძველ ქართულში „აწმყოს ხოლმეობითის I და II პირის ფორმები აწმყოს I და II პირის ფორმებს ემთხვევა, გარჩეული იყო მხოლოდ III პირის ფორმები. მსგავსი ვითარება გვაქვს -დ სუფიქსიან ენებითი გვარის ზმნათა უღლების II სერიაში, სადაც უწყვეტლისა და მეორე ხოლმეობითის I და II პირის ფორმები საზიაროა“ (8. სარჯველაძე).

ერთი სიგყვით, ენის რეალიზაციისათვის აუცილებელი ორი პირის – I და II პირის – დაპირისპირება III პირთან ქართულში მეტად გამჭვირვალედაა წარმოდგენილი ენის თითქმის ყველა რგოლში, სადაც ნაცვალსახელური თუ ზმნური ფორმებით პირთა არსებობაა მოსალოდნელი: იგი თითქმის ყველა ზმნური კატეგორიის თანმხლებია, აუცილებლად ახლავს ნაცვალსახელთა ბრუნებას და ამავე ენობრივი ტენდენციით უნდა იყოს განპირობებული ძველ ქართულში (მე-9 საუკუნემდე გექსტებში) ადამიანის საკუთარი სახელის (I და II პირიც ხომ ადამიანის გადმომცემი პირებია) სახელობითსა და მოთხრობითში, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა მსგავსად, უბრუნეელი ფუძის სახით წარმოდგენა.

ეფიქრობ, I და II პირების განცალკევებულობა და III-ისადმი დაპირისპირების ტენდენცია გამოსჭვივის „ეწევარ“ ტიპის საშუალო გვარის ზმნათა აწმყოში. მეშველზმნიანი I/II სუბიექტური პირის ფორმები უპირისპირდება III პირის ფორმებს, სადაც პირის ნიშნად „ს“ გვაქვს.

### III სინტაქსი

#### 1. უბრალო დამატება თუ ადგილის გარემოება?

როგორც ცნობილია, *თან, მე და ში* თანდებულიანი სახელები გამოიყენებიან უბრალო დამატებებად და ადგილის გარემოებებად, მაგრამ წინადადების ამ წევრთა მუსტი კვალიფიკაცია ჭირს იმის გამო, რომ ფორმალურ დამთხვევათა გარდა ერთნაირად იგუებენ ურთიერთგამმიჯნავ კითხვებსაც. ასე მაგ.: თან თანდებულიან წევრს წინადადებაში – „სოფიო მაგიდასთან იდგა“ – თანასწორი უფლებით დაესმის კითხვები: *რასთან?* (უბრალო დამატებისა) და *სად?* (ადგილის გარემოებისა).

ხომ არ არსებობს რაიმე წესი, რომლითაც მუსტად განესაზღვრავდით, წინადადების რომელ წევრთან გვაქვს საქმე? – გვეკითხება მასწავლებელი მ. დიდიძე თბილისიდან.

\*  
\* \*

სამუალო სკოლის მოქმედ სახელმძღვანელოში (ავტორები: ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე) უბრალო დამატების მოგად ფორმალურ მხარეზე ნათქვამია: „უბრალო დამატებათა ბრუნვებია: მიცემითი,

ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. ასეთი დამატება უთანდებულოც შეიძლება იყოს და თანდებულიანიც“.

მიცემითმი დასმული უბრალო დამატება, ჩვეულებრივ, თანდებუ-  
ლიანია, თანდებულთაგან აქ გვხვდება: *თან, მე, ში. თან* –  
თანდებულიან უბრალო დამატებას ზოგჯერ შეიძლება ერთად  
დაერთოს.

მიცემითმი დასმული უბრალო დამატების კითხვებია: *ვისთან?  
ვისთან ერთად? რასთან? რასთან ერთად? ვისზე? რაზე?  
რაში?*

გვაკლია კითხვა „*ვისში?*“

ზოგადი ცნობების თვალსაზრისით ნათქვამს იმეორებს ლ. კვაჭა-  
ძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსის“ (თბილისი, 1966წ.)  
სახელმძღვანელოც, რომელიც პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტე-  
ბისთვისაა შედგენილი. ოღონდ ამ უკანასკნელში, როგორც მოსა-  
ლოდნელიც იყო, საკითხი უფრო ვრცელადაა გაშუქებული – ცალ-  
ცალკეა გაანალიზებული თითქმის ყველა შემთხვევა, როცა მოცემულ  
თანდებულთაგან თითოეულის ხმარებისას სახებზეა შინაარსობრივი  
სიახლე. ნათქვამია, რომ *ში* თანდებულიან უბრალო დამატებას  
დაესმის კითხვები: *ვისში? რაში?* (გვ.115).

ადგილის გარემოება უფრო ვრცელადაა განხილული ორივე  
სახელმძღვანელოში და ეს, რა თქმა უნდა, განპირობებულია საკით-  
ხის თავისებურებითა და სირთულით.

ადგილის გარემოების რაობის განსაზღვრის შემდეგ სასკოლო  
სახელმძღვანელოში ნათქვამია: „...იგი მოგვიგებს კითხვებზე *სად?  
საიდან? საითკენ? სადამდე?*.. ადგილის გარემოება, ჩვეულებრივ,  
ზმნას ახლავს (პირიანს თუ უპიროს), იგი გადმოიცემა ზმნიზღელით და  
სახელით“.

ზმნიზღელით გადმოცემული ადგილის გარემოებების შესახებ ნათ-  
ქვამია მხოლოდ, რომ წინადადებაში – „ბლაჭიაშვილი *იქ* იმყოფება“  
– „*იქ*“ ზმნიზღელაა.



წიგნში ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი „სახელის ბრუნვის ფორმები ადგილის გარემოებად“ ავტორები წერენ: „ადგილის გარემოების გადმოსაცემად სახელი თანდებულიანია ან უთანდებულო. იგი შეიძლება იღვას ოთხ ბრუნვაში: *მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში*“... თანდებულიანი ადგილის გარემოების გადმოსაცემად მიცემითის ფორმას დაერთვის: *თან, მე (ზედ, ზედა), ში, შუა, შორის*“.

პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში ამ საკითხთან დაკავშირებითაც ვრცელადაა მსჯელობა. აქ საგანგებოდაა ლაპარაკი ზმნიზმებით გადმოცემულ ადგილის გარემოებათა თავისებურებაზე და ცალ-ცალკეა დახასიათებული ჩამოთვლილი ბრუნვების ფორმით გადმოცემული წინადადების ეს წევრები.

ჩვენთვის ძირითადად საინტერესო ფორმებს (მიცემითს ადგილის გარემოებად) წიგნში ეთმობა 70-ე პარაგრაფი, რომელშიც მითითებულია: „მიცემითის ფორმა ადგილის გარემოებად უთანდებულოა ან თანდებულიანი. აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც იმყოფება საგანი ან ხდება მოქმედება. მიუგებს კითხვაზე: *სად?* (გვ.129).

პირველად განხილულია უთანდებულო მიცემითი, მერე – თანდებულიანი: „ადგილის გარემოების გადმოსაცემად მიცემითის ფორმას დაერთვის თანდებულები: *მე (ზედ, ზედა), ში, თან (თანა-ც), შუა, შორის* (ავრეთვე ზოგიერთი ზმნიზმედა თანდებულის მნიშვნელობით). თანდებული ამუსტებს და უფრო კონკრეტულად გამოხატავს მოქმედების მიმართებას სახელით აღნიშნულ საგანთან. სხვადასხვა თანდებული ამ მხრივ სხვადასხვა ნიუანსს გადმოსცემს“ (გვ.130). ასე მაგ.: „*მე* თანდებულიანი მიცემითი გამოხატავს ადგილმყოფობასა თუ მოქმედებას სახელით აღნიშნული საგნის ზედაპირზე; *ში* შინაგან სივრცეს გულისხმობს (სიღრმეს ან შემოზღუდულ რამეს)“ (გვ.130), რითაც ხაზი ესმის ამ თანდებულებით გადმოცემულ „სხვადასხვა ნიუანსს“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებული თანდებულები ყოველთვის ვერ გადმოგვეყვანა აღნიშნულ „ნიუანსს“. ასე მაგ., როცა ვამბობთ: „წამწამებზე ცრემლი ჩამოუკიდაო“, ალბათ, არავითარ ზედაპირს არ ვვულისხმობთ ისე, როგორც „სილა გააწნა ყბაშიო“, რომ ვამბობთ, არც სიღრმე იგულისხმება და არც შემოზღუდული არე. და, საერთოდ, გადასასინჯია ჩვენს გრამატიკულ ლიტერატურაში გაბატონებული დებულება, თითქოს *ზე* თანდებულებით აღვნიშნავთ ზედაპირზე მოქმედებას, ხოლო *ში*-თი – შემოზღუდულ არეში. ორივე ამ თანდებულს დღეს გაცილებით მეტი და მრავალნაირი ფუნქცია აკისრია და საინტერესოა ისიც, რომ ზოგჯერ ერთმანეთსაც ენაცვლებიან კიდევ, ასე მაგ.: „გავიდა *პენსიაში*“ და „გავიდა *პენსიაზე*“, „დაარტყა *თავში*“ და „დაარტყა *თავზე*“ და მრავ. სხვა.

არც ერთ განხილულ სახელმძღვანელოში არ დასმულა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ *ზე*, *ში* და *თან* დართულ წინადადებების წევრებს ხშირად შეიძლება დაესვათ როგორც უბრალო დამატების (*რამე? რაში? რასთან?*), ისე ადგილის გარემოების (*სად?*) კითხვები და რა საშუალებით გავმიჯნოთ ისინი ერთმანეთისგან.

აღნიშნულ საკითხზე ლაპარაკი არაა არც ანტ. კიზირიას წიგნში „ქართული ენა“ (პრაქტიკუმი, დამხმარე სახელმძღვანელოდ პედინსტიტუტის სტუდენტთათვის) და არც შ. კეკელიასა და აკ. დავითიანის „ქართულ ენაში“, რომელიც განკუთვნილია პედინსტიტუტის ბიბლიოთეკათმყოფლობის ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

უბრალო დამატებისა და ადგილის გარემოების ურთიერთობის საკითხს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი მ. თალაკვაძე შეეხო წიგნში „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა“ (თბილისი, 1959წ.).

ავგორი წერს: „საერთოდ, წინადადების წევრთა ამოცნობა შინაარსისა და კითხვების მიხედვით ხდება, დაესმის სახელს კითხვა დამატებისა (ბრუნვისა), თუ გარემოებისა (მზნიშედისა). მაგრამ

ხშირად ერთსა და იმავე წევრს შეიძლება ორივე კითხვა შეეწყოს (დამატებისა და გარემოებისა). მაგალითად: „ოთარანთ ქერიემა გულის „ფიყარმედ“ დაიდო ხელი“. აქ თანდებუიანი სახელი „ფიყარმედ“ ფორმალურად ორივე კითხვას იგუებს: „სად დაიდო ხელი?“ და „რაზე დაიდო ხელი?“

ხშირად ორივე პასუხი დასაშეებად და მისაღებადაა ცნობილი (აეგორი მიუთითებს პ. აფანასიევის წიგნზე – მეთოლიკა რუსკოგო იაზიკა, 1944, გვ.131 – ა.ფ.). ეს კი მეთოლიკურად გაუმართლებელია: წინადადების ერთი და იგივე წევრი იმის და მიხედვით, თუ ვინ რა კითხვას მიუყენებს – დამატებისას თუ გარემოებისას – ერთისთვის იქნება დამატება, მეორისთვის – გარემოება.

განსაკუთრებით ირევა ერთმანეთში ადგილის გარემოება და დამატება. აღრეეას მაშინ აქეს ადგილი, როდესაც სახელი მიცემით ბრუნეაშია *მე, ში, თან* თანდებულებით ან ნათესაობითში – *კენ* თანდებულებით, იშვიათად *გან* თანდებულებითა“ (გვ.312).

აეგორის აზრით, „ცხადია, ადგილის გარემოებისა და დამატების ერთმანეთისგან გასარჩეეად მხოლოდ კითხვა ვერ გამოდგება, საჭიროა, სხვა ხერხებიც მოვიშეელოთ“ (იქვე).

ჩამოთვლილი ხუთი ხერხი, რომელთაგანაც მეორე გულისხმობს, რომ, თუ თანდებუიანი სახელის მაგიერ შესაძლებელია ადგილის მზნიმედის ჩასმა, საკითხს ადგილის გარემოების სასარგებლოდ გადაეწყეეცდით. მაგალითად, „გულშემოყრილი დაეცა *მიწაზე*“. აქ თანდებუიანი სახელი „*მიწაზე*“ იგუებს კითხვას *სად?* და შეიძლება შეიეცეალოს მზნიმედით *იქ* („გულშემოყრილი დაეცა *იქ*“).

ეს ხერხი (იგი მ. ეენსლოვას შემოუთაეაზებია) იოლიეცაა და საკითხის გადაწყეეეცასთანაც გეაახლოებს, მაგრამ მას საკმაო ნაკლი აქეს, რაც კარგად შეუნიმზნავს თაეად მ. თალაკეაძეს, როცა წერს: „წინადადებაში „ორივე იდაყვით მუხლების *თაეებზე* დაეზინა“, თანდებუიანი სახელი „*თაეებზე*“ ორივე კითხვას იგუებს (*რაზე*

დაებჯინა? სად დაებჯინა?), მაგრამ მისი გმინიშებით შეეკლა შეუძლებელი ხდება („ორივე ილაყით მუხლებს იქ დაებჯინა“).

თუმცა, ჩვენი აზრით, ავტორიც ცდება, თანდებულიან წევრს „თავებზე“ დამატებად რომ მიიჩნევს.

საკითხის სწორად გადაჭრასთან გვაახლოებს მესამე ხერხიც, რომელიც გულისხმობს წინადადების თანდებულიანი წევრის მნიშვნელობის გათვალისწინებას: „ჩვეულებრივ ადგილის გარემოებას ორივე ძირითადი ფუნქცია აქვს: ა) გვიჩვენებს მოძრაობას სივრცეში, საგნის ან ნივთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებას... ან მიგვითითებს საგნის მდებარეობას სივრცეში, მაგალითები: „დამ მომიკიდა ხელი და წამიყვანა სამოახლოში“, „სულ სახლში იჯდა“, „ჭიმკართან ეგლო დაჭრილი წავია“, „კარებს უკან ძაღლსავით მივევლები“, „მარგო კუთხეში, პურის კიღობანთან, თავი აფხაკუნდა“. აქ თანდებულიანი სახელები ადგილის გარემოებებია“ (გვ.313).

მაგრამ უფრო რთული და ძნელად გამოსაყენებელია ავტორთან პირველ პუნქტად დასახელებული ხერხი: „...მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას მიემართება მოქმედება – საგანს, ობიექტს თუ სივრცეს. მთავარია აზრობრივი მიმართების გარკვევა. თუ მოქმედება მიემართება საგანს, ობიექტს, მაშინ დამატებასთან გვექნება საქმე და მას დამატების კითხვა უნდა მიუყენოთ („ყურებზე (რაზე?) ხახვი არ დამატრა“), თუ მიმართება ადგილის, სივრცისადმია, მაშინ ადგილის გარემოებაა („შესვლისთანავე პირველ კედელთან (სად?) დამაყენეს ანბანზე“).

საქმე ისაა, რომ, როგორც წესი, საგანი, ობიექტი თავადაც რაღაც სივრცეში იმყოფება და ამიტომ მოქმედების მიმართულების დაპირისპირება, ერთის მხრით, საგნის მიმართ, ხოლო, მეორეს მხრით, სივრცის მიმართ ხელოვნური ჩანს. ამის გარდა, მეტად ძნელია იმის განსაზღვრა, რა ფართობია საჭირო სივრცობრივი მიმართებისათვის: ვთქვათ, წინადადების რა წევრი იქნებოდა

„იატაკმე“, თუ მემოთმოტანილ წინადადებაში სიტყვას „ყურებზე“ ამ სიტყვით შეეცვლილით („იატაკმე ხახვი დაატრა“)?

ჩენი ამრით, ამ შემთხვევაში მოქმედების შესრულების (დატრის) ადგილი, ის, სადაც „დაატრეს“, თუ რამედაც „დაატრეს“, მანც ადგილია, მიუხედავად იმისა, რამოდენა ფართობი უკაეია მას. ამიტომ „ყურებზე“ ისე როგორც „იატაკმე“ ადგილის გარემოებაა მხოლოდ.

არც სულიერი და უსულო საგნების დაპირისპირება (მეოთხე ხერხი) გამოდება საკითხის გადასაწყვეტად, რადგან ენისათვის „გაიქცა სახლისაკენ“ და „გაიქცა შეილისკენ“ – ერთნაირი მნიშვნელობისაა: ორივე შემთხვევაში მოქმედების შემსრულებელი ერთი უნდა გადაადგილდეს ერთი წერტილიდან მეორე წერტილის მიმართულებით რადაც სივრცეში. ამიტომაც ორივე შემთხვევაში ერთნაირად მოსალოდნელია ადგილის გარემოების კითხვაც *საითკენ?*

ფიქრობთ, არასაიმედოა მეხუთე ხერხიც „...ჩვეულებრივ, გარდაუვალი მდგომარობისა და მოძრაობის აღმნიშვნელ გზებთან უმეტესად გარემოება ივარაუდება: აგლია (კუთხეში), დგას (შუა ოთახში), მიფრინავს (სამხრეთისაკენ)“, რადგან მსგავს გზებთანაც მოსალოდნელია ისეთი თანდებულებანი სახელები, რომელთა გარემოებად მიჩნევა ყოვლად შეუძლებელია („ჩაპირულია ფიქრებში“ (რამი?), „იმყოფება შუა ძილში“ – (რამი?); „დგას თავის მოსაზრებაზე“ – (რამე?) და ა.შ.

მაგრამ მთავარი მანც ისაა, რომ გაკვეთილზე, დროის მეტად შემლუღულ მონაკვეთში, არ გვექნება საშუალება შევამოწმოთ ჩამოთვლილი ხერხები.

ყოველი ხერხი, რომელიც სკოლაში გამოიყენება, უპირველესად ყოვლისა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იყოს იოლად დასამახსოვრებელი, ადვილად მოსახმარი და სწრაფად გამოსაყენებელი.

უბრალო დამატებისა და ადგილის გარემოების ურთიერთგასახეებლად ასეთი ხერხი შემდეგში მდგომარეობს: *თუ წინადადების წევრად გამოყენებულ თანდებულებას სახელს მხოლოდ არსებითი სახელის კითხვები (ვინ? რა? – ირიბ ბრუნვებში<sup>1</sup> თანდებულებით) შეეწყობა, წინადადების წევრი უბრალო დამატებაა, ხოლო, თუ ამ კითხვებთან ერთად გმნიშვლის (სად? საიდან? საითკენ?) კითხვებსაც მოიხდენს იგი, ადგილის გარემოებაა.*

ვფიქრობთ, ჭოჭმანს არ გამოიწვევს ისეთი თანდებულებანი სიტყვების კვალიფიკაცია, რომელთაც მხოლოდ გმნიშვლის კითხვა (სად? საიდან? საითკენ?) დაესმით. ასე მაგ.: „ეცხოვრობ თბილისში“, „მივდივარ აგარაკზე“, „დაიჭრა ეარშავაში“ და ა.შ. ასეთი წევრები, რა თქმა უნდა, ადგილის გარემოებებია.

ეს წესი თითქმის უგამონაკლისოა და მას ჩვენს პრაქტიკაში კარგა ხანია ვიყენებთ.

მართალია, ზოგ შემთხვევაში მეორე (გმნიშვლის) კითხვა იქნება სტილურად მთლად გამართული არ იყოს (თუნდაც იმავე „ყურზე ხახვის დაჭრის“ შემთხვევაში), მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ყველგან მოქმედება რაღაც ადგილს, საყრდენ წერტილს, ხელშესახებ შედგა. პირს თუ მეგ-ნაკლებ სიერცეს გულისხმობს. თანაც გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: იმას გარდა, რომ საგანი რაღაც სიერცეში მდებარეობს და საგნისკენ თუ საგნიდან მდინარე მოქმედება ადგილს გულისხმობს, ადგილს გულისხმობს, აგრეთვე, თვით საგნის ესა თუ ის ნაწილიც. და მასზე, მასში თუ მის მიმართ ჩადენილი მოქმედებაც ადგილის გარემოებად გაიაზრება. ასე მაგ.: „დაიჭრა ხელში“ დაესმის ორივე კითხვა: რაში დაიჭრა? სად დაიჭრა? და, რა თქმა უნდა, აქაც და სხვა მსგავს შემთხვევაშიც

<sup>1</sup> ამ ტერმინით აღვნიშნავთ მიცემითს, ნაოესაობითს, მ. წყლებითისა და ვითარებითს ერთად.

ადგილის გარემოება იგულისხმება ამიტომაც, რომ ჩვეულებრივ ასე ვკითხულობთ: „სადა აქვს ჭრილობა?“

საინტერესოა ისიც, რომ ენამ ადგილის გარემოებად აქცია ისეთი მოქმედებებიც, რომლებიც აბსტრაქტული სახელით არის გადმოცემული და ერთი შეხედვით, ადგილს არ გულისხმობს, მაგრამ, რადგან ასეთ სახელებთანაც მინიშნებით მაინც რაღაც შემოსაზღვრული სივრცე იგულისხმება, ისინი ორივე კითხვას იგუებენ. მხედველობაში გვაქვს გამოთქმები: „სჯობს *მონობაში* გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკედარი“, „*ტყვეობაში* იგანჯებოდა“, „*ქატიმრობაში* დალია სული“. ყველა ჩამოთვლილ მაგალითში ენობრივად რაღაც შემოსაზღვრული ადგილი იგულისხმება, ამიტომაცაა, რომ მათ სწორედ *სად?* კითხვა უფრო ეგუებათ.

ამის მსგავსადვე ადგილის გარემოებებია „ომში მოკლული“ და „ჩხუბში ცხვირგატეხილი“, ორივეს ჩვეულებრივ დაესმის კითხვა *სად?*

ჩვენი პასუხი არ იქნებოდა სრული თუ არ შევეხებოდით ისეთ შემთხვევებს, როცა საკითხის გადაწყვეტა ძნელდება ან თითქმის შეუძლებელია.

მხედველობაში გვაქვს *გან* და *მდე* თანდებულებანი ზოგი ფორმა, მკვიდრად ფეხმოკიდებული თანამედროვე ქართულში. ასე მაგალითად, ხშირად მეტყველებაში თუ წერაში რომელიმე დებულების მოხმობისა და გაანალიზების შემდეგ ვწერთ ხოლმე: „ამ *დებულებიდან* გამომდინარეობს...“

რა წევრია „*დებულებიდან*“, უბრალო დამატება თუ ადგილის გარემოება? – ფორმალურად უბრალო დამატება; შინაარსობრივად – ადგილის გარემოება, აკი ხშირად ასეც ეამბობთ: „აქედან გამომდინარეობს...“ ე.ი. თანდებულებანი წევრის ნაცვლად ვიყენებთ ადგილის მზნიმედას.

რა თქმა უნდა, ასეთი თავსატეხი არ გაგვიჩნდებოდა ეს რუსული გამოთქმა სწორად რომ გვეთარგმნა, რადგან მისი შესატყვისი „იმ

ეტოგო“ ქართულად „ამისგან“ იქნებოდა. *გან* თანდებული ნათესაობით ბრუნვასთან კი, როგორც წესი, უბრალო დამატებას გადმოგუცემს.

მსგავსადვე ძნელია კვალიფიკაცია ისეთი ფორმებისა, როგორცაა „*ჩემამდე* შენ ბევრი გაკლია“ ან „*ოსტატამდე* მაინც ვერ ამაღლდება“ და მისთანანი. მაგრამ საქმეს ის შეუღლის, რომ ასეთი გამოთქმები ენაში მეტად მცირე რაოდენობითაა და შეიძლება ისინი უბრალოდ გამონაკლისებად ჩავთვალოთ.

მაშ, ასე: თუ წინადადების წევრს ორივე კითხვა ეწყობა, იგი ადგილის გარემოებაა.



## 2. შერეული მოღალატის რთული ქვეყნობილი წინადადების ერთი სახეობა ქართულში

ვიდრე პირდაპირ სათქმელზე გადავიდოდე, რამდენიმე სიგყვა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ქართულ სასწავლო და სამეცნიერო ლიგერატურაში წინადადებათა სახეების გამოყოფასთან დაკავშირებით.

სასკოლო სასწავლო სახელმძღვანელოში [ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე – ქართული ენა (სინგატქსი, პუნქტუაცია, მეცყველების განვითარება), VIII კლასის სახელმძღვანელო, 1998წ.] სინგატქსის ზოგადი საკითხების (სინგატქსის საგანი; სინგატქსური ერთეულები; წინადადების წვერის გაღმოსყება; მთავარი და დაქვემდებარებული სინგატქსურ წყვილებში; სინგატქსური ურთიერთობის სახეები) შემდეგ მოღის ქვეთავი – „წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით“. იქვე განმარტებაა: „შინაარსის მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახიღისა და კითხვით-ძახიღისა“ გვ.13), რასაც მოჰყვება თითოეული მათგანის დახასიათებისადმი მიძღვნილი პარაგრაფები (თხრობითი წინადადება; კითხვითი წინადადება; ბრძანებითი წინადადება; ძახიღის წინადადება; წართქმითი და უკუთქმითი წინადადება).

წინადადება აქ განმარტებულია ასე: „წინადადება ჰქვია ერთ ან რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ სიგყვას, რომლებიც ამა თუ იმ ამრს გაღმოსყვემენ“ (გვ.8).

იგივე საკითხები სრულიად სხვანაირადაა განმარტებულ-გადმოცემული ამავე სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორის - ლ. კვაჭაძის წიგნში „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ (1989წ.), რომელიც განკუთვნილია „უმაღლესი სასწავლებლების ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის სახელმძღვანელოდ“.

აქ, სრულიად სამართლიანად, ქვეთავს, რომელშიაც წინადადების სხვადასხვა სახეობებზეა ლაპარაკი, ეწოდება: „წინადადების ტიპები მოდალობის (რაგვარობის) მიხედვით“<sup>1</sup>, რადგან ავტორმა ძალიან კარგად იცის, რომ „კითხვითობა“ და „ძახითობა“ წინადადების შინაარსიდან გამომდინარე ცნებები არაა. იგი მთქმელის, მოლაპარაკის, კომუნიკაციაში მონაწილე პირველი პირის დამოკიდებულების გადმოცემა იმ ნათქვამის მიმართ, რაც მან გამოხატა ე.წ. წინადადების სახით. წინადადება კი ასეა განმარტებული: „წინადადება ჰქვია გაბმული მეტყველების ერთ ისეთ მთლიან ენობრივ ერთეულს, რომელიც შედგება გრამატიკის წესების შესაბამისად გაფორმებული ერთი ან რამდენიმე ერთმანეთთან შეწყობილი სიტყვისგან და დამთავრებულ აზრს გამოხატავს“ (გვ.8).

ამჯერად მე არ ვეხები პრობლემას, თუ რამდენად მართებულია, ერთი და იმავე საკითხისადმი მიძღვნილი მოსაზრების ასე განსხვავებული რედაქციით გადმოცემა ერთი და იმავე მიზნით (სასწავლო) შედგენილ სახელმძღვანელოებში, ეს საგანგებო კვლევის საგანია, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ მხარს ვუჭერ აზრს: - თუ რომელიმე საკითხს შეეიტანთ სკოლაში სასწავლო დისციპლინათა შორის, იმ საკითხზე უნდა მივაწოდოთ მეცნიერულად დასაბუთებული სრული და ზუსტი ინფორმაცია. უმჯობესია, მოსწავლეებმა ზოგი რამ ვერ გაიგონ, ვიდრე „გაიგონ“ არასწორი მოსაზრება.

<sup>1</sup> ბნმა ლ. კვაჭაძემ პირად საუბარში ორ სახელმძღვანელოს შორის ასეთი განსხვავება იმით ახსნა, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის ყველაფრის დაწვრილებით განმარტება-ახსნა არ ხერხდება.

ჩემი აზრით, სინგაპის სახელმძღვანელოებში, როცა წინადადებების ნაირგვარობაზეა ლაპარაკი, უნდა აშკარად გამოიკვეთოს სამი განზომილება: 1. *ლოგიკური*, ანუ შინაარსობლივი; *მოდალური*, ანუ მთქმელის დამოკიდებულება თქმულ შინაარსთან და 3. *გრამატიკული*, ანუ სიგყვათა ურთიერთშეთანხმების წესები (წინადადების კონსტრუქცია). ლოგიკურის რუბრიკაში უნდა განვიხილოთ ე.წ. თხრობითი წინადადებები, რომლებიც ან ამტკიცებენ, ან უარპყოფენ წინადადებით გადმოცემულ ფაქტებს; მოღალობის ჯგუფში მოხვდება ყველა დანარჩენი სახეობა წინადადებათა, რომლის განმსაზღვრელადაც მოლაპარაკის პოზიცია თუ გუნება-განწყობილებაა პირველ პლანზე წამოწეული. ცალკე განიხილება წინადადების გრამატიკულ-კონსტრუქციული მხარე.

ახლა ჩვენთვის საინტერესო საკითხს უნდა შეეხებო.

გრ. ორბელიანის პოემა „სადღეგრძელოში“ ერთი ასეთი სტროფია: (მე საგანგებოდ არ ვსვამ სასვენ ნიშნებს) – „*დაჩუმდით ყური მიუგდეთ არ გესმით გალობს ბულბული*“.

სხვადასხვა გამოცემაში სასვენ ნიშნები ნაირგვარადაა დასმული. განსხვავება ძირითადად კითხვითი ნიშნის ხმარებაშია. ერთნი მას წინადადების ბოლოში სვამენ, მეორენი – შუაში, „გესმით“ სტყვის შემდეგ.

მსგავსი წინადადებები ენაში არც თუ იშვიათია: „*დაინახე ჩამოვიდა ვანო*“, „*გაიგე მოკვდა მეწისქვილე*“, „*მისვლით საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა წინადადებასთან*“ და მისთ.

ეფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს დასაბუთება იმისა, თუ სად რა სასვენ ნიშანი დაესვათ.

ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, თუ რა სახის წინადადებაა აგებულიებით „*...არ გესმით გალობს ბულბული*? ჩემი აზრით, საქმე გვაქვს რთულ ქვეწყობილ წინადადებასთან, რომელშიაც მთავარი წინადადება გადმოცემულია ზმნის უკუთქმითი ფორმით „*არ გესმით*“, ხოლო „*გალობს ბულბული*“ დამოკიდებული წინადა-

დებაა. მათ შორის იგულისხმება „როშ“ კავშირი („არ გესმით, რომ გალობს ბუღბუღი“). თუ მის ბოლოს წერტილს დავსვამთ, წინადადება თხრობითი იქნება უარყოფითი (უკუთქმითი) მტკიცებით, ხოლო თუ კითხვით ნიშანს დავსვამთ, საკითხი სხვანაირ სახეს მიიღებს – საქმე გვექნება კითხვით რთულ ქვეწყობილ წინადადვასთან და გასარკვევი იქნება, როგორი კვალიფიკაცია მიეცეთ ასეთ წინადადებას: ჩავთვალოთ იგი ჩვეულებრივ კითხვით წინადადებად, თუ საჭიროა მისი კვალიფიკაციისათვის ახალი კრიტერიუმი დაეძებნოთ?

სამუალო სკოლის სახელმძღვანელოში კითხვით რთულ წინადადებაზე საერთოდ არაფერია ნათქვამი, ლ. კვაჭაძის შემონახსენებ უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოში კი ვკითხულობთ: „*რთულ თანწყობილ წინადადებაში კითხვითია ყველა მასში გაერთიანებული წინადადება, ანდა ერთ-ერთი (ჩვეულებრივ უკანასკნელი); რას ვეცყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეცყვის იგი მე? (ი. ჭავჭავაძე); მამალი და კოდალა ყველაფერს კარგად ხედავდნენ დაბლა, ხოლო მათ ვინ დაინახავდა? (ვაჟა).*“<sup>1</sup>

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კითხვა ჩვეულებრივ მთავარს ეხება, რომელშიაც შეიძლება იყოს კითხვითი სიცყვა (თუ ნაწილაკი) და შეიძლება არა. კითხვითი ინტონაცია მთავარს ახლავს... თუ მთავარი გამოტოვებულია, კითხვის მახეილი დამოკიდებული წინადადების უკანასკნელი სიცყვის ბოლო მარცვალზეა: „...რომ არ იყოს ორმოცი?“, „ორში რომ ერთი ამოგარჩევიონ?“ ყოველგვარი კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი დაისმის“ (გვ.40-41).

<sup>1</sup> შენიშვნას იწვევს ეს წინადადებაც. ამკარაა, მისი პირველი ნაწილი თხრობითია და ბოლოში მძიმეუ გამართლებულია, ოლონდ მეორე ნაწილი – „ხოლო მათ ვინ დაინახავდა“ – კითხვითი არ უნდა იყოს. ჩემი ამრით, აქ საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ მთქმელს მტკიეუდ სწამს, მამალსა და კოდალას ვერაეინ დაინახავდა. ამიგომ ამ წინადადების ბოლოს უფრო უპრიანი იქნებოდა ძახილის ნიშანი ან კითხვით-ძახილისა.

ჩემ მიერ განსახილველად შერჩეული წინადადება, ვფიქრობ, ამ განსამზღვრავში ვერ ეტყევა. მართალია, მთავარი წინადადება – „არ გესმით“, მართლაც, კითხვას შეიცავს, მაგრამ დამოკიდებული წინადადება კითხვის შემცველი არაა. მასში გადმოცემული შინაარსი, აზრი, მთქმელისათვის რეალობაა, ნაცნობია და, ამდენად, შეკითხვის ობიექტი არ შეიძლება იყოს, მეტყველებაშიც იგი თხრობითი წინადადებისათვის დამახასიათებელი ინტონაციით უნდა წარმოითქვას.

ერთი სიგყვით, ჩემი აზრით, საანალგო წინადადება: „...არ გესმით გალობს ბუღბული“ შერეული მოღალატისაა, მისი მთავარი წინადადება კითხვითია, ხოლო დამოკიდებული – თხრობითი.

ყველა ამ წინადადების დამოკიდებულში გადმოცემული შინაარსი მოლაპარაკე პირისათვის რეალური ფაქტია, სინამდვილეა, მან იცის ამის შესახებ და ამიგომაც იგი კითხვას ვერ დასვამს. სამაგიეროდ, მისთვის უცნობია მთავარ წინადადებაში გადმოცემული აზრი. მან არ იცის, ცნობილია თუ არა დამოკიდებულში გადმოცემული აზრი იმისათვის, ვისაც ელაპარაკება. ამიგომ, ვფიქრობ, კითხვითი ნიშანი უნდა დაისვას მხოლოდ მთავარი წინადადების შემდეგ, ხოლო წინადადების ბოლოს უნდა დაისვას წერტილი: „არ გესმის? გალობს ბუღბული“. მსგავსი წინადადებებია: „გაიგე? დაბრუნდა ვახტანგი“, „დაინახე? დავითი ცხენს მიაჭენებდა“, „მოუსმინე? რადიოთი პრემილენტი გამოვიდა“.

## IV ლექსიკოლოგია, ლექსიკობრაფია

### 1. „საკუთარის“ ეტიმოლოგიისათვის

სიტყვა „სა-კუთ-არ“-ის გენეზისის შესახებ მოსამრება თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა ორ წიგნში. პირველი გამოიყა მოსკოვში (გ. კლიმოვი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 1964წ.), მეორე კი – თბილისში (თ. გამყრელიძე, გ. მაჭაყარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965წ.). ავტორები, როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მივიდნენ ერთნაირ დასკვნამდე, რომლის საწყისი დებულება ასეთია: „სა-კუთ-არ“-ის ძირეული სეგმენტი „კუთ“ წარმოადგენს „კვეთ“ ძირის სახესხვაობას. იგივე აზრია გატარებული პ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის წიგნშიც – „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (თბილისი, 1990წ. გვ.120).

გ. კლიმოვი ფიქრობს, რომ ორივე („კვეთ“ და „კუთ“) ძირისთვის „საერთო ქართველური ფუძე ენის დონეზე უნდა აღვადგინოთ“ \**კ<sup>1</sup>ე(ს)თ*“ ფორმა, რომელმაც ქართულში მოგვცა „კვეთ“, მეგრულში – „კვათ“, ჭანურში – „კვათ“, სვანურში – „კვემდ/კემდ“. ეს ძირით – წერს ავტორი – ფართოდაა დადასტურებული ქართული ენის ჯერ კიდევ აღრეულ ძეგლებში („მოიკვეთე იგი და განაჯავ“ მთ. 530,

მასდარი „მოკუეთა“). ახალ ქართულში ეს ძირი ნელ-ნელა იღვენება „ჭრ“ ძირისაგან. ზანური ძირის გახმოვნება (მეგრ. „კვათ.“ ჭან. „კვათ“-ო-კვათ-უ) კანონზომიერი შესაბამისია ქართული და სვანური „ე“-სი. სვანურში დასტურდება გახმოვნების ნულოვანი საფეხურიც, მღრ მასდარი „ლი-კვმდ-ენ-ი“ (მღრ. აგრეთვე, ქართული სა-კუთ-არ-ი „სობსტვენი“, გვ.111). „სა-კუთ-არ“-ის შესახებ ამის მეტი არაფერია ნათქვამი.

თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანის წიგნში თითქოს შემჩნეულია „კვეთ“ ძირის „კუთ“-თან კლიმოვისეული დაკავშირების მწირი საბუთიანობა, თუ უფრო მკაცრად ვიტყვი, უსაბუთობა და ავტორები ცდილობენ, დებულების მტკიცებას ფონეტიკური საფუძველი დაუძებნონ. ისინი წერენ: „ძველ ქართულში თანხმოვნებს შორის შეიძლება გვექონდეს როგორც [ჟ], ისე [უ].

ჟ	უ
სიკჟდილი	საკუთარი
შიშჟდილი	აკურთხევს
გჟმერა	სულიერი
ბჟრეტა	ეგულების
ქჟნეტა	მყუდრო
ქჟნესა	დაყუდებული

მაგალითების ანალიზი საინტერესო სურათს იძლევა: თუ „ურედუქციო“ ფუძე [ჟ]-ს შეიცავს, რედუქციის შემდეგ ეს [ჟ] თანხმოვნებს შორის მოქცეული მაინც უმარცელო რჩება. ამ დებულების სამაგალითოდ ჩამოთვლილია პირველ რიგში დასახელებული ძირები (გვ.48).

ავტორები განაგრძობენ: „ისეთი შემთხვევების ანალიზი, სადაც ერთსა და იმავე მორფემაში“ „ურედუქციო“ და „ნარედუციალ“ ფორმათა მონაცვლეობა რეგულარულ ხასიათს არ ატარებს და სადაც ეტიმოლოგიური კავშირები უკვე დიდი ხნიდან არის გაწყვეტილი, გვაფიქრებინებს, რომ „ჟ“-სა და „უ“-ს მიმართება ქართული

ენის განვითარების უძველეს პერიოდში არ უნდა ყოფილიყო იგივე, რაც ძველ ქართულში, კერძოდ, „ურედუქციო“ ფორმებში ხმოვნის წინ უნდა გვექონოდა [წ], ხოლო ნარედუქციალ ფორმებში თანხმოვნებს შორის – მარცვლოვანი [უ].

С҃V

ვკუთ

გან-ვკუთ-ე

კუერთხი

კუარცხლ[ბერკი]

СუС

სა-კუთ-არ-ი

აკურთხ-ევ-ს

ახ.ქართ. მო-კურცხლ-ა

(მღრ მეგ კურჩხი, სევანჭიმკვეშკურჩხი „ფეხი“, გვ.49).

ე.ი., იგულისხმება, რომ „სა-კუთ-არ“-ის „კუთ“ მიღებულია „კუთ“-ისაგან, სადაც „ე“-ს რედუქციის შემდეგ გვრჩება „სა-კუთ-არ“-ი და, რადგან თანხმოვნებს შორის უმარცვლო [წ] იქცეოდა მარცვლიან [უ]-დ „კუთ“ ძირისაგან მივიღეთ „კუთ“ ფორმა.

ფორმალური თვალსაზრისით ამ მსჯელობაში ყველაფერი რიგზეა. ოღონდ, ჩვენი აზრით, მოიკოჭლებს დებულების სემანტიკური მხარე, კერძოდ, როგორ მივუსადაგოთ „მოკვეთა“, „მოჭრა“ მნიშვნელობა, რასაც „კუთ“ ძირი უკავშირდება „სა-კუთ-არ“-ს, რაც სრულიად საპირისპიროს ნიშნავს?

ამ ხარეუმს ავგორებიც ამჩნევენ და სქოლიოში განმარტავენ: „საკუთარი“ ეტიმოლოგიურად „ვისთვისმე მოსაკვეთი, მოსაჭრელი“, მღრ., ახ. ქართული იდიომატური გამოთქმა: („თავისთვის მოითალა“, ე.ი. „დაისაკუთრა“, იქვე).

ამ ახსნას ორი ნაკლოვანი მხარე აქვს: პირველი, ვისთვისმე „მოსაკვეთი“, „მოსაჭრელი“ რატომ უნდა იყოს მაინცდამაინც „ჩემი საკუთრება“ ან საერთოდ ვისიმე საკუთრება, გაუგებარია; მეორე, და უფრო უცნაური ისაა, რომ მსჯელობაში შემოგანილია ახალი სიდიდე, სხვა მმნა – „მოთლა“, რაც ლოგიკურად დაუსველებელია.



„მოთლა“ იქნება მართლაც ნიშნავს „თავისთვის“ „მოიჭრა“-ს, „დაისაკუთრა“-ს, მაგრამ რა შუაშია აქ „სა-კუთ-არ-ი“. ამ საბუთით განა დადგინდება, რომ „მოკუეთ-ა“ ან თუნდაც „მო-ი-კუეთ-ა“ დასაკუთრებას ნიშნავს?!

თუ აზროვნების ჭეშმარიტი ლოგიკიდან გამოვალთ, როგორც ითქვა, „მო-კუეთ-ა“ „სა-კუთ-არ“-ს კი არა, პირიქით, მოცილებულს, მოშორებულს ნიშნავს და ამიტომაცაა, რომ „მოკუეთილი“ თემიდან განდევნილის მნიშვნელობითაა ნახმარი ვაეა-ფშაველასთან.

ერთი სიტყვით, „მო-კუეთ-ა“ („მო-კუეთ-ა“) და „სა-კუთ-არ-ი“ სემანტიკურად ერთიმეორეს ვერ დაუკავშირდება ქართული ენის განვითარების ვერც ერთ დონეზე. ამის ბრწყინვალე დასტურია „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, რომელშიაც „კუეთა“ ძირთან დამოწმებული სიტყვები: ასოკუეთილი, აღმოკუეთა, აღმოსაკუეთილი, გამოკუეთა, გა(ნ)-კუეთ(-ილ-ი), განკუეთილება, განუკუეთილი, გარდაკუეთა, დაკუეთა, დამოკუეთა, ენაკუეთილი, კუდკუეთილი, მკუეთილი, მკუეთრი, მოკუეთა, ნაკუეთი, საკუეთელი, სასოკუეთილი, სასოწარკუეთილი, ყურდაკუეთილი, ყურკუეთილი, შეკუეთა, გარდუკუეთელი, წარკუეთა, წარმოკუეთა, ჩამოკუეთა, რომლებთანაც დაკავშირებულია მნიშვნელობები. „გაჭრა, მოჭმა, მოკუეთა, მოცილება, მოშორება, მოწყვეტა“ და მისთ. რასაკვირველია, არცერთ ამ სიტყვასთან დასახელებული არაა „საკუთარი“ და „კუთ“ ძირთან დაკავშირებული სიტყვები: კუთნა, გამოკუთნა, საკუთარი, რომლებთანაც დაკავშირებულია მნიშვნელობები: „განსაზღვრა, მიკუთვნება, საკუთარი“.

ჩვენს ამ დებულებას მხარს უჭერს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებაც „სა-კუთარ“ სიტყვის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით, რომელიც მას გამოთქმული აქვს წიგნში – „ქართული სამართლის ისტორია“ (მერე ნაწილი, მერე ნაკუეთი, 1929 წელი), სადაც ვკითხულობთ: „ტერმინ „საბეპუროს“ ანალიზმა საშუალება მოგვცა გაგვეჩვენა, თუ როგორ წარმოიშვა ტერმინი „სასეფო“ და საკუთარების ცნება. ამავე მიზნის

მისაღწევად, რასაკვირველია, გერმინი „საკუთარის“ ძირითადი, თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევაა საჭირო. ცხადია, რომ საკუთარი, საკუთრება, განკუთვნა ერთი და იმავე ძირისგან წარმომდგარი გერმინებია და ნაწარმოებია, როგორც „სანუკუარი“, თავსართი „ს“, „გან“-ისგან და ძირისა „კუთ“-ისა და ბოლოსართების „არი“, „რება“ „განა“. ამ გერმინების პირველადი მნიშვნელობის გაგება გაგვიადვილდებოდა, ამ ნაწარმოებთა ძირის მნიშვნელობა რომ გვეცოდნოდა.

საბედნიეროდ „კუთვნა“ ძველ ქართულში თავისთავადაც იხმარება. დაბადების თარგმანის წყალობით. მისი მნიშვნელობა ირკვევა. მაგ.: „კუთვნად ძელთა და ქვათა (ეზეკიელი 2032) უდრის ბერძნულს „του λατρευειν ευλοζ και λιθις“, ლათინურს „Colamus ligna et lapides“... ამ მაგალითებიდან ირკვევა, რომ ქართული „კუთვნა“ ბერძნული λατρευειν-ის (ლატრევეინისა) და ლათინური „Colere-ს“ მსგავსად მსახურებას, თაყვანისცემას, ზრუნვასა და მოსაველელის, საზრუნავის, სათაყვანებელის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, საკუთრება ის იყო, რაც საზრუნავი და მოსაველელი, თანაც სათაყვანებელი იყო, ის საერთოსა და საზოგადოსა, საზიაროსაგან განსარჩევად, რომლისთვისაც თვითოეულ წევრს მზრუნველობა არ საჭიროებდა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხ. 12 ტომად, ტ.7, გვ.286).

მამასაღამე, „საკუთ-არ“-ი ნიშნავს ისეთ რასმე, რასაც განსაკუთრებული გაფრთხილება, მოვლა, პატივითა სჭირდება, განსხვავებით იმისგან, რაც ასეთ ყურადღებას არ იმსახურებს. ამდენად, „საკუთარის“ „კუთ“ ძირი ვერ დაუკავშირდება „კუთ“ ძირს.

ახლა იმის შესახებ, თუ რას უნდა ნიშნავდეს, უფრო სწორად, საიდან უნდა მიდიოდეს „კუთ“ ძირი.

ჩვენი აზრით, იგი უნდა დავაკავშიროთ ხმაბაძვეთ სიტყვასთან „კუთ-ავ-ს“, რომელიც თავის მხრით, ალბათ, უკავშირდება ქ.გ.ლ.-ში მითითებული რედუქლიცირებულ ძირს „კუთ-კუთ“-ს. ამ უკანასკნელს

კი იმავე ლექსიკონის ჩვენებით ეხმიანება ძირები: „კუტ-კუტი“ და „ქუთ-ქუთი“.

„კუთ-კუთ“-ის შესახებ ქ.გ.ლ.-ში ვკითხულობთ: ფრინველთა დაბალი და გაბმული ხმიანობა. შდრ. „კუტ-კუტი“. „კუტ-კუტ“-ის განმარტებისას კი ნათქვამია: ხმაძაბებითი, ზოგი ფრინველის ხმიანობა... წიწილების მოხმობა კრუხისგან გადაგით „ერთმანეთის მოაღერსება ადამიანთაგან“ (სტ. მენტ.), ხოლო „ქუთ-ქუთ“-ის გასწვრივ მოკლედაა მითითებული – „იგივეა, რაც „კუტ-კუტი“.

ამ ამონაწერებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტ. მენტეშაშვილის მიერ დამოწმებული მაგალითი, რომლის მიხედვითაც „კუთ-კუთ“-ის თქმით ადამიანები ეაღერსებიან ერთმანეთს. მე კი გურიაში გამიგონია „შვილებს კრუხივით დაქუთქუთებს თავგეო“, ე.ი. ეაღერსება, ზრუნავს, სწუხს მათთვის. მხოლოდ წუხილის გამოსახატავად კი იხმარება „კუთ-ვა“ ზმნა. სამწუხაროდ, ეს არც ქ.გ.ლ.-შია ასახული და არც ალ. ლლონგის „კილო-თქმათა სიტყვის კონაში“. იქ „კუთავს“ ზმნა მიჩნეულია იმერულ ფორმად, თანაც მხოლოდ, კრუხთან დაკავშირებით („კუთავს, (იმერ). კრუხის კრიახი, ჭრიახი“. ჩვენი აზრით, ეს განმარტებაც კორექტივს მოითხოვს. „კუთავს“ „კრიახი“ არაა. „კუთვით“ კრუხი „ელაპარაკება“ წიწილებს, ეაღერსება მათ.

რაც შეეხება ადამიანებს, ისინი გურულ მეტყველებაში „კუთავენ“, როცა რამეზე სწუხან. „რამდენიც არ უნდა იკუთო, ამ საქმეს აღარაფერი ეშველება“ – გამიგონია გურიაში.

იგივე ზმნა უნდა იყოს დ. ჩუბინაშვილს ლექსიკონში დამოწმებული „ქოთება“ – (ფ-ქოთებ-თე) ელაღალე, ეგოდებ; „ქოთვა“ (ფ-ქოთავ-თე) ერთ ადგილზე მოსვენებით არ ეზივარ.

ერთი სიტყვით, „კუთ-კუთ“-ი „კუტ-კუტ“-ი, „ქუთ-ქუთ“-ი, „ქოთ-ქოთ“-ი („კუთავს“, „ქოთავს“) დაკავშირებულია წუხილთან, ზრუნვასთან, აღერსთან, ამდენად, მოვლასთან და პაგრონობასთან, რაც „მოკვეთასა“ და „მოკვეთილზე“ არასდიდებით არ ითქმის.

ნათქვამიდან, ვფიქრობთ, აშკარა უნდა იყოს, ეტიმოლოგიური ლექსიკონების მითითებული ადგილებიდან „საკუთარი“ უნდა ამოვიღოთ.

ჩვენს პოზიციას მხარს უმაგრებს (იე. ჯაფახიშვილის მოსაზრებას იმეორებს) ედ. ჭელიძეც „კუთენაჲ“ გერმინის მნიშვნელობის გაგებასთან დაკავშირებით ვაზ. „კალმასობის“ (№ 11(24) 1988წ.) ფურცლებზე წერილში – „ძველი ქართული ენის ლექსიკონის შესახებ“ – მკვლევარი წერს: „კუთენაჲ“, არის არა „ერთობა, ჯგუფი“, არამედ გერმინოლოგიური შესატყვისია ბერძნული სიტყვისა „ლაგრეია“, რაც ნიშნავს „მსახურებას“, „თაყვანებას“. ეს ბერძნული სემანტემა, გელათურ სკოლამდე, ძირითადად ითარგმნებოდა, როგორც „მსახურებაჲ“. გელათური სკოლა ამკვიდრებს ახალ შესატყვისს „კუთენაჲ“, „მკუთენელობაჲ“ (იხ. „ეზეკიელის წიგნის“ თ. ცქიტიშვილისეული გამოცემა, გვ.307; შდრ. ფილოსოფიური ძიებანი, II თბ., 1995, გვ.195. აღნიშნული სიტყვა არამართებულადაა განმარტებული „დიდი სჯულისკანონის“ გამოცემაში).

## 2. ვინ იყო „აფხაზთა მეფე“ ლეონ II – აფსუა თუ ქართველი?

(ქართულ-აფსუური ანთროპონიმის საკითხები)

ქართველთა წინააღმდეგ ომში განსაკუთრებული „გმირობისა და მამაცობისათვის“ ვ. არძინბამ დააწესა „ლეონის ორდენი“.

როგორც ცნობილია, ჯილდოდ დაწესებული ორდენები ორ ჯგუფად იყოფა: პირველში ერთიანდებიან ის ორდენები (სამხედრო-სარაინდო თუ სამეფო კარის ორდენებიდან წარმოქმნილი), რომელთა სახელწოდებაში ზოგადი სახელები (ინგლისში – „წივისაკრავის“; საფრანგეთში – „ბრწყინვალე ლეგიონის“; თურქეთში – „მთვარის...“) გამოუყენებიათ; მეორე ჯგუფში კი ისეთები, რომლებსაც კონკრეტული პიროვნებების სახელს ატარებენ: – ზოგჯერ წმინდანებისა (ძველ რუსეთში: „ანდრია პირველწოდებულისა“; „წმინდა გიორგისა“, „ანასი“), მეტწილად კი – ორდენის დამაარსებელი ქვეყნის ყველაზე გამოჩენილი წინაპარი სახელმწიფო მოღვაწეებისა და მხედართმთავრებისა; რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში: ლენინის, ალექსანდრე ნეველის, სუვოროვის, კუტუზოვის; ბულგარეთში – დიმიტროვისა და სხვა).

რადგან საქართველოს ისტორიაში „აფხაზთა მეფის“ ტიტულით ლეონ II-ზე უფრო დიდებიცა და გამორჩეულებიც იწოდებოდნენ, საგანგებოდ კი ლეონი აირჩიეს, იგულისხმება, ეს შემთხვევით არ მომხდარა. თავისთავად ცხადია, დღევანდელი „აფხაზეთის დამოუ-

კიდებული სახელმწიფოს შემქმნელი“, აფსუა ხალხისთვის სამაგალითოდ პირველი, აგრეთვე, დამოუკიდებელი „აფხაზთა სამეფოს“ დამაარსებლის – ლეონის სახელს ხდიან.

მართალია, მე ის „ბრძანებულება“ არ წამიკითხავს, რითაც ორდენის სტატუსი განისაზღვრა, რომელშიაც, ალბათ, ლაპარაკია იმაზე, თუ ვინ იყო ლეონი და რა დამსახურება მიუძღვის მას აფსუა ხალხის წინაშე, მაგრამ გუმანი მკარნახობს, რომ მხედველობაში ჰყავდათ პირველ „აფხაზთა მეფედ“ წოდებული – ლეონ II. აქედან კი ლოგიკურად გამომდინარეობს ორი დასკვნა: 1. ლეონი არის დღევანდელი აფხაზეთის აფსუა მაცხოვრებლების სახელოვანი წინაპარი, მათი ისტორიული დამოუკიდებელი სამეფოს შემქმნელი; 2. ეს სამეფო ეთნიკურად წმინდა აფსურის იყო და არავითარი ურთიერთობა არა ჰქონდა ქართველებთან.

ლეონ II ნამდვილად არსებული და ცნობილი პიროვნებაა – ისტორიული აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სამეფოს საფუძველის ჩამყრელი..

„...VIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის ბიზანტიის ვასალი, ლეონ აფხაზთა ერისთავი ბიზანტიის იმპერიის მხარდაჭერით (თუ სანქციით) აერთიანებს ეგრის-აფხაზეთს, ხოლო VIII-ს. დასასრულს ეს გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთი ითავისუფლებს თავს ბიზანციელთა ვასალობისგან და „სამეფოდ“ ყალიბდება.

ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება აფხაზთა ერისთავის მეთაურობით ჩანს, განხორციელდა ნებაყოფლობით. ქართული საისტორიო გრადიცია ლეონის მიერ აფხაზეთისა და ეგრისის „დაპყრობას“ (ე.ი. ამ ორი ქვეყნის მმართველობის ხელპყრობას) ეგრისის მფლობელი ქართლის ერისთავის, არჩილის მემკვიდრის იოანეს გარდაცვალებასა და ჯუანშერის მოხუცებულობას უკავშირებს, რომელთა ნათესავად ლეონს თვლის.

ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფო გერიგორიულად მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს. ეგრის-აფხაზეთის დასავლეთი საზღვარი

შავი მღვაა, ჩრდილოეთით – სამხრეთ ჯიქეთი ნიკოფსიითურთ მის შემადგენლობაში შედის, აღმოსავლეთით ის ლიხის ქედამდე აღწევს, ხოლო სამხრეთით – მდინარე ჭოროხის ხეობამდე („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, II, 1973წ., გვ.418)... „ეგრის-აფხაზეთის სამეფო ქართული სახელმწიფო იყო არა მხოლოდ გეოგრაფიულად და მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის დიდი უმრავლესობით. ამ სახელმწიფოს ქართულმა შინაარსმა განსაზღვრა ის გარემოება, რომ გაერთიანებისთანავე ეგრის-აფხაზეთის დედაქალაქად იქცა ქ. ქუთაისი, ძველი ქართული ქალაქი, ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი... ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფოს სათავეში მდგომმა ხელისუფლებამ იმთავითვე მიიღეს „მეფის“ ტიტული და იწოდნენ „მეფე აფხაზთა“ (იქვე გვ.420) ... დასავლეთ საქართველოს მიერ პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებას უშუალოდ უკავშირდება ეკლესიურად გამოყოფა, რაც, როგორც ვთქვით, ერთბაშად არ ხდება. ჯერ ხორციელდება ეგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, როგორც კონსტანტინეპოლის სამწყისოში შემავალი ეპარქიისა, რომელსაც სათავეში აფხაზთა კათალიკოსი ედგა (VIII ს. ბოლო ან IX ს. დასაწყისი); შემდეგ IX ს. მანძილზე (საფიქრებელია, უფრო მის პირველ ნახევარშივე) დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყოფა კონსტანტინეპოლსას და მცხეთის ტახტს უერთიანდება, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს უქვემდებარდება“ (გვ.425).

ამ ფაქტებთან დაკავშირებით სქოლიოებში მითითებულნი არიან: ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი, მ. ანჩაბაძე, მ. ლორთქიფანიძე; წყაროები: „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის ისტორია, სომხეთის ისტორია. სხვა წყაროები კი არ არსებობენ. ამიგომ აღწერილი ამბების ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არაა.

მაშასადამე, ფაქტობრივი ვითარება ასეთია: „აფხაზთა ერისთავი“ აერთიანებს მთელ დასავლეთ საქართველოს, დედაქალაქად ირჩევს

აბსოლუტურად ქართულ ქალაქ ქუთაისს. ჩქარა აღწევს დასავლეთ საქართველოს ეკლესიურ გაერთიანებას, მერე მის გამოყოფას კონსტანტინეპოლის სამწყსოსგან და მცხეთის კათალიკოსისადმი დაქვემდებარებას.

ვინ შეიძლება იყოს ეროვნებით ეს აფხაზთა ერისთავი, – ჯერ აფხაზთა სამთავროს მფლობელი, რომელსაც მშვიდობიანად უერთდება მთელი დასავლეთ საქართველო, თანაც თანხმდება იმაზე, რომ გაერთიანებული სახელმწიფო „აფხაზთა სამეფოს“ სახელს აგარებდეს? აფსუა იგი თუ ნამდვილი აფხაზი, ანუ ქართველი ისევე, როგორი ქართველებიც იყვნენ, ვთქვათ, გურიის ან ოდიშის მთავრები?

მოსალოდნელია, მშვიდობიანად, ყოველგვარი გართულებების გარეშე, ქართველებით დასახლებულმა მთელმა დასავლეთ საქართველომ მეფედ აღიარა უცხო გომელი – ერთი ყველაზე უმცირესი პროვინციის მმართველი, თანაც საკუთარი ქვეყნის სახელად ამ უცხოგომელის პროვინციის სახელი მიიღო?!

ახლა ამ „აფსუა“ ერისთავს დამიხედეთ, როგორ იქცევა? იგი კავშირს წყვეტს ბიზანტიის სამეფოსთან, რომელიც მისთვის, თუმცა უცხო ენაზე მოლაპარაკე და უცხო თვისებების მქონე ქვეყანაა, მაგრამ მაინც ძლიერი მეზობელი და მოკავშირე. თავის ბედს უკავშირებს მისთვის, აგრეთვე, უცხო ენაზე მოლაპარაკე და უცხო თვისებების მქონე ხალხს – ბიზანტიაზე გაცილებით პაგარა ქვეყანას. თანაც საკუთარი ავტოკეფალიის მქონე კათალიკოსსა და მთელი დასავლეთ საქართველოს ეკლესიას უქვემდებარებს მცხეთის, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსის სამწყსოს?!

როგორ ვიფიქროთ, თანამედროვე აფსუა „მმართველთაგან“ განსხვავებით, მეტისმეტად უგნურად და წინდაუხედავად არ იქცევა „აფსუა“ ერისთავი – ლეონი?!

მიუხედავად მემოთ ჩამოთვლილი საეკვო ვითარებისა, კითხვაზე: – ვინ იყო ლეონ II? პასუხი გაცემული აქვთ: „...“ აფსუა



ერისთავია, აფსუა ხალხის სახელოვანი წინაპარი, „აფხაზეთის სამეფოს“, ანუ აფსუური სახელმწიფოს შემქმნელი. ამ სახელმწიფოში ქართველების ჭაჭანებაც არ იყო“. სხვანაირად როგორ შეეძლოთ ქართველების ხოცვლა-ჟლეტაში თავგამოჩენილ აფსუა მებრძოლების დასაჯილდოებლად ლეონ II-ის ორდენი დაეწესებიათ?!

მე ისტორიკოსი არა ვარ და ისტორიული თვალთახედვით ნათქვამზე არაფრის დამატება არ შემიძლია.

რაც შეეხება ჩემს სპეციალობას – ენათმეცნიერებას – ამ მხრივ საკმაოზე მეტი საბუთი მაქვს და, რადგან ჩემი საბუთების ჭეშმარიტებაში წყდომა საგანგებო ენათმეცნიერულ კვლევას არ საჭიროებს, მხოლოდ ყურადღებასა და მეცნიერული სინდისისადმი, ანუ ჭეშმარიტების უზენაესობისადმი, მორჩილებას მოვითხოვ.

ენის ლექსიკურ შემადგენლობაში (რომელსაც ლექსიკოლოგია შეისწავლის) გამოყოფენ ერთ მეტად მნიშვნელოვან დარგს – ანტირონომიკას. იგი მოიცავს ადამიანის საკუთარ სახელებს. ენათმეცნიერული კვლევისათვის ამ დარგის მნიშვნელობასთან დაკავშირებით წიგნში: „Системы личных имен у народов мира“ (Изд. „Наука“, М.1986г.) ვკითხულობთ: „Различные системы личных имен сложились исторически, обусловленные различиями в строе языка. Они не только требуют изучения ради многочисленных практических нужд, но и служат драгоценным источником для таких наук, как история, этнография, лингвистика, потому что в личных именах в значительной мере отразилась история народов, их быт и социальный строй“ (стр.6, ხაზი ჩემია – ა.ფ.).

საკუთარ სახელებში ჩვეულებრივ ორ ფენას გამოყოფენ: ადგილობრივს, ეროვნულს და (რელიგიურ თუ სხვა გზებით) ნასესხებს. ისე, როგორც ყოველ სხვა ენობრივ მოვლენაში, ანთროპონიმიკაშიც შემჩნეულია ე.წ. უნივერსალები: თითქმის ყველა ენაში გვხვდება საკუთარი სახელები, რომელთა ფუძეები აღებულია ცხოველთა (დათვი, მგელი, ვეფხვი, ლომი, ძაღლი...) სახელწოდებებიდან.

განსაკუთრებით ფართოდაა გაერცელებული (ინდოევროპულ, ქართველურ და ჩვენი მემობელი ხალხის ენებში) საკუთარი სახელები ნადირთა მეფის სახელიდან ნაწარმოები: ეგვიპტურმა „ლიაბუ“, „ლებუმ“ ლათინურში „ლეო“ მოგვცა, რომლის სახეცელილებებია: ლეკანტი (ლეონტი), ლეონიდე, ლეონ, ლევან, ლეო, ლევ და სხვა. ამ ფუძიდან ნაწარმოებ საკუთარ სახელთა სიმრავლეზე მიგვითითებს ქართველური გვარსახელები: ლომაძე, ლომიძე, ლომამვილი, ლომოური, ლომაია, ლომია, ლომთაძე, ლომთათიძე, ლომინიეშვილი, ლომსაძე, ლევანიძე, ლევანიშვილი, ლეონიძე და სხვა (მ. ჭუმბურიძე).

ლექსიკის სხვა სფეროების მსგავსად, საკუთარ სახელებშიც გვხვდება ძველი ან მოძველებული და „ახალგაზრდა“ სახელები, მაგრამ არის სახელთა ერთი რიგი, რომელთაც საუკუნეებს გაუძღეს და დღესაც ისევე ხშირად გვხვდებიან, როგორც შორეულ წარსულში. საკუთარი სახელების მდგრადობას ძირითადად ორი ფაქტორი განაპირობებს: რელიგიურ-კანონიკური და ისტორიულ-ყოფითი. ყოველი მშობელი ცდილობდა და ცდილობს, თავის შვილს შეარქვას გამოჩენილი სასულიერო პირის, წმინდანის, ცნობილი და სახელოვანი მეფეების, მხედართმთავერებისა და, საერთოდ, ერის გამოჩენილ წინაპართა სახელები. ამიტომაც რუსეთში ამდენი: ოლეგები, იგორები, ეკატერინეები; ევროპაში: კარლები, რიჩარდები, ლუი (ლუდოვიკოები), ჟანები, ელიზავეტები და მთელს ქრისტიანულ სამყაროში: გიორგები, პავლეები, პეტრეები.

და, რადგან ერის მეხსიერება სათუთად ინახავს გამოჩენილი წინაპრების სახელს და მას თაობიდან თაობას გადასცემს, მივადექით ჩვენთვის საძიებელ პრობლემას: რა გამოძახილი პოვა ანთროპონიმ – ლეონმა იმ ხალხის ისტორიაში, რომლის სახელოვანი წინაპარიც იგი იყო?

სტაგიაში „Об абхазской антропонимии“ (Изд. „Наука“, М., 1971г.) მოსკოველი მკვლევარი გ. წულაია საფუძვლიანად განიხილავს აფხაზურ (იგულისხმება, აფსურ) საკუთარ სახელებს და, როგორც

წესია, ჰყოფს მათ ორ ჯგუფად: საკუთრივ აფსურად მამაკაცის სახელები Баджа, Баджгур, Цаца, Джим, Кунцал, Мытэ, Квар, Хиткур, Багваза, Кабадта, Кумф, Кучир, Пач; ქალის სახელები: Хикур, Камачич, Фофа, Шулия, Хьваф – ეს სახელები მეტწილად უფროს თაობაში გვხვდებოდა (გვ.70) და ნასესხებად.

ნასესხობათა შესახებ მეცნიერი წერს: „Специальной литературуре хорошо известно описание Флавием Аррианом древнеабхазских племен апсилов, абасков и санигов. По словам Арриана „царь“ апсилов наделенный властью императором Трояном, носил романское имя Юлиан. „Цари“ же абасков и санигов, получившие власть позже от императора Арриана носили имена Ресмаг и Спадег, сарматское происхождение которых ныне общезвестно“ (იქვე).

შემდეგ ავტორი ვრცელად მსჯელობს იმის შესახებ, რომ აფხაზურ-ოსური ურთიერთობა (იგულისხმება, აფსურ-ოსური – ა.ფ.) მჭიდრო იყო, რის დასამტკიცებლადაც „ქართლის ცხოვრებიდან“ მოიხმობს ცნობას, რომ ქართველ მეფეთა სამსახურში იმყოფებოდა მხედართმთავარი ვინმე ღარღან შერვაშიძე, რომლის სახელი უფემეც იკითხება „ღარღან“ ძირი, რაც ოსური ენის დიგორულ დიალექტში ნიშნავს: „„держат“, „выставлять“. Смысл этого имени, его социальное звучение в полне соответствует сану владетельного князя абхазии(!)“.

შ.დ. ინალ-იფაზე მითითებით მკვლევარი განაგრძობს: „До последнего времени среди абхазов было популярно мужское имя Куджи. Под этим именем в „картлис цховреба“ упомянут западногрузинский правитель (III в.д.н.э.)... Имя Куджи алано-осетинского происхождения – Кудз - собака“ (გვ.71).

ამ კონტექსტში საინტერესოა გ. წულაიას შენიშვნა: „И наконец отмечу еще один любопытный факт. Известно, что среди абхазов популярна легенда об их „африканском“, точнее „абесинском“ происхождении... Очевидно, движимые своей генеалогической

легендой, - абхазы не преминули легко усвоить такие имена, как арабские Хабаш (абесинец) и редкое русское „Африкан““ (გვ.74).

შემდეგ ჩამოთვლილია ქართულიდან ნასესხები სახელები: შოთა, შალვა, ვახტანგ, ზურაბ, გივი, გიორგი... მეგრულიდან: შუშკა (შუშანიკიდან), ნიკულა (ნიკოლიადან), ღუაჩია (კოწიადან), ღუაჩა (კოსტადან); ლაპარაკია თურქულიდან შემოსულ სახელებზე: ასლან, ოსმან, ისლამ... რუსულიდან: ერმოლაი, ბორის, იური, ანათოლი, მიხაილ და სხვა.

არსად, არც ადგილობრივ-ეროვნულში, არც ნასესხებში ერთი სიტყვითაც ნახსენები არაა არათუ „ლეონი“, არამედ მასთან მიმსგავსებული ფუძისგან ნაწარმოები საკუთარი სახელი. არც ამ სტატიამ და არც ჩემთვის ხელმისაწვდომ წყაროებში თუ პუბლიკაციებში, რომლებიც საგანგებოდ შევისწავლე, „ლეონი“ არ შემხვედრია. თუმცა არა, ანთროპონიმი „ლეონი“ ცნობილია შერვაშიძეთა გვარში, რომელი გვარის ქართული წარმომავლობაც კარგად უწყოდნენ როგორც აფხაზეთში, ისე საქართველოში.

დარწმუნებული ვარ, აფსუა „ხელმძღვანელებმა“ იმდენად იციან ქართული და იმდენი ქართული ლიტერატურა აქვთ წაკითხული, რომ არ დამჭირდება საგანგებო მაგალითების მოხმობა იმის სამტკიცებლად, თუ რაოდენ ფართოდ არის გავრცელებული საკუთარ სახელად „ლეონ, ლეონი“ არა მხოლოდ ქართულ და მეგრულ სამეფო ოჯახებში, არამედ, სამოგადოდ, ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში და ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო დონეზე. იგი გავრცელების სიხშირით მხოლოდ გიორგის, ვახტანგსა და დავითს ჩამორჩება სამეფო სახელებში, ხოლო თითქმის ყოველ მეხუთე ქართველს ლეონ, ლეონ, ლეონიდე, ლეონგი, ლეონ ერქვა და ჰქვია.

ახლა საკითხავია, როგორ აეხსნათ ეს საოცრება: აფსუა ხალხს, ვისაც თურმე ახსოვს თავისი „აბაშური“ (აბესინური) წარმომომობის რამდენიმე ათასი წლის წინანდელი ლეგენდა და დღესაც ამ ლეგენდის მოსაგონებლად საკუთარ სახელად „ხაბაშს“ გამოიყენებს,

ანდა იგივე აფხაზი (ვეგულისხმობ აფსუას – ა.ფ.), რასაკვირველია, მეგრული წარმოშობისა, თავის პირმშოს „ქუჯს“ არქმევს – არ იფიწყებს 23-საკუნოვან ისგორიას, ერთხელაც არ იხსენიებს იმ არც თუ შორეულ წინაპარს, ვინც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და სამეფო შეუქმნა, ვინც მათი პროვინციის სახელი „აფხაზეთი“ მთელ დასავლეთ საქართველოს უწოდა?! მეორე მხრივ, ქართველმა ხალხმა როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში (ცნობილია, კახთა მეფე ლევან I) თავისი სათაყვანებელი მეფეების: ვახტანგის, დავითის, გიორგი ბრწყინვალის შემდეგ სამეფო გვარში ერთ-ერთ გაგრეცლებულ სახელად გაიხადა დამპყრობლის (გნებავთ გამაერთიანებლის) მაგრამ მაინც უცხო გომელის – აფსუას სახელი?! შეიძლება დავიჯეროთ ორივე ხალხის მეხსიერების მსგავსი სიჩლუნგე?

### 3. რას ნიშნავს – „ღელათა ბუნებაჲ იწრო არს?“

მერაბ რობაქიძემ წერილში „შუმანიკის წამების ერთი ადგილის გაგებისათვის“<sup>1</sup> ყურადღება მიაქცია ნაწარმოებში ხმარებულ გამოთქმას „რამეთუ ღელათა ბუნებაჲ იწრო არს“ და გადაწყვიტა გაერკვია მისი მნიშვნელობა.

ავტორი წერს: „მოგიერთი მკვლევარის ამრით, აქ გამოხატულია ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობის შემღვდუღელობა V საუკუნის საქართველოში“ (გვ.130). „მოგიერთებში“ ავტორი გულისხმობს VIII კლასის „ძველი ქართული ლიტერატურის“ ავტორებს და მიუთითებს ამ წიგნის 1974 წლის გამოცემაზე.

მართალია, უკანასკნელ გამოცემაში მითითებულ გამოთქმაზე საერთოდ აღარაა ლაპარაკი, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა იმეორებს ძველი გამოცემების ამრს და მოსწავლეებს არასწორ ინფორმაციას აწვდის, ამდენად, სტაგიაში განხილული საკითხის საამჟამინამდინავე გამოგანა არა თუ საჭირო და ღროული იყო, არამედ – აუცილებელიც.

სტაგიაიდან ვგებულობთ, რომ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ილ. აბულაძისეულ ფონდში მ. რობაქიძეს მიუკუეღვევია განსვენებული მეცნიერის ხელნაწერისთვის – „რას ნიშნავს

<sup>1</sup> შუმანიკის წამება, საიუკოლო კრებული, თსუ, 1979წ.

„შუმანიკის წამებაში“ ნახმარი გამოთქმა „ლეღათა ბუნებაჲ იწრო არს“?

„ილ. აბულაძის ამრითო, წერს მ. რობაქიძე, „საქმის ვითარება ნათელი გახდება, თუ კარგად გაეთვალისწინებთ „ბუნებისა“ და „იწროს“ შინაარსს, სწორად განმარტავთ ამ სიტყვებს. მოცემულ წინადადებაში კი მეცნიერის მითითებით, ნათქვამია შემდეგი: ქალბე, რომლის „ბუნება იწრო არს“ მოქმედებს ფიცხელი სიტყვა. რა არის ბუნება? – სვამს კითხვას ილ. აბულაძე და იქვე განმარტავს: „ბუნებაჲ ძველი ტექსტების ჩვენებათა თანახმად არის „ანაგობა“, ხასიათი“, „დამახასიათებელი თვისება“, „მოღვაძობა“ და „მკვიდრობა“, ე.ი. „საკუთრება“ (გვ.130).

აქვე ავგორს მოაქვს „ბუნება“ სიტყვის ილ. აბულაძისეული განმარტება „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან და დაასკენის:

„თუ შევაჯამებთ „ბუნება“ სიტყვის ილ. აბულაძისეულ განმარტებას, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ბუნება – „აღნაგობა“, „ხასიათი“, „დამახასიათებელი თვისება“, „მოღვაძობა“, „მკვიდრობა“ (ე.ი. „საკუთრება“, „საკუთარი ნიშნეულობა“). ნატურა, თვისება, აგებულება, არსი, ჩვეულება“ (გვ.131).

შემდეგ მ. რობაქიძე თავად ეძებს ამ სიტყვის განმარტებას საბასთან, ნ. ჩუბინაშვილთან, ქ.გ.ლ.-ში. მას პეტერსის ლათინურსა და კ. კეკელიძის რუსულ თარგმანს უღარებს, „ბუნების“ ძირის „ბუნ“-ის პ. აჭარიანისეულ განმარტებას და ამავე სიტყვის ბერძნულ-ლათინური შესატყვისის მნიშვნელობასაც განიხილავს.

ავგორი აჯამებს: „როგორც ვხედავთ, ქართულ ენაში ბუნების ძირითადი მნიშვნელობა უკავშირდება არსებითს, ძირითადს, დამახასიათებელს, ორგანულს, განუყოფელს. ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას როგორც ძველ, ისევე ახალ ქართულში“ (გვ.132).

„ბუნების“ მნიშვნელობის გარკვევის შემდეგ საჭიროა, გაირკვეს მნიშვნელობა „იწრო“ სიტყვისა.

ილ. აბულაძის აღნიშნული წერილის ხელნაწერში „იწროს“ განმარტება არ აღმოჩენილა. მ. რობაქიძის ამრით, განსვენებულ მეცნიერს, როგორც ჩანს, ხელნაწერი ვერ დაუმთავრებია ან ხელნაწერი არასრულად შემონახულა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაახლოებით მაინც შეგვიძლია, გავითვალისწინოთ მეცნიერის შეხედულებები, მის მიერ შედგენილ ლექსიკონებს თუ მიემართავთო:

„ძველი ქართული ენის ლექსიკონში *იწროსთან* ასეთ განმარტებას ვკითხულობთ: „ეწრო, საჭირველი, შეჭირვებული, *მწუხარი, წუხილის განმცდელი*. ილ. აბულაძის მიერ მოგანილ მაგალითებს შორის, ამ მნიშვნელობათა საილუსტრაციოდ რომ მოაქვს, ვხედებით ჩვენთვის საინტერესო მაგალითსაც: „*ნუ რას ფიცხელსა სიტყვასა ეტყვი მას, რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს*“. ნათელი ხდება, რომ ილ. აბულაძის განმარტებები – „*მწუხარე, წუხილის განმცდელი*“ ეხება სწორედ ამ მაგალითს... საინტერესოა ისიც, რომ VIII კლასის სასკოლო ქრესტომათიაში, რომლის ერთ-ერთი შემდგენელია ილ. აბულაძე, „*შუმანიკის წამების*“ *იწრო* განმარტებულია ამგვარად: „*მწუხარე, ლმობიერი, მტკივნეული*“ (გვ.133).

შემდეგ მ. რობაქიძე თავად ცდილობს დაადგინოს „*იწროს*“ მნიშვნელობა, რისთვისაც მიმართავს „*წამების*“ ხელნაწერებს, რომლებშიც „*იწროს*“ შესატყვისად (შვიდ ხელნაწერში) იკითხება „*გულიწრო*“. ამ სიტყვის სომხური, ბერძნული და ლათინური შესატყვისების დაძებნის შემდეგ დადგინდა, რომ მას სინონიმად „*სულმოკლე*“ ეძებნება, რაც, თავის მხრით, ნიშნავს – *ადვილად აღგზნებადს, ემოციურს*. „*ამიტომ იწროს* განმარტებები ამ შემთხვევაში იგივე იქნება, რაც „*გულიწროს*“ – „*ადვილად აღგზნებადი, ემოციური*“ (გვ.137).

ასეთი ექსკურსის შემდეგ ავგორი იშველიებს გერმანელი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის ცნობილ შეხედულებას ქალებზე: „*ვერავეითარ „აუცილებელია-ს“, ვერავეითარ „ასე უნდა“-ს ვერავეითარ ვალდებულებას, ვერავეითარ ბრძანებას, ვერავეითარ უცხო იძულებას*



ქალი ვერ ითმენს... მისი ფილოსოფიაა არა გონება-განსჯა, არამედ გრძნობიერება“, ...რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს.

მამასაღამე, სპარსის სიგყეები მიმართული ვარქსენისაღმი: „ნუ რას ფიცხელსა სიგყეასა ეტყევი მას, რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს“ ნიშნავს: „*ფიცხელი*“ (*უხეში*) *სიგყევით ნუ მიმართაე მას (შუშანიკს), რადგანაც ქალის ბუნება ემოციურია, აღვი-ლადაღგზნებადიო*“ – ამთაერებს აეგორი (გვ.140, ხაზი ჩეენია – ა.ფ.).

ასეთი განმარტება თითქოსდა მართლაც აკმაყოფილებს კონტექსტის მოთხოვნილებას. მაგრამ ვამბობთ „თითქოსდა“-თქო იმიგომ, რომ მთლად ზუსტი არაა.

ჩემი აზრით, თავად „ბუნების“ მნიშვნელობის „დაღვენისა-თვისაც“ არ იყო ამდენი შრომა და რუღუნება საჭირო, რადგან თვითონ კონტექსტი მეტად ნათლად მიგვანიშნებს, რომ ამ სიგყვას იგივე მნიშვნელობა ჰქონდა „შუშანიკის წამების“ დაწერის დროსაც, რაც დღეს აქვს.

რაც შეეხება „იწროს“ აქ საქმე, ერთი შეხედვით, უფრო რთულადაა, მაგრამ სიმძნელე აქაც მოჩვენებითია. საკმარისი იყო გეოლოგთა სიგყვის სინონიმი, რომელიც დღესაც მეტად მტკიცედ მის ყოველი გურულის აქტიურ ლექსიკურ მარაგში და ყველაფერი დღესავე ნათელი გახდებოდა.

ეს სიგყვა გახლავთ – „*სუსტი*“.

თუ კოჭლობით მოსიარულე გურული დაინახეთ და ისიც შენიშნეთ, რომ მას ახალი ფეხსაცმელები აცვია, თქვენს კითხვაზე, თუ რა მოუვიდა, რაგომ კოჭლობს, როგორც წესი, ის გაპასუხებთ: „*სუსტი* ფეხსაცმელები მაცვია და ფეხებს მტკენსო“. მსგავსს სიგუაყიამი თქვენ გურულისგან მოისმენთ, რომ მას „*სუსტი* აქვს პალტო, კაბა, ქუდი და სხვა“.

ერთი სიგყვით, აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში, როცა განსაცმლის, ფეხსაცმლის, ქუდის თუ მსგავსი საგნის სივიწროვეა

სათქმელი, სიტყვა „*იწროს*“ მაგიერ გურული „*სუსტს*“ ხმარობს და, ამკარაა, ეს გრადიცია ძველი ქართულის გადმონაშთია.

ახლა თუ საძიებელ კონტექსტში „*იწროს*“ „*სუსტი*“ შეეყვანით, ვნახავთ, რომ კონტექსტის მნიშვნელობა სარკესავით გამჭვირვალე გახდება და აბსოლუტურად დაემთხვევა იმას, რასაც თანამედროვე სამეცყველო ქართულში ვამბობთ მსგავსი აზრის გადმოსაცემად. „...რამეთუ დედათა ბუნებაა სუსტი არს“ „*რადგან ქალის ბუნება სუსტი არის*“, „*რადგან ქალი სუსტი არსებაა*“.

საინტერესოა ისიც, რომ ერთ ადგილას მ. რობაქიძე, მისდა უნებურად, თავად მიღის ასეთ დასკვნამდე და „*სუსტიც*“ სწორედ შესაფერის ადგილას აქვს ნახმარი. იგი წერს: „ი. აბულაძის მიერ შედგენილ „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „ბუნება“ ასეა განმარტებული: „ნატურა, თვისება, აგებულება“. დამოწმებულია მაგალითები: „დედაკაცი ვარ უძლური ბუნებითა“, სადაც ქალი თავის ბუნებას ე.ი. „ნიშანდობლიობას, „საკუთარ ნიშნეულობას“, „ნატურას“ ახასიათებს როგორც *სუსტს, უძლურს*“ (გვ.131, ხაზი ჩვენია).

სრულიად ამკარაა, რომ ის, რასაც აქ ქალი თავის თავს მიაწერს, ჩვენს მაგალითში სპარსის მიერ აქვს მიწერილი საერთოდ ქალს. ამიგომაცაა, რომ განმარტებაში გამოჩნდა სიტყვა „*სუსტი*“.

ერთი სიტყვით, გამოთქმა: „...რამეთუ დედათა ბუნებაა *იწრო არს*“ ნიშნავს: „*რადგან ქალის ბუნება სუსტია*“, „*ქალი სუსტი ბუნებისაა*“, „*ქალი სუსტი არსებაა*“, ამიგომ ნუ გაუჯავრდები მასო“ – გააფრთხილა სპარსმა ვარქსენი. – მეტად კეთილშობილური რჩევაა და დიამეტრულად იმის საწინააღმდეგო, რასაც მასში გულისხმობდნენ.

დაბოლოს, საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ აქ ნათქვამი ოღნავადაც არ ამცირებს მ. რობაქიძის წერილის ღირსებას საერთოდ, რადგან, ჯერ ერთი, წერილში, როგორც ვთქვით, „თითქმის“ მუსტადაა დაძებნილი „*იწროს*“ მნიშვნელობა, მეორეც და, რაც მთავარია, ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ეს გამოთქმა *არამც*

და არამც არ გულისხმობს ქალის სამოგადოებრივი უფლებების შემღუფლებას, რაზედაც, როგორც წერილშიცაა აღნიშნული (იხ. გვ.137), პირდაპირ თუ გადაკერით, ზოგი მკვლევარი დღესაც მიუთითებს.

არც „სუსტი“ სიგყვის გურულში გავრცელებული მნიშვნელობის უცოდინარობა უნდა ჩაეთვალოს მკვლევარს ცოდვად, რადგან ამ მნიშვნელობაზე არც ერთ ლექსიკონში არაა მითითებული და თავად კი, რამეთუ გურული არაა, შეიძლებაოდა, არ სცოდნოდა.

სამაგიეროდ, ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ უნდა მოგვაგონოს ქართული ენათმეცნიერული სამოგადოების გადაუღებელი და აუცილებელი საქმე – *მივხედოთ დიალექტურ ლექსიკას, ვიდრე გვიან არ არის.*

„სუსტის“ მოგანილ მნიშვნელობიდან გამომდინარე კი კეთდება თეორიული ხაზიათის დასკვნაც: *დიალექტური ლექსიკონების შედგენისას მათში უნდა შევიდეს არა მხოლოდ წმინდა დიალექტიზმები, არამედ – სალიტერატურო ენის ნორმად მიჩნეული ფორმებიც, თუ მათ მოყვებულ დიალექტში მნიშვნელობის თუნდაც ოდნავი ნიუანსური გადახრით ან სხვა ვარიანტით ხმარობენ.*

#### 4. „ქართულ-იტალიური ლექსიკონის „საიდუმლო“<sup>1</sup> და... კვლავ მცხინერული ეთიკის შესახებ

1629 წელს რომში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი – „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომელიც არა მხოლოდ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი იყო, არამედ პრაქტიკული მიზნით (ქართული ენის შესასწავლად) შექმნილი პირველი ნაშრომი – ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ლექსიკონი. ამავე დროს, იგი პირველი და ერთადერთი სახელმძღვანელო იყო თითქმის მთელი ორი საუკუნის განმავლობაში, რითაც ევროპელებს შეეძლოთ ქართული ენის ლექსიკას გასცნობოდნენ.

იმავე წელს, იმავე სტამბაში დაიბეჭდა ქართული ანბანი ლოცვებითურთ და ე. წ. „ლიგანია ლაურეტანა“ (ლორეტოს ღვთისმშობლის ლიგანია).

როგორც ამ ბოლო დროის გამოკვლევებმა დაადასტურეს, „ლიგანია ლაურეტანა“ ცალკეც ყოფილა დაბეჭდილი<sup>2</sup>, რაც იმის მამკვიცებელია, რომ 1629 წელს რომში მომზადდა სამი ქართული გამოცემა, მაგრამ „ლოცვები“ და „ლიგანია“, შინაარსობრივი

<sup>1</sup> ამ სათაურით გამოქვეყნდა ეს წერილი გაზ. „წიგნის სამყაროში“ 1990 წ. №17, მერე კი გადაიბეჭდა წიგნში „ქართული ენათმეცნიერების ისტორია“ 1995, გვ. 118-132.

<sup>2</sup> ტექსტი იპოვა და საგანგებოდ გამოიკვლია ჯ. ვათეიშვილმა. იხ. არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ბეჭდური გამოცემანი, თბ., 1986, გვ. 44-46.

სიასლოვის გამო ერთ წიგნად შეუკრათ, ხოლო „ლექსიკონი“ ცალკე გამოსცეს.

გამოცემის ისტორიის დასადგენად ერთადერთ ცნობას გვაწვდიდა „ქართულ-იგალიური ლექსიკონის“ საგიგლო გვერდი, რომელიც მიუთითებდა, რომ იგი არის „ლექსიკონი ქართულ-იგალიური, შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, წმინდა ბასილის ბერის, ქართველი ნიკიფორე ირბახის დახმარებით, სარწმუნოების გამაგრელებელი სამოგადოების მისიონერთა სახმარად. დაიბეჭდა 1629 წელს რომში“.

რადგან გვარი ირბახი საქართველოში ცნობილი არაა, საჭირო გახდა ნიკიფორეს ვინაობის დადგენა.

მ. თამარაშვილმა იგალიის არქივებში შეგროვილ მასალებზე დაყრდნობით მოგვაწოდა ცნობები მე-17 საუკუნის 20-იან წლებში თეიმურაზ I-ის მიერ ევროპაში გაგზავნილ ელჩზე. თამარაშვილი წერდა: „თეატონელი წესის ისტორიკოსები იმ ქართველთა ელჩისას მოგვითხრობენ შემდეგ ამბავს: იგი იყო წმინდა ბასილის წესის მონაზონი, ნიკიფორე ერბახი. ანუ ერბოჩო (საქართველოში ნიკოლოზ ბერად წოდებული)... თავის მამისას ამბობდა, რომ ერთი უპირველესი თაეადთაგანი და საქართველოს ჯარის უფროსი იყო. ევროპაში ამის წასვლის დროს, საქართველოს ჯარის უფროსად ყოფილა მისივე ბიძაშვილი, რომელიც არანაკლებ მხნეობას იჩენდა ომში. ხოლო ნიკიფორეს ძმისწულს (ანუ დისწულს) პრქმეცია ბურაბ ერისთავი“<sup>1</sup>.

თამარაშვილი განაგრძობს „... ნიკოლოზი რომში ერთ წელიწადზე მეტ ხანს დარჩა. მისი რომში დიდხანს დარჩენა უნაყოფო როდი ყოფილა. გარდა იმ საქმისა, რისთვისაც იყო მოსული, დიდად ხელი შეუწყო შედგენას ქართულ-იგალიური ლექსიკონისას, რომელიც დაიბეჭდა რომში 1629 წ. საკმაოდ

<sup>1</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკობისა საქართველოში, თბ., 1902, გვ. 92.

შეისწავლა იგალიური და მასთანვე ცოგა ქართულიც ასწავლა სტეფანე პოლინის, რომელმაც ნიკიფორესთან ერთად შრომა მიიღო იმ ლექსიკონის გამოცემისათვის. ნიკიფორემ დიდი მონაწილეობა მიიღო აგრეთვე რომში ქართული სტამბის დაარსების საქმეში. პაპს და კარდინალებს კარგად გააცნო საქართველო და მიუთხრა თეიმურაზ მეფის თავგადასავალი<sup>1</sup>.

მამასადამე, ნიკიფორე ირბახი (ერბახი, ერბაჩო) თეიმურაზ პირველის ელჩია, იგი დიპლომატიური მისიით გაგზავნილი ყოფილა დასავლეთ ევროპაში. რომში ყოფნისას მონაწილეობა მიუღია ქართული სტამბის დაარსებაში და ქართულ-იგალიური ლექსიკონის გამოცემაში. მ. თამარაშვილმა არ იცის ნიკიფორე ირბახის ნამდვილი ვინაობა და არც ის წელილი, რაც ნიკიფორეს ქართულ-იგალიური ლექსიკონის შედგენაში მიუძღვის. ამავე დროს იგი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ირბახმა მონაწილეობა მიიღო რომში ქართული სტამბის დაარსების საქმეში<sup>2</sup> (იქვე).

როგორც ჯ. ვათეიშვილი სრულიად სამართლიანად მიუთითებს, „დასტურდება, რომ 1628-1629 წლებში რომში დამოუკიდებელი ქართული სტამბა კი არ შექმნილა, როგორც ეს მ. თამარაშვილს აქვს ხაზგასმით აღნიშნული თავის ნაშრომში, ხოლო მის კვალობაზე არაერთმა ისტორიკოსმა გაიზიარა ეს უზუსტო ვერსია, არამედ „პროპაგანდა ფიდეს“ თაოსნობით ამ სასულიერო დაწესებულების სტამბაში ქართული შრიფტი დაუმზადებიათ და მის საფუძველზე პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გამოცემა განუხორციელებიათ“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 95, ხაზი ჩენია. ა.ფ.

<sup>2</sup> მ. თამარაშვილის ამ ცნობაზე დაყრდნობით 1629 წელს რომში ქართული სტამბის დაარსების ვერსიას იმეორებენ: კ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში, ეტიუდები, II, თბ., 1945; არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; ალ. დლონცო, ქართული ლექსიკოგრაფიის საკიც. ანთი. კ., 1983.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

უფრო რთული დასადგენი აღმოჩნდა ნიკიფორე ირბახის წარმომაელობისა და გამოცემის მომზადებასა და დაბეჭდვაში მისი მონაწილეობის საკითხი. ეს საკითხი საბოლოოდ და კატეგორიულად გადაწყვეტილი თვით ჯ. ვათიშვილისთვისაც კი არ არის, თუმცა მას საგანგებო შრომა უძღვნა.

აი, რას წერს იგი: „დაბოლოს ისიც უნდა აღენიშნოთ, თუ ზემოთ მოგანილ არგუმენტებსა და დასაბუთებას „ლიტანია ლაურეტანას“ თარგმანის ავტორის ქართული წარმომაელობის შესახებ არ გაეზიარებთ და ტექსტის დამახასიათებელ ხარვეზებს თვით მას მიუაწერთ, მაშინ თავისთავად დადგება საკითხი „ორი ნიკიფორეს“ ანუ ნიკიფორე ირბახისა და ნიკიფორე (ნიკოლოზ) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის იდენტიფიკაციის მართებულობისა“<sup>1</sup>.

მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ ნიკიფორე ირბახი გაუიგოვებიათ ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილთან.

მართლაც, ამ საკითხს ჯერ ექ. თაყაიშვილი შეეხო. მისი აზრით ნიკიფორე ირბახი არის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, ანუ ბერობაში ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, ომან ჩოლოყაშვილის შვილი. ექ. თაყაიშვილი მიუთითებს: „ნიკიფორემ მოახატინა ჯერის მონასტერი 1643 წ. საზოგადოდ ჯერის მონასტერი ძლიერ მკვიდრად შეაკეთა და გაამშვენიერა ნიკიფორემ და შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. ბოლო დროს რომში იყო. იქ, როგორც ამბობენ, კათოლიკობა მიიღო და იქვე გარდაიცვალა ნიკიფორე ირბახად წოდებული. ჯერ კიდევ, როდესაც პირველათ იყო რომში 1627-1628 წლებში, იმეცადინა და პირველათ ქართული ასოებით დაბეჭდა 1629 წელს ქართულიგალიური ლექსიკონი და ლოცვანი. ლექსიკონი შედგენილი იყო სტეფანე პაოლინის მიერ ნიკიფორეს დახმარებით“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, „ძველი საქართველო“, II, ტანყ. III, თბ., 1911-15.

კ. კეკელიძის აზრით, ნიკიფორე ირბახი ქართველია, იგი „ეკუთვნოდა ჩოლოყაშვილთა იმ შტოს, რომელიც ცნობილია ირუბაქიძედ“<sup>1</sup>.

ირუბაქიძიდან ირბახამდე (თუ ირბოჩამდე) რომ ერთი ნაბიჯია და ასეთი გაიგივება ჭეშმარიტია, თითქოს არაერთარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მით უფრო, როდესაც ვიცით, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად ემთხვევა ნიკიფორე ირბახისას. ამდენად, ნიკიფორე ირბახის იდენტიურობას ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილთან სავსებით დადგენილ ფაქტად უნდა მივიჩნევდეთ<sup>2</sup>, მაგრამ საკითხის ასე კატეგორიულად გადაწყვეტას ხელს უშლის სამივე ნაბეჭდ ტექსტში („ლოცვებში“, „ლიტანიასა“ და „ლექსიკონში“) არსებული უამრავი შეცდომა-დამახინჯებები, რომლებიც სრულიად წარმოუდგენელია ქართველ კაცს მოსელოდა, თუნდაც მისი „დახმარება“ მეტად უმნიშვნელო ყოფილიყო.

ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ქართულ ტექსტში არსებული ბერძნობები (ბერძნული სიტყვები, გრამატიკული ფორმები, მთელი წინადადებებიც კი).

დ. კარიჭაშვილი ნიკიფორე ირბახს აიგივებს ნიკოლოზ მიტროპოლიტთან, რომელიც, აგრეთვე, თეიმურაზ I-ის დროს მოღვაწეობდა საქართველოში, ორჯერ ელჩად გაგზავნეს მოსკოვში, წარმოშობით კი ბერძენი იყო. დ. კარიჭაშვილი ასაბუთებდა: „პაოლინი თავისთავად ქართული სიტყვების ნაცულად არ შეიგანდა ბერძნულ სიტყვებს თავის ლექსიკონში. ცხადია, ეს ბერძნული სიტყვები და მთელი ფრაზაც კი მისთვის უკარნახია მის თანამშრომელს ნიკიფორე ირბახს, რომელსაც შეეძლო ასე მოქცეულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნებოდა ბერძენი, ქართული ენა კარგად არ ეცოდინებოდა. წარმოუდგენელია, რომ ქართველს ქართულ-იგალიური

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 298.

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე, გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977.



ლექსიკონის შედგენის დროს ქართული სიტყვებისა და ფრაზის ნაცულად ბერძნული, ქართულში არ ხმარებული სიტყვები და ფრაზა ჩაეწერიანებინოს თავისი თანამშრომლისათვის მაშინაც კი, როცა მას რაიმე მიზეზით არ ეცოდინებოდა კარგად ქართული<sup>1</sup>.

დ. კარიჭაშვილს ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ქართულ-იგალიური ლექსიკონის ანალიზისადმი მიძღვნილ საგანგებო შრომაში, რაც შევიდა წიგნში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ და მერე უცვლელად გადაიბეჭდა 1983 წელს ჯ. ვათიშვილთან ერთად გამოცემულ საიუბილეო შრომაში „პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები“, არნ. ჩიქობავა წერდა: ეს მოსაზრება „რასაკვირველია, საგულისხმო და ანგარიშგასაწვია, ოღონდ ზოგი საკითხი მაინც გაურკვეველი რჩება; მაგალითად: როგორ შეიძლებოდა ნიკიფორე ირბახს (რომელიც დავ. კარიჭაშვილის ვარაუდით „ორი-სამი წლის ნამყოფი იქნებოდა საქართველოში, როდესაც რომს გაემგზავრა (იქვე, გვ. 27), არ სცოდნოდა ისეთი სიტყვები, როგორცაა „მეფე“, „ცხენი“, „მამაკაცი“ (Huomo)... მერე-და, როგორღა მოხდა, რომ ბერძნული სიტყვები „ანირ“, „ვასილია“, „იპო“... ქართულ სიტყვებად შეიგანა იტალიელმა სტეფ. პაოლინიმ, რომელმაც, რასაკვირველია, ბერძნული ენა და ამ სიტყვების სადაურობა კარგად იცოდა... მით უფრო მთელი ფრაზა ბერძნულ ენაზე“<sup>2</sup>.

ასეთი, უპასუხოდ დარჩენილი, კითხვების გამოა, რომ არნ. ჩიქობავა ლექსიკონის ავტორადაცა და სიტყვანის შემდგენლადაც მხოლოდ სტეფანე პაოლინის მიიჩნევს: „უხადია, *ლექსიკონის შემდგენელმა სტეფანე პაოლინიმ* ქართული ენა არ იცოდა, ქართული მეტყველების თავისებურ ბგერებში ვერ ერკვეოდა“ (გვ. 27); „ასეა თუ ისე, ფაქტია ის, რომ *სტეფანე პაოლინის ქართულ-იტალიურ ლექსიკონში* პირველად არის მოცემული ქართული სიტყვანი...“ (იქვე, გვ. 29, ხაზი ჩვენია – ა.ფ.).

<sup>1</sup> ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ., 1929, გვ. 17-22.

<sup>2</sup> მიუთითებთ წიგნიდან „პირველი ქართული ბეჭდური გამოცემები“, გვ. 28.

არნ. ჩიქობავა სამართლიანად მიუთითებს: „საექვოა, რომ რომში ჩასულ ნიკიფორეს 3084 სიტყვა შეედგინა (ქართულ-იგალიურ ლექსიკონში ამდენი სიტყვაა – ა.ფ.). თუნდაც ის ქართულის კარგი მცოდნე ყოფილიყო (და თუგინდ ქართველი წარმომავლობით – ზეპირად, წყაროების გამოყენებლად სიტყვანი არ ღებბა)“<sup>1</sup> და იქვე ცოცა მოულოდნელადაც წერს „ნიკიფორეს შეედლო ასეთი სიტყვანი შეედგინა“ (გვ. 29).

ასევე მხოლოდ პაოლინის მიიჩნევს ლექსიკონის ავტორად ნ. ორლოესკაიაც: „...უნდა ვიფიქროთ, რომ (ირბახს) შეედლო ლექსიკონის შედგენის პირველ ეცაპზე დახმარებოდა, შეედლო ეთარგმნა ცალკეული სიტყვა... ლექსიკონის შემდგენელმა სტეფანე პაოლინიმ, რომელიც აშკარაა თვითონ კარგად ვერ ერკვეოდა ენაში, ვერ შესძლო სრულად ესარგებლა თავისი კონსულტანტის დახმარებით“<sup>2</sup>.

ქართულ-იგალიური ლექსიკონის შედგენის ისტორიისა და შემდგენლის ვინაობის საკითხს რამდენიმეჯერ შეეხო ალ. ღლონტიც. ყველაზე ფართოდ ეს საკითხი განხილული აქვს წიგნში „ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები“.

სამეცნიერო ლიგურატურის მიმობილვის შემდეგ ალ. ღლონტი დაასკენის, „დაბეჯითებით მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: ლექსიკონის ქართული ნაწილი ეკუთვნის ქართველ ავტორს – ნიკიფორე ირბახს, იგალიური ნაწილი კი – იგალიელ ავტორს – სტეფანე პაოლინის“. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ასეთ მოსაზრებას ხელს უშლის „ბექღური შეუსაბამობანი, რასაც ლექსიკონში ეპოულობთ“ (იქვე).

ცოცა ქვევით ალ. ღლონტი უკვე არც მთლად „დაბეჯითებით“ აცხადებს: „ლექსიკონის ქართული სიტყვანი თავად ნიკიფორეს მიერ

<sup>1</sup> დასახ. ნაშრ., გვ. 28.

<sup>2</sup> Н. К. Орловская, Грузия в литературах западной Европы XVII - XVIII веков. Тб., 1965, გვ. 195.

უნდა იყოს შედგენილი ქართული და უცხოური წყაროების მოშველიებით“ (იქვე, გვ. 25). ერთი გვერდის შემდეგ კი ისევ კატეგორიულად ამბობს: „ნიკიფორე ჩოლოყაშვილი იყო ღრმად განსწავლული ქართველი ლექსიკოგრაფოსი, თანააგგორი პირველი ორენეული ქართულ-იგალიური ლექსიკონისა. ლექსიკონის ქართული სიგყვანი, უეჭველია, ეყრდნობა გარკვეულ წყაროებს, რომელთა სათავე დიდ ქართველ ფილოლოგოსთა (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეები) მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედეგებშია საძიებელი. თუმცა უცხოური წყაროებიც საგულევებელია. ცხადია, ანგარიში უნდა გაეწიოს ა. ჩიქობავას ვარაუდსაც: „უფრო საფიქრებელია, სიგყვანი შედგა რაღაც ლექსიკონის (ბერძნული ლექსიკონის) სიგყვანიდან გამოკრებილი მასალის ქართულად თარგმნით, და ამ თარგმანის დროს ზოგი სიგყვა (ბერძნული) დარჩა უთარგმნელად“<sup>1</sup>.

ამ ბოლო ციტატაში ორი ერთმანეთის გამომრიცხავი ამრია: 1. ლექსიკონის ქართული სიგყვანი ეყრდნობა ქართულ წყაროებს; 2. ანგარიში უნდა გაეწიოს არნ. ჩიქობავას ვარაუდს, რომელიც ფიქრობს, რომ ქართული სიგყვანი შედგა ბერძნული ლექსიკონის მასალაზე.

აღ. ღლონგის არც იმ ამრის გამიარება შეიძლება, თითქოს ქართული ნაწილის აგგორი ნიკიფორე ირბახია, ხოლო იგალიურისა – საგეფანე პაოლინი, რადგან გაუგებარია, რანაირად შეიძლებოდა საქმის ასე განაწილება, როცა ნიკიფორემ იგალიური არ იყო და და პაოლინიმ ქართული? ან როგორ უნდა შეედგინათ ერთმანეთისგან დამოუღიდეზლად ერთნაირი სიგყვანი? თუმცა ამავე დროს აშკარაა, ლექსიკონის ქართულ ნაწილთან ნიკიფორეა დაკავშირებული. და ისევ ჩნდება უპასუხო კითხვა: თუ ნიკიფორეს უშუალო მონაწილეობა ლექსიკონის ქართულ ნაწილზე საკამათო არაა, რა უნდა

<sup>1</sup> აღ. ღლონგი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983, გვ. 24 – ხაზი ჩვენია – ა.ფ.

იყოს მიზეზი იმისა, რომ ნაბეჭდ ქართულ ნაწილში უამრავი შეცდომაა?

ამ დილემიდან გამოსავლის ძიებისას ავტორები მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ წიგნების ბეჭდვის დროს ნიკიფორე ირბახი რომში აღარ იყო და „რთული წიგნის კორექტურის მძიმე გვირგვინი აწვეა ჩანს ქართული ენის არმყოფელ პირს, თავად სტეფანე პაოლინის (ეგების, მისი თხოვნით, სხეა პირს, გომით ბერძენს) მოუხდა და ამ მიზეზით ლექსიკონში დასაბუთებული შეცდომები გაიპარა“<sup>1</sup>.

საკითხის ასე დასმა, ერთი შეხედვით, მართლაც შეიძლება, მაგრამ, საკმარისია, სიგყვათა დაწერილობაში დაშვებული შეცდომები გამოწვეულიყოს გავანაწილებით და დავინახავთ, შეცდომებს საოცრად მოწესრიგებული და სისტემური ხასიათი აქვთ, რაც სრულიად უცხოა კორექტურისათვის.

მაგალითად, თითქმის ყველა სიგყვა, რომელიც ლექსიკონში დ-ასოზე შეგანილი, უნდა შეგანილიყო გ-ზე:

*დაბერილი* (გაბერილი), *დაგდება* (გაგდება), *დავალებ* (გავალებ), *დალავეანი* (გალავეანი), *დოდო* (გოგო), *დრილი* (გრილი); *ასევე*, გ-ასოზე შეგანილი სიგყვების უმრავლესობა მდარადაა დაწერილი და უნდა განაწილებულიყო *წ, ც, ძ*-ასოების რიგში: *მებო* (წებო), *მელი* (წელი), *მლიერება* (ძლიერება), *მნობილი* (ცნობილი), *მნება* (ცნება); ამავე მიზეზით *ჭ*-ასოზე საერთოდ არაა სიგყვები ლექსიკონში და ისინი *ჩ*-ს რიგში არიან შეგანილნი: *ჩერი* (ჭერი), *ჩესმარიტი* (ჭეშმარიტი), *ჩინჩიელი* (ჭინჭველი). სამაგიეროდ, *ც*-ზე შეგანილი სიგყვების უმეტესობა უნდა შეგანილიყო *წ*-ზე: *ცაბლი* (წაბლი), *ცაეალ* (წაეალ), *ცერალი* (მწერალი), *ცერილი* (წერილი) და ა. შ. და ა. შ.

ცხადია ამ შეცდომებს კორექტურას ვერ მივაწერთ.

მაგრამ თუნდაც დავეშვათ, რომ საქმე გვაქვს კორექტურულ შეცდომებთან და მასში ბრალი პაოლინის (ან ვინმე სხვას) მიუძღვის,

<sup>1</sup> იქვე.

მანც გაურკვეველი რჩება ლექსიკონის ქართული ნაწილის სათავეების საკითხი. როგორც, სრულიად სამართლიანად, მიუთითა არნ. ჩიქობავამ, 3084 სიტყვის შედგენა ბეპირად წარმოდგენელია, ნიკიფორე კი რომში, რა თქმა უნდა, ქართულ წყაროებს ვერ იპოვიდა, საიდანაც მას ლექსიკონში შეტანილი სიტყვების ამოკრება შეეძლებოდა, თანაც ისიც დამტკიცებულად უნდა ჩაეთვალოთ, რომ ნიკიფორემ რომში მხოლოდ რამდენიმე თვე დაჰყო, რაც მეტად მცირე დროა.

აი, რას წერს ჯ. ვათეიშვილი, რომელმაც ბევრი ახალი წყარო გამოაეღინა ნიკიფორე ირბახის ევროპაში მოგზაურობასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებით: „სადღესოდ ცნობილია, ნიკიფორე ირბახი სამი თანამგზავრით (მათ შორის ერთი თარჯიმანი იყო) 1626 წლის ზაფხულში მესინას (ქალაქი სიცილიაში – ა.ჟ.) ჩავიდა და აქ გაეცნო პიეტრო ავიტაბილესა და მის ორ კოლეგას, რომლებიც საქართველოსაკენ მოემგზავრებოდნენ. მათი საშუალებით ქართველი მეფის ელჩი თეატინელთა ორდენის სხვა წარმომადგენლებსაც გაეცნო და ახლო ურთიერთობა დაამყარა მათთან. ამ უკანასკნელთა უშუალო შემწეობით განხორციელდა ნიკიფორეს ელჩობის ორი ძირითადი ეტაპი – ესპანეთს გამგზავრება და შემდგომში რომში მისი მოღვაწეობა“<sup>1</sup>.

მესინადან ნიკიფორე ჯერ ესპანეთს გამგზავრებულა, ხოლო იქიდან რომში ჩასულა და იგი 1628 წლის მარტიდან სექტემბრის დასაწყისამდე დარჩენილა, საიდანაც, საქართველოში მომავალი, ჯერ ნეაპოლში ჩასულა, შემდეგ კი – ფლორენციაში. „გამოდის, რომ – განაგრძობს ჯ. ვათეიშვილი – პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გამოსაცემად მომზადებაში მას შეეძლო მონაწილეობა მიეღო დაახლოებით 1628 წლის მარტიდან სექტემბრის დასაწყისამდე, უფრო მუსტად კი, როგორც ამას სხვა საბუთებიც ადასტურე

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 9-10.

ბენ, იმავე წლის მაგისტრატის იენისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს ჩათვლით<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ ქართული წიგნების ბეჭდვა განახორციელა „სარწმუნოების გამაგრებელი სამოგადოების“ – „პროპაგანდა ფიდეს“ – სტამბა-გამომცემლობამ, იგი ქართული წიგნების დაბეჭდვამდე სულ რაღაც სამიოდე წლის წინათ იყო დაარსებული, თუმცა დიდი ხნის ისტორია არც თავად „პროპაგანდა ფიდეს“ ჰქონდა – შეიქმნა 1622 წელს რომის პაპის გრიგოლ XV-ს ინიციატივით აღმოსავლეთის ქვეყნებში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების მიზნით მისიონერთა მუშაობის საორგანიზაციოდ.

„ფიდეს“ ხელმძღვანელობამ შესანიშნავად იცოდა, რომ სარწმუნოების გავრცელებისათვის საჭირო იყო, მისიონერებს სცოდნოდათ იმ ხალხების ენები, რომელთა ქვეყნებშიც მუშაობა უხდებოდათ. ამ მიზნით „პროპაგანდა ფიდემ“ დაიწყო აღმოსავლური ენების გრამატიკებისა და ლექსიკონების შედგენა-გამოცემა და, რადგან საკუთარი სტამბა არა ჰქონდათ, 1626 წლის 14 იენისის სხდომაზე „კონგრეგაციის“ ხელმძღვანელობას გადაუწყვეტია საკუთარი სტამბის შექმნა და საქმის პრაქტიკულად განხორციელება დაუვალებიან იმ დროის რომის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი მესტამბე სტეფანე პაოლინისთვის.

სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ სტამბას ორ ათეულზე მეტი ენის საშრიფტო მეურნეობა ჰქონია, რის გამოც მას „სტამბა პოლიგლოგასაკ“ ეძახდნენ.

თავისთავად ცხადია, „პროპაგანდა ფიდეს“ მესვეურები ნიკიფორეს რომში ჩასვლისას ხელიდან არ გაუშვებდნენ ბრწყინვალე შესაძლებლობას ქართული ენის პრაქტიკულად მცოდნესთან ურთიერთობისა. ასეც მოხდა: ესპანეთიდან იტალიაში ჩასულ ნიკიფორე ირბახის პირველი ნაბიჯები დიპლომატიურ სარბიელზე უშუალოდ „პროპაგანდა ფიდეს“ კონგრეგაციას დაუკავშირდა“ (იქვე).

<sup>1</sup> იქვე.

„პროპაგანდა ფილეს“ 1628 წლის 20 იენისის სხდომის ოქმის მიხედვით ვგებულობთ, რომ გადაუწყვეტიათ: შეიქმნას ქართული ასოების პუანსონები და მაგრიცები, რათა ქართველებს შეეძლოთ განსწავლის მიზნით საჭიროების შემთხვევაში წიგნების ბეჭდვა<sup>1</sup>.

უნდა ვიფიქროთ, რომ გამოცემებზე მუშაობა სწორედ ამ დადგენილების მიღების შემდეგ დაიწყებოდა, ე. ი. წიგნების მოსამზადებლად დრო სულ ორნახევარი თვე ჰქონდათ.

ლექსიკონის მიზნისა და მის შემქმნელთა შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის სტამბის მმართველის აქილე ვენერიოს მიმართვა რომის პაპის ურბან VIII-სადმი, რომლის შემოკლებული ტექსტი წამძღვარებული აქვს ლექსიკონის ეგზემპლარებს (და რომლისთვისაც, რაგომდაც, აქამდე ყურადღება არ მიუქცევიათ), ხოლო სრული სახით გამოაქვეყნა ჯ. ვათეიშვილმა.

აქილე ვენერიო წერდა:

„უნეტარესო მამაო!

სარწმუნოების გამავრცელებელი წმინდა კონგრეგაციის მისიონერების ყოველდღიური რელაციებიდან ვუწყვი, რაოდენ მნიშვნელოვანია კათოლიკური რელიგიის გავრცელებისთვის ბეჭდვა კარგი წიგნებისა, განსაკუთრებით კატეხიზმობებისა სხვადასხვა ენაზე, ერეტიკოს-სქიზმატიკოსთა და ურწმუნოთა ჭეშმარიტებაზე მოსაქცევაად.

იმავე წმინდა კონგრეგაციამ, აწუხებდა რა ეს საკითხი, დიდი განსჯის შემდეგ წინდახედული გადაწყვეტილება მიიღო შეიქმნა სტამბა მრავალენოვანი შრიფტით, განსაკუთრებით კი იმ ენებზე, რომლებიც მეტად გავრცელებული და საერთოა მრავალ ხალხთათვის. ამ მიზნით უკვე იბეჭდება წიგნები ღრმა რწმენით, რომ ეს იმაზე მეტ ნაყოფს გამოიღებს, რასაც დღემდე აკეთებდნენ ან აკეთებენ მისიონერები.

<sup>1</sup> იქვე.

გავითვალისწინეთ რა შემთხვევა მამა ნიჩიფორო ირბოჩის მიერ თქვენი მაღალუწმინდესობისთვის საქართველოს მეფის წერილის მორთმევისა, რომელშიც (ჩვენგან) ვერაინ გაერკვია, სხვა შრიფტებს შორის, ამ ენის ფრიად მოხერხებული და მშვენიერი ასოებიც ჩამოვასხმევენთ. ამამი ყველაზე მეტად იმავე მამა ნიჩიფორომ გაგვიწია დახმარება, რომში ყოფნისას ჩაგვაწერინა ქართული ანბანი და რამდენიმე ათასი სიტყვა ამ ენაზე. და ბოლოს უკვე დაიბეჭდა ანბანი და ფსალმუნი ხსენებული ლექსიკონითურთ სახელმძღვანელოდ მისიონერთათვის, რომლებიც ან უკვე იმყოფებიან საქართველოში, ან მომავალში აპირებენ გამგზავებას. მართალია ლექსიკონი მთლად სრული არაა, რადგან დრო ცოცა იყო, თანაც სტეფანო პაოლინის, რომელიც ჩემი მითითებით ხელმძღვანელობდა, უნდა შეერჩია უფრო მეტად გავრცელებული სიტყვები, რაც გამოსადეგი იქნებოდა ყოველდღიურობაში – თხრობაში, საუბარში, ანგარიშში.

ვიმედოვნებთ, რომ ზემოხსენებული ანბანი და ლექსიკონი ფრიად გამოადგებათ მისიონერებს. და რადგანაც ჯერ ევროპაში ამ ენაზე არაფერი დაბეჭდილა, იხილა თუ არა ამ წიგნმა მშის შუქი, მყისვე გადავწყვიტე იგი მომეძენა და მომერთმია მხოლოდ და მხოლოდ თქვენი უწმინდესობისათვის<sup>1</sup>.

„მიმართვა“ მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს: 1. ნიკოფორე ირბახისგან ჩაწერილი იქნა ქართული ანბანი და რამდენიმე ათასი სიტყვა და 2. სიტყვანის ავტორია სტეფანე პაოლინი, რომელიც აქილე ვენერიოს „ხელმძღვანელობით არჩევდა ისეთ სიტყვებს, რომლებიც უფრო მეტად იყო გავრცელებული და გამოსადეგი ყოველდღიურ ხმარებაში – თხრობაში, საუბარში, ანგარიშში“.

<sup>1</sup> იქვე



ერთი შეხედვით, თითქო, აქაც წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე: თუ ნიკიფორესგან ჩაიწერეს რამდენიმე ათასი სიგყვა, სიგყვებს სტეფანე პაოლინი როგორღა არჩევდა? მაგრამ საქმარისია, საკითხის ვითარებას ღრმად ჩაეწვდეთ და ეს „წინააღმდეგობა“ მაშინვე მოიხსნება. საქმე ისაა, რომ ლექსიკონის შედგენით, უპირველესად, დაინგერესებულნი იყვნენ „პროპაგანდა ფიდეს“ ხელმძღვანელები, რათა იგი გამოეყენებინათ საკუთარი მიზნებისთვის – მისიონერთა სამოღვაწეოდ, ამიტომ აშკარაა, ლექსიკონში შეტანილი სიგყვებიც ამ მიზანს უნდა მომსახურებოდა, ნიკიფორე ირბახს კი არ შეიძლება სცოდნოდა, კერძოდ რა სიგყვები იყო საჭირო მისიონერთათვის. ამასთან, როგორც ითქვა, სამი ათასზე მეტი სიგყვის ზეპირად, წყაროების გამოუყენებლად მოგონება ყოველად შეუძლებელია.

მაშასადამე, ლექსიკონის სიგყვანი დაძებნილი და შედგენილი იყო სტეფანე პაოლინის მიერ, რომელმაც ამ საქმისთვის ადრე მათივე შედგენილი ბერძნული ლექსიკონი გამოიყენა.<sup>1</sup> იმ ენის ლექსიკონი, რომელიც იცოდნენ ნიკიფორემაც და პაოლინიმაც.

ამიტომ ვერ დაეთანხმებით ვერც ჯ. ვათიშვილს, რომელიც წერს, რომ „ქართული საანბანო წიგნის შედგენასთან ერთად ყველაზე რთული მოვალეობა „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ სიგყვანის შედგენა (3084 სიგყვით) ნიკიფორეს უკისრია“ (იქვე, გვ.17).

„ნიკიფორემ სტამბის მუშაკებს „ჩააწერინა“ აგრეთვე „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ სიგყვანი იმ მოცულობითა და სიგყვების იმგვარად შერჩევით, როგორც სტამბის მესვეურთა ინტერესებს შეესაბამებოდა (ე.ი. სიგყვებს ადრევე ურჩევდნენ – ა.ფ.) ეს სიგყვანი, ჩვენი აზრით, სტამბაში არსებული ნიმუშების, სახელდობრ, ბერძ-

<sup>1</sup> ასეთი ვარაუდი ადრე არნ. ჩიქობავამ წამოაყენა, ხოლო „ლიგანია ლაურეკანას“ ლინგვისტურ ანალიზისას გაიმეორა ჯ. ვათიშვილმაც (სხ. დასახ. ნაშრ., გვ.64).

ნული ნიმუშის მიხედვით შეადგინეს ნიკიფორეს ზეპირად (კარნახით) თარგმანის საშუალებით“ (გვ.64).

აქ უკვე ვიღაც სხვები არიან სიგყვანის შემადგენლები და ისიც არაა მთლად გასაგები, თუ ეინ თარგმნიდა „ნიკიფორეს მიერ შერჩეულ“ სიგყვებს. ეჭვი ძლიერდება ავტორის შემდეგი განცხადებითაც: „საინტერესოა, რომ „პროპაგანდა ფილეს“ მესვეურნი თვით იყვნენ დაეჭვებული ლათინურიდან ქართულად თარგმნის გემოთ აღნიშნული მეთოდის საიმედოობაში“ (იქვე, ხაზი ჩენია – ა.ფ.).

როგორ, ლათინურიდან თარგმნიდნენ ქართულად? მერე და ვინ თარგმნიდა? ლათინურიდან ქართულად მთარგმნელი თუ ჰყავდათ, იგივე პირი ხომ პირუკუ თარგმანსაც მოახერხებდა და ნიკიფორეს დახმარება რისთვისღა სჭირდებოდათ?

როგორც ჩანს, „ლაფსუს კალამთან“ გვაქვს საქმე და მასში გარკვევა ჭირს.

ერთი ამკარაა, ყველა ქართული ტექსტი კარნახითაა ჩაწერილი: *სტეფანე პაოლინის მიერ საგანგებოდ შერჩეული ბერძნული სიგყვების ქართულ შესატყვისს ნიკიფორე კარნახობდა იმავე პაოლინის, რომელიც ზეპირად წარმოთქმულ ქართულ სიგყვებს იწერდა იტალიური ასოებით იმ წესების მიხედვითა და გათვალისწინებით, რომლებიც მათ ადრევე, ქართული ანბანის ნიმუშების შექმნისა და მისი შესატყვისი იტალიური ასოების დასაძებნად ერთად ჩატარებული მუშაობის პროცესში შეიმუშავეს.*

ჟ. ეათეიშვილმა ლინგვისტურად გააანალიზა თავისივე მიკვლეული „ლიგანია ლაურეტანას“<sup>1</sup> ტექსტი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ქართული და ლათინური ტექსტის შეჯერება“ ზოგ შემთხვევაში იმის საფუძველსაც გვაძლევს, რომ თარგმნისათვის დამახასია-

<sup>1</sup> „ლიგანია ლაურეტანა“ ქ. ლორენცოს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლოცვის იტალიური ტექსტის ქართული თარგმანია.

თებელი ქართული სიგყეების დამახინჯებულად გადმოცემის ცალკეული ფაქტები გამომცემელთა გარკვეული ტენდენციით უნდა ავხსნათ. საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს უნდა გააღვილებოდათ სპეციფიკური ქართული ასო-ბგერებისა თუ სიგყეა-ფრაზების ათვისება“ (გვ.63).

გამოდის, რომ დამახინჯებულად დაწერილი ქართული სიგყეებით მისიონერები უკეთ ისწავლიდნენ ქართულს და თითქოს ეს ე.წ. „დამახინჯებანი“ საგანგებო და არა უნებლიე იყო.

რა თქმა უნდა, ნაწილობრივ „ლიტანია ლაურეგანას“ ქართული თარგმანი, ხოლო ძირითადად და უპირველესად „ლექსიკონი“ მისიონერებისათვის ქართული ენის შესწავლის საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ ე. წ. „დამახინჯებანი“ ამ მიზნით კი არ იყო გექსტში, არამედ იმ მიზმის გამო, რომ სპეციფიკური ქართული ბგერების იგალიური ასოებით ჩაწერის სხვა არავითარი საშუალება არ იყო; ლექსიკონზე მომუშავენი იძულებულნი იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ.

რაც შეეხება „დამახინჯებებს“, ისინი ემყარებოდნენ ორივე ენის ბგერითი სისტემისა და დამწერლობის მეტად მაღალ დონეზე ჩატარებულ შეპირისპირებით ანალიზს და, ვფიქრობთ, ქართული ენის ურთულესი ფონეტიკური სისტემა იმდენად კარგადაა გადმოცემული იგალიური ასოებით, რომ მასზე სიამოვნებით მოაწერდა ხელს თანამედროვე ენათმეცნიერულ მეთოდებს დაუფლებული საკმაოდ მაღალი მეცნიერული რანგების მქონე ლინგვისტი.

ამიტომ ამ „დამახინჯებების“ მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ.

ქართულ-იგალიური ლექსიკონი ჩვეულებრივი ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონიდან განსხვავდება. განსხვავებას ქმნის მესამე, ე.წ. გრანსლიტერირებული ნაწილი. მასში ქართულად ჩაწერილი ქართული სიგყეების გასწვრივ იგალიური თარგმანი კი არაა მოცემული, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ იგალიური ასოებით ჩაწერილია იგივე ქართული სიგყეა და მერე მოდის ამ სიგყეის იგალიური თარგმანი. მაგალითად:

აბანო – abano – Bagno

ბაღნარი – bagnari – Giardino

დაბადება – dabadeba – Creazione

სხვათა შორის, ლექსიკონის შედგენის მსგავს წესს ახლაც არაიშვიათად მიმართავენ, განსაკუთრებით ისეთი ენების ლექსიკონთა შედგენის დროს, რომელთა დამწერლობა ბერძნულ-ლათინურ დამწერლობას არ ემთხვევა (მაგ, ასეა შედგენილი სპარსულ-რუსული, არაბულ-რუსული ლექსიკონები). ოღონდ ასეთ შემთხვევაში სათარგმნი ენის სიტყვები გადმოიცემა ან ლათინური გრანსკრიფციით, ან საერთაშორისო ფონეტიკური ანბანით.

ამკარაა, ქართული სიტყვის იგალიური ასოებით ჩანაწერი გათვალისწინებული იყო ქართული წერა-კითხვის არმცოდნე უცხოელისათვის, რომელსაც ქართული სიტყვის ეღერადობა იგალიური ასოების შესაგყვისი იგალიური ბგერების ანალოგიით უნდა გადმოეცა.

სამწუხაროდ მკვლევარ-ლინგვისტებს გრანსლიტერირებული ტექსტისთვის არ მიუქცევიათ ყურადღება.

არაეინ დაინტერესებულა იმ საკითხით, თუ ვის უნდა ჩაეწერა ქართული სიტყვები იგალიური ასოებით; როდის ჩაიწერა იგი და რა მიზნით; ქართული სიტყვების იგალიური და ქართული ასოებით ჩაწერა ერთდროულად მოხდა თუ სხვადასხვა დროს? ე.ი. არაეინ დაინტერესებულა ტექსტის გამოსაცემად მომზადების საკითხით.

ამ საკითხზე პასუხი კი თავისთავად იქნებოდა პასუხი ერთ-ერთ უმთავრეს კითხვაზე: ტექსტში არსებული „დამახინჯებანი“ სტამბაში გაიპარა და ბრალი ასოთამწყობს მიუძღვის, თუ ეს „დამახინჯებანი“ თავიდანვე დაკყვა დედანს.

სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ „პროპაგანდა ფილეს“ სტამბაში მომუშავე ასოთამწყობები ისეთ შეცდომებს არ დაუშვებდნენ, როგორც ქართულ ნაწილშია და რომც ვიფიქროთ, შეცდომები ასოთამწყობებს მოუვიდათ, სად იყო თვითონ სტეჟანე პაოლინი, ვისი მონაწილეობითაც შეიქმნა ქართული შრიფტი?

შეიძლება დაეუშვათ, რომ მას „ჯ“ ასო აერია „გ“-ში ან „მ“ – „ც“-ში, ან იგივე „ც“ აღრეოდა „წ“-ში, ხოლო „გ“ – „ღ“-ში?

სხვათა შორის, ქართულ ნაწილში არის ასოთამწყობის შეცდომებიც, მაგრამ მათ უმეტესობაში ბრალი ნიკიფორეს მიუძღვის, რომელსაც ამ ასოების სწორი გრაფიკული სურათი ვერ მიუცია სტამბის მუშაკებისთვის. მაგალითად, ასოები ე, კ, ქ ნიკიფორეს იმდენად ურთიერთმსგავსი წარმოუდგენია, რომ სტამბის მუშაკებს ისინი ერთმანეთში ნამდვილად აერეოდა.

„ფილეს“ ასოთამწყობთა პროფესიულ გაწაფულობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იგალიური ასოებით ჩაწერილი ქართული სიტყვების ნაბეჭდ გექსტში თითქმის არც ერთი კორექტურული შეცდომა არაა. არ არის შეცდომა იმ სიტყვების ქართულ ვარიანტში, როცა იგალიური ასოებით გადმოცემულია ისეთი ქართული ასოები, რომელთა ბგერობრივი ეკვივალენტები ერთნაირად ან თითქმის ერთნაირად ქდერს:

ენა – ena – Lingua

უღები – udebi – Accidia

ფინიკი – finiki – Palmalbero

ხილი – chili – Frutti

ვეფხი – vepchi – Leopard

სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები ლექსიკონში თითზე ჩამოსათვლელია და ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ იგალიური და ქართული ენების ბგერითი შედგენილობა კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რამაც განაპირობა ლექსიკონის ქართულ ნაწილში დაშვებულ შეცდომათა აბსოლუტური უმრავლესობა.

რა მოხდა?

უნდა ვიფიქროთ, რომ ლექსიკონის ქართული ნაწილის ხელნაწერი ნიკიფორეს საერთოდ არ უნახავს; ნიკიფორესა და პაოლინის მუშაობის მეთოდი ასეთი იყო: პაოლინი ამოიკითხავდა ბერძნულ სიტყვას, რომლის ქართულ

თარგმანს ნიკიფორე იქვე იძლეოდა მეპირად, პაოლინი (ან იქნებ სხვა ვინმე) იტალიური ასოებით იწერდა და იმაედროულად მიუწერდა ამ სიტყვის იტალიურ თარგმანს და საქმე ამით მთავრდებოდა, ე.ი. დედანში, რომელიც ნიკიფორეს თანდასწრებით შედგა, ქართული ასოებით ჩაწერილი ქართული სიტყვები საერთოდ არ ყოფილა. ასეთი სამუშაო შესრულდა ნიკიფორეს იქ არყოფნაში და იგი შეასრულა იტალიელმა (ვინ? – მნიშვნელობა არა აქვს), რომელსაც ყური ოდნავადაც არ ჰქონდა მიჩვეული ქართული ბგერების ქლერისათვის. ამიგომ არ უნდა დაეადანაშაულოთ იტალიელი გამომცემლები, მით უფრო, რომ მათ თავადაც კარგად სცოდნიათ ლექსიკონში შეცდომების მოსალოდნელობა, რისთვისაც „პირველსავე მისიონერებს არქანჯელო ლამბერტისა და ჯუმბუკ ჯუდიჩეს, რომლებიც ნიკიფორე ირბახის გამომგზავრების შემდეგ რომიდან საქართველოში გამოისტუმრეს, 1630 წლის 7 სექტემბერს შედგენილი ინსტრუქციით საგანგებოდ დააეაღეს: „გვაცნობონ, კარგი გამოვიდა თუ არა ქართული შრიფტი და სხვა დაბეჭდილი ტექსტები, რომლებიც თან მიაქვთ. თუ მასში შეცდომებია გაპარული, ჩაასწორონ და სათანადო კორექტურით უკან გამოგვიგზავნონ, და თუ რაიმე გამოტოვებულია, თავაზიანად მიგვითითონ“<sup>1</sup>.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, გასაკვირი არაა, ტექსტში უთარგმნელად შეეკანათ ისეთი ბერძნული სიტყვები, რომელთა თარგმნაც საჭიროდ მიაჩნდათ. მათი შესატყვისების მიღებას საქართველოდან ზოელოდნენ.

ახლა რამდენიმე მაგალითზე შევამოწმოთ ამ მოსაზრების ჭეშმარიტება: პაოლინიმ წინასწარ შედგენილ ბერძნულ სიტყვანში ამოიკითხა – Biblion. ნიკიფორემ წარმოთქვა მისი ქართული თარგმანი – „წიგნი“. პაოლინიმ იცის, რომ „წ“ ბგერისთვის მათ

<sup>1</sup> ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

იგალიური ანბანის „z“ ასო შეარჩიეს, „გ“-სათვის კი – „გს“ (დანარჩენი ასოები ორივე ენისა საერთოა). ამიგომ იგი წერს: „Zigni“<sup>1</sup> და მარჯვნივ უწერს მის იგალიურ შესატყვისს (თარგმანს) – Scritto, Scrittura.

როცა დრო დადგა იგალიურად ჩაწერილი „Zigni“-ს ქართულად „გადმოწერისა“, იგალიელი გამომცემელი განსაცდელში ჩაეარდა: მან არ იცის, რომელი ქართული ასო შეესატყვისება მუსტად „z“-ს, თუმცა იცის, რომ ამ ასოთი გადმოიყება ოთხი ქართული ბგერა – „ზ“, „წ“, „ც“, „ძ“. როცა ქართულის მცოდნე ნიკიფორე იქ აღარ იყო (თვითონ პაოლინისაც, ალბათ, აღარ შეეძლო მუსტად აღედგინა „Zigni“-ს პირველი ბგერის ქედრადობა), გამომცემელი, უბრალოდ, გუმანს უნდა ნლობოდა. „Zigni“-ს შემთხვევაში გამომცემელს გაუმართლა, პირველი ასო მან სწორად გამოიყნო და დაწერა „წ“, ოღონდ „გ“ ასოს მიმართ აღარ გაუმართლა; აქაც ასარჩიევი იყო „გ“, „ჯ“, „ღ“ ასოთაგან ერთი. გამომცემელი შეეცა და „გ“ ასოს მაგიერ „ჯ“ არჩია. ასე მივიღეთ იგალიური „Zigni“-ს შესატყვისად ქართულში „წიჯნი“ და რადგან დედანში ასე იყო ჩაწერილი, ასევე ააწყო იგი ასოთამწყობმა და ჭეშმარიტად მიიჩნია კორექტორმა (თუ ასეთი სხვა ვინმე იყო და არა თვით პაოლინი).

სხვა შემთხვევაში კი იგივე „z“ ხან „ც“-დ ამოიკითხეს და მიიღეს „ცაბლო“ (უნდა იყოს „წაბლი“), ხოლო „გ“ – „ღ“-დ – „ღოღო“ (უნდა იყოს „გოგო“) და ა. შ.

ასეთია ამ წიგნის გამოსაცემად მომზადებისა და ბეჭდვის „საიდუმლო“.

ქართულ-იგალიური ლექსიკონის გამოცემა, რასაკვირველია, ნიკიფორეს გარეშე სრულიად შეუძლებელი იყო, ამიგომ მის ერთ-ერთ ავტორად მიჩნევა ბუნებრივია, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, შეეცდომებისათვის პასუხისმგებლობა დაუაკისროთ

<sup>1</sup> კორექტურული შეცდომის გამო „გ“ „h“-ს გარეშეა წარმოდგენილი.

ლექსიკონის ჩანაფიქრის ავტორებს თუ მბეჭდავ-გამომცემლებს, რომელთაც შეგვიქმნეს პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი და ქართული ენა გააცნეს მთელს ევროპას.

ჯ. ვათეიშვილმა, ვინც „ლიგანია ლაურეგანას“ ტექსტი აღმოაჩინა, საგანგებო კვლევა ჩაატარა იმის დასადგენად, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ამ ლოცვის ქართული თარგმანი. იმოწმებს რა ტექსტში არსებულ უამრავ ბერძნობას იგი წერს: „ლიგანია ლაურეგანას“ ქართული ტექსტის ზემოაღნიშნული ენობრივი და შინაარსობრივი თავისებურებათა გათვალისწინება უნებლიეთ ისეთ შდაბეჭდილებას ქმნის, თითქო ლათინურიდან მისი მთარგმნელი ქართველი არ არის“ (გვ. 62). მეორე მხრით, რადგან ხედავს, რომ თარგმანში გაბნეულია უღაო ქართული ფორმები: „ეს ფაქტი თავისთავად იმაზე მიუთითებს, რომ ლათინური ლოცვის შინაარსი. (უფრო სწორად კი მის მიღმა) სიგყვაკამშული ქართული მხოლოდ ქართული სამყაროს წარმომადგენელს, ქართველ კაცს უნდა ეხმარა“ (გვ. 63).

თუმცაო, „ვიდრე არ დასაბუთდება თარგმანში „ვეროპეიმზ-ბერძნობების“ ასე უხვად გაბნეული ნიმუშების არსებობა და არ იქნება მითითებული მიზეზი (წყარო) თუნდაც სავარაუდო მათი ტექსტში შეღწევისა: მთარგმნელის ვინაობის საკითხი ღიად რჩება“ (იქვე).

ამ დილემას ჯ. ვათეიშვილმა თითქოს უპოვა საბოლოო ახსნა: „ნიკიფორე ირბახის დახმარება „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბის თანამშრომელთა მიმართ ძირითადად ზეპირად მიცემულ ინფორმაციასა და ახსნა-განმარტებაში გამოიხატა. გარდა ქართული ანბანის კალიგრაფიულად განსახიერებისა, ნიკიფორემ სტამბის მუშაკებს „ჩააწერინა“ აგრეთვე „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ სიგყვანი იმ მოცულობით და ქართული სიგყვების იმგვარად შერჩევით, როგორც სტამბის მესვეურთა ინტერესებს შეესაბამებოდა. ეს სიგყვანი, ჩვენი აზრით, სტამბაში არსებული ნიმუშის, სახელდობრ, ბერძნული ნიმუშის მიხედვით შეადგინეს ნიკიფორეს მიერ



გეპირად კარნახის საშუალებით. ვფიქრობთ, მთარგმნელის გეპირი მეტყველების იმავე მეთოდით ისარგებლეს (ხაზი ჩემია – ა.ფ.) „ანბანისთვის“ თან დართულ ლოცვებისა და „ლიგანია ლაურეგანას“ ცალკე დასტამბული ქართული თარგმანის გადმოსაცემად მომზადებისას, როდესაც ქართული ტექსტები ამ ლოცვებისა ლათინური ან იგალიური გრანსკრიბციით ჩაიწერა... ნიკიფორე ირბახისა და მისი თანმხლები პირების საქართველოში გამგზავრების შემდეგ 1629 წლის პირველ ნახევარში, როდესაც დადგა საკითხი სამივე ქართული გამოცემის („ანბანი“, „ლიგანია ლაურეგანა“, „ლექსიკონი“) განხორციელებისა, მათ ქართული ტექსტი ჩვენი აზრით, ლათინური ან იგალიური გრანსკრიბციის მიხედვით აღადგინეს“ (იქვე). სამწუხაროდ გაუგებარია, რა „მეთოდზე“ მიუთითებს მკვლევარი, როცა ამბობს: „ვფიქრობთ მთარგმნელის გეპირმეტყველების იმავე მეთოდით ისარგებლესო“ (გვ. 64).

საბოლოოდ ჯ. ვათეიშვილმა მაინც „დაადგინა“ იგალიაში დაბეჭდილი გამოცემების ცდომილებათა ავტორები: 1. ასოთამწყობი იომეფ-დავით ლიუნა; 2. სამივე ქართული ტექსტის ლათინური ან იგალიური გრანსკრიფციით ჩამწერი და მის მიხედვით ქართულადვე აღმდგენი სტეფანო პაოლინი; და 3. ლოცვანის რედაქტორი – იოანე-მათე კარიოფილოსი.

მე ვერაფერს ვიტყვი პირველისა და მესამეს შესახებ, რადგან მათი შეცდომა-უცოდველობა ჩემთვის მთლად ნათელი არაა, რაც შეეხება სტეფანე პაოლინის, მისი ამ საქმეში მონაწილეობის ჯ. ვათეიშვილისეული ჰიპოთეზა გასაზიარებელია, ოღონდ გაუგებარია, რატომ წარმოგვიდგინა დასკვნითი დებულებები ასე ბუნდოვნად და მიუთითა „ქართული ტექსტის აღდგენაზე“. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ტექსტი არსებობდა, ანუ ნიკიფორე, მართალია, გეპირად კარნახობდა, მაგრამ იგალიური (თუ ლათინური) გრანსკრიფციის გვერდით იწერებოდა ქართული ტექსტიც, რომელიც შემდგომ

აღადგინეს, რადგან ან დაიკარგა ან რაღაც სხვა მიზეზის გამო ხელახლა დასაწერი გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავდაპირველად ქართული ტექსტიც ნიკიფორეს თანდასწრებით იწერებოდა. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, გაუგებარია ქართულ ნაწილში იმდენი შეცდომა-დამახინჯება.

„ქართულ-იგალიური ლექსიკონის“ ქართულ ნაწილში წარმოდგენილი დამახინჯებების შესახებ მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო მოსაზრებები გამოუთქვამს დ. კარიჭაშვილს<sup>1</sup> 1929 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან“.

დ. კარიჭაშვილიც ლექსიკონში არსებულ შეცდომებს სამ ჯგუფად ყოფს: 1. ასოთამწყოებისა, „რომელსაც ვერ გაურჩევია ასოები და ერთის მაგიერ მეორე ამოულია („ლმოჰიერი“ – „ლმობიერი“; „კანიერი“ – „განიერი“...); 2. „იგალიელის, როგორც საზოგადოდ ყოველი უცხოელის, ყურს ეუცხოება შესმენა და შეთვისება ზოგიერთი ქართული ბგერისა, რის გამოც მას ხშირად სხვანაირად ესმის ქართული ბგერა და ამიტომ სხვა ბგერის გამომხატავი ასოთი წერს“; 3. „როგორც ჩანს ქართულ-იგალიური ლექსიკონის შემდგენელს სტეფანე პაოლინის მისი თანამშრომლის ნიკიფორე ირბახისგან ნათქვამი სიგყეები, ალბათ, სისწრაფისთვის (არა მხოლოდ სისწრაფისთვის, არამედ იმისთვის, რომ იგი, უპირველესად, ჯერ კიდევ ქართულის ცუდად მცოდნე მისიონერებს ამოეკითხათ – ა.ფ.) უწერია არა ქართული ასოებით, არამედ იგალიურის ასოებით.“

<sup>1</sup> აღრე გამოქვეყნებული სტატიის წერის დროს დ. კარიჭაშვილს მონოგრაფიას არ ეიცნობდი, მასზე მიუთითებდი წიგნიდან – „პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები“ – რომლის ავტორები არნ. ჩიქობავა და ჯ. ვათეიშვილი არააფერს ამბობენ ლექსიკონის შექმნისა და მასში „გაპარული“ უამრავი შეცდომის მიზეზების ახსნის დ. კარიჭაშვილისეულ გონებამახვილურ მიგნებებზე; აღნიშნავენ მხოლოდ იმას, რომ დ. კარიჭაშვილს ნიკიფორე ირბახი წარმოშობით ბერძენი ეგონა. რადგან ამ საკითხში ავტორები მართლები იყვნენ, დ. კარიჭაშვილის რარიტეტად ქვეული წიგნის ძებნა მამინ საჭიროდ არ ჩაეთვალა, რის გამოც ახლა ძალიან ვწუხვარ და მკითხველს ბოდიშს ვუხდი.

შემდგომში იგალიური ასოებით დაწერილი სიტყვები გადაუწერია. აი ამ ქართულად წერის დროს მას შემწვია შესაგყვისობა, მისგანვე მიღებული ლექსიკონის წინ დაბეჭდილ ანბანში, და არეკით დაუწერია“ (გვ. 23).

დ. კარიჭაშვილი განაგრძობს: „არის შემთხვევები, როდესაც პაოლინის ქართული სიტყვები დაუწერია იგალიური ასოებით მიღებული შესაგყვისობის თანახმად, მაგრამ რადგან ერთისა და იმავე ასოთი მიღებული აქვს მოგიერთი ქართული ბგერის გამოხატვა<sup>1</sup>, ქართული ასოებით გადაწერის დროს დაეიწყებია, რომელ სიტყვაში რომელი ბგერის გამომხატველი იყო სხვადასხვა ქართული ბგერის გამომხატველი ერთი და იგივე იგალიური ასო და ერთმანეთში აურევია სხვადასხვა ბგერის გამომხატველი ქართული ასოები. რის შედეგად გამოსვლია ასეთი სიტყვები: კერცო (ნაცულად კერძო), ბეზვი (ნაცულად ბეწვი)“ (გვ. 24, სტილი დაცულია – ა.ფ.).

როგორც ვხედავთ, შეცდომათა „საიდუმლო“ თითქმის ნაპოვნია, ოღონდ არც კარიჭაშვილთანაა არაფერი ნათქვამი იმაზე, თუ რატომ არ გაასწორა შეცდომები პაოლინის მასწავლებელმა – ნიკიფორე ირბახმა?

ამ კითხვაზე, ვფიქრობ, სწორი პასუხი ჩემს შრომაშია გაცემული, როცა ვსევამ კითხვას: „რა მოხდა?“ და ვპასუხობ – *ლექსიკონის ქართული ხელნაწერი ნიკიფორეს საერთოდ არ უნახავს... დედანში, რომელიც ნიკიფორეს თანდასწრებით შედგა, ქართული ასოებით ჩაწერილი ქართული სიტყვები საერთოდ არ ყოფილა. ასეთი სამუშაო შესრულდა მის იქ არ ყოფნაში“.*

ჩემი შრომა ორგზის დაიბეჭდა (ჯერ გამ. „წიგნის სამყაროში“, 1988, II.V. №9 (477), მერე (ოდნავ ვრცელი რედაქციით) – „ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში“ (1995წ., გვ. 118-132), მანამ, ვიდრე

<sup>1</sup> ასეთი „გამოხატვა“ მარტო პაოლინის არ შეეძლო მიეღო, იგი, ალბათ, მიიღეს პაოლინიმ და ნიკიფორემ ერთად.

ბატონი თ. უთურგაიძის მონოგრაფია „ქართული ენის შესწავლის ისტორია“ (1999წ.) გამოვიდოდა.

ბატონმა თედომ, სიგყვა-სიგყვით გაიმეორა ჩემი დასკვნა: „შეუდომების მიხედვით ჩანს, ნიკიფორე ირუბაქიძეს ანბანზე გამართული ლექსიკონის ქართული ნაწილი არ უნახავს“ (გვ. 32); „უდავოა, რომ ნიჩიფორო ირბაკს (იგალიურ ტექსტში ნიკიფორე ასე მოიხსენიება – ა.ფ.), როგორც ზემოთ ვთქვი, ანბანზე გაწყობილი ქართული სიგყვანი არ უნახავს, თორემ ქართული ასოებით დაწერილი ქართული სიგყვების მართლწერის გაუმართაობას მაინც (!) შენიშნავდა და სათანადოდ შეასწორებდა“ (გვ. 39); „ნიჩიფორო ირბაკი... ბეჭდვის დროს არ იმყოფებოდა რომში და ვერ მოახერხებდა შეუდომების გასწორებას... ნიკიფორე ირუბაქიძეს ქართული ტექსტი არ წაუკითხავს და, ბუნებრივია, ვერც რედაქციას გაუწევდა“ (იქვე).

დარწმუნებული ვარ, ბატონი თედო შემეღაგება: სადაა აქ სიგყვა-სიგყვით გამეორებაო. და მართლაც, სიგყვა-სიგყვით გამეორება არაა, მას ზოგი სხვა სიგყვაა აქვს ნახმარი, მაგრამ ჩემი დასკვნა მაინც მთლიანად არის გამეორებული და, როგორც ეს მისი სტილისთვის არის დამახასიათებელი, ჩემი გვარი არსად ნახსენები არაა. მის წიგნში ასევე, არაა ნახსენები ალ. ლლონგის მონოგრაფია „ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები“ (თბ., 1983 წ., გვ. 21-26) და კიდევ რამდენიმე სხვა ნაშრომი, რომლებიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩემს წიგნშია მითითებული და აღნიშნულ საკითხს ეძღვნება.

იქნებ აღარ ღირდა ამაზე ლაპარაკი? – იქნებ! მაგრამ, როგორც ერთხელაც აღვნიშნე, „ბატონი თ. უთურგაიძე მეცნიერებს აჯგუფებს სიმპათიურებად და არაფრადჩასაგდებლებად“ (იხ. „ანტონ პირველი ბაგრატიონი და ქართული საზოგადოებრიობა“, თბ., 1996 წ., გვ. 124). ამიგომაცაა, რომ ჩვენ – არაფრადჩასაგდებლებს – არ გვახსენებს, თორემ არნ. ჩიქობავას ცხრაჯერ ასახელებს, თანაც მისი ერთი

წერილი, რომელიც ჯერ „იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ისტორიაში“ დაიბეჭდა, ხოლო მერე უცელელად გადაიბეჭდა „პირველ ქართულ ნაბეჭდ გამოცემებში“, ორ სხვადასხვა წერილად წარუდგინა მკითველს – ორივე წიგნი მიუთითა სხვადასხვა ადგილას.

ამ ქცევის შეფასება და კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია.

## V დიალექტოლოგია

### 1. დიალექტიზმები გალაკტიონის პოეტურ ლექსიკაში

#### ა. „ბემოც“, აზრის

გალაკტიონის პოეტურ სამყაროსთან მიახლოებისთანავე დილემის წინაშე ვდგებით: რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, გალაკტიონის ყოველ ლექსში აზრისმიერი საწყისი ვეძებოთ და ყოველი ტაეპი ლოგიკური მსჯელობის სუბსტანციამდე დავიყვანოთ, თუ დავკმაყოფილდეთ იმ ზეგავლენით, რომელსაც ლექსის მოსმენის თუ წაკითხვის დროს ვღებულობთ და ჩავიძიროთ ესთეტიკური ტკობის იმ შორეუმი, რაც ამ ზეგავლენის შედეგად გვეუფლება ხოლმე – უკან მოუხედავად, ლექსის ფორმალურ-შინაარსობრივი აქსესუარების ყოველგვარი ანალიზის გარეშე?

არც თუ შორეულ წარსულში ასეთი კითხვის დასმაც კი უსამუელო მკრეხელობა იქნებოდა და, ვინ იცის, რანაირი რეაქციის მიზეზი.

გალაკტიონოლოგიაში მკვეთრი შემობრუნება ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გაუგონარი დოგმატიზმისა და რუტინის დაძლევის ატმოსფეროს შექმნასთან ერთად მოხდა.

თუ არ ვცდები, რ. თვარაძე იყო ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც გაარღვია მოჯადოებული წრე პოეტის შემოქმედებაში ორი ურთიერთდაპირისპირებული პერიოდის არსებობის შესახებ და პირველმა სცადა მკითხველისათვის წარედგინა გალაკტიონი თავისი რთული ფსიქოლოგიური მრავალფეროვნებითა და, ამასთანავე, განუყოფელი მთლიანობით, ადამიანური სისუსტეებითა თუ გამოუცნობი ბეაწეული მგრძნობელობით, რომლის საფუძველი ქვეცნობიერის თუ იმიერცნობიერის სფეროში უფროა საძებნი, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავის გონებისათვის მისაწვდომი.

არ ვიცი, რამდენად სწორი იქნება შედარება, მაგრამ ჩემი ქართველკაცური გენი და თავად გალაკტიონის პოეზიიდან მონაბერი სიო მიბიძგებს მისი ზოგი ლექსის წაკითხვის თუ მოსმენის შემდეგ მიღებული ესთეტიკური ტკობა შევადარო იმ სასიამოვნო გრძნობა-განწყობილებას, რომელიც დეგუსტატორს კარგი ღვინის დაჭამნიკების შემდეგ უჩნდება ხოლმე.

ისე როგორც ძნელია, ენით გადმოიციეს, თუ რა თავისებურება ახასიათებს საუკეთესო ხარისხის ღვინოს, რომლისთვისაც მას საუკეთესოდ მიიჩნევენ და, რომ არსებობენ რაღაც არაჩვეულებრივად ფაქიზი, საიდუმლოებით მოცული გემოვნებითი მეგრძნების მქონე ადამიანები, რომლებიც კარგად შენიშნავენ ამ თვისებათა ერთობლიობის ფასს, რომლის ენით მოყოლაც ძნელია და სწავლებაც, მეტწილად, უშედეგო, ასევე ძნელი და ბევრ შემთხვევაში უშედეგოა ცდა გადმოიციეს გალაკტიონის ბევრი კარგი ლექსის შემქმნელ კომპონენტთა ცალკეული თვისებების დამახასიათებელი ნიშნები.

ეს გასაკვირიც არაა. ენა გარე სამყაროს ადამიანური ასახვის ურთულესი იარაღია. ეს სირთულე იმითაც ღრმავდება, რომ ენასვე

ევალეზა გონეზაში ასახულის გარეთ გამოგანა, უხილაეის ხილულად გადაქცევა, რათა ის, რაც ამსახველის თაეშია, გამიარებული იქნეს მსმენელისათვის (წერითი მეგყველების დროს მკითხველისათვის) – ინფორმაციის მიმღებისათვის... რის გამოც ენის პირველქმნადობა ყველაზე უფრო დიდ შემოქმედებით მიღწევად ითველება ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში.

რადგან ენა ურთულესი ფენომენია, ხოლო ადამიანური ენის ყველაზე უმაღლეს გამოვლენად პოეტური ენა ითველება, როგორ პარადოქსადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ზოგი პოეტური ქმნილების „მხატვრული ანალიზი“, ჩემი ამრითაც, მისი ესთეტიკური ზემოქმედების უნარიდან განძარცვა უფროა, ვიდრე მისი გასაგებად გადმოცემა.

ლექსი, უპირველესად, ხელოვნების ნიმუშია, მაგრამ ხელოვნების სხვა სახეობებისაგან (მუსიკა, პლასტიკა, ქანდაკება, ფერწერა, არქიტექტურა...) განსხვავებით ურთულესი და განსაკუთრებული, რის გამოც მისი აღქმა-შეცნობისათვის შეგრძნებათა პოლივალენტური მთლიანობა პლიუს „გონისმიერი ჭვრეტაა“ საჭირო.

ამ ბოლო კომპონენტის შესახებ საუბარი ქვემოთ იქნება. აქ კი სხვაზე: ზოგი პოეტური ქმნილების ჩვეულებრივი ადამიანური ენით გადმოცემა იმიტომაც ძნელდება, რომ ჩვეულებრივი მსჯელობისას ჩვენ ვეყრდნობით ფორმალური ლოგიკის ნორმებს, როცა ერთი ამრი მეორისაგან გამოდის, რისი ჭეშმარიტების დადგენაშიაც მეტწილად ჩვენივე გამოცდილება გვეხმარება. ზოგი პოეტური ქმნილების შეფასების დროს კი ჩვენი გამოცდილებით სარგებლობა გამორიცხულია, არ გამოგვადგება სხვათა გამოცდილებაც, რამეთუ ყოველ დირსეულ პოეტურ ნაწარმოებს, ზოგადკაცობრიული გამოცდილების გარდა, მოუშორებელ დამლად ამის ავტორის „მე“-ს განუმეორებელი და სხვათათვის შეუცნობელი საიდუმლოების ბეჭედი, რომელიც გონისმიერის გარდა, იქნებ უფრო ძალუმადაც, სუბიექტურ-გრძნობისმიერის აუცილებელი ნიუანსითაც შეფერილი.



პოეტური ქმნილების გაცნობისას ჩვენ შეგვიძლია მიუვახლოვდეთ ამ საიდუმლოების წედომას, მაგრამ ბოლომდე თითქმის ვერასდროს ვერ ავხსნით მას.

როგორც ვთქვით, პოეტური ენა, საერთოდ, ადამიანური ენობრივი შემოქმედების უმაღლესი გამოვლენაა, გალაკტიონი კი ქართული პოეტური ენობრივი შემოქმედების მწვერვალად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს პოეტის სრულიად ამოუცნობი, ნახევრადმისაწედომი თუ გუმანით საგულეებელი მნიშვნელობების მქონე შესიგყვებები, გაუკები, სტროფები და მთელი ლექსებიც კი.

ქართული ენობრივი ქსოვილის გონებისმიღმიერი გამოყენებით გალაკტიონი ჭარბობს დღემდე ცნობილ ყველა ქართველ პოეტს.

ახლა ძნელია იმის გადაწყვეტით თქმა, კარგია ეს, თუ – ცუდი. ამას, ალბათ, ჩვენი მომდევნო თუ მომდევნოს მიმდევნო თაობები იტყვიან მაშინ, როცა ჩვენში „მეფე კრიტიკოსები“ დაიბადებიან და ქართველებიც გალაკტიონთან მიახლოებული მოაზროვნე და გრძნობელობის მქონე ადამიანთა საზოგადოებას შეექმნით, მანამდე კი გალაკტიონისეული ბევრი გამოთქმის „შინაარსის“ წედომაზე ფიქრი გაფრენილი ჩიგის ხელით დაჭერის ცდად უფრო მიმანჩია, ვიდრე რეალურ საქმედ.

ხომ არ ნიშნავს ნათქვამი იმას, რომ საერთოდ ხელი უნდა ავიღოთ გალაკტიონის პოეტური ენის საიდუმლოებათა ახსნის ცდაზე? – რა თქმა უნდა, არა.

მაგრამ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ. ისე, როგორც საერთოდ არც ერთ პოეტურ ქმნილებასთან, განსაკუთრებით გალაკტიონთან, არ შეიძლება მისვლა „წმინდა გონებით“, მეცნიერული სასწორით ხელში. აკი, ბრძანა თავად:

*„შენ საიდუმლო გადასაგები  
უფრო გიტაცებს ნისლში გამქრალი,  
ვინემ ახსნილი და გასაგები  
სიბრძნე დიდი და სიტყვა მშრალი.  
შენ მელოდიას უფრო იგონებ  
საქართველოზე თქმულს მზიერებით,  
ვინემ წიგნების უღრმესს სტრიქონებს  
ვერდატეული მეცნიერებით.  
სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს  
უფრო მეტს, ვინემ დიდი მსჯელობა...“*

ღირსეული პოეტური ენა „მეციური ენაა“ და ჩვეულებრივი მოკვდავის ენაზე მისი თარგმნა „ღვთიური სულის“ წართმევაა მხოლოდ. ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ისეთი შედეგის მომცემი, როგორც ზოგი ჩვენი კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის შრომებშია – დახვავებულია უცხოურ სიტყვათა მთელი გორები, რომელთა წიაღიდან რაიმე მნიშვნელოვნისა და გასაგების ამოთხრა სრულიად შეუძლებელია.

ზემთ „გონისმიერ ჭვრეტაზე“ ვთქვი და აქ მინდა ამ საკითხს ისევ დაეუბრუნდე.

ხელოვნების ყოველგვარ ქმნილებას აქვს სწორედ მისთვის დამახასიათებელი მასალა, რომელშიაც იგია განიფთებული, ხორც-შესხმული, გაფორმებული. ეს მასალა განაპირობებს იმას, თუ შეგ-რძნების რა ორგანოებით უნდა მოხდეს ამ ქმნილების აღქმა: სკულპტურა, არქიტექტურა, ფერწერა – მხედველობის ორგანოებით; მუსიკა – სმენით.

ხელოვნების დარგებში განასხვავებენ ე.წ. გამოყენებით ხელოვნებას (არქიტექტურა, დეკორატიული ხელოვნება, რომელთაც, ეთიკური ტკობის გარდა, პრაქტიკული დანიშნულებაც აქვთ) და ხელოვნების ისეთ დარგებს (მხატვრობა, მუსიკა, ცეკვა...), რომელთა

დანიშნულებაა ადამიანისათვის ესთეტიკური ტკობის მინიჭება, გარკვეული ემოციების აღძვრა-გამოწვევა.

და, კაცმა რომ თქვას, ტერმინი „ჭვრეტა“ სწორედ ხელოვნების ასეთ დარგებთან ურთიერთობისას იქნებოდა და არის კიდევ ყველაზე უპრიანი და გამოსადეგი, რადგან ნახაგის თუ ქანდაკების აღქმა გონების ჩარევას აუცილებლობით არ მოითხოვს, თქვენ იგი ისე უნდა შეიგრძნოთ, როგორც ბევით ღვინის ჭაშნიკზე ვლაპარაკობდით.

თუმცა, რა თქმა უნდა, ნათქვამი მთლად პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ და არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ხელოვნების ასეთ ქმნილებათა აღქმაში გონება საერთოდ არ მონაწილეობს და მათი სრულყოფილად აღქმა გონებრივად განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანებსაც ისევე კარგად შეეძლოთ, როგორც მაღალინტელექტუალურთ.

მეორე მხრით, არის ხელოვნების ისეთი დარგები (კერძოდ, ლიტერატურა), რომელთანაც ურთიერთობა გონების გარეშე (უფრო მეტიც, ზოგჯერ გონების განსაკუთრებულად დაძაბვის გარეშე) არ შეიძლება. აკი თქვა ჩვენმა სახელოვანმა წინაპარმა: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“.

რატომაა აუცილებელი გონების მონაწილეობა ლიტერატურულ ქმნილებებთან ურთიერთობისას? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის: მასალა, რომლითაც ლიტერატურული ნაწარმოები იქმნება – სიტყვა – ამროვნების იარაღიცაა და ამრის გამოხატვის ერთი უპირითადესი საშუალებაც.

მართალია, როგორც ზემოთაც ვთქვით, პოეტური ენა ადამიანური ენის უმაღლესი და ურთულესი გამოვლენაა, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, იგი, უპირველესად, ენის გამოვლენაა სიტყვების საშუალებით და სადაც სიტყვაა, იქ ამრობრივის მონაწილეობა თავისთავად იგულისხმება.

ასეც არის. ქართული პოეტური შემოქმედების ყველაზე უდიდესი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ გროპიკა, რომ არაფერი ვთქვათ პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვებზე, დაწყებული უბრალო შედარებებით და დამთვარებული ურთულესი მეტაფორებით, როგორც წესი, შინაარსული მხარის (პერსონაჟთა დახასიათება, სიუჟეტის განვითარება) უკეთ გახსნის საქმეს ემსახურება.

მსგავსი დანიშნულებისაა სიტყვა ყველა ეპოქის რეალისტი მწერლის ხელში: იგი მხატვრული სახეების შექმნას ამრისმიერი საწყისის უჭველი შენარჩუნებით ახერხებს.

როგორც ცნობილია, ოდნავ სხვანაირად დგას საკითხი რომანტიკოსებთან, როცა სიტყვა თითქოს გარკვეული კუთხით ორმაგ ღირებულებას იძენს: ნიშნისას, რაც მას აქვს და სიმბოლოსას, რაც მას დაეკისრა.

უფრო შორს მიდის საქმე სიმბოლისტებთან, რომელთა ხელში სიტყვა, პირიქით, ერთგანზომილებიან მასალად იქცა, თითქოს ისეთად, როგორსაც, ვთქვათ, მარმარილო თუ ბრინჯაო წარმოადგენს მოქანდაკისათვის, საღებავი – მხატვრისათვის, აგური – მშენებლისათვის.

სიტყვა თითქოს დაიცალა არა მხოლოდ ტრადიციული ღირებულებისაგან, არამედ მან საერთოდ დაკარგა ენობრივ ნიშნად გამოყენების უნარი და მასში უკვე არამც და არამც არ უნდა ვეძებოთ არც ტრადიციულად ჩაქსოვილი შინაარსობრივი საწყისი და არც ტრადიციულ-გროპული გამოყენების შესაძლებლობა.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სიტყვა სიმბოლისტი პოეტის ხელში ენის მხოლოდ გრამატიკულ კანონებს ექვემდებარება და როგორც კალაგოში კედლის შენებისას აგურების ლამაზად და არქიტექტურული ჩანაფიქრის მოთხოვნილების შესაბამისად განლაგებაზე ფიქრობს და არასდროს ინტერესდება, რა შედეგილობისაა ის თიხა, რომლისგანაც ეს აგური გამოწვეს, ასევე პოეტიც არ ინტერესდება იმ შინაარსით, იმ ღირებულებით, რომელიც ამა თუ იმ

სიგყვას მოცემული ენობრივი კოლექტივის შიგნით გამოყენების დროს შეუძენია.

პოეტი სიგყვას სწორედ ისე ექცევა, როგორც მშენებელი აგურს (ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება გვექნება) დააშენებს იქ, სადაც ამას საკუთარი „პოეტური მე“ უკარნახებს.

მიუხედავად ამისა, მკითხველი თუ მსმენელი გალაკტიონის ისეთ ლექსებშიც კი, რომელთაც მ. კეესელაძემ *ინტეგრალური* უწოდა, ინერციით (რადგან იგი სიგყვებითაა „აშენებული“) სწორედ „ჰერეტიკით“ (და არა ლოგიკური კანონების მკაცრი გამოყენებით) მაინც ეძებს გონებისმიერ საწყისს. მკითხველის თუ მსმენელის გონება თითქოს ბრმად აფათურებს ხელებს ლექსის შენობაზე და ცდილობს ძველი გამოცდილების მოშველიებით ცალკეული სიგყვა-აგურის მნიშვნელობაში ჩაწვდეს, თუმცა ამაოდ.

აი, სწორედ ამ პროცესს – ლექსის წაკითხვის თუ მოსმენის დროს (დროის გარკვეულ მცირე მონაკვეთში, როცა საგანგებო ეტიმოლოგიური კვლევის საშუალება არაა) გონების „ხელის ფათურს“, როცა იგი ერთი გაუგებრიდან მეორეზე გადახტება და საბოლოოდ მოგჯერ მაინც ვერაფერს დაადგენს, ვეძახი მე „გონისმიერ ჰერეტიკას“. იგი ყოველთვის მონაწილეობს ლექსის „დეკუსტირებაში“ და როგორი კარგი გემოვნებითი ემოციებიც არ უნდა გამოიწვიოს ინტეგრალურმა ლექსმა, ჩვენ უეჭველად გვეუფლება რაღაცით უკმარობის გრძნობა – მოაზროვნე ადამიანში კოდირებული ჩვევის – მშობლიურ ენაზე ნათქვამი სიგყვების აზრში წედომის აუცილებლობის განუხორციელებლობისა.

მე ხაზს ვუსვამ ამ დებულებას.

მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონის ზოგი ლექსის გაცნობის შემდეგ საერთო „გემოვნებითი“ შეგრძნება მეტად სასიამოვნოა, უკმარობის გრძნობა მაინც ეუფლება მკითხველს. და, ჩემი აზრით, ლიტერატურთმცოდნეთა ვალია, მინიმუმამდე შეამციროს ეს

უკმარობის გრძნობა, რაც, თავის მხრით, იქნება მიახლოება პოეტის მიზანთან – მიიგანოს მკითველამდე საკუთარი „მე“-ს განცდები და მკითხველის მიზანთანაც – რაც შეიძლება, ღრმად ჩაწედეს ამ განცდებში.

ახლა, ვფიქრობ, შეიძლება დაეუბრუნდეთ საკითხს, თუ როგორ მოვიქცეთ გალაკტიონის ლექსების კითხვის დროს: ვეძებოთ ყველა ლექსში აზრისმიერი საწყისი, თუ ზოგს „გემო“ გავუსინჯოთ მხოლოდ.

გალაკტიონოლოგიაში, როგორც ცნობილია, ერთნი ფიქრობენ, გალაკტიონის ლექსების ანალიზი არაა საჭირო, იგი შეიტკბოთ უნდა ისე, როგორც არის, მთლიანად და დაუნაწევრებლად. მეორენი მიიჩნევენ, გალაკტიონის ყოველი ლექსი უნდა გაანალიზდეს და დაიძებნოს ის იმპულსები, რომლებმაც გამოიწვიეს ლექსის შექმნაცა და მისთვის გამორჩეული ფორმის მიცემაც.

ჩემი აზრით, უნდა გავიზიაროთ მ. კეკელიძეს დებულება გალაკტიონის ლექსებში სამი ჯგუფის გამოყოფის თაობაზე: „1. ტრადიციული, ანუ ლოგიკურ-სემანტიკური ლექსები, სადაც პოეტური მეტყველების კლასიკური წესებია დაცული. 2. ასოციაციური ლექსები, სადაც პოეტური ფრაზის ლოგიკურ-სემანტიკური წყობაა შესუსტებული. 3. ინტეგრალური ლექსები, სადაც პოეტური სემანტიკა ან მეტაფორებისა და სახეების ჩვეულებრივი სტრუქტურა თითქმის მთლიანად დარღვეულია“.

შეგვიძლო, გვედავა ავტორთან ლექსთა თითოეული სახის განსაზღვრისას დაშვებული ზოგი ტერმინოლოგიური უზუსტობის გამო: ასე მაგალითად, არ ვარგა გამოთქმა: „ლოგიკურ-სემანტიკური ლექსები“, „არც ფრაზის ლოგიკურ-სემანტიკური წყობაა“ ზუსტი გამოთქმა, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ გალაკტიონის ლექსები, მართლაც, შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. ტრადიციული ლექსების შინაარსობრივი მხარე გამჭირვალეა და ლექსის აზრისმიერი საწყისიც ადვილად ამოსაყნობი, ისეთი როგორცაა, ვთქვათ,

„უსიყვარულოდ  
მზე არ სუფევს ცის კამარამზე.  
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება  
სასიხარულოდ.  
უსიყვარულოდ არ არსებობს  
არც სილამამზე,  
არც უკვდავება არ არსებობს  
უსიყვარულოდ...“

2. *სემანტიკურ-ასოციაციური ლექსები* (სჯობს, ასე ვუწოდოთ მათ) ისეთი ლექსებია, რომელთა სემანტიკური მხარე, ერთი შეხედვით, გასაგებიცაა და იოლად წარმოსადგენიც. ამავე დროს, ლექსში უფრო მეტი და რაღაც იღუმალი უნდა ვეძიოთ, ვიდრე იმ სიტყვათა მნიშვნელობის ჯამია, რომლებიც ლექსის ენობრივ ქსოვილს ქმნიან.

ასეთ ლექსთა რიგს განეკუთვნება, ჩემი აზრით, „ედგარი მესამედ“:

„ჩვენ მივდიოდით გაძრისკენ ორი,  
იყო საღამო ლოცვები, ბარი.  
და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა,  
რტოებს გირილით ამგვრევედა ქარი.  
ენატრებოდა ფრთებს სითამამე  
უმბრუნველობის, შენი სიშორის!  
მაგრამ უეცრად ვილაც მესამე,  
ვილაც მახინჯი ჩადგა ჩვენ შორის.  
და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი:  
საცაა, მოვა სიკედელის წამი.  
ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი  
და მივდიოდით გაძრისკენ სამი.“

3. ინტეგრალური ლექსებია, რომელთა სემანტიკური მხარე სრულიად დაჩრდილულია, მკითხველისათვის ამოუცნობი.

„ღვება თეთრი ღღეები, რიდეების სემონი:  
გაჩნდნენ ორხიდეები  
ყოვლად უმიზეზონი  
ლაყვარლების კიდეო  
დაბურულო მმანებით,  
ლურჯო მონტევიდეო  
ვიწრო ხელთათმანებით  
სულში ნისლის გბებია  
და ქაოსის მხატვარი,  
სადაც ველარ თბებიან  
ფრთები ნამკათათვარი“.

მე საგანგებოდ ავირჩიე ეს მარტივი და მსუბუქი, ხალხური ლექსის ფორმით დაწერილი, უსათაურო სამსტროფედი, რომლის არაჩვეულებრივად გამჭვირვალე და მქედრად ფორმამი ძნელად ჩასაწვლომი (თუ საერთოდ გამოუცნობი არა) აზრია ჩადებული.

როგორც ზემოთაც ვთქვით, „აზრისმიერი ჭერეგა“ მოითხოვს დაკმაყოფილებას („მონტევიდეოც“ ხომ აღგვიძრავს ასეთ სურვილს), პასუხს კითხვაზე, რისი თქმა სურს პოეტს, მაგრამ ამ ლექსში გამოყენებულ სიტყვათა და გამოთქმათა გრადიციული (თუნდაც, მიასლოებით-მეგაფორული) გაგების გათვალისწინებით ძიება იმისა, თუ ლოგიკური მსჯელობის რა ფორმასთან გვაქვს საქმე, ან რა ჭეშმარიტი აზრი უნდა გამოვიგანოთ ლექსიდან, ამაოა და უშედეგო.

თუმცა იქნებ ასეა ჩემთვის მხოლოდ, მაგრამ არიან ადამიანები (სპეციალისტები თუ არასპეციალისტები), რომელთაც ხელეწიფებათ ჩასწვდნენ (ყოველ შემთხვევაში, თუ მთელი სიღრმით არა, მიუახლოვდნენ მაინც). პოეტის განცდებს – ხილუღსა, უხილაეს,



რომელიც მას ლექსს კარნახობდა. რა უფლება მაქვს, ვურჩიო მათ, ხელი აიღონ ასეთი ძიების ცდისაგან, მით უფრო, რომ, როგორც ბევრსაც ვთქვი, ლექსის არსში უწველომელობის გამო უკმარობის გრძნობა არც მე მგოვებს.

ამიგომ ვერც მე დავეთანხმები რ. თვარაძის ამრს, როცა ყოველგვარი შენიშვნისა და განმარტების გარეშე აცხადებს: „...ბრალია, ცოდვაა გალაკტიონის ლექსის გაანალიზება. ვისთვისაც იმის ნიჭი მიუცია ღმერთს, რომ ასე მთლიანობაში განიცადოს მისი ლექსები, ანალიზს რაღას აქნებს, რას შესძენს ახალს? ხოლო თუ არ მიუცია, ანალიზი რას წაადგება?“ მით უფრო, რომ ცოცხალი ბევრით „თოელის“ სრულიად ციტირების შემდეგ, იგი აკონკრეტებს: „ლექსის კითხვის პროცესში ჩვენ სადაც ვიყავით, სად ვიყავით? არც ეს ვიცი. ეს იყო რაღაც ნეგარი ბურანი, რომლიდანაც თავის დაღწევა არც ახლა გვსურს. ამასთან, ვერც კი ვიგრძენით, ისე აღმოვჩნდით ამ მდგომარეობაში. რომელიმე სიყვავს, ფრამას, შედარებას, სახეს, ამრს რომ მიეცა ბიძგი, ამას უმალ შევამჩნევდით და ჩაეფიქრდებოდით ჩვენდაუნებურად. მაშინ განცდილი ნეტარებაც გაგვინახევრდებოდა“.

ვითომ მართლა ასეა?

ამრისგან მიცემული ბიძგი განცდილ ნეტარებას გაგვინახევრებდა? – აქედან ხომ ერთი ნაბიჯია ლექსში ამრისმიერი საწყისი საჭიროების უარყოფამდე და იმის უარყოფამდე, რომ დიდ პოეზიას (რუსთაველის, დანტეს, შექსპირის, გოეთეს...) დიდად, სწორედ, ამრისა და ფორმის ორგანული შერწყმა აქცევს!

ავგორს ვერც იმაში დავეთანხმებით, როცა ცდილობს დაამტკიცოს შეუძლებელი – უარყოს გალაკტიონის პოეზიაში სიმბოლისტური მაჯისცემა. ვერ დავეთანხმები არა მხოლოდ იმიგომ, რომ ასეთი შეხედულება ფაქტებზე ძალდატანებაა და თეორიულად უსაფუძვლო.

საქმე ის არის, რომ ადამიანს ადამიანად – საზოგადოების წევრად, უპირველესად, ის ზოგადი და საერთო აქცევს, რაც მას საზოგადოების სხვა წევრებთან აახლოებს თუ აერთიანებს. ღიდი ადამიანები კი, ჩვეულებრივ, იმით არიან ღიდები, რომ მათი „მე“ გაცილებით მეტ განსხვავებულსა და ორიგინალურს შეიცავს, ვიდრე სხვებთან საერთოს. მაგრამ „მე“-ს თავისთავადობასაც სამღვარი აქვს. როგორი გამორჩეულიც არ უნდა იყოს ღიდი ადამიანი, იგი საზოგადოების სამღვრების გარღვევას ვერ ახერხებს, ვერ წყვეტს კავშირს სხვა „მეებ“-თან, ვერ გადის საზოგადოებიდან.

განსაკუთრებული პიროვნებები თავიანთი განსაკუთრებულობით იქნებ უპირისპირდებიან მათ გარშემო მყოფთ, მაგრამ ისინი რითიმე (მიახლოებით თუ მინიშნებით) მაინც იმეორებენ რომელიმე სხვა „მე“-სთვის დამახასიათებელ ქცევა-შეხედულებებს, რის გამოც მათ გარშემო მყოფი საზოგადოებიდან განზე დგანან, მაგრამ რომელიღაც „მეებ“-თან (ვინ იცის რამდენი ხნით მათზე აღრე დაბადებულებთან) ერთად მაინც ქმნიან ცალკე „საზოგადოებას“, ამჟღავნებენ რა მათთან გრძნობათა, ემოციათა, აზრთა თუ შეხედულებათა ერთიანობას ან მიმსგავსებულობას.

ღიდ ადამიანს აუცილებლობით სჭირდება „საზოგადოებაში“ ყოფნა, რაც თავისთავად იწვევს რომელიღაც აზრებისა და შეხედულებების უარყოფას, რომელიღაცეებთან თანადგომას.

და როცა ახლადმოვლენილი ღიდი პიროვნების შესწავლას ვიწყებთ, მისი ნააზრევიდან თუ ნახელავიდან გამოვყოფთ ხოლმე ჩვენთვის უკვე ცნობილს, ამა თუ იმ ჯგუფის თუ ცალკეული პიროვნებების ნააზრეფ-ნახელავთან საერთოს და ვასკენით: პიროვნება ჩვენთვის უკვე ცნობილ პირებთან ერთად ქმნის მოაზროვნეთა თუ საერთო მისწრაფებათა მქონე პირთაგან შემდგარ „მიკრო საზოგადოებას“ – ასე იქმნება მიმართულებები თუ თანამოაზრეთა საზოგადოებები ლიტერატურაში, მეცნიერებაში და, საერთოდ, ადამიანთა შემოქმედების ყველა სფეროში.

ძალიან ხშირად, ალბათ, აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში, ხელოვნისა თუ მეცნიერის ამა თუ იმ „საზოგადოებაში“ გაერთიანების პროცესი სრულიად და მუსტად გააზრებული წინასწარ განჭვრეტილი ქმედებაა. შემოქმედმა „მე“-მ, გაიცნო რა X-თა საზოგადოების მსოფლმხედველობრივი კრელო, თაეად მივიდა ამ საზოგადოებასთან; მოგჯერ „მე“ ახლის ძიებისას სრულიად შემთხვევით დაუკავშირდება თუ დაუახლოვდება რომელიმე მიმართულების თეორიულ საფუძვლებს, რის შესახებაც მან, შეიძლება, არც არაფერი იცოდეს.

თქვენ შეიძლება მოგწონდეთ ან არ მოგწონდეთ ხელოვანთა და მეცნიერთა ეს ე.წ. „მიკრო საზოგადოებები“, იზიარებდეთ ან არ იზიარებდეთ მათ შეხედულებებს, მაგრამ მათი არსებობის უარყოფა შეუძლებელია.

ამ ანბანურ ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი აქ იმიტომ დამჭირდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაეიგოთ: გალაკტიონის სიდიდეს ხელს არ უშლის მისი რომელიმე „მიკრო საზოგადოებასთან“ სიახლოვე, ვისგანაც არ უნდა იყოს შემდგარი ეს საზოგადოება – სიმბოლისტებისგან თუ კიდევ რომელიდაც სხვა „ისტებისგან“.

ამაზე აქ არაფერს ვიკვლი, თუნდაც იმიტომ, რომ რ. თვარაძე რამდენიმეჯერ კიდევ გეაფრთხილებს, გალაკტიონის ცხოვრებას ჩემი ჭოგრიტით დანახულს ეხატავ და სულაც არ არის აუცილებელი, თქვენ იგი უკანასკნელი რანგის ჭეშმარიტებად მიიღოთ, მაგრამ არის ერთი გარემოება:

1981 წლის მეოთხე ნომერი ჟურნალისა „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ მთლიანად გალაკტიონს დაეთმო. რ. თვარაძემ გალაკტიონის შემოქმედებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს მასწავლებლებს ურჩია, აუცილებლად წაეკითხათ მ. კვესელავას „*პოეტური ინტეგრალები*“ და უფრო მოკრძალებით თავის „*გალაკტიონზე*“ მიუთითა.

რ. თვარაძე, მართალია, როცა ამ წიგნების წაკითხვას ურჩევს მასწავლებლებს (მასწავლებელი უნდა იცნობდეს სამეცნიერო

ლიტერატურას), მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ სკოლაში არ შეიძლება შევიგანოთ მეგისმეტად საკამათო საკითხები. ანდა როგორ მოიქცნენ ის მასწავლებლები, რომელთაც იმავე ჟურნალის თითქმის ყველა წერილში წაიკითხეს: გალაკტიონის პოემის დიდ ნაწილს სიმბოლიზმის აშკარა დადი აზისო, ხოლო მერე რ. თვარაძესა და მ. კეესელავასთან ნახეს, რომ გალაკტიონს არაფერი საერთო არა აქვს სიმბოლიზმთან?

მასწავლებლებმა ეს შრომები მართლაც უნდა წაიკითხონ, მაგრამ მათი ყველა დებულების გაზიარება არ შეუძლიათ. ეს შრომები კარგ საზრდოს იძლევიან კრიტიკულად განწყობისათვის, მაგრამ არ გამოდგებიან კანონიზირებული აზრისათვის. ისინი ცეცხლს გვანან და არა ლამპარს, გონებას გაგითბობენ, მაგრამ გზას ვერ გაგონათებენ.

მამ ასე, ბოლომდე ვიგემოთ გალაკტიონის ლექსის სურნელება და თაიგული, დაფტებთ მისი ფერთა გამითა და მუსიკალური კეთილზმოვანებით, მაგრამ ნუ დაგვაფიწყებდა, რომ ამ პოემის საშენი მასალა სიტყვებია და, როგორც არ უნდა დაეცალა პოეტს ისინი კონკრეტული აზრისგან, როცა „ამ“ სიტყვას წერდა და არა „იმას“, მასში რაღაც აზრისმიერს თუ გრძნობისმიერს (ლოგიკურს თუ ასოციაციურს) აუცილებლად დებდა.

ვყალოთ, ამოვხსნათ ეს მრავალუცნობიანი განტოლება, არა ისე, როგორც ზოგი „მხატვრული ანალიზის“ დროს გვიხდება – ლექსის ტაქების გადმოწერით მისი უგემური გადამღერება (რაზედაც ერთხელ პოეტს თურმე თავად მიუთითებია: „1125 სტრიქონი ჩემია, ხოლო მისი, ე.ი. მკვლევარის 675-ო“. ნ. ტაბიძე, გალაკტიონი, თბ., 1982, 283), არამედ ცალკეული ლექსიკური ერთეულის თუ გამოთქმის ზუსტი შინაარსის დაძებნით, ვიპოვოთ ზედაპირულის მიღმა მღვომი, პოეტური ფანტაზიით შექმნილი და სიტყვიერ სამოსელში გახვეული ის „რაღაც“, რაც პოეტს ლექსის წერის დროს სულს უფორიაქებდა.

ქვემოთ ვეცდები ძირითადად იმ ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობებზე ვილაპარაკო, რომლებიც გალაკტიონის პოეზიის დიალექტურ ფენას ქმნიან და რომელთა მნიშვნელობის მუსიკა დადგენა მიგვაახლოებს, როგორც ზემოთ ვთქვით, პოეტის მიზანთანაც – მკითხველი ამიაროს საკუთარი სულიერი სამყაროს განცდებს – და მკითხველის მიზანთანაც – ბოლომდე ჩაწედეს ამ სამყაროს.

ბ. როგორ უნდა ბავიჯოთ სიტყვები:

„რამელი“, „სანიერალი“ და „შერვალი“?

თუმცა, ვიდრე ამ კითხვას ეუქასუებდეთ, ერთ ზოგად საკითხს უნდა შევეხო, თანაც, მართლაც, მეტად ზოგადად.

როგორც ზემოთაც ვთქვით, მკითხველი ზოგჯერ ინტუიტიურად, მეტწილად კი გააზრებულად მიისწრაფვის ამოიციოს ლექსის ავტორის ჩანაფიქრი, მაგრამ ამ საქმეში მას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ზოგჯერ ვერ ერკვევა არა მხოლოდ პოეტური მეტაფორების, არამედ – პირდაპირი მნიშვნელობით ნახშიარი სიტყვების აზრშიც.

მეცნიერების ვალია, დაეხმაროს მკითხველს და პოეტური ტექსტის უკეთ გაგების მიზნით, შეძლებისდაგვარად გააანალიზოს და ნათელი გახადოს მწერლის ლექსიკა, მით უფრო, თუ საკითხი ეხება ისეთ, შედარებით იოლად დასაძლევ, უბანს, როგორც დიალექტური ლექსიკაა.

დიალექტურ ლექსიკას კი გალაკტიონის შემოქმედებაში შესამჩნევად დიდი ადგილი უჭირავს. ამ თვალსაზრისით, რად ღირს თუნდაც არაერთხელ უკვე მოხმობილი ლექსი, „ჭარხალი“, რომელშიც ორ ათეულამდე დიალექტურ ფორმას ითვლიან.

მაგრამ, რატომღაც, მოგი მკელეეარის აზრით, გალაკტიონის შემოქმედებაში ამ მხრივაც უნდა გამოეარჩიოთ რამდენიმე ჯგუფი ლექსებისა: 1. ლექსები, რომლებიც დიალექტურ ლექსიკას შეიცავენ იმის გამო, რომ თავად ლექსში ჩაქსოვილი გარემო მოითხოვდა ამას (ვთქვათ, ბავშვობის მოგონებებით გამოწვეული), სოფლის პეიზაჟები, სოფლური ცხოვრების სხვადასხვა სურათები და მისთ.; 2. ისეთი ლექსები, რომლებიც დიალექტურ ლექსიკას გამორიცხავენ თავიანთი თემატიკითა და მიზანდასახულობით. ასეთებში, უპირველესად, გაერთიანდება ინტეგრალური ლექსები (ვიხმართ ეს ტერმინი, არაფერი დაშავდება).

ასეთი მოსაზრება სწორი არ არის.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედება ლექსის მუსიკალობის თვალსაზრისით თავისებური უნიკალური მოვლენაა – ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ლექსისთვის ასეთი განუმეორებელი ფორმის მისაღწევად ავგორი მოგჯერ მართლაც უაზრო ბგერათკომპლექსებს არ ერიდება და რა გასაკვირია, რითმის აქურულობისათვის პოეტმა დიალექტურ ლექსიკას მიმართოს.

უფრო მეტიც, გალაკტიონი ამ საქმეშიც გამორჩეულად დგას ქართულ მწერლობაში. მასთან დიალექტიზმებს შეხედებით არა მხოლოდ იქ, სადაც ეს ლექსის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გეოგრაფიული გარემოთია განპირობებული ან მას ლოგიკურ-სემანტიკური მხარე თუ პოეტის ასოციაციურ-ემოციური წარმოსახვა მოითხოვს, არამედ იქ, სადაც ეს სრულიად მოულოდნელია და არც ლექსის ეფუონიითაა განპირობებული. მეტიც შეიძლება ითქვას, პოეტი დიალექტიზმებს იყენებს თავის პროზაულ ნაწარმოებებშიც (როგორც ამას მ. ალაფიძეც მიუთითებს) და მოგჯერ თითქოს საგანგებოდ ხაზგასმულად იქცევა ასე; თითქოს პოეტი ნოსტალგიას განიცდის ბავშვობის დროინდელი ენის მიმართ (მან ხომ ბავშვობა სოფელში გაატარა და ენაც გურულ-იმერულ დიალექტურ გარემოში აიღვა) და ცდილობს მკითხველს აჩვენოს, ეინაა და საიდანაა წარმოშობით.

აი, რამდენიმე მაგალითი:

გალაკტიონი და მისი თანამგზავრები ჯაეახეთში იმყოფებიან. გალაკტიონი აღწერს მთიან ჯაეახეთში მოგზაურობის სურათებს: „...რა ციყაბო მთებზე ავდიოდით, მინდვრები, მოფენილი ცხერიოთ, კმ, ცხეარიოთ“ (ტ.XII, გვ.438).

არაჩვეულებრივი ფაქტია: ჯერ ლიტერატურული ფორმა („ცხერიოთ“) ხმარა, მერე კი თითქოს მოავონდა, ეს რა ჩავიდინეო, და, თავისებურად, ეშმაკურად ჩაიციანა – „კმ“ და სწორი ფორმა დიალექტურით შეცვალა. სხვაგან კი პირუკუ აკეთებს, ჯერ დიალექტურ ფორმას ხმარობს, შემდეგ ასწორებს: „...ბინას აყრუებს ავგობუსების გრიალი... თან ერთი სინა, ჩემი ოთახის კედელს მიბმული სახელგამის კედლიდან, ისეთნაირად გაიწკრიალებს, როცა ავგობუსები გაივლიან, რომ...“ და ცოცხა ქვემოთ: „...ლამის სამ საათამდე მესმის მთვრალეების ღრიალი, მთვრალეების, რომლებიც ისე თავისუფლად გრძნობენ თავს ამ მიდამოში, ამ ნაშუალამეს... კიდევ ის მათეული“ (ტ.XII, გვ.440).

თუ ნათქვამს გავითვალისწინებთ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ავგორი სარითმო ერთეულად დიალექტიზმს მიმართაუდა თუნდაც ურწყ (ესეც დიალექტიზმია და ნიშნავს: ძალიან, ძლიერ) ინტეგრალურ ლექსში. მით უფრო, ისეთ ლექსში, როგორცაა „ქებათაქება ნიკორწმინდას“ და იმის მომიგებება, რომ ამ შემთხვევაში ლექსის განწყობილება დიალექტიზმს არ მოითხოვდაო, უსაფუძვლოა. განა უფრო მეტად მოითხოვდა დიალექტიზმს ლექსი „იმ დღეს რომ იყო“, რომელიც პარიზში ყოფნის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს ეხება.

აი, როგორ იწყება ეს ლექსი:

„იმ დღეს რომ იყო კობი და თქემი,  
პარიზზე ქარის რომ ქროლა სეეტი,  
მძლავრმა გრიგალმა ბულონის ტყეში  
ხე ამოგლიჯა ექესასზე მეტი“.

საკმარისია, ამ ლექსის ბგერით მხარეს დაეაკვირდეთ და ვნახავთ, რომ მისი ეფუონია სწორედ ლიტერატურულ „სტეკყვას“ მოითხოვდა ღიალექტური „კოხის“ მაგიერ (ლექსი ძირითადად „ს“ ბგერის ალიტერაციამა დაყრდნობილი) მაგრამ, როგორც ვხედავთ, ავტორმა „კოხი“ აირჩია და თითქოს ისევ მკითხველთა დასაწყნარებლად: არ იფიქროთ, სწორი ფორმა არ ვიცოდეთ, ბოლო სტროფში „სტეკყვა“ გამოიყენა.

„როგორც ქალს შიშველს სულით და ხორციით,  
ბულვარს ის სტეკყვა სცემს კმაყოფილი,  
აცურდა ქუჩა ნაგები ტორციით,  
ნიაღვარს მიაქვს ავტომობილი“.

უფიქრობ, ყველაფერი გასაგებია: გალაკტიონი ღიალექტურ ლექსიკას მიმართავს ყოველთვის, როცა იგი შინაგანად ხედავს ამის საჭიროებას. ამიგომ საუსებით ნათელია, რომ „ქებათა-ქება ნიკორ-წმინდამი“ ნახმარი „რამღი“ ღიალექტური ფორმაა და მ. ალავეძის აზრი ამ საკითხში უთუოდ უნდა გავიზიაროთ.

სამაგიეროდ, სრულიად სხვაგვარად დგას საკითხი „ცაიერადისა“ და „ფერვალის“ მიმართ.

„ცაიერადი“. ამ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ მ. ალავეძე წერს: „ქართული ენის დასავლურ ღიალექტებში გავრცელებულია კომპოზიტივი მნიშვნედა „ცაერათ“ (ცა ერთად) „ცაერათ ჩამოდის“ – კოქისპირულად წვიმს (იხ. ქ. ძოწენიძე, გემოიმერული ლექსიკონი, 1974).

„ერთ“ ფუძეს თ. თანხმოვანი ეკარგვის სხვა კომპოზიტებშიც (ერგული, ერხანს, ერშაბათ, ერსალიკა) და შეუნარჩუნდება მაინც ცვლილებით: გურულ-იმერული „რეთი“ (რა ერთ) „რამდენს“ ნიშნავს – რეთი ხანი გავიდა მას აქეთ!



„ცა ერთად“ ქვემო იმერეთში განსხვავებულად წარმოითქმის. სოფელ ჭყვიშში მოხუცნი ახლაც ამბობენ „ცაიერათ“. ხალხური (!) მზნიზედა გალაკტიონს უცუელელად დაუცავს ლექსში „შიში“: „როგორც ცაიერად, მეწყერად, დაცულია სახელობითი ბრუნვის არქაული ფორმით (მღრ. გზაი, მღვაი, ხმაი, რაიმე!)... ამ დიალექტიკისაგან პოეტმა აგრეთვე აწარმოვა არსებითი სახელი „ცაიერადი“.

„გალაკტიონური დიალექტიკში-ნეოლოგიზმის საანალიზოდ საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი: „ცაიერადს“ კომპოზიტიური აღნაგობა აქვს: მეორე კომპონენტი რიცხვითი სახელისგან წარმოქმნილი სიტყვა, რომლის პირვანდელ ფორმად აღდგება „ერთადი“... რომელიც „გალაკტიონს უწარმოებია ცნობილი „ორადის“ ანალოგიით. გალაკტიონური ნეოლოგიზმი „ცაიერადი“ (პირვანდელი „ცაიერთადი“) ქართული ენის წესისამებრ შემუშავებული ბუნებრივი ფორმაა და არა ხელოვნური (განმარტებით ლექსიკონში წერია – „პოეტური“ ფორმა არისო, რაც ასეთ ახსნას მოითხოვს“. „განთიადი“, 1982, 5, გვ.173).

ერთი სიტყვით, „ცაიერადი“ მიღებულია ორი სიტყვისაგან: „ცა“ („ცაი“) და „ერთი“. პირველი სიტყვა კომპოზიტი უცუელელადაა შემონახული, მეორე კი ჯერ დიალექტიკით შეცვლილა: „ერთ-ს“ თ თანხმოვანი დაუკარგავს და „ერ“ დარჩენილა, მისგან გალაკტიონს უწარმოებია „ერადი“, რომლის პირველ კომპონენტთან მიმატებამაც მოგვცა „ცაიერადი“.

წმინდა ფონეტიკური თვალსაზრისით ასეთი ცვლილებები შესაძლებელიცაა და დასაშვებაც – ფონეტიკურად მათ მართლაც არაერთი დაბრკოლება არ ელობებათ. მაგრამ არის სხვა, არანაკლებ არსებითი მხარე – მნიშვნელობა.

ენაში, განსაკუთრებით დიალექტებში, ძალიან ხშირი და მრავალფეროვანია ფონეტიკური ცვლილებები, მაგრამ ყველა ეს ცვლილება მანამ არის შესაძლებელი და დასაშვები, სანამ არ ბრკოლდება

გაგებინება, თუმცა ხშირად საწყისი მნიშვნელობა დარღვილი და მწვანად საპონია.

ფონეტიკურ ცვლილებათა კანონზომიერების ცოდნა სწორედ იმ საქმეს ემსახურება, რომ აღდგენილი იქნეს ძველი ფორმა და დადგინდეს საწყისი მნიშვნელობა.

ასე მაგალითად, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ „თაყვანისცემაში“ ადგილი აქვს ფონეტიკურ მოვლენას, რომელსაც ბგერათა გადასმას ვეძახით, გამოვდივართ იმ ფაქტიდან, რომ ძველ ქართულში გვექონდა (რაც ტექსტებითაა დადასტურებული) „თაყვანისცემა“.

ძველ ქართულში „ყანა“ მიწასაც ნიშნავდა – „თაყვანისცემა“ – (თავის მიწისთვის ცემა“ – „თავის მიწამდე დახრა“) „ვ“ და „ყ“ ბგერების ადგილის შეცვლით მივიღეთ „თაყვანისცემა“.

მსგავსად ამისა, როცა ვამბობთ, რომ „მაშინ“ მიღებულია „მას დღესა შინა“-დან, ვიცით, სახარების ორ სხვადასხვა რედაქციაში ასეთი პარალელური ფორმებია ნახმარი.

ამრიგად, ფონეტიკურ ცვლილებათა გაშიფვრის შემდეგ, ჩვეულებრივ, აღვადგენთ ხოლმე არქეტიპს, იმ ძველ ფორმას, რომლის ბგერითი მხარეც სრულიად გამჭირვალეა და, რაც მთავარია, შინაარსი გასაგები.

ახლა დავებრუნდეთ „ცაიერადს“.

თუ „ცაიერადი“ მართლაც „ცაი“ და „ერთი“ სიტყვებიდანაა მიღებული, ხომ უნდა ეუპასუხოთ კითხვაზე, რატომ უნდა ეწოდებინათ კოკისპირული წვიმისათვის: „ცა ერთი“ („ცაი ერთი“ ან იქიდან ნაწარმოები „ცაიერთად“) „ცაიერად“? – ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინების შემდეგ აღდგენილი ფორმა შინაარსობლივადაც ხომ ნათელი და გასაგები უნდა იყოს? „ცაი ერთი“ თუ „ცაი ერთად“ მასში ჩაქსოვილ მნიშვნელობას (კოკისპირული წვიმას) არაფრით არ უკავშირდება და ამ ეტიმოლოგიის სისწორეში დაუჭვების მიზეზიც ამაში უნდა ვეძიოთ.

ამ სიტყვის ეტიმოლოგიის გასაღები კი თვით ლექსის სათაურში („იერ-ში“) ძვეს, რასაც, როგორც ჩანს, ყურადღება ვერ მიაქცია მ. ალავეიძემ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვერც დიალექტურ ლექსიკონებში, ვერც ქვლ-ში ამ სიტყვის იმ მნიშვნელობას, რომელიც კომპოზიტიკის შედგენისას გამოუყენებიათ, ვერ იპოვეთ, თავად კი, ალბათ, არ გაუგონია.

„იერი“ გურულ დიალექტში (ყოველ შემთხვევაში ზემო გურულში – ჩოხატაურის რაიონის მეტყველებამი) ნიშნავს სწორედ იმას, რასაც იმერულში (ქ. ძოწენიძის მოწმობით) „ცაიერათ“ – კოკისპირულ წვიმას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს „კოკისპირული წვიმა“, როგორც წესი, მოდის სრულიად მოულოდნელად, უცაბედად; ასეთი წვიმა ზოგჯერ მზიან ამინდში წამოვა ხოლმე და ისევ ჩქარა გადაიღებს.

გურულში ჩვეულებრივია ასეთი გამოთქმა: „ნუ გეშინიათ, იერია, ჩქარა გადაიღებს“ ან „ისეთი იერი იყო, რომ ცა ფეხად ჩამოვიდა“.

საკმარისია, მოვიგონოთ ლექსი „იერი“ და დაერწმუნდებით, რომ იგი სწორედ ამ გაგებას გულისხმობს:

„იყო დილა მშენიერი,  
დილა ფერადი,  
მაგრამ უცებ წამოვიდა  
ცაიერადი.  
ასე იყო შენი დილაც.  
ბედის წერამდი,  
სანამ ყოფნის არ დაგკრავდა  
ცაიერადი.  
რომ იჭექა, გზა დაყრუვდა  
სერით სერამდი  
და მაისის წამოვიდა  
ცაიერადი“.

თანაც თუ ამ შესანიშნავად აღწერილ სურათს იმ ისტორიასაც მიუვმატებთ, რაც ი. ლორთქიფანიძეს მ. ალავეიძესთვის მიუწერია („ლექსი დაიბეჭდა პირველად 1940 წელს, როცა 10 მაისს თბილისში მოვიდა უჩვეულო თავსხმა წვიმა“. „განთიადი“, გვ.173), რა თქმა უნდა, გასაგები იქნება ყველაფერი.

ამრიგად, იმერული „ცაერთ“ და განსაკუთრებით მ. ალავეიძის მიერ ჭყვიშელთა მეტყველებაში ფიქსირებული „ცაიერთ“ და „მიშმი“ გალაკტიონის მიერვე გამოყენებული „ცაიერთად“ მიღებულია ორი სიტყვის – „ცა“-ისა და „იერი“-ს – შეერთებით. საიდანაც ჭყვიშის მეტყველებაში გაერსელებულა „ცაიერთად“-ის ფორმით (საერთოდ, იმერულში „ცაიერთ“), გალაკტიონს კი სარითმოდ ამ სიტყვის ოდნავ სახეცვლილი ფორმა „ცაიერთადი“ გამოუყენებია.

ჩემი ამრით, ამ ლექსის ანალიზი სხვა მხრივაც მეტად საინტერესო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

როგორც აშკარა გახდა, ლექსი დაწერილია 1940 წლის 10 მაისს თბილისში მოსული უცაბედი კოკისპირული თავსხმის – იერის – გავლენით, მაგრამ, თუ ეს ისტორია არ გვეცოდინებოდა, სავსებით მოსალოდნელი იყო, ლექსის დაწერის მიზეზად მიგვეჩინა „იგი“ თუ „იმის ბედი“, ვისაც ავტორი მიმართავს: „ასე იყო შენი დილა ბედის წერამდე, სანამ ყოფნის არ დაგკრავდა ცაიერთად“. ე.ი. მთელი ეს ნამდვილი ისტორია, ჩვეულებრივი ბუნების მოვლენით გამოწვეული, უნდა გაგვეხვია რაღაც გაურკვეველობის ბურუსში და ხელი აგველო ლექსში ჩაქსოვილ ამრობრივ-ასოციაციური საწყისის ძებნაზე.

ახლა კი, როცა ლექსის შექმნის ისტორიაც ვიცით და მასში ჩაქსოვილი ძირითადი ასოციაციურ-ემოციური საწყისიც ნათელია, შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ გალაკტიონის ლექსებს საფუძვლად უდევს კონკრეტული ამრობრივ-გრძნობითი თუ ბუნების მიერ ნაკარნახევი ყოფითი ფაქტი, რომელიც მოგჯერ, იქნებ საგანგებოდაც, პოეტის მიერ გახვეულია ძნელადგამოსაცნობ საბურველში

და რომლის გამოწველივით კვლევის შემდეგ ლექსის შექმნის იმპულსისა და მასში განივთებული აზრობრივი საწყისის მიგნების ალბათობა მეტად დიდია.

*ფერვალი.* ამ სიგყვასთან დაკავშირებით ავტორებმა ძირითადად ორი კითხვა დასვეს: 1. რა მიზნით გაჩნდა იგი ტაეპში და 2. რა წარმომავლობისაა.

სავსებით დასაბუთებულად უნდა მივიჩნიოთ სამივე ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ფერვალი“, უპირველესად, ლექსის ეფონიამ მოითხოვა.

რაც შეეხება წარმომავლობას, ავტორები ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ იგი გალაკტიონური ნეოლოგიზმია.

მ. ალავიძე ფიქრობს, რომ „ფერვალი“ – გალაკტიონური ნეოლოგიზმი (სახელმწიფა (მიმღეობა) „მწერვალის“ ტიპისა) დისიმილირებული ფორმაა მიღებული ზმნიდან „ფერავს“. მ-ფერავ-არ-ი/მ-ფერავ-არ-ი/მ-ფერავ-ალ-ი. მ პრეფიქსი დაკარგულა „ხალხური ენის წესისამებრ“ (!) და მივიღეთ „ფერვალი“.

მკვლევრის აზრით: „დადგენილი სტრიქონის ტექსტი „ირგვლივ დამტკნარია ფერი და ფერვალი“ ამგვარ გაგებას არ აბრკოლებს, მაგრამ მაინც გასათვალისწინებელია ხელნაწერი ვარიანტი – „ირგვლივ სხვაგვარია ფერი და ფერვალი“ (გვ.175).

ამ მოსაზრების მიმართ სამართლიანია თ. დოიაშვილის შენიშვნა: „ჩემი აზრით, ეს ლიტონი განცხადებაა, რადგან სრულიად გაუგებარია, ვინაა თუ რაა, ან როგორაა დამტკნარი ის, ვინც ფერავს, გამფერავი. სინათლე არც ვარიანტულ წაკითხვას მოაქვს, მამასადამე, „ფერვალის“ აღნიშნული გაგება კონტექსტისათვის არააბუნებრივია“.

თითქოს კარგი საბუთია მ. ალავიძის მიერ მოხმობილი გალაკტიონური „მბერვალი“ („ფერვალის“ ანალოგიური წარმოება: ბერ-ავს, მ-ბერ-ავ-არ-ი, მ-ბერ-არ-ი, მ-ბერ-ალ-ი). მაგრამ ამ ანალოგიის

დროსაც გაუთვალისწინებელია შინაარსობრივი მხარე: „მბერვალი“ იმ კონტექსტს, სადაც იგი მის, შინაარსობრივადაც კარგად უდგება:

„კალენდარს ოცდარვა  
თებერვალი  
მოსწყდა-სუსხიან ქარის  
მბერვალი“.

როგორც დამაჯერებლად შენიშნავს თ. დოიაშვილიც, „მბერვალი“ *თებერვალი* ლიტერატურული პერიფრაზია ცნობილი ხალხური სტრიქონისა „თებერვალი ბერავდა“, მაშინ როცა „ფერვალი“ არავითარ მსგავს ასოციაციას არ იწვევს.

რადგან „ფერვალის“ შემცველი ტაეპი ბუნდოვანია და არც საწყისი და მომდევნო ტაეპების შინაარსით მთლად კარგად გასაგები, მოვიტან ლექსს სრულად.

### საუბარი ედგარზე

ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი,  
როცა საუბარი ედგარ პოეზია.  
აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი  
დასდევს განწირულთა შავი პოეზია.  
ხშირად მაგონდება: ფოთლებშემოცლილი,  
სახემიბნედილი ქალის მწუხარება!  
მთვარით დაბურული, მთვარით შემოსილი,  
მთვარით დაძონძილი ოხვრა... მწუხარება  
/რად ხარ უცხოეთში? მე შენ გელოდები!  
მოვა შუა ღამის ბნელი სტუმარივით...  
სანთლებს გაანელებს, დარბაზს დააბნელებს,  
მიდის სავარძელთან სხვაგვარ მდუმარებით.

უცხო მხარეები იგრძნეს ხომალდებმა,  
ფარდა შეირხევა, როგორც ყრუ ფოთოლი.  
კომკთა სიმაღლიდან რეკავს მოღანდება,  
ცივი უდაბნოა ღამე უშფოთველი,  
თანაც გაიხედავ: შენაც დაღამდები –  
ირგვლივ დამჭკანარია ფერი და ფერვალი;  
ასეთ სანახავად, როგორც თანამდები,  
ბალში შემლილივით კედება თებერვალი.

ამ ლექსს მე მეორე სახის ლექსებს ვაკუთვნებ (მოიგონეთ ზემოთ ნახსენები მ. კვესელავას კლასიფიკაცია), რადგან მისი ძირითადი პათოსით გამოწვეული ასოციაცია გაცნობიერებას ექვემდებარება, თუმცა ბევრი ტაქსის შინაარსი ჩვენი გონებისათვის ძნელად მისაწვდომია. მაგალითად, მე არ მესმის, რას ნიშნავს:

„მთვარით დაბურული, მთვარით შემოსილი  
მთვარით დაძონძილი (განსაკუთრებით ეს უკანასკნელი) ოხვრა...  
მწუხარება“.

ან „ასეთ სანახავად, როგორც თანამდები“.

თუმცა კარგად ვგრძნობ ლექსის საერთო აზრ-განწყობილებას, ჯერ ედგარ პოს გახსენებით გამოწვეულ, მერე თვით პოეტის წარმოსახვით დანახულს და გადმოცემულს. ლექსში საერთოდ მოწყენილობის, ნაღველისა და ბედგახუნებულობის (თუ შეიძლება ასე ითქვას) განწყობილებაა გადმოცემული. სწორედ ეს ბედგახუნებულობაა ნაჩვენები ტაქსში: „ირგვლივ დამჭკანარია ფერი...“ რომელსაც სჭირდებოდა კიდევ ერთი სიგყვა.

რა სიგყვა უნდა ყოფილიყო იგი?

აქ საჭირო იქნება ცოტა შორიდან მოუუაროთ.

მე არ ვიცი, არის თუ არა ლიტერატურათმცოდნეობაში მითითება იმაზე, თუ როგორ იქმნება ლირიკული ლექსები, როგორია ასეთი ლექსების, და, საერთოდ, ლექსების, წერის ტექნოლოგია, მაგრამ

ჩემი ღრმა რწმენით, პირველად იბადება ლექსის ამრობ-რივემოციური *საყრდენი ტაეპი* და მერე იმოსება დანარჩენები – იკვრება მთლიანი ლექსი.

ასეთ *საყრდენ ტაეპად*, ვთქვათ, ილიას „გაზაფხულში“ მე მიმარჩნია:

„მამულო საყვარელო,  
შენ როსლა აყვავდები?“

სწორედ ეს იყო სათქმელი და, რადგან ამ ორტაეპედის ბოლოს „აყვავდები“ იჯდა, მას დაეძებნა სარიტმოდ „მთები“ და შეიკრა *წამყვანი* ბოლო სტროფი. რაც შეეხება პირველ სტროფს, იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფონია, ექსპოზიციად გამოყენებული საყრდენი ტაეპის მაგარებელი სტროფისათვის.

ლექსის წერის ტექნოლოგიის ასეთი გააზრების სასარგებლოდ მეტყველებენ ხალხური ლექსები, რომელთა *საყრდენი ტაეპის ამრიან* სტრიქონს ხშირად წინ უძღვის, იქნებ მოსდევს კიდევ, მოგჯერ სრულიად უაზრო ან მოცემულ კონტექსტთან ნაკლებად დაკავშირებული ტაეპი, რომლის დანიშნულებაც სტროფის რითმული წესრიგის მიღწევა.

სამაგალითოდ გამოდგება იგივე:

„არიელი, მარიელი,  
არ გაგვიშვათ ცარიელი“.

რომელიც მ. ალავეიძემაც დაიმოწმა, სადაც „არიელი, მარიელი“ სრულიად უმინაარსო ბგერათკომპლექსებია. მათი ფუნქციაა, შექმნან სტროფის რითმულობა საყრდენი ტაეპის „ცარიელის“ ზეგავლენით.

ამავე ტექნოლოგიითაა შექმნილი ჯ. ჩარკვიანის ლექსი:



„თუთის ხეზე მაშვი შეჯდა,  
მაშვიმა თუთა შეარხია.  
უშენობას, ჰქვია ტანჯვა,  
უშენობას სეველა ჰქვია“.

უეჭველია, ლექსის ამრობრივი საყრდენი ბოლო ორ ტაქტშია, და, როცა ეს ორი ტაქტი დაიბადა „ტანჯვა“ და „ჰქვია“ სარიტმოსიციყვებით, ჯვარედინმა რითმამ მოითხოვა კიდევ ორი სიციყვა. ასე გაჩნდა სარიტმოსიციყვები „დაჯდა“ და „შეარხია“, თორემ ამჟამად, მაშვის თუთაზე დაჯდომასა და თუთის შერხევას არავითარი ლოგიკური კავშირი არა აქვს ვიდაცის განმარტებით გამოწვეულ „ტანჯვასა“ და „სეველასთან“.

ახლა გალაკტიონთან ვნახოთ.

1927 წელს პოეტს დაუწერია უსათაურო ორსტროფიანი ლექსი, რომლის საყრდენი ტაქტის ამრი ასეთია: ვარ მილიარდერი, მაგრამ უშენოდ რად მინდა ეს მილიარდები.

„გმა არ ღირს დავიდარაბად,  
ძალზე ხმაურობს პარტერი.  
არა სიმმარში, არამედ  
მართლა ვარ მილიარდერი.  
მაგრამ ვის შემოვუშენო:  
ნარგიშები და ვარდები,  
მითხარ, უშენოდ, უშენოდ  
რად მინდა მილიარდები?!“

ამჟამად, აქაც პირველი სტროფის საწყისი ორტაქტული, განსაკუთრებით კი მეორე – „ძალზე ხმაურობს პარტერი“ – არავითარი ამრობრივი კავშირში არაა ბოლო ტაქტულთან.

ასევე, ლექსში „ჩემო იარალი“ ჯერ დაიბადა:

„ის დრო წავიდა, თბილისი ძველი  
მიინგრ-მოინგრა, სცივათ კახურებს  
და ნარიყალა ცრემლებით სველი  
მატარებლების კივილს გაჰყურებს“.

სარიტმო სიგყვამ „გაჰყურებს“ მოიგანა „კახურებს“, რომელსაც მოჰყვა მოქმედების აღმნიშვნელი „სცივათ“ და საბოლოოდ წინადადებას ასეთი სახე მიიღო: „ის დრო წავიდა, თბილისი ძველი მიინგრ-მოინგრა, სცივათ კახურებს“.

როგორც ვხედავთ, სრულიად ნათელ სტროფში რიტმის მოთხოვნით გაჩნდა შედარებით ბნელი (თუ საესეებით გაუგებარი არა) შესიტყვება „სცივათ კახურებს“.

მსგავს სიტუაციასთან გვაქვს საქმე ლექსში „პორტრეტი“, რომლის ბოლო სტროფში სრულიად „უადგილოდ“ გამოჩნდა სიტყვა „ცუსიმას“:

„იგი სვამს ღვინოს, ვით ქარს და წვიმას,  
მზე კელაე უყვარდა, გზა არ დადლოდა  
მოშორდა თოვლებს, გასცდა ცუსიმას  
და ბარიკადებს მიუახლოვდა“.

მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად „ზედმეტი და უადგილოა“ მხოლოდ სარიტმო „ცუსიმას“, რომლის ლექსში გამოჩენა სარიტმო „წვიმის“ გარდა იმანაც განაპირობა, რომ მის წინ იყო „გასცდა“ სიტყვა, „სც“ კომპლექსის ალიტერაციით კი ტაქტში ადგილი დაიკავა კონტექსტისათვის „შეუფერებელმა“ „ცუსიმამ“.

ამავე რკალში შემოდის „მშობლიური ეფემერადან“ –

„ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ  
დარიალიდან ზარაულა შარა“.

როგორც ვხედავთ, საყრდენი სიტყვის სარიტმო სიტყვისა და, საერთოდ, ლექსის ეფუონიის მოთხოვნით ფონის შემქნელ სტრიქონში ხშირად ჩნდება აზრობრივად არც თუ მაინცდამაინც ნათელი და შესატყვისი სიტყვა.

ასეთი მაგალითების მოგანა, რა თქმა უნდა, უამრავის შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ ლექსის აზრობრივად საყრდენი ტაქსის სარიტმოდ სიტყვა გაბატონებული მდგომარეობის მქონეა და მისგან ბევრადაა დამოკიდებული მთელი სტროფის ეფუონია. საყრდენი სიტყვა იმდენად განაპირობებს მასზე გასარიტმადი სიტყვის ბგერით მხარეს, რომ ხშირად ამ უკანასკნელის აზრობრივ მხარეს ანგარიში არ ეწევა. ამიტომ იმის მტკიცება, რომ თითქოს უაზრო ბგერათ-კომპლექსებიც კი ლექსის სემანტიკური ველის გავლენით აზრიანდებიანო, არ შეეფერება სინამდვილეს: „ლოვინ, ღოვენ, ღოელი“ უფრო მუსიკალური ბგერებია სტროფის საერთო აკორდში, ვიდრე რაიმე მნიშვნელობის მქონე სიტყვები.

თუ ნათქვამს გაეითვალისწინებთ, საანალიზო „ფერვალის“ გაჩენა გამოიწვია ჯერ საყრდენი ტაქსის სარიტმოდ „თებერვალმა“, მერე კი – მის წინ მდგომმა „ფერმა“.

როგორც კი პოეტის თავში ჩამოიძერწა სტრიქონი „ირველიც დამტკნარია ფერი“, რომელიც რიტმისათვის მოითხოვდა კიდევ ერთ სიტყვას „თებერვალთან“ შესარიტმად, რა თქმა უნდა, „ფერის“ ბგერობრივ-აზრობრივი ასოციაციით, გამოჩნდა იმავე ძირისა და მსგავსი მნიშვნელობის, თანაც გალაკტიონისათვის ბავშვობისდროინდელი მოგონებებით კარგად ცნობილი, „ფერვანი“, რაც ნიშნავს: „ფეროვანი, ფერხორციტ საესე, წითური, ჯანსაღი და ფერვანი კაცია“ (ალ. ლლონტი, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, II).

სხვათა შორის, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლექსიკონის შემდგენელი ამ სიტყვის ახსნისას სწორედ მ. ალავეიძეზე მიუთითებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ფერვანი“ ლიალექტოლოგიურ ლიტერატურაში პირველად მ. ალავეიძემ შემოიტანა.

მ. ალავეიძეს „ფერვანის“ არსებობა არც გემოხსენებულ წერილში დავიწყებია, მაგრამ „ფერვალის“ არქეტიპად მისი გამოცხადების შესაძლებლობა რატომღაც კატეგორიულად უარყო: „დაუშვებელია ვივარაუდოთ, რომ „ფერვალი“ იგივეა, რაც ლიალექტივში „ფერვანი“. ცნობილია, რომ ქონების რთული ოვან – სუფიქსიანი ლიტერატურული ფორმისაგან, „ფეროვანი“ (ფერ-ხორციტ საცესა, წითური) მივიღეთ ლიალექტივში „ფერვანი“. გავრცელებული ქართული ენის დასაველეთ ლიალექტივში, და, კერძოდ, ვანის რაიონშიც (იხ. ივ. ჯაფახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, 1934; ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, 1975).

„ოვან“ სუფიქსის ო ხმოვანი იკარგება, რასაც მოწმობს ლიალექტური მასალა-სახელ/ო/ვანი, გულ/ო/ვანი; ბალახ/ო/ვანი; ბზა/ო/ვანი... ამ აზრით რითმა „ფერვანი-თებერვალი“ ნაკლულია და არაბუნებრივი. მით უმეტეს, სიტყვის ხელნაწერი ვარიანტი „ფერვანი“ არ ჩანს. ამასთანავე, გალაკტიონი „ოვან“ სუფიქსს სალიტერატურო ენის წესისამებრ კუმშავდა (ო ხმოვანს არ კარგავდა): „ვერავინ შესძლებს ამ სტიქიას დაუკარგოს ფეროვნება, რომ თანასწორ მზესთან მივა თითოეული ეროვნება“, „თავადი ვაშლოვანელი“ (ლექსი „მივარდნილი აივანი“); „განთიადი“, გვ.177).

მე, სამწუხაროდ, არ მქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ამ ფაქტის შემოწმების მიზნით გალაკტიონის უზარმაზარი მემკვიდრეობა მთლიანად შემესწავლა, რათა დამედგინა, ხმარობს თუ არა იგი ისეთ ფორმებს, რომლებშიც „ოვან“-ის ო შეკუმშულია (როგორც ამას გემოთ მოტანილი ორი მაგალითით მ. ალავეიძე ამტკიცებს), მაგრამ ა პრიორი ვიცი, რომ თუ დასჭირდებოდა, რა თქმა უნდა, უკან არ დაიხვედა, მით უფრო, რომ, როგორც მ. ალავეიძემაც

გვიჩვენა, დიალექტებში მსგავსი მაგალითები უხვად გვაქვს და, ესეც რომ არ იყოს, პოეტი, რომელიც რითმის გულისთვის მწერლის გვარს „პო“-ს „პოე“-დ გადააკეთებს („როცა საუბარი ედგარ პოემა“), რა თქმა უნდა, საჭირო შემთხვევაში ასეთ „ეოდას“ არ დაერიდებოდა, მაგრამ გალაკტიონს ეგ არ სჭირებოდა – „ფერვანი“ მის მეტყველებაში ერთადერთი ფორმა იყო ბავშვობის-დროინდელი ენიდან შემორჩენილი და, ამდენად, ფონეტიკურად მთლიანი და „შეურყენელი“.

ამიტომ იმის ძიებას, თუ როგორ კუმშავდა გალაკტიონი „ოვან“ სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვებს, არც აქვს რაიმე მნიშვნელობა, მოცემულ შემთხვევაში ხომ იგი ამ სიტყვის შემოქმედი არ იყო, მას „ფერვანი“ უკვე მზამზარეულად დახვდა მშობლიურ დიალექტში.

საკითხი კი ასე უნდა დასმულიყო: შეიძლებოდა თუ არა გალაკტიონს „ფერვანიდან“ „ფერვალი“ გაეკეთებინა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვფიქრობ, ღიდ კვლევა-ძიებას არ მოითხოვს, რადგან ნარისა და ჯასის ურთიერთმონაცვლეობა ქართულში (როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში), საერთოდ, ცნობილი ფონეტიკური მოვლენაა (სუნი/სული; სულელ/სუნელი, ნემსი//ლემსი და მისთ.) და პოეტურ მეტყველებაში (განსაკუთრებით ისეთი პოეტისა, როგორც გალაკტიონია) სრულიად დასაშვებია. ამას გარდა, შემიძლია დავიმოწმო საკუთარი გამოცდილებაც: „ფერვანის“ ნაცულად „ფერვალის“ გამიგონია.

ამრიგად, „ფერვანი“ იქნებ დიალექტური ან გალაკტიონური ვარიანტია, საყრდენი ტაქსის სარითმო სიტყვის „თებერვალის“ გავლენითა და წინამაჟალი „ფერი“-ს ფონეტიკურ-სემანტიკური ასოციაციით გაჩენილი.

თუ შეიძლება, რომ ვილაპარაკოთ „დამტკნარ ფერზე“, მით უფრო შეიძლება ვილაპარაკოთ „დამტკნარ ფერვალზე (ფერვანზე)“ – კაცზე ფერხორციანსა და ლოყებდაქდავაზე.

## 2. გურულიზმები პალაკტიონურად

გემოთ არაერთხელ მითითებული სტატიიდან ამკარად ჩანს, რომ მ. ალაიძეს მეტად ნაყოფიერი შრომა ჩაუტარებია გალაკტიონის შემოქმედებაში ლიალექტიონების გამოსაველენად.

განხილული სამი სიტყვის გარდა მას ახსნილი და განმარტებული აქვს: მარა, კვირობს, კუკური (კოკორი), სოველი, ხაბო, სასმი, შეაფი, კოხი, გადიბეკნება, ლანდური, ნალია, ქართა, ხეადაგი, ნაქურჩალი, ქვიშა, საისლე, ფალაგანდი, იწრო, ხულა, გუმრა, ჭიატი, ნარვალი, ჯილო, დააშორიშორებს, გამთენია, ხონსუ, აწი, ბამბურა, ბანცალი, ბაო, ბელავს, ბირკვილი, ბობრი, ბობორიკა, ბურდი, ბურული, დოი-დოი, კახამბალი, ქალტამი, ქვერი, ქოლა, ჩელტი...

ჩამოთვლილ სიტყვებს ავტორი *იმერიზმებად* თვლის, რაც მთლად სწორი არ არის.

საქმე ის არის, რომ ვანის რაიონი, რომლის შემადგენლობაშიც შედის გალაკტიონის მშობლიური სოფელი ჭყვიში, მართალია, იმერეთს ეკუთვნის, მაგრამ, იმის გამო, რომ ტერიტორიულად გურიის (კერძოდ, ჩოხატაურის) მოსაზღვრეა, ლიალექტა შერევის ტიპური მაგალითია. ამას კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ენათმეცნიერულად, არამედ გალაკტიონის პოეტური ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისითაც.

ამ დებულების სასარგებლოდ თვით ალაიძის მიერ ამოწერილი სიტყვებიც მიუთითებენ, რომლებშიც მრავლად ურევია გურული ლიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმები, მაგრამ იმერული

დიალექტის ზემოიშერული კილოკავისათვის – უცნობი: *შეავი, გადიბეკენება, ლანდური, ფალაენდი, გუმრა, დაშორიშორება, ბამბურა, ბელავს, ბობრი, ბობორიკა, კახამბალი, ქალტამი, ქვერი, საისლე...*

საიდან მოხვდა ეს ლექსიკა გალაკტიონის სოფლის მეტყველებაში (და აქედან გალაკტიონის ლექსებში)? რა თქმა უნდა, გურული დიალექტიდან – ამდენად ისინი გურულიზმებია და არა იმერულიზმები.

იმავე ამონაწერიდან გურულ-იმერულის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს *მარა, კვირობს, სოველი, სასმი, კობი, გამთენია, მაგარი, ხვადი, ნაქურჩალი, ქეიშნა, იწრო, ხულა, აწი, ბანცალი, ბარდი, ბურული, ჩელტი, რადგან* ისინი ერთნაირად გამოიყენებიან ორივე დიალექტში.

მხოლოდ იმერული დიალექტის საკუთრებაა *ხაბო, ქართა, ნარვალი, ჯილო, ხონსუ.*

დიალექტური ლექსიკის ამა თუ იმ ტერიტორიული არეალისადმი მიკუთვნების საქმეში შეცდომები წმინდა ენათმეცნიერულ შრომებშიც ხშირია, რასაც, სამწუხაროდ, ყურადღება არ ექცევა და რასაც ლიტერატურული ნაწარმოების ლექსიკის მნიშვნელობათა დადგენის საქმეშიც უარყოფითი შედეგი მოაქვს.

შეცდომების სათავე, უპირველესად, იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ჩვენ არ გვაქვს ქართული დიალექტების ატლასი, სადაც მუსტად იქნებოდა მითითებული ამა თუ იმ სიტყვის გავრცელების არე. უფრო მეტიც ჩვენ არა გვაქვს არც ერთი ქართული დიალექტის სრული ლექსიკონი, რომელიც დაემყარებოდა ამ დიალექტის ლექსიკის ამომწურავ აღწერას და იმავე დროს გაითვალისწინებდა მემობელ დიალექტებთან ურთიერთობასაც.

სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად სრულიად უკრიტიკოდ ვიმოწმებთ თითქმის ასი წლის წინათ ჩაწერილ მასალებს (ი. ჰყონია, ვ. ბერიძე, გ. შარაშიძე...) იმავე ინდექსით, რომლებიც მათ ამ ავტორებმა

მიაკუთვნეს და ანგარიშს არ ვუწევთ იმ გარემოებას, თუ სადაა ჩაწერილი მათი მასალები და საიდან არიან წარმომოხილთ ავტორები.

სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩამოთვლილ ავტორთაგან შედგენილი ლექსიკონები, უპირველესად, თვით ავტორთა მეცყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკაა ან ლექსიკაა იმ სოფლისა და მისი მახლობელი სოფლებისა, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ ისინი.

ასევე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსიკონებში სრულებით არაა გათვალისწინებული ჩაწერილი სიტყვების წარმომავლობა და მეზობელ დიალექტებთან ურთიერთობა.

ეს განსაკუთრებით ითქმის 1912 წელს პეტერბურგში დაბეჭდილ ვ. ბერიძის შედგენილ ლექსიკონზე, რომელსაც ძალიან ხშირად მიუთითებენ იმერული ლექსიკის დასადასტურებლად, მაშინ როცა ამ ლექსიკონში იმერულად მითითებული სიტყვები აბსოლუტური უმრავლესობა გვხვდება გურულშიც, ხოლო თვით იმერული კილოს ზემოიმერულ კილოკაეში – არა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვემო იმერულში (რომელიც გურიას ესაზღვრება ან რომლის ტერიტორიაზედაც მოქცეულია ისტორიულად გურული მოსახლეობიანი სოფლები) ეს ლექსიკა პირდაპირ გურულიდან მოხვდა.

ეს საკითხი უფრო ენათმეცნიერულია, ვიდრე ლიტერატურათმცოდნეობითი, მაგრამ აქ ამაზე იმიტომ შეეჩერდი, რომ გალაკტიონის ლექსიკაზე მომუშავე ლიტერატურათმცოდნე ვანის რაიონის იმერეთის ტერიტორიაზე არსებობამ შეცდომაში არ შეიყვანოს, რისი კარგი მაგალითიც იყო „იერი“-ს ზემოთ მოგანილი ეტიმოლოგია.

გურულის გაუთვალისწინებლობის გამო მ. ალავეძის ამ განმარტებებშიც შეცდომები გაპარულა.

„საისლე“ საბძელიაო“, განმარტავს ავტორი. „საისლე“ საბძელი ვერ იქნება იმიტომაც, რომ საბძელი „საბძელი“-დანაა



მიღებული და ჰქვია იმ ნაგებობას (სულერთია რისგან იქნება აგებული), რომელიშიაც „ბმე“-ს ინახავენ.

„სა-ისლ-ე“ კი, როგორც წარმოებას გვიჩვენებს, „ისლის“ შესანახად განკუთვნილი ნაგებობაა, თუმცა „საისლეს“ იმ ადგილსაც ეძახიან, სადაც ისლია გაშენებული, ღარგული.

ისლი მრავალწლიანი მცენარეა, მას საგანგებოდ აშენებდნენ და ხმარობდნენ სახლის სახურავად. ირგებოდა ბუდეებად, მწკრივში, ერთმანეთისგან დაახლოებით ნახევარი მეტრის დაშორებით, რადგან საისლეში სხვა არაერთიანი მცენარე არ ხარობდა და ისლის სახურავი კი საკმაოდ დიდხანს ძლებდა, პატრონი ისლს შემოსავლის წყაროდაც იყენებდა – ყილდა. გაყიდვამდე კი, შემოდგომაზე, როცა მცენარე მრდას დაამთავრებდა, ისლს თითქმის მიწის სისწორეზე ნამგლით ჭრიდნენ, ახმობდნენ, კონებად ჰკრავდნენ და საისლეში ინახავდნენ.

რა თქმა უნდა, საისლე ნაგებობაში ბმე-ც შეიძლებოდა შენახულიყო, მაგრამ, როგორც ცნობილია, დასაეღეთ საქართველოს ამ რეგიონში ბმე საერთოდ არა აქვთ იმის გამო, რომ ამ ადგილებში პურეული საერთოდ არ ითესება, უფრო მეტიც, აქაურებმა საერთოდ არ იციან, რას ნიშნავს სიგყვა „ბმე“.

ასევე არაა საკმარისი „შეაეი“ რომ „მეაეად“ ავხსნათ, თუმცა იგი „მეაესაე“ უღრის გამოთქმაში: „ჭინჭალას განარებზე შეაეი გამოვიდაო“, რაც ნიშნავს: „ჭინჭრაქას გაელამ მეაეი გამოიწვია“, „ჭინჭრაქას გაელით მეაეი ჩამოწვა“ – ასე ამბობენ, ჩვეულებრივ, როცა უბრალო რასმე მელმეტად გაბურავენ, გაადიდებენ.

მაგრამ, მეორე მხრით, პატარა ბაუმესაც შეიძლება უთხრან: „ნელა (ე.ი. ფრთხილად) იარე, არ ჩამოგიშეაედეს“, რაც იმას ნიშნავს, რომ „შეაეი“ შეიძლება ერქვას სულ მცირე ოდენობის მიწის გროვას, რომელიც გავლის შემდეგ, ან თავისთავადაც, გემოდან ქვემოთ ჩამოუსურდა.

„შევემე“ გურული, როგორც წესი, ამბობს: „შეავი გამოვიდა“ ან „შეავი გამოსულა“ და ყოველთვის გულისხმობს მიწის გროვას, რომელიც გაელის შემდეგ, ან თავისთავადაც, ზემოდან ქვემოთ ჩამოცურდა.

თოვლის *შეავი*, რაც ასე ხშირია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში და დასავლეთ საქართველოს მაღალ მთიან ადგილებში, განსაკუთრებით, სვანეთში, გურიისა და ქვემო იმერეთისათვის უცნობია, როგორც ბუნებრივი მოვლენა და, ალბათ, ამიტომ უცნობია მისი აღმნიშვნელი სიტყვაც.

მ. ალაიძე ლექსიკონებს შეუყვანია შეცდომაში, როგორც ჩანს, „ბობრი“-ს განმარტების დროსაც.

აღ. ლლონგის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ ამ სიტყვის განმარტებისას მითითებულია, რომ იგი იმერიზმია და ნიშნავს „ქერა“-ს, თანაც აღნიშნულია, რომ განმარტება ეკუთვნის ე. ბერიძეს.

„ბობრი“ მართლაც ნიშნავს ქერას, უფრო სწორად, წითურს, ე.ი. ადამიანს, მაგრამ ეს მნიშვნელობა ნამდვილად არ გამოდგება აღნიშნული კონტექსტისათვის.

„ბობრი“ ამოღებულია ცნობილი ლექსიდან „ჭარხალი“ და რადგან ამ ლექსიდან კიდევ სხვა მაგალითიც უნდა გავაანალიზო, მოვიტან მას მთლიანად.

„ეზოში ყეფდა ბამბურა მურა,  
ეზოში მწვანე ჰყვაოდა ბაო.  
ვაზის ბარდებში ცურავდა სურა,  
შენ ბანცალებდი, ბურულო ცაო.

ბობრი ბელავდა კახამბალს, ქოლას,  
ბირკეილს ბაგები ქარმა მორეკა,  
ცა წამოიწყებს მსხვილ წვიმის სროლას  
და აბლაბუდას კრებს ბობორიკა.

ვეერი, ჯალტამი! მოჩრილი სამხარს,  
ნახირი მოღის საღამო ღროის,  
უცებ მოჰყვება ჭარხალი ხარხარს  
და ქალი ჰკივის იმ „ღო-ღო“-ს.

ეკეთა ქარი ბარდებსა და რგოს,  
უცებ აშფოთდა ისლი, ჩელტები.  
ო, სიყმაწვილე! აწი არასდროს  
იმგეარად აღარ ამეგყველდები“.

ჩაეატაროთ ასეთი ექსპერიმენტი, „ბობრი“-ს ადგილზე ჩავსვათ „ქერა“ და ვნახოთ რა შინაარსის ტაქს მივიღებთ: „ქერა ბელაედა კახამბალს, ეოლას“, რას უნდა ნიშნავდეს ამ ტაქსში „ქერა?“ თუ იგი კაცს გულისხმობს, რატომ უნდა დაეხელა „კახამბალი და ეოლა“? მ. ალავეიძის ახსნით, „ბელაედა“ ხომ „სხეპაედა“-ს ნიშნავს და ბალი რატომ უნდა დაესხეპა იმ ვიდაც ქერას?

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ „ბელაედაც“ დიალექტთა ამ არეალში არ ნიშნავს სხეპას. „ბელეა“ ნიშნავს ტოტებისთვის ბუნებრივი მდგომარეობის შეცვლას, ზოგის დაბლა ჩამოწვეით, ზოგის გადაღუნვით, რასაც ხილის ძირს ჩამოყრა მოჰყვება ხოლმე.

ხოლო, თუ „ბობრის“ ადგილზე ჩავსევამთ *კვერნას*, რასაც გურულში, სწორედ თავისი ფერის გამო, „ბობრსაც“ ეძახიან, ყველაფერი კალაპოტში ჩადგება.

უჭვეელია, „ბობრი“ მხოლოდ ამ მნიშვნელობით აქვს ნახმარი გალაკიონს.

არც „კახამბალია“ სწორად განმარტებული: „თეთრი ბლის ჯიშიაო“ – წერს ავტორი: სინამდელილეში „კახამბალი“ სწორედ თეთრი ბალი არაა. იგი, ალბათ, ერთადერთი ჯიშია, რომელიც

თითქმის მთლად წითელია. უფრო სწორად, მოწითალო ქარის ფერია.

– მკვლევარს გამორჩენია „სურა-სუროს“ გალაკტიონური ვარიანტი (მოიგონეთ „ზარის“ მაგიერ „ზარა“... „ზარაჲდა ზარა“).

ალბათ გურულიზმია გალაკტიონის „პროზაში“ ნახმარი გამოთქმა: „ამოიღეს ჩემი ნელი“ („ოხ, ეს რიცხვები! მათ ამოიღეს ჩემი ნელი ბავშვობიდანვე“).

„ამოიღეს ნელი“ ნიშნავს: „სული გამიმწარეს“, „დამტანჯეს“, „გამაწვალეს“, თუმცა ილიომის წარმომავლობა და, განსაკუთრებით, სიგყვა „ნელის“ აზრი გაუგებარია.

გალაკტიონი ძალიან ხშირად ხმარობს „ლეკ“ ძირისგან ნაწარმოებ მზნებს: „შელეკია“, „დაელეკა“, – „ვარსკვლავების თოვლი ცას შელეკია“ („იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვაილებს“); „ელვა-ელვას გაეკრა, დაელეკა ცას ღვარი“ („ეფემერა“).

უნდა ვიფიქროთ, რომ „ლეკ“ და „ლეკ“ ერთი და იმავე მორფემის ფონეტიკური ვარიანტები იყო თავდაპირველად. შემდეგ კი მოხდა მათი ცალ-ცალკე სემანტიკური დატვირთვა და მივიღეთ „წალეკილი“ და „დალეკილი“ – განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვები. იქნებ პირუკუც იყო – თავიდანვე ორ სხვადასხვა ძირთან გვექონდა საქმე და მერე ფონეტიკური (და სემანტიკური) მსგავსების ნიადაგზე მოხდა მათი ერთ სიტყვად გააზრება. ახლა ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს; საინტერესო სხვა არის: „ილეკავს“, „შელეკია“ ფორმები სალიტერატურო ქართულის „წა-ლეკ-ა“, „გადა-ლეკ-ა“ ფორმებიდან აღებული ძირებია თუ არა?

ეფიქრობ, რომ არა.

„წალეკა“, „გადალეკა“, ჩვეულებრივ, გულისხმობს იმას, რაც წაღებულია, გადარეცხილია, ადგილზე აღარ არის. გალაკტიონთან კი იგულისხმება, რომ ის, რაც „შელეკილია“, „დაელეკა“, შერჩენილია, ადგილზეა, თანაც იგი ზედაპირზეა, გარედანაა, ჩანს.

იქნებ ეს ფორმები „ლეკი“-დან მოდის და გალაკტიონმა, სიყვე-  
ბთან მისთვის ჩვეული თავისუფალი მოპყრობით, საჭიროებისამებრ  
„ლეკ“-იდან „ლეკ“-გააკეთა და ახალი მზნური ფორმების საწარ-  
მოებლად გამოიყენა?

ასეთ დაშვებას ხელს არაფერი შეუშლიდა, „ლეკ“-ი რომ იმასვე  
ნიშნავდეს, რასაც გალაკტიონის „ლეკ“-ი ან გურულში „ლეკი“-ს  
გვერდით სხვა მნიშვნელობით „ლეკი“ არ გვექნდეს, „ლეკი“ ქგლ-  
ში ახსნილია, როგორც „წყლის, ტბის, გუბის ფსკერზე ჩაძირული  
სილა, ლამი“; „ლეკი“, რა თქმა უნდა, ქგლ-ში არაა.

„ლეკი“ გურულშიც დაახლოებით იმასვე ნიშნავს, რასაც სალი-  
გერატურო ქართულში: „ლეკია“ და „დალეკილია“ ჭურის ფსკერ-  
ზე ღვინის დუღილის შემდეგ ნარჩენი ნივთიერება (რასაც ისინი  
თხლესაც ეძახიან).

სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება „ლეკი“. იგი მდინარის მიერ  
მოგანილი შლამია, ლამია, მაგრამ არა წყლის ფსკერზე არსებული,  
არამედ მიწის ზემოთ, ზედაპირზე დარჩენილი.

„ლეკი“ მეტად გავრცელებული სიყვეა გურიის იმ სოფლებში,  
რომლებიც მდინარის პირას მდებარეობენ (განსაკუთრებით, დაბლობ  
რაიონში), სადაც „ლეკი“ ორგანული სასუქის მაგივრობას ეწევა და  
მიწის განოყიერების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს.

გურიაში ცნობილია მიკროტომონიმი *ლეკიანი*. იგი სუფის  
შესართავში მდებარეობს და განთქმულია ნოყიერი საყანე მიწებით  
(იგულისხმება სიმინდის ყანები); სწორედ ეს ტომონიმი ნახსენები  
ცნობილ სიმღერაში: „*ლეკიანში მუშაობდნენ სამი ძმანი  
ყანასა*“.

აი, ეს „ლეკი“ აქვს მხედველობაში გალაკტიონს, „ლეკი“, რომე-  
ლიც აღიღებული წყლის უკან დახვეისა და კალაპოტში დაბრუნების  
შემდეგ მიწის ზედაპირს გადაეფარება. ამიტომაც შესაძლებელია  
გამოთქმა: „*ვარსკვლავები ცას მელეკია*“, „...*ელვა დალეკა ცას*“.

მინდა აღვნიშნო გურული ღიალექტისათვის ერთადერთი ფორმის „ჩალანდრის“ შესახებ.

„ჩალანდარი“ ის კაცია, რომელიც საპალნიან (გურულად – საპანიან) ცხენს მიჰყვება, ხშირად ქირაზედაც დადის. მეტწილად სწორედ ჩალანდრის ცხენებით მიდიოდნენ დამსვენებლები ჯალაბითა და საოჯახო მოწყობილობით ბახმაროზე საავეგომობილო გზის გაყვანამდე (რასაკვირველია, გარკვეული გასამრჯელოს ფასად). ჩალანდრობა ფულის შოვნის ერთ-ერთი, მოგჯერ ერთადერთი, წყარო იყო გლეხისათვის, განსაკუთრებით მთაში მცხოვრებთათვის.

„ჩალანდარი“ გურულიდან შესული ჩანს ქვემო იმერულშიც და აქედან გალაკტიონის პოეზიაშიც („სალამოს ხანად ჩალანდრის ცხენი მომაგონებდა გორებს შორეულს“ – ლექსში „მაგონდება ჩვენი ჭალა“).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნ. ტაბიძე თავისი ახლახან დაბეჭდილ წიგნში „გალაკტიონი“, არც „ლექ“-ს ხმარობს და არც „ჩალანდარს“ (იგი შეცვლილი აქვს „ჩალვარდით“ და „შლამით“), თუმცა გალაკტიონის დროინდელი ჭყვიშის ცხოვრების აღწერას ცდილობს და რამდენიმეჯერ ახსენებს „ხაბოს“-ურწყ იმერიზმს.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ გალაკტიონი მოგ გურულიზმს ჭყვიშის მეტყველების გვერდის ავლით ფლობდა, ანდა იმას, რომ ახალმა თაობამ აღარ იცის გალაკტიონის დროინდელი სოფლის კილო? – იქნებ ასეა, დანამდვილებით რაიმეს თქმა ძნელია.

გალაკტიონის „თეთრ პელიკანში“ ასეთი სტროფია:

„სული სტირის და როს ნანას  
კოჭლო საპაკ, კპირდები  
დაანებე ფიროსმანას  
სევდიანი ფიქრები“.

უეჭველია „ფიროსმანა“ გურული სპირიტუალ-ს ანალოგიითაა გაკეთებული, თუმცა გალაკტიონს, როგორც ადრეც ვთქვით, თუ „სურო“, „სურა“-დ შეეძლო ექცია ხოლო „ედგარ პო“ „ედგარ პო“-დ, რასაკვირველია, „ფიროსმანი“-ს „ფიროსმანა“-დ ქცევა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ საფიქრებელია, რომ მაინც ბავშვობის მოგონებებმა ამოაგვივიწყეს უცნაური ფორმა.

მხოლოდ გურულში და იქიდან ქვემო იმერულში გვხვდება „საღადრია“ („ორი ძველი საღადრია“ – ლექსში „ფრაგმენტებიდან: ცეცხლი ფიქრიანია“) – პატარა ნიჩაბი ღადრის, ნაღვერდლის (ნაკვერცხლები და ნაცარი ერთად) ასაღებად.

ასევე გურულიდან ჩანს შესული იმერულში „ღადრის ჭადი“, რაც პირდაპირ ღადარში, უკეცოდ გამომსხვარი მჭადია, რომელსაც გურიაში „კვერიც“ ჰქვია.

მხოლოდ გურიაში გაიგონებთ „სრიალის“ მაგიერ „სლიანს“ და ამიგომაც, ვფიქრობ, რომ გალაკტიონთან ხმარებული „გველის სლიანიც“ გურულიზმია უპირველესად.

ამ გიჟის სიგყვებად მეხატება მე გალაკტიონური „ალუჩის ბუში“ (მომთავო მოტკობ გყვამალი), „იალონი“ (ალიონი, დილა), „გაყეინდი“ (გაყეინე), „აგიარ“ (აგიელი), „კრილი“ (კილი, ჭია, რომელიც შედარებით რბილი მერქნის მქონე ხმელი ხის მასალას უჩნდება. „სახლს აწვალედა კრილი“).

მე ორიოდე მაგალითი მოვიგანე იმ უზარმაზარი მასალიდან, რომელიც ხელთ მქონდა, მაგრამ, ვგონებ, ისეც საკმარისი, იმის დასამტკიცებლად, რომ, როცა დღის წესრიგში გალაკტიონის ლექსიკონის შედგენის საქმე დადგება, რაც მეტად საშური და გადაუღებელია, იმერული დიალექტის ფორმებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს გურული ლექსიკა.

## VI სიტყვის კულტურის საკითხები

### 1. ენობრივი შეგრძნება და სალიტერატურო ნორმა

ერთი შეხედვით, თვით საკითხის ასე დასმაა გაუმართლებელი. განა შეიძლება, ნორმად მიჩნეული ფორმა ენობრივ შეგრძნებას არ ეყრდნობოდეს?!

ენობრივი შეგრძნება ხომ ისაა, რისკენაც ჩვენდა უნებურად გვიბიძგებს რაღაც „უხილავი ძალა“, რომელიც გვაიძულებს, რამდენიმე შესაძლებელი ფორმიდან სწორედ „საჭირო“ ამოვირჩიოთ. ენობრივი შეგრძნება ხომ ისაა, რომლის ძალითაც ვამბობთ: „სუფთა წყალი“, „წმინდა წყალი“, „ანკარა წყალი“ და მათ პარალელურად: „სუფთა პირსახოცი“, „წმინდა პირსახოცი...“ მაგრამ აღარ ვამბობთ – „ანკარა პირსახოცი“.

ერთი სიტყვით, ენობრივი შეგრძნება ის ძალაა, რომელიც ყოველ საჭირო შემთხვევაში ჩვენს ცნობიერებაში ჩვენდა უნებურად ამოგვიტყვევებს ენის სიღრმეში ჩაფლულ, საუკუნეების ტრადიციებით შემუშავებულ ენობრივ ფორმას.



საოცარია, მაგრამ ფაქტია: სამეცყველო ენას, ჩვეულებრივ მშობლიურს, ღრმად დაუფლებული პირი ჩქარა და მეტად იოლად ამჩნევს წინადადებაში ხმარებული ამა თუ იმ სიტყვის უადგილობას და ასევე ჩქარა და იოლად შეარჩევს ხოლმე „უკეთესს“, თუმცა რომ პკითხოთ, საიდან იცის ეს და საკუთარი აზრის დასაბუთება მოსთხოვოთ, იქნებ, ვერაფერი გიპასუხოთ.

მან იცის, რომ სწორედ ასე უნდა! – ამას კარნახობს ენობრივი შეგრძნება.

ამიტომ, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო უპრიანია, სალიბერალურ ენის ნორმების დადგენისას ვეყრდნობოდეთ ამ ენაზე მოლაპარაკეთა უმეტესობის ენობრივ შეგრძნებას და არა ავტორიტეტს ამა თუ იმ მწერლისა ან მეცნიერისა, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე თარგმანს ან კალკს ეხება.

ღიას, უნდა ვეყრდნობოდეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის ასე არაა.

1975 წელს (მეორე ნომერში) ჟურნალმა „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ გამოაქვეყნა თ. ღვინაძის წერილი. „მაგალითი მოჰყავს თუ მაგალითი მოაქვს? მოყვანილი მაგალითი თუ მოგანილი მაგალითი?“

ავტორი იმოწმებს ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებში ნახმარ ერთადერთ ფორმებს: „მოყვანილი მაგალითები“, „მოყვანილი ნაწყვეტები“, „მოყვანილი ლექსი“, „მოყვანილი სიტყვები“, „მოყვანილ წინადადებებში“... და წერს: „იგივე მოსწავლეები არც ისე იშვიათად ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნაწერებში კითხულობენ: „ჩვენ მოვიტანთ რამდენიმე ტაქს“ (მნათობი, 1973, №5), „ზემოთ მოგანილი წერილი...“ (ლიტ. საქ. 1973, №25), „მას მოაქვს 9 მზნა ჩვენთვის საინტერესო ფორმით“ (მაცნე, 2, 1973, გვ.142), „ახლა მოვიტანთ ჩვენს მასალას“ (იქვე), „ამის დასაბუთებას ჩვენ შევეცდებით სამი წიგნიდან მოგანილი მაგალითებით“ (კრიტიკა, I, გვ.65). „ამას ქვემოთ

მოტანილი მაგალითები ნათელყოფენ“ (გვ.68), „ერთი მაგალითი მოტანილი აქვს... ანტიოქ სტრაგეგის თხზულებიდან“ (კრიტიკა, I, გვ.117), „მოტანილ მაგალითებს ვიკმარებთ“ (იქვე, გვ.116).

„როგორც ვიცი, განმარტავს თ. ღვინაძე, მოჰყავს სულიერ საგანზე ითქმის, მოაქვს კი – უსულოზე. შესაბამისად: მოყვანილი (მოიყვანს ზმნის მიმღეობა) სულიერი საგნის აღმნიშვნელ სიტყვებთან იხმარება, ხოლო მოტანილი, (მოიტანს ზმნის მიმღეობა) – უსულო საგნის აღმნიშვნელებთან.

ამრიგად, ერთი მხრით, ვამბობთ: მოჰყავს ბავშვი, მოჰყავს ძროხა... მოყვანილი ბავშვი, ძროხა... ხოლო, მეორე მხრით, – მოაქვს შეშა, წყალი... მოტანილი შეშა, წყალი...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეცნიერო-პუბლიცისტურ ლიტერატურაში უკანასკნელ დროს ძალიან გახშირდა პარალელური ხმარება ისეთი გამოთქმებისა, როგორცაა: მაგალითი (ციფრი, ფაქტი, ციგატა...) მოაქვს, მოტანილი“.

თ. ღვინაძე განაგრძობს: „ცხადია, რომ ამ სიტყვებით (მაგალითი, ფაქტი) გამოხატული ცნებების არც მოყვანა შეიძლება და არც მოტანა.

მაშასადამე, მოყვანა (მოყვანილი), მოტანა (მოტანილი) სიტყვების გადაგანით მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე.

ასეთ შემთხვევაში, საკითხი იმის შესახებ, თუ პარალელური ფორმებიდან რომელი იხმარებოდეს, წყდება იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო გავრცელებული, ენაში და მკვიდრებული, მეტი ტრადიციის მქონე (გვ.59-60 – ხაზი ყველგან ავტორისა).

„როგორაა ამ მხრივ საქმის ვითარება?“ – კითხულობს ავტორი და პასუხობს: „მხოლოდ მოჰყავს, მოყვანილი (მაგალითი...) გვხვდება მე-19 საუკუნის კლასიკოსთა და ჩვენი დროის გამოჩენილ მწერალთა და მეცნიერთა ენაში“ (გვ.60).

როგორც თ. ლვინაძის მიერ ამოკრებილი მასალებიდან ჩანს, მხოლოდ *მოქყავს* და *მოყვანილი* ფორმებია ნახმარი სიტყვებთან: *მაგალითი, ამრი, ცხოვრებიდან ამოგლეჯილი სურათი, საბუთი, ფრამა, ცნობა, ამონაწერები, მმნა, დებულება, არსებითი სახელი, ფორმა, ნიმუში, სტრიქონი, ციგატა, ფაქტი* – ილიას, აკაკის, ვაჟას, ი. გოგებაშვილის, ივ. ჯავახიშვილის, აკ. შანიძის, გ. ახვლედიანის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, კონს. გამსახურდიას, გ. ლეონიძისა და სხვათა ენაში.

და, რაღა თქმა უნდა, ამ ავტორების დამოწმების შემდეგ თ. ლვინაძეს აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ დაესკენა: „წარმოდგენილი მაგალითები ნათელყოფენ, რომ გრადიციულად დამკვიდრებულია სალიბერატორო ენაში გაერყელებული *მაგალითის* (ფაქტის, ციგატის...) *მოყვანა* და არა *მოგანა*“.

ქართულ ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, 1968წ.) მიგვითითებს: „*მაგალითი მოვიყვანოთ* და არა *მოვიგანოთ*“.

რუსულ-ქართულ ლექსიკონში (აკად. გამოც.) შესაბამისი შესიტყვება ქართულად თარგმნილია ასე: *მაგალითის მოყვანა*. ყველაფერი ზემოთ თქმული გვავალებს, დავიცვათ დამკვიდრებული გამოთქმების ხმარება და არ ავაჭრელოთ ენა ნაირ-ნაირი ფორმებით“ (გვ. 60, ხაზი ავტორისა).

მართლაცდა, თუ საკითხს წმინდა იურიდიული თვალსაზრისით მივედგებით, თ. ლვინაძე სწორია. თავი რომ დავანებოთ ზემოთ ჩამოთვლილ ბუმბერაზებს (რომელთაგან თუნდაც ერთის ამრიც ანგარიშგასაწევი იქნებოდა), ავტორს დამოწმებული აქვს „*ორთოგრაფიული ლექსიკონი*“, რომელსაც კანონის ძალა აქვს და, იგულისხმება, ჩვენც ვალდებულნი ვართ, სიტყვაშეუბრუნებლად დავემორჩილოთ „*გრადიციულად დამკვიდრებულ, სალიბერატორო ენაში გაერყელებულ*“ „*მაგალითის მოყვანას*“.

მაგრამ, მეორე მხრით, არ შეიძლება უყურადღებოდ დაგვივით თვით თ. ლენინაძის მიერ მოტანილი მაგალითები „მნათობის“, „კრიტიკის“, „მაცნეს“ და „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან, რადგან სრულიად ნათელია, რომ ამ ჟურნალებსა და გამოცემებში გამოქვეყნებული წერილების ავტორები ქართული სალიტერატურო ენის ცოდნის თვალსაზრისით საკმაოდ კომპეტენტური არიან, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ დაბეჭდილ წერილებს ეიზა მიეყვანათ ამ ორგანოების რედაქციებში მომუშავე საკმაოდ დიდი გამოცდილებისა და ენობრივი გამოცდების მქონე ლიტერატორ-ფილოლოგთა მიერ.

ერთი სიჩყვით, თუ საქმის ფაქტური ვითარებიდან ამოვალთ, თავად წერილის ავტორის მაგალითებით რამდენიმე, ათეულ სწავლულფილოლოგს ენობრივი შეგრძნება ჰკარანხობს, დაწეროს არა „მოყვანა“ მაგალითისა (ფაქტის, ციტატის...), არამედ „მოტანა“.

ჩვენ კი, ჩვენის მხრით, დაუშვებთ: გამომცემლობის რედაქტორად ოთხი წლის მუშაობის გამოცდილებამ და საერთოდ ბეჭდურ პროდუქციაზე დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, განსაკუთრებით დამწერლობის ენაში, „მოყვანა, მოყვანილის“ გვერდით „მოტანა, მოტანილი“ თითქმის ერთნაირი უფლებებით სარგებლობს.

და ეს ხდება მაშინ, როცა კანონი „მოყვანა, მოყვანილის“ მხარეზეა.

ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ ასეთ ექსტრაორდინალურ შემთხვევაში უნდა თქვას თავისი საბოლოო სიტყვა ენათმეცნიერმა, რადგან იგი იმიტომაც ენათმეცნიერი, რომ ყველაზე უკეთ და ადრე იცნოს ენის სიღრმეში ჩამარხული უხილავი ძალის სათავე და სიციხისუნარიანობა. ჩვენს შემთხვევაში მან უნდა გაარკვიოს ამ გამოთქმის სათავესა და ქართულ ფრაზეოლოგიკაში მორის ადგილის საკითხი.

როგორც ზემოთაუ ენახეთ, თ. ლენინაძე, „მოყვანა, მოყვანილი“-ს სასარგებლოდ რუსულ-ქართულ ლექსიკონს მიმართა და

გუაუწყა, რომ „პირვესტი პრიმერ“ „მაგალითის მოყვანად“ არის თარგმნილიო.

ღიახ, ეს სრულიად სწორია და ძალღის თავიე სწორედ აქ უნდა იყოს დამარხული.

ავტორს საკითხის განხილვა სწორედ აქედან უნდა დაეწყო და ყურადღება მიექცია იმ ფაქტზე, რომ „მაგალითის მოყვანა“ რუსულიდან კალკირებული ფორმაა, რომღის პირველმემომტანმა, როგორც ჩანს, ვერ გაითვალისწინა ქართული ენის ბუნება, პრობლემის გადაწყვეტის სწორ გმას უთუოდ მიაგნებდა.

ჩვენ მუსტად არ ვიციო, როღის შემოვიდა ქართულში ეს გამოთქმა, მაგრამ საგულეებელია იგი მართლაც მეცნიერულ-პუბლიცისტური ხასიათის წერილებში იქნა პირველად გამოყენებული და უპირველესად იმაო (ან იმის) მიერ, ვინც რუსული კარგად იყოღა.

მას კარგად ესმოღა, რომ „პრივიოლ“ ქართულად „მოყვანა“ იქნებოღა „პრინიოს“ – „მოტან“-ის საპირისპიროდ. და ისე, რომ ქართული ენის სულს არ ჩასწეღა, „პრივიოლ პრიმერ“ თარგმნა „მაგალითის მოყვანად“. შემდეგ კი, რაკი ერთხელ გამოყენებული იქნა ასეთი გამოთქმა, თუმცა ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგოდ, მსგავს სიტუაციაში ამავე ფორმით გაიმეორეს... და მცღარი ფორმა ტრადიციად იქცა, ბოლოს კი კანონის ძალა შეიღინა.

არა გვგონია, ბევრი მტკიცება სჭირღებოღეს იმას, რომ ერთი ენიღან მეორეზე თარგმნისას უპირველესად უნდა გათვალისწინებულ იქნეს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თარგმნის სირთულე და ამ სირთუღის დასაძლევეად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ენის ბუნებრივ გამოთქმათა ღრმად ცოღნას, რომელზეღაც ითარგმნება თუ კალკირება ხღება.

უთუოდ კარგად ერკვეოღა ქართული ენის სუღის ხვეულებში ის, ვინც რუსული „*პრედსეღატელ*“ „*თავმჯღომარედ*“ თარგმნა, რადგან ჩვენში პირველ აღგიღზე ჯღომა, უფროსობა, ხელმძღვანე

ლობა „წინჯდომას“ კი არ ნიშნავს, არამედ თავში ჯდომას „თავმჯდომარეს“.

ასევე ქართული ენის ბუნების მიმხედვარეს უნდა დაენახა, რომ მაგალითის, ციტატის, ფაქტისა და სხვა მსგავს სიტყვებთან შეწყვილებულად ქართული ენა „მოგანა“, „მიგანა“ გმნას ხმარობდა და არა „მოყვანა“, „მიყვანას“. ამიტომაც იყო, რომ ქართულში ოდიდანვე გვქონდა და გვაქვს: „აბბის მოგანა, მიგანა“, „სიტყვის მოგანა, მიგანა“... ენის მოგანა, მიგანა“ – აქედან „ენატანია“ და „ენატანობა“ (იხ. ქვლ).

ამკარაა, ენაში ასეთი გამოთქმების არსებობა ჩვენი მთარგმნელის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, მაგრამ ესეც ცოტაა, „მოყვანა“, „მოგანა“ ფორმების შეპირისპირებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ „მოყვანამ“ ვერ გაიკაფა გზა ქართული ენის „სიღრმეში“ და იქ მაინც „მოგანა“ ბატონობს.

როგორც ცნობილია, „მოჰყავს“ (აქედან „მოყვანა“, „მოყვანილი“) და „მოაქვს“ („მოგანა“, „მოგანილი“) გმნების ამოსავლად „ჰყავს“, „აქვს“ აწმყოს ფორმები ითვლება.

ეს გმნები ერთმანეთს უპირისპირდებიან სულიერისა და უსულოს (ობიექტების) სუბიექტთან თანამყოფობის, ზოგჯერ კუთვნილების სემანტიკით. სულიერი საგანი მოითხოვს „ჰყავს“ ფორმას, უსულო – „აქვს“.

ამიტომ უპრიანი იქნებოდა, სასინჯად სწორედ ამ ამოსავალი, საწყისი ფორმებისათვის მიგვემართა და გაგვერკვია, რომელი მათგანი შეიწყვილებდა ჩვენთვის საინტერესო სიტყვებს: მაგალითს, ციფრს, ციტატას, აზრს, წინადადებას... როგორ ვამბობთ და ვწერთ: ციტატა, მაგალითი, აზრი, წინადადება... „მაქვს“ თუ „მყავს“? რა თქმა უნდა, „მაქვს“ და როგორც სხვა უსულო საგნებთან დაწყვილების შემთხვევაში, ქართულმა ენამ ამ მხრივ გამონაკლისი არ იცის.

ახლა გმნისწინიანი ფორმები გავსინჯოთ. „ჰყავს“ გმნამ აწმყო-მივე შეიძლება აწარმოოს შემდეგი ფორმები: „მი-ჰყავს, მო-ჰყავს, ა-

პყავს, ჩა-ყავს, და-პყავს, გადა-პყავს, შე-პყავს, გა-პყავს, გამო-პყავს, ამო-პყავს, ჩამო-პყავს, გადმო-პყავს, შემო-პყავს. მსგავსადვე აწარმოებს ფორმებს „აქვს“ ზმნა: მი-აქვს, მო-აქვს, ა-აქვს, ჩა-აქვს, და-აქვს, გადა-აქვს, შე-აქვს, გა-აქვს, გამო-აქვს, ამო-აქვს, ჩამო-აქვს, გადმო-აქვს, შემო-აქვს, გადმო-ქვს.

საკმარისია მოგანილ ზმნისწინიან ფორმებს შეუწყვილოთ სიტყვები: მაგალითი, ფაქტი, ციტატა, ამრი... და აღმოჩნდება, რომ ისინი გამონაკლისის გარეშე შეუერთდებიან ყველა ზმნისწინიან ფორმას, რომლებიც „აქვს“ ზმნიდან არიან ნაწარმოებნი.

რაც შეეხება „პყავს“ ზმნიდან ნაწარმოებ ფორმებს, აქ მხოლოდ ერთადერთი ფორმა – „მო-პყავს“ შეიგუებს მათ (ციტატა, მაგალითი, ფაქტი, ამრი „მოპყავს“), დანარჩენი ფორმები ამ სიტყვებთან წყვილებში ვერ შედიან; სრულიად აკრძალულია: ციტატა, ფაქტი, მაგალითი, ამრი... ა-ყავს, შე-პყავს, გადა-პყავს... და მისთ.

ვლასპარაკობთ და ეწერთ: „ციტატა მაღლა ააქვს“, „მეცნიერის მოსაზრება სქოლიოში ჩააქვს“, „ეს ციფრები აქეთ-იქეთ რას დაგაქვს?“ „მასალა ერთი გვერდიდან მეორეზე გადააქვს“, „წინადადება შეაქვს, შემოაქვს“, „ამრი გამოაქვს“ და ა.შ.

როგორც ვხედავთ, მაგალითი, ფაქტი, ციტატა, ამრი... სულიერ საგანთა რიგში გაიაზრება მხოლოდ მო- ზმნისწინიან ფორმასთან, ყველა სხვა შემთხვევაში იგი უსულოთა რიგშია და „აქვს“ ზმნის შეწყვილეობას მოითხოვს.

ასეთია მდგომარეობა აწმყოს წრის სხვა მწკრივებშიც.

ახლა გავსინჯოთ, რა სურათს გვიჩვენებენ მომავლის (მყოფადის) წრისა და მეორე და მესამე სერიის მწკრივები.

მომავლის მწკრივებში სულიერისთვის განკუთვნილი „პყავს“ ზმნას „ეყოლება“ ფორმა ენაცვლება და ამ ფორმასთან, ისე როგორც აწმყოში, ციტატა, მაგალითი, ამრი, ფაქტი აკრძალულია. უნდა ვიხმაროთ „აქვს“ ზმნის მომავლის ფორმა „ექნება“ („ციტატა, მაგალითი, ფაქტი, ამრი... ექნება“).

რაც შეეხება გზისწინიან ფორმებს, „ყავ“ ფუძეს „ყვან“ ენაცვლება და ვლებულობთ: ა-იყვანს, შე-იყვანს, მო-იყვანს, გადა-იყვანს, შემო-იყვანს და მისთ.

აქაც ვითარება აწმყოს მსგავსია, აკრძალულია: „ფაქტს, ციგატას, მაგალითს, აზრს... გადმოიყვანს, ამოიყვანს, ჩამოიყვანს... და მისთანანი. ეს სიტყვები შეუწყვილებიან მხოლოდ და მხოლოდ „მოი-ყვანს“ ფორმას.

ასევე მხოლოდ მო- გზისწინიანი ფორმები შედიან სინტაგმაში ჩვენთვის ცნობილი სიტყვების მეორე და მესამე სერიის მწკრივებშიც. სხვა შემთხვევაში ისინი შეუწყვილდებიან „აქვს“ გზის მონაცვლე „ღებ“ ან „ტან“ ფუძიან გზებს: „ციგატას... წაიღებს“, „ციგატას... ჩამოიტანს“, „ციგატა... გადაიტანს“, „ციგატა... გამოუტანს“, ე.ი. ყველა შემთხვევაში ციგატა, ფაქტი... გაიაზრებიან, როგორც უსულო საგნები და წყვილდებიან უსულოთათვის განკუთვნილ „აქვს“ გზის მონაცვლე ფუძეებთან.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ამ წესს გამონაკლისი არა აქვს.

ახლა შევაჯამოთ ნათქვამი: ქართულ ენაში სულიერი და უსულო საგნების თანამყოფობა, ქონება-ყოლასთან სხვადასხვა გზა იხმარება: სულიერისათვის განკუთვნილია „ჰყავს“ და მისგან ნაწარმოები ფორმები.

ამ კანონმა გამონაკლისი არ იყის.

არცთუ დიდი ხნის წინათ ქართულში რუსულიდან თარგმნეს „პრივიოლ პრიმერ“ და „პრიმერ“ – მაგალითი, რუსულის გავლენით სულიერ საგანთა რიგში მოაქციეს, რის გამოც მივიღეთ „მაგალითის მოყვანა“.

რადგან ქართული ენის ბუნება ასეთ რამეს ვერ ითმენდა, „მაგალითსა, ციგატასა...“ და მსგავს სიტყვებთან მო-გზისწინიანი ფორმის გარდა, ყველა შემთხვევაში ბუნებრივი (უსულოსთან გათანასწორებული) ფორმები გამოიყენა და ასეთი, აბსოლუტურად ერთიანი გარემოს გამო, ქართულად მოლაპარაკეთა დიდი ნაწილი, ენობრივი



შეგრძნების კარნახით, აღადგენს ხოლმე ბუნებრივ ფორმას და „მაგალითის, ციგატის... მოყვანის“ პარალელურად და მის საპირისპიროდ „მაგალითის, ციგატის... მოგანას“ ხმარობს.

ამიგომ, ჩვენი აზრით, ერთხელ დაშვებული შეცდომა უნდა გასწორდეს და სალიბერატორო ენაში ტრადიციის კარნახით დაკანონებული ფორმის „მოყვანის“ მაგიერ, ქართველი კაცის ენობრივ შეგრძნებაზე დაყრდნობით, „მოგანა“ და მსგავსი ფორმები უნდა აღდგეს.

რადგან საკითხი „ჰყავს“, „აქვს“ გზნებს შეეხო, უნდა გავიხსენოთ სალიბერატორო ენაში არასწორად დაკანონებული კიდევ ერთი გამოთქმა. მხედველობაში მაქვს „ავტომანქანა ჰყავს“.

როგორც ცნობილია, „მანქანა“ და მისი მონაწილეობით შექმნილი სინტაგმები: „სარეცხი მანქანა“, „საკერავი მანქანა“, „საბუკლი მანქანა“... მოითხოვენ „აქვს“ გზნას. „ავტომანქანასთან“ კი რაგომდაც დააკანონეს „ჰყავს“.

როცა კითხულობთ: რაგომ, რა საფუძველზე? – გასახუბოთ: „– ხომ არ შეიძლება ვთქვათ: „ავტომანქანა მიმაქვს, მომაქვს, შემაქვს...?“, (თუმცა კახურში ასეთი ფორმებიც დასაშვებია), რადგან „ავტომანქანა მიგვყავს, მოგვყავს, შეგვყავს“, უნდა ვიხმაროთ „მყავს“ და არა „მაქვსო“.

ერთი შეხედვით, ასეთი პასუხი სავსებით ლოგიკურია, რადგან აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში, უფრო სწორად, ყველა გზნისწინიან ფორმებთან, ავტომანქანა სულიერთა რიგშია, ამიგომ ის ერთადერთი შემთხვევატ მათ გვერდით დაეაყენოთ და ვიხმაროთ „ქონების“ მაგიერ „ყოლა“.

ოღონდ თუ ამ ლოგიკას გავდევდით, სწორედ „მაგალითის, ციგატის... მოგანა“ უნდა გვეხმარა და არა „მოყვანა“, რადგან, როგორც ზემოთ ვნახეთ, ენა „მაგალითის, ციგატის“ და მსგავს სიტყვებს უსულო საგანთა რიგში აქცეებს.

ჩვენი ამრით კი, როცა ენობრივ ფენომენზეა მსჯელობა, უნდა ვისარგებლოთ ერთადერთი ლოგიკით – ენობრივი შეგრძნების ლოგიკით, რადგან ენა არც მათემატიკის საგანს ჰგავს გაერთმნიშვნელოვნებისაკენ რომ ისწრაფოდეს და არც ფიზიკისას, ბუნების მკაცრ კანონებს ეყრდნობოდეს. „ენობრივი ლოგიკა“ მოგჯერ და, ჩვენ ვიგყოფით, მეტწილად არც წმინდა გონებიდან მომდინარე პოსტულატებს ეყრდნობა, ამიტომაც შესაძლებელია თქვენ, მეათე სართულზე მცხოვრებმა, მემობელს „სულ კუდით ქვა ასროლინოთ“, თუმცა მას არც კუდი აქვს და იქ ქვასაც ვერ იშოვით.

არაეითარი ლოგიკა და დაწერილი კანონი, არამედ შინაგანი უხილავი ძალა – აი, რა განსაზღვრავს ენობრივი შემოქმედების მიმართულებას, რომლის საიდუმლოებაში ჩასაწედლომაც განგება ადამიანს ენობრივი შეგრძნება მისცა.

როცა სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენას ცდილობს, ენათმეცნიერების ვალია, ანგარიში გაუწიოს მოლაპარაკეთა, ენის მაგარებელთა, ენობრივ შეგრძნებას.

## 2. ისევ „ენობრივი შეზღვევისა“ და კალკის შესახებ

ჩემი ზემოთმოტანილი წერილის გამოქვეყნების შემდეგ დაიბეჭდა შ. აფრილონიძის წერილი: „ლოგიკური ანომალიისათვის“ ენაში ანუ რატომ მოიყვანა კაცმა გული და რატომ აიგანა კაცი წერამ“ (ქურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986წ. №1). ავტორი ჩემს სახელსა და გვარზე მიუთითებლად ეკამათება იმ დებულებებს, რაც წამოვყენე და, ჩემი აზრით, ზედმეტად ბევრ ადგილს უთმობს იმ ანბანური ჭეშმარიტების მტკიცებას, რომ ფრაზეოლოგიური შესიტყვება განსხვავდება თავისუფალი შესიტყვებისაგან და რომ პირველ შემთხვევაში ენა „ლოგიკურ ანომალიებს“ უშეებს, რის გამოც შესაძლებელია: „გული მოიყვანა“ და „წერამ აიგანა“ – თუ „ლოგიკურობა“ იქნებოდა დაკული, უნდა ყოფილიყო პირუკუ.

როგორც იცყვიან, ამ – „ორჯერ ორი ოთხისა“ – ენაში ყველა ხედავს და არცერთ შემთხვევაში „შეცდომა“ არ მოსდის. გამონაკლისის გარეშე ამბობს: „გული მოიყვანა“, „გული მოაყვანინა“ ან „გული წაუვიდა“, „წერამ (ბედისწერამ) აიგანა“, „წერას აუგანია“ და მ. თ.

ეს გამოთქმები ენაში ოდითგანვე დამკვიდრებულა და, ალბათ, არც ერთი შემთხვევა არ არის, მთქმელმა ამ მყარ შესიტყვებაში რომელიმე სიტყვას სხვა ჩაუნაცვლოს. არავინ ამბობს „გული

მოიგანა“ და, ვთქვათ, „კუღით ქვა ასროლინას“ მაგიერ – „კუღით ჯოხი ასროლინა“.

ჩემს წერილში ლაპარაკი იყო ისეთ გამოთქმაზე, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, რუსული „პრივიოლ პრიმერ“-ის კალკია. ასეთ დაშვებას არც შ. აფრილონიძე გამორიცხავს: „თეორიულად“ – წერს იგი – ასეთი ვარაუდი არ არის გამორიცხული და პრინციპულად დასაშვებიცაა. არაერთი კალკირებული გამოთქმა თანამედროვე ქართულში რუსულიდან ან რუსულის მემყეობით შემოდის. მაგრამ ასეც რომ იყოს ამ გამოთქმაზე (მხედველობაში აქვს „მაგალითის მოყვანა“ – ა.ფ.) ხელს ვერ ავიღებთ“, თურმე იმის გამო, რომ ამ გამოთქმას ხმარობდნენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები, რომელთაგანაც „ჩვენი თანამედროვე რედაქტორების შედარება სხვა რომ არაფერი უხერხული იქნებოდა“ (გვ. 126)

ყველაფერი ეს იქნებ მართლაც ასეა, მაგრამ არის ერთი გარემოება, რაზედაც ჩემს წერილში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება – ამა თუ იმ ენის მაგარებული მასის „ენობრივი შეგრძნება“. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის მწერლები და პრესა „მაგალითის მოყვანას“ აძლევს უპირატესობას, რისი ინერციითაც მე-20 საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეებიც ამავე ფორმას ხმარობდნენ, დღეს ჩვენ თვალწინ, მაინც გაჩნდა ამ გამოთქმის პარალელური ფორმა „მაგალითის მოგანა“. საკითხავია, რატომ?

ილიასთან და ვაქასთან დღევანდელი ავტორებისა და რედაქტორების შედარება ასეთ შემთხვევაში, ვგონებ არ გამოდგება, იმიტომ რომ „მაგალითის მოყვანა“ სწორედ მე-19 საუკუნეში გაჩნდა და ამ სიახლეს უგამონაკლისოდ იცავენ იმ პერიოდში. დღეს კი „ენობრივი შეგრძნება“ ქართულად მოლაპარაკეს, რომელმაც იცის, რომ არ შეიძლება „მაგალითის ყოლა“ „აზრის ყოლა“ (უნდა თქვას: „ამის დასამტკიცებლად კარგი მაგალითი *მაქვს*“, „...მე ამაზე ჩემი აზრი *მაქვს*“). ავტორები და რედაქტორებიც ინერციით მიდიან იმ მიმართულებით, რომ ბარემ ის ერთადერთი „გამონაკლისიც“ „კანონიერ“

ფორმათა რიგში ჩაეაყენოთ და „მოყვანის“ მაგიერ „მოგანა“ ვიხმაროთ.

ეს გასაკვირიც არაა: სწორედ რედაქტორებსა და რედაქციის მუშაკებს უხდებათ ხშირად ასეთი წინადადებების ხმარება: „ეს ციტატა მეორე გვერდზე გადაიტანეთ“, „ეს მაგალითი სქოლიოში ჩაიტანეთ“ (და არა ჩაიყვანეთ!) ამიტომ, ვფიქრობ, რომ დებულება: ასეთ გამოთქმაში სჯობს „მოგანა“ ვიხმაროთ, უნდა დარჩეს ძალაში. თუმცა ორივე ფორმის დატოვებასაც წინ არაფერი უდგას, რაც მთავარია, გაგებინება არ ბრკოლდება და პარალელური ფორმების ხმარებაც ენისათვის გაუგონარი და უჩვეულო არაა.

რამდენიმე სიტყვა იმასთან დაკავშირებით, რომ შ. აფრიდონიძე ფიქრობს: „მოგანა გმნას, როგორც ჩანს ფიზიკური მოძრაობა-გადაადგილების გამოხატვის ფუნქცია დაეკისრა. ამიტომაც შესაძლებელი *მაგალითებისა* და *მასალის* მოგანა (ისევე როგორც მათი *მიტანა* და *წაღება*) ამ შესიტყვებათა მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით, მაშინ, როცა *მაგალითის*, *მასალის*... მოყვანა მხოლოდ დამოწმება-დასახელების ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მატარებელია“ (გვ. 124).

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითი რედაქტორის მითითებისას: „ეს მაგალითი სქოლიოში ჩაიტანეთ“ ჩემი ოპონენტის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ენობრივი ფაქტი აბსოლუტურად ერთნაირია, ამიტომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ან ფრაზეოლოგიურ შეხამებასთან, ან თავისუფალ შესიტყვებასთან.

ერთი სიტყვით, „*მაგალითის მოყვანას*“ „*მაგალითის მოგანა*“ სჯობს იმ საბუთით, რომ ყველა სხვა შემთხვევაში სიტყვა „*მაგალითთან*“ ვიხმაროთ: *მიტანა*, *მოგანა*, *გადაგანა*, *გადმოგანა* და მისთანებს.

### 3. „ვინ არის ლა ვინაა“?

(ზოგი წესის დადგენა მაინც შეიძლება)

1974 წლის 30 დეკემბერს, გაზეთ „თბილისში“ საკითხის განხილვის წესით გამოქვეყნდა პროფესორების ივ. იმნაიშვილისა და ზ. ჭუმბურიძის წერილი „ვინაა და ვინ არის“.

ავტორები მიმოიხილავენ ამავე გაზეთში იმავე წელს გამოქვეყნებულ სამ წერილს, რომლებშიც განხილული იყო „არის“ ზმნის შეკვეცის შემდეგ მიღებული ნაშთის „ა“-ს ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები და ის რეკომენდაციები, რომლებსაც გვთავაზობდა წერილების ავტორი – გ. მამულაშვილი.

როგორი იყო ეს რეკომენდაციები?

ავტორის აზრით, „არის“ ზმნის შეკვეცილი ფორმა „ა ელემენტი“ შეიძლება ვიხმაროთ იმ შემთხვევაში: თუ სახელი სახელობითია (ქალია, კაცია...), თუ ნათესაობითია (ქალისაა, კაცისაა...), თუ სახელი მოქმედებითია, მაგრამ დამთავრებულია ო და უ ხმოვნებზე (რკოთია, ბუთია...). „ა“ შეიძლება მიერთოს თანდებუდიან სახელსაც, თუ თანდებული ხმოვანზე მთავრდება (სახლ-ში-ა, სახლ-ზე-ა...). სხვა მეტყველების ნაწილებსაც დაერთვის „ა“, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი დაბოლოვებიან ხმოვნებზე.

კუთხურადაა მონათლული და ამდენად სალიტერატურო ქართულში აკრძალულია „ა“-ს ხმარება მოქმედებით ბრუნვასთან; აღნიშნულის გარდა, ვითარებითთან და ყველა სხვა შემთხვევაში, როცა სიტყვა თანხმოვანზე მთავრდება. აკრძალული ფორმებია: ვინაა,

ისაა, იქაა, აქაა, სადაა, რაცაა, მოგებითაა, რომაა და მისთანანი, კუთხურობის საფუძველი და აკრძალვის მიზეზი მითითებული არაა.

სადისკუსიო წერილის ავტორებმა სამართლიანად დაიწუნეს ავტორის „რეცეპტი“ იმის თაობაზე, რომ „ა“ ეწეროთ „რა“ ნაცუალ-სახელთან (რაა), მაგრამ არ ეწეროთ „ვინ“-თან (ვინაა); ანდა იგივე „ა“ ლიტერატურულია ნათესაობითის ფორმასთან (კაცისაა, ქალისაა) და კუთხურია – მოქმედებითან (მოგებითაა, წაგებითაა).

1 წერილი მცირე შემოკლებით გამოქვეყნდა გაზ. „თბილისში“ 1975 წლის 10 თებერვალს.

აგრეთვე, მართებულად მოიქცნენ ავტორები, როცა არ გაიზიარეს მოსაზრება თითქოს „ა“-ს ხმარების ზემოთ შემოთავაზებული რეკომენდაციები დადგენილი იყო ჩვენი სახელოვანი მწერლების შემოქმედებაზე დაკვირვების შემდეგ.

სწორედ თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან და მეცნიერების ნაშრომებიდან მოგანილი მაგალითებით-მათ ცხადყვეს, რომ სალიტერატურო ქართულისათვის ბუნებრივია: სადაცაა, ისაა, სახელითაა, საცდელითაა, წესებითაა, ფიქრითაა, პირითაა, რაცაა, აღარსადაა, აღერსიანადაა და მრავალი სხვა.

თუმცა, ვგონებ, ავტორებმა ცოცხალ ზედმეტად გაართულეს ამ საკითხის გარკვევასთან დაკავშირებული პრობლემებიც. ისინი ბრძანებენ: „მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმების ხმარება-უხმარებლობის ნორმები ჯერჯერობით არავის დაუდგენია და არც თავისი მოსაზრებები დაუსაბუთებია. ეს „წესები“ რთულია და მხოლოდ კარგი გრამატიკული მომზადების მქონე პირთათვის არის გათვალისწინებული. ფართო საზოგადოება კი მათ ალღოს ვერ აუღებს და ვერ დაიცავს. მარტო ეს გარემოებაც მას ყოველგვარ ფასს დაუკარგავს, მაგრამ, რაც მთავარია, ეს „წესები“ არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარებიან („თბილისი“, 1974წ., 30 ლექსები).

სირთულე და გრამატიკის ცოდნის აუცილებლობა არა მგონია, „წესების“ დადგენისა და დაცეის საწინააღმდეგო არგუმენტად გამოდგეს. განა ნაკლებ რთულია გზნის პირთა რაოდენობის დადგენა და პირის ნიშნების ცოდნა, რასაც აუცილებლად მოვითხოვთ ისეთი ფორმების გარჩევისას, როგორცაა: „სწერს“ და „წერს“ ან „ვუთხარი“ და „უთხარი“. ენათმეცნიერის ვალია, ამიგომაცაა იგი ენათმეცნიერი, გაერკვეს რთულ წესებში, დაადგინოს კანონზომიერებანი და მარტივი, გასაგები ფორმით, რა თქმა უნდა; რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, მიაწოდოს ფართო საზოგადოებას.

აკი ერთ ასეთ ნორმას თავადაც გვაწვდიან: „დღეისათვის მეშვეული გზნის შეკვეცილი ფორმა ფართოდაა გავრცელებული როგორც ცოცხალ მეტყველებაში, ისე სალიტერატურო ენაში. *სრული და შეკვეცილი ფორმის ხმარების მხრივ არჩევანი თავისუფალია და მთქმელსა და დამწერს შეუძლია სურვილისამებრ იხმაროს: კაცი არის და კაცია; კარგად არის და კარგადაა; ვინ არის და ვინაა*“ (იქვე ხაზი ჩემია – ა.ფ.).

აუგორთა ეს განცხადება რეკომენდაციების ღირებულებისაა და ენათმეცნიერულ დაკვირვებებს ეყრდნობა.

ახლა გავარკვიოთ საქმის ვითარება.

ქართულში გვაქვს არსებობის, მყოფობის გადმომცემი სიყვება (გზნა), რომელსაც დრო-კილოთა გარკვეულ ჯგუფებში სხვადასხვა ფუძე აქვს. აწმყოში იგი „არ“ ფუძეს იყენებს, მომავალში – „იქნებ“-ს, ხოლო წარსულში – „იყავ“-ს (ვარ, ვიქნები, ვიყავ), მწკრივთა და პირთა თავისებურების გათვალისწინებით.

თუ მოვიგონებთ, „არ“ ფუძის მქონე გზნის უღლებას, იგი ასეთ სურათს გვიჩვენებს –

მე ვ-არ

შენ ხ-არ

იგი(ის) არ-ის

ჩვენ ვ-ართ

თქვენ ხ-ართ

იგინი(ისინი) არ-ი-ან



ამ გზას (ეუწოლოთ მას „არის“ გზა ყველა პირისათვის) წინადადებაში გამოვიყენებთ დამოუკიდებლად და გვაძლევს მარტივ შემასმენელს (მე აქა ვარ; შენ შინა ხარ; მიშიკო კარგად არის; ჩვენ იქა ვართ, თქვენ შინა ხართ; მიშიკო და ია ეზოში არიან) ან წინადადების სხვა წევრთან ერთად და ქმნის ე.წ. შედგენილი შემასმენლის გზურ ნაწილს (მე თბილისელი ვარ; შენ ექიმი ხარ; მიშიკო მოსწავლე არის; ჩვენ თბილისელები ვართ; თქვენ ექიმები ხართ; მიშიკო და ია ბუჯითი ბავშვები არიან).

წინადადებაში – „მე აქა ვარ“ სამი წევრია: „მე“ – ქვემდებარე, „აქა“ – ადგილის გარემოება და „ვარ“ – შემასმენელი. რაც შეეხება, „მე თბილისელი ვარ“, მასში ორი წევრია: „მე“ – ქვემდებარე და „თბილისელი ვარ“ შედგენილი შემასმენელი.

ძველ ქართულში იშვიათად, საშუალში და უფრო ხშირად ახალში, ხოლო მეოცე საუკუნის ოციანი წლების შემდგომ ქართულში განსაკუთრებით ჭარბად „არის“ გზა იკვეცება, მარტივდება და მისგან გვრჩება მხოლოდ საწყისი ბგერა – „ა“.

ქართულ ენაში მოქმედი ფონეტიკური კანონის მიხედვით ერთი ბგერით ან ერთი მარცვლით გადმოცემული ფორმები არც შეიძლება შეყველებში და არც წერაში ცალკე არ იხმარებიან. ამიტომ „არის“ გზის ნაშთი „ა“ მიეწება (მიეკედლება, მიეკერება) ხოლმე წინამავალ სიტყვას და ვამბობთ: „მიშიკო აქაა“, „იგი თბილისელია“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მარტივდება მხოლოდ „არის“ გზა (მესამე პირი მხოლოდითი რიცხვისა), სხვა პირის ფორმები, როგორც წესი, წარმოდგენილი არიან სრული სახით.

თანამედროვე ქართულში „ა“ მოსალოდნელია მიეკედლოს წინადადების ყოველ წევრს, ამას განსაზღვრავს სათქმელი.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართულში წინადადების მოგი წევრის საგანგებოდ გამოჩინებისათვის მისი ლოგიკური მახვილით

წარმოთქმაც გვიხდება. ამიგომაც, როცა ვკითხულობთ: „მიშიკო სადაა?“ გვაინტერესებს გავიგოთ მიშიკოს ადგილსამყოფელი და პასუხიც, ჩვეულებრივ, ასეთია: „მიშიკო აქაა“, ხოლო თუ გვაინტერესებს: „ვინაა აქ“ – არა ადგილსამყოფელი, არამედ ამ ადგილზე მყოფი პიროვნება, ვპასუხობთ: „მიშიკოა აქ“.

ამ გარემოების გამო „არის“ გზის „ა“ ნაშთი შეიძლება მიეკედლოს წინადადების ყოველგვარ წევრს. ასე მაგალითად, წინადადებაში – *დღეს ჩვენი სკოლის ყველა მოსწავლე მოსაელის ასაღებადაა წასული* – „ა“ ნაშთი, როგორც ვხედავთ, „ასაღებად“ სიტყვას ეკერის, იმიტომ რომ წინადადებაც ხაზს მოსაელის აღებას უსვამს. თუ ამ წინადადებისათვის სხვა მნიშვნელობის მინიჭება მოგვესურება, „ა“ ნაშთიც მაშინვე იცელის ადგილს: „დღესაა ჩვენი სკოლის ყველა მოსწავლე მოსაელის ასაღებად წასული“, ან „დღეს ჩვენი სკოლის ყველა მოსწავლეა მოსაელის ასაღებად წასული“, ან „დღეს ჩვენი სკოლის ყველა მოსწავლე წასულია მოსაელის ასაღებად“.

ეფიქრობ, ყოველი სამუალოდ განათლებული ქართველი შენიშნავს იმ სხვაობას, რაც „ა“ ნაშთის სხვადასხვა წევრთან გამოყენებამ ამ წინადადების ამრობლივ დიფერენციაციას შესძინა.

მამასადამე, „ა“ ნაშთის გამოყენების წესებს მთქმელს თვით სათქმელი უკარნახებს და ამ საკითხში შეცდომა იშვიათადაა მოსალოდნელი.

აქედან გამომდინარე, ამრობრივად არავეითარი დაბრკოლება არ ელობება „ა“-ს ამა თუ იმ წევრთან ხმარებას.

იქნებ არის რაიმე შეზღუდვა ფონეტიკური ან სხვა სახისა, როგორც ამას „თბილისში“ გამოქვეყნებული წერილების ავტორი ფიქრობდა? თანამედროვე ქართულში ასეთი შეზღუდვა აბსოლუტურად გამორიცხულია. ცოცხალად აღინიშნულ ქართულში, როგორც ჩანს, რაღაც მსგავსი უნდა ყოფილიყო. აი, რა წერია წერილში „*მარცვალთღიაობის ა ახალ ქართულში*“: უნდა აღინიშნოს, რომ

არის გზნის შეკეცილი ფორმა სრულიად უცნობია ძველი ქართული-სათვის. იშვიათად ვხვდებით მას თვით მე-19 საუკუნის მწერლებთანაც კი, ყოველ შემთხვევაში, თითქმის არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს მათთან ა-ს ნაცვალსახელებთან, გზნიშვლებთან და სხვა ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებთან ხმარებისა. ამ მეტყველების ნაწილებთან ა მხატვრულ ლიტერატურაში ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გამოჩნდა თვით მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“ იგი სულ რამდენიმეჯერაა ნახმარი. თუმცა ამ ფორმებმა სალიტერატურო ენაში ფართოდ გაიკაფეს გზა, გაზ. „კომუნისტი“ თავის ფურცლებზე კრძალავს მათ“. (ალ. ფოცხიშვილი, მარცვალთლიაობის ა ახალ ქართულში. კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1959წ. თბ., გვ. 336, შენიშვნა).

ამავე წერილში გარკვეულია, რანაირ სიტყვებს რა წესით დაერთვის „ა“ ნაშთი: „არის გზნის შეკეცილი სახე ა მის წინ ხმოვანს ითხოვს მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვა თანხმოვანზე თავდება; მაგ., ჩვეულებრივია: სადაა – სად არის; წინაა – წინ არის; რომაა – რომ არის; მაგრამ არ შეიძლება: ახლოაა, ისეაა, თუაა და სხვა“ (იქვე, გვ.337).

ერთი სიტყვით, თუ სიტყვა ხმოვანზე მთავრდება, „ა“ მას უშუალოდ მიეკერის; ხოლო, თუ სიტყვა თანხმოვანზეა გათავებული, მათ შორის ჩნდება მარცვალთლიაობის „ა“ და ორივე შემთხვევაში ვლდებულობთ ორმაგხმოვანიან დაბოლოებას: ახლაა (ბოლოკიდური ა „არის“ გზნის ნაშთია, მის წინა კი – სიტყვის ბოლო ხმოვანი), სადაა (ბოლოკიდური ა აქაც „ა“ ნაშთია, მის წინა კი – „შემავრთებელი“ თუ მავრცობი“ „ა“.

ამრიგად, საკამათო საკითხის ერთი მხარე, შეიძლება ითქვას, სრულიად უმტკივნეულოდ წყდება.

მაგრამ გაზ. „თბილისში“ განხილული იყო „ა“-ს ხმარების სხვა ასპექტიც, ავტორისაგან არც მაინცდამაინც ნათლად ფორმულირებული და, სამწუხაროდ, სადისკუსიო წერილის ავტორთაგანაც

ნაკლებ გამუქებული. მოვიგანოთ ციგატა: „სამწერლო ენაში „არის“ ზმნის შეკვეცილი ფორმა ებ-იან მრავლობითში შეიძლება დაერთოს მხოლოდ ისეთ არსებითებს, რომლებიც უსულოა ან სულიერ საგანს გამოხატავს ადამიანის გარდა: სახლებია, ჭებია, ქუჩებია, მთებია, ქალაქებია... ძაღლებია, კურდღლებია, ქათმებია და ა.შ. დასაშვებია „ა“ ელემენტი დაერთოს ზოგ ზედსართავსაც, თუ იგი ადამიანს არ განსაზღვრავს: პატარებია, ლამაზებია, დიდებია, მოკლებია და სხვა. ნარ-თანთან მრავლობითს „ა“ არ დაერთვის, არ ითქმის, მაგალითად: სახლნია, ქალაქნია, მდინარენია და ა.შ. რაც შეეხება ადამიანს, მას არც ებ-იან და მით უფრო არც ნარ-თანთან მრავლობითში „ა“ ელემენტი არ ემატება. უნდა ვთქვათ და ვწეროთ: კაცები არიან, ქალები არიან... და ა.შ. მცდარია ფორმები: კაცებია, ქალებია, ბავშვებია, მოწაფეებია, დამლაგებლებია და სხვა. აგრეთვე, დამნაშავენია, ბრძენნია და ა.შ. („თბილისი“, 28 თებერვალი, 1974წ.).

სადისკუსიო წერილის ავტორებმა „ა“-ს ხმარების ამ უბანს ნაკლები ყურადღება მიაქციეს, უნდა მომხდარიყო კი პირიქით.

ისინი წერენ: „ძველ ქართულშივე დასტურდება მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმა ნარ-თანთან მრავლობითში: *მფარველნია* (გრ. ხანძთელის ცხოვრება, ნ. მარის გამოცემა, 35,14); ორნი ესე ასულნი ჩემნი ქალწულნია (სინ. ხელნ. №22,373) და სხვა. ამგვარი ფორმები ხშირია „ვეფხისტყაოსანშიც“: *არ ქაჯნია, კაცნიაო* (1246,4), „მგერნი საომრად *მზანია*“ (1241, 2), „ესენი ჩემთვის მის გამო გურჟანი *სანახაენია*“ (1291, 4) და სხვა მრავალი: *კლდენია, ღრონია, შეუქნია, ლახვარნია, სიგყვანია, შავნია, მხნენია, სიკეთე-მიუწვდონია, სხვანია... ხელთაა, თურქთაა...*“.

შედარებით იშვიათად, მაგჯამ ასეთი ფორმები გვხვდება ახალ ქართულშიც. მაგალითად, ვაქას თხზულებებში ვკითხულობთ: „დი-აყნი წამალს გვიწყავდნენ, – ქების *ღირსნია* სწორედა“ („ბაკური“), „რა გურჟა *სანახაენია* ამ ღროს მამულიშვილები“ („ზმანება“), „ცულნი *კმაყოფილნია*“ („ქებათა-ქება“), „წინაპარნია“ („სიკედი-

ლი გმირისა“), პრესის ენაში: „არსებითი ნაკლოვანებანია ასპირანტურაში სტუდენტთა შერჩევისათვის... მუშაობაში“ („კომუნისტი“, № 146, 25 ივნისი, 1974წ.) და სხვა („თბილისი“, 30 დეკემბერი, 1974წ.).

ამოწერილი ციკატის დასაწყისში, იქნებ კორექტურის გამო, რომელიდაც სიტყვა ჩაეარღნილა, თორემ „...მეშველი მზნის შეკვეცილი ფორმა ნარ-თანთან მრავლობითში“ – გაუგებარია. „ნარ-თანთან“ მრავლობითი ხომ მხოლოდ სახელისთვისაა განკუთვნილი და მზნის ფორმა ამ მრავლობითში წარმოუდგენელია. ამას გარდა, აეგორები შეეხნენ ისეთ ფორმებს, როცა „ა“ ნაშთი ერთვის მხოლოდ *ნარ-თანთან* მრავლობითში დასმულ სიტყვებს და არაფერი თქვეს *ებ-თან* ფორმებთან მათი ხმარების თაობაზე (ქალებია, ხეებია, გერებია, ასეთი ფორმები სასაუბრო ენაში ხშირია და არაერთხელ შემხვედრია წერით მეტყველებაშიც, განსაკუთრებით, აბიგურიენტთა ნაწერებში.

ისიც არაა სწორი, რომ „ა“-ს ხმარების ეს უკანასკნელი შემთხვევები და შემოთ განხილული შემთხვევები ერთსა და იმავე სიბრტყეზე მოვაქციოთ, როგორც ეს საკითხის დამსმელმაც და სადისკუსიო წერილის აეგორებმაც გააკეთეს. სინამდვილეში ეს ორი სხვადასხვა საკითხია და მათ კვალიფიკაციაც განსხვავებული სჭირდებათ.

როგორც შემოთ ენახეთ, შეკვეცილი ფორმით იხმარება მხოლოდ „არის“ მზნა – მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმაში (მე ვარ; მენ ხარ; მაგრამ – *ისაა*, აქა ვარ; აქა ხარ; მაგრამ – აქაა). ე.ი. შეკვეცილი ფორმით მზნა გვხვდება ისეთ ქვემდებარესთან, რომელიც მესამე პირის ნაცვალსახელით ან ამ პირის მნიშვნელობის მქონე სიტყვითაა გადმოცემული.

რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, აქ სამივე პირი სრული სახითაა წარმოდგენილი (ჩვენ მასწავლებლები ვართ; თქვენ ექიმები ხართ; ისინი მოსწავლეები არიან). მაგრამ მეტყველებაში ძალიან ხშირად და წერაშიც არაიშვიათად, გვხვდება ისეთი შემთხვევები,

როცა ქვემდებარე მრავლობით რიცხვში გადმოცემულია მესამე პირის ნაცვალსახელებით ან მათი ფარდი სახელებით და მათთან გამოყენებულია „ა“ ნაშთი (ხეები, ქათმები, ქალები).

ისმის კითხვა: რა მოვლენასთან გვაქვს საქმე? შეიკვეცა „არის“ ზმნის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმა – „არიან“, თუ აქაც „არის“ ზმნის შეკვეცილი ფორმა გვაქვს?

რადგან „არიან“ ფორმა არ იკვეცება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქაც საქმე გვაქვს „არის“ ზმნის შეკვეცასთან. თუმცა მეტად გასაკვირია, როგორ მოხდა ასეთი აღრევა. განა შეიძლება ვინმემ თქვას: „ჩვენ აქა ვარ“ ან „თქვენ აქა ხარ“, ე.ი. ქვემდებარე იხმაროს მრავლობითში და ზმნა – მხოლობითში? ასეთი შეცდომა ხომ არავის მოუვა? მამ რაგომ ამბობს ქართული: „იქ თეთრი ქათმები არის“, „ოთახში სასწავლო მერხები არის“, „ჩემი ბავშვებია“, „ბეჯითი სტუდენტებია“, ე.ი. „ისინი არის?“ – ეს ხომ აშკარა შეცდომაა: ქვემდებარე მრავლობითში, ზმნა მხოლობითში?

ღიახ, მართლაც ასეა, ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ასეა და ამ საკითხს გარკვევა ესაჭიროება. ისიც აქვე უნდა ითქვას, რომ საქმე ეხება არა „ა“-ს ხმარება-არხმარებას, არამედ ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეწყობის საკითხს. ეს საკითხი კი „...თანამედროვე ქართულში რთული და მრავალფეროვანია“ (ლ. კვაჭაძე). საქმეს ისიც ართულებს, რომ ჩვენს ენაში ქვემდებარე შეიძლება გვექონდეს როგორც ებ-იან მრავლობითში, ისე ნარ-თან-იანში (მთები-ი, მთა-ნი; საბჭოების კავშირი“ (საბჭო-თა კავშირი), რომლებიც შემასმენელთან შეთანხმების საკითხში განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ. მაგრამ მთავარი სირთულე მაინც ებ-იან მრავლობითში დასმული ქვემდებარის შეწყობის საკითხშია.

ორიოდე სიტყვა ზოგადად ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებაზე.

რუსულში და მის მსგავს ენებში ეს საკითხი იოლად წყდება: მრავლობითში დასმული ქვემდებარე ჩვეულებრივ შემასმენელსაც მრავლობითში მოითხოვს განურჩევლად იმისა, თუ რომელი მეტყვევლების ნაწილია გამოყენებული ქვემდებარედ და რას გადმოსცემს იგი. მაგალითად, რუსულში სულერთია: „*პარტი სტოიატ*“, თუ „*სტუდენტი სტოიატ*“. ორივეგან შემასმენელი მრავლობითშია იმიტომ, რომ მრავლობითშია ქვემდებარე. ქართულში „*სტუდენტები დგანან*“, მაგრამ „*მერხები დგას*“. ერთგან შეთანხმებაა, მეორეგან – არა.

თუ ქართული ენის ისტორიას გადავხედავთ, შეთანხმების საკითხი ყოველთვის ერთნაირად არ წყდებოდა. ძველ ქართულში სახელის მრავლობითი რიცხვი ძირითადად *ნარ-თანიანი* ფორმით გადმოიცემოდა. ამ მრავლობითში დასმული ქვემდებარე (იგულისხმება სახელობითი დასმული), როგორც წესი, შემასმენელს ჩვეულებრივ ითანხმებდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წესი უგამონაკლისოდ არც ძველ ქართულში რეალიზდებოდა. გვაქვს შეთანხმების მრავალი შემთხვევა *ებ-იან* მრავლობითში და შეუთანხმებლობის შემთხვევები *ნარ-თანიანი*-ში. ახალ ქართულში მრავლობითის გამოხატვა ძირითადად *ებ-იანმა* ფორმებმა იკისრა. *ნარ-თანიანი* მრავლობითმა მეტწილად სტილის სფეროში გადაინაცვლა და რიცხვში შეთანხმების საქმეში ძველი ქართულის ნორმები შეინარჩუნა – *აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში შემასმენლისგან მრავლობით რიცხვს მოითხოვს*.

რა მდგომარეობაა *ებ-იან* მრავლობითში? უნდა ვაღიაროთ, რომ მკაცრად დადგენილი წესები არა გვაქვს და ფორმათა სიჭრელე გაცემათ თვალში, თუმცა ყველაზე უფრო მოქმედ, გაბატონებულ წესებზე მითითება მაინც ხერხდება: *თუ ქვემდებარე ადამიანია, ე.წ. ვინ ჯგუფის სახელია* (კაცი, ქალი, ბავშვი) *ან ისეთი თვისებების გადმომცემი სახელები, რომლებიც ადამიანს მიეწერება* (მუშა, ექიმი, გამყიდველი...), *ან ადამიანის როლში გამოყვანილი სახელები* (იგაუ-არაკებში ცხოველები და

მცენარეები) შემასმენელი ჩვეულებრივ უთანხმდება რიცხე-ში. ყურადღება ექცევა იმასაც; თუ შემასმენელი როგორი ზმნით გადმოიცემა. როცა მზნა მოქმედის აქტიურობას გულისხმობს, „რა“ ჯგუფის ქვემდებარე ითანხმებს ჩვეულებრივ შემასმენელს.

დანარჩენ შემთხვევებში რა ჯგუფის სახელებთან შეთანხმებას ადგილი არა აქვს.

ახლავე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს წესები აბსოლუტური ხასიათის მქონენი არ არიან. მეტიც შეიძლება ითქვას, თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა და ღიალექტების განვითარების ტენდენციებში ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებიც კი შეინიშნება: თუ სალიტერატურო ენა, ალბათ, რუსულისა და სხვა ევროპული ენების გავლენით, ფორმათა ნიველირებისაკენ მიისწრაფის (არის მიდრეკილება *ვინ* ჯგუფის სიტყვებს გაუთანასწოროს რა ჯგუფისანი), ღიალექტები (განსაკუთრებით, დასავლური არეალისა) პირუკუ იქცევიან, იქ *ვინ* ჯგუფის სიტყვებიც ვერ ითანხმებენ და გურიაში ჩვეულებრივია – „ჩემი ბავშვებია“, ნაცელად „ჩემი ბავშვები არიან“-ისა.

მაგრამ ჩვენ ხომ ვაღიარებთ ვართ, რეკომენდაცია მიეცეთ ერთ-ერთ ტენდენციას – იმას, რომელიც მეტ სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებს. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ღიალექტური ფორმები უკუსაგდება და გაზ. „თბილისის“ რეკომენდაციებიც მისაღები: უნდა ეწეროთ ხეებია, სახლებია, ჭებია, კურდღლებია და არ ეწეროთ: ქალებია (უნდა – ქალები არიან), მოსწავლეებია (უნდა – მოსწავლეები არიან), ასევე სწორია და აუცილებელი ნართანიან მრავლობითთან „არიან“ ზმნის ხმარება და არ ვარგა ფორმები: ბრძენია, კაცია და მისთანანი.

ახლა ავტორთა მოსაზრებაზე ნარ-თანთან მრავლობითის ფორმებთან „ა“-ს ხმარების თაობაზე.



მათ ძველ ქართულში (ციტატა იხილეთ ზემოთ) ნარ-იან ფორმებთან „ა“-ს ხმარების შემდეგი მაგალითები დაასახელეს: მფარველნია, ქალწულნია (პროზის ენიდან); ქაჯნია, მზანია, სანახაენია, კლდენია, ღრონია, მუქნია, ლახვარნია, სიგყანია, შავნია, მხნენია, სიკეთე-მიუწლონია, სხვანია... ხელთაა, თურქთაა („ვეფხისტყაოსნის“ ენიდან). ახალი ქართულიდანაც ძირითადად პოეზიის, ვაქას ენის მაგალითები მოიგანეს: ღირსნია, სანახაენია, კმაყოფილნია, წინაპარნია და ერთადერთი მაგალითი გაზეთიდან ამოღებული „არსუბითი ნაკლოვანებანია...“

ჯერ ერთი „ვეფხისტყაოსნიდან“ მოგანილ მაგალითებს უნდა გამოაკლდეს „ხელთაა“ და „თურქთაა“, რადგან ამ ფორმებთან შეთანხმება დარღვეული არ არის. პირველი სიტყვა ამოღებულია გაუქიდან: „აწ დაო, მენტა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა“ (1957, 257, I). გაუქში ნათქვამია: აწი, ჩემო დაო (იგულისხმება ასმათი) შენს ხელში არის საბელი, რომელიც მე ყელზე მაქვს მოჭერილი (მობმული). ხაგოვნად – ჩემი სული შენს ხელშიაო. წინადადების ქვემდებარეა „საბელი“ და, რა თქმა უნდა, მასთან მზნა მხოლოდით რიცხვში იქნებოდა. მეორე სიტყვაც, დაახლოებით იმავე ენობრივ სიტუაციაშია ნახმარი „აქამდე მზღვარი თურქთაა, მომზღვრეა ფრიდონ მზღვრებითა“ (1957, 970, 3). გაუქი ამბობს: „აქამდე თურქების სამღვარი არის, მოსამღვრეა ფრიდონი (თავისი სამღვრებით). გაუქი ორი წინადადებისაგან შედგება. პირველ წინადადებაში (აქამდე მზღვარი (სამღვარი) თურქთაა) ქვემდებარეა „მზღვარი“, იგი მხოლოდითშია და შემასმენელიც მას ამავე რიცხვში უთანხმდება.

რაც შეეხება დანარჩენ მაგალითებს, შეთანხმება, მართლაც, ყველგან დარღვეულია, უნდა იყოს: ქაჯნი არიან (და არა „ქაჯნია“), მზანი არიან (და არა „მზანია“) და ა.შ. მაგრამ, როგორც ავტორებსაც კარგად მოეხსენებათ, პოეტური ენა უშუალოდ მსგავს გაღაბვებს, მით უფრო, როცა ამ ენის მპყრობელი ისეთი ბუმბერაზია, როგორიც შოთა რუსთაველი იყო. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ, როცა

თანამედროვე ქართულის ნორმებზე ვლასპარაკობთ რისი მომცემია ძველი ქართულის ფაქტები, თუნდაც ისინი „ვეფხისტყაოსნის“ ენიდან იყოს მოგანილი. ენათმეცნიერების განვითარების დღევანდელი დონისათვის ამაზე ლაპარაკი ხომ, ცოტა არ იყოს, უხერხულია.

არც ვაქვას პოეზიიდან მოგანილი მაგალითები გამოგვადგება ნორმის დასადგენად.

სამაგიეროდ; შემთხვევითი არ უნდა იყოს პროზიდან მოგანილი მაგალითების სიმცირე, რომლებიც ნიშანდობლივად არ შეიძლება ჩაითვალოს არც ძველი და, კიდევ უფრო, არც ახალი ქართული-სათვის.

უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ქართულის ნიმუშები დიალექტური ფორმებია და გადამწერის „ლაფსუს კალამს“ მიეწერება; ბოლოს და ბოლოს ისინიც ხომ ჩვეულებრივი აღამიანები იყვნენ და მათაც ისევე შეიძლება მოსელოდათ შეცდომა, როგორც ჩვენ მოგვ-დის. და ისიც ხომ ფაქტია, რომ შეუთანხმებლობის მაგალითები მთელს ძველ ქართულში ერთ მეასედ პროცენტსაც არ უდრის. ამ ფაქტებზე დაყრდნობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ძველი ქართულის რომელიღაც დიალექტში შეთანხმება ირდევოდა.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულს, ავტორებმა მხოლოდ ერთი მაგალითი მოიგანეს – „ნაკლოვანებანია“, თუმცა ცოდეა გამხელილი სჯობს, ეს ფორმა, მართლაც, ნორმაა. მეგის თქმაც შეიძლება, ამ სიბჭევის გვერდით უნდა დავყენოთ: ფასეულობანი, ღირებულებანი, ღირსეულებანი, შთაბეჭდილებანი და სხვა. მართალია, მათი ლიტერატურაში გამოყენების ფაქტები მე არ შემიმოწმებია, მაგრამ თუ შესაფერის ენობრივ სიტუაციაში გამოვიყენებდით, შთანხმება არ გვექნებოდა, არ დავწერდით: ღირებულებანი არიან, შთაბეჭდილებანი არიან, გვექნებოდა: ღირებულებანია, ფასეულებანია, შთაბეჭდილებანია.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ამ ფორმაზე დაყრდნობით, რომელთა რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელია, რაიმე კანონის შემუშავება არ შეიძლება. ამ ფორმებს დღეს მრავლობითად არც აღვიქვამთ.

ჩვენთვის ეს სიტყვები აბსტრაქტული ცნებებია და მრავლობითში არც უნდა იდგეს. ამიგომაცაა, რომ მოგანილ წინადადებაში: „*არსებითი ნაკლოვანებანია... ასპირანტურაში სტუდენტთა შერჩევისათვის... მუშაობაში*“ (ამ სტილისათვის ცოდეა მისი ავტორის კისერზე იყოს) მრავლობითის ფორმა უმტკივნეულოდ შეიძლება შეიცვალოს მხოლოდითით: „*არსებითი ნაკლოვანება... ასპირანტურაში სტუდენტთა შერჩევისათვის... მუშაობაში*“.

ერთი სიტყვით, ვფიქრობ, ძალაში უნდა დარჩეს ის წესი, რომ *თანამედროვე ქართულში ნარ-თანთან მრავლობითში დასმული ქვემდებარე შემასმენლისაგან მრავლობით რიცხვს მოითხოვს.*

ბოლოს უნდა ითქვას, რომ „თბილისი“ უთუოდ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს ენის სიწმინდის საკითხებზე მსჯელობით, მაგრამ საჭირო იქნებოდა, მკითხველისათვის შეთავაზებული „წესები“ და „კანონები“ ენათმეცნიერულად უფრო დასაბუთებული ყოფილიყო.

P.S. ეს სტატია დაწერილი იყო, როდესაც გაბ. „თბილისში“ გამოქვეყნდა მ. მამულაშვილის საპასუხო წერილი, მაგრამ მასში ახალი საბუთები არ იყო ძველი დებულების დასაცავად და ნათქვამსაც არაფერს ეუმატებო.

#### 4. ნეოლოგიზმის ორი მავალითი სხვადასხვა შედეგით თანამედროვე ქართულში

1. „დაყაჩაღება“. დღევანდელი ცხოვრების მრავალფეროვნება ხშირად ქმნის ისეთ გარემოებას, რომლის გადმოსაცემადაც არსებული ლექსიკა არ გვყოფნის და რადგან სრულიად ახალი სიტყვის შექმნა ენებში იშვიათია (არადა ახალი მნიშვნელობის სიტყვიერი გამოხატვა აუცილებელია), ენა მიმართავს არსებულ ყალიბებს. ასე გაჩნდა თანამედროვე მეტყველებასა და წერაში სიტყვა „დაყაჩაღება“.

ამ სიტყვის გაჩენას ცოცხალი ხნის წინანდელმა ჩვენი ცხოვრების სინამდვილემ შეუწყო ხელი – ძარცვა, ყაჩაღობა მასობრივ მოვლენად იქცა. „გაძარცვა“-ს ზმნური ფორმები ჰქონდა („გაძარცვეს“, „გაუძარცვათ...“), „ყაჩაღობას“ – კი არა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ამ ნეოლოგიზმის „ნათლია“ ვინაა, ის კი აშკარაა, მას ენობრივი ალლო არ დალაგობს. მიუხედავად იმისა, რომ „ყაჩაღ“ ფუძე „ობ“- თემის ნიშანს დაირთავს, „დაყაჩაღობა“ კი არ შექმნა, არამედ „დაყაჩაღება“ ე.ი. „ობ“-ის მაგიერ „ებ“ თემის ნიშანი იხმარა. რაც შეეხება „და“ ზმნისწინს, მისი შერჩევაც, ალბათ, ქვეენობიერი ქმედება იყო, და რატომ იგი და არა სხვა ზმნისწინი? – ისევე არ შეიძლება ვიკითხოთ, როგორც არ ვკითხულობთ. რატომ ვამბობთ – „შე-ვიყვარე“ და არ ვამბობთ – „მო-ვიყვარე“ ან „და-ვიყვარე“ და მისთ.

დასკვნა: „დაყაჩაღება“ და მსგავსი წარმოების გზური ფორმები შექმნილია ქართული ენის სიგყვათწარმოებითი ნორმების სრული დაცვით, საჭირო იურიდიული ტერმინია, გამოსაყენებლად მოსახერხებელი და მას მწვანე გზა უნდა მიეცეს.

2. „მაღლობას მოგიხდის, მოვეხდი“ და მისთანანი. ამ არასწორი გამოთქმის შესახებ უკვე იყო მსჯელობა გაზეთში – „ბურჯი ეროვნებისა“, მაგრამ, ვფიქრობ, საკითხს სხვა კუთხით უნდა მივედგეთ.

მთავარი ისაა, რომ გზის ფუძე „ხდი//ხად“ („იხდის//იხადა“) ახლანდელი (აწმყო) დროის მნიშვნელობის გადმოსაცემად, მსგავსად მოქმედებითი გვარის გზებისა, ვერც ერთ გზისწინს (მათ შორის, რა თქმა უნდა, „მო“-საც) ვერ იგუებს, ხოლო „მაღლობა“ სიგყასთან არც ერთ დრო-კილოს ფორმაში „მო“- გზისწინით არ გამოიყენება. მართალია, საერთოდ „მო“ გზისწინიანი ფორმები აკრძალული არაა, მაგრამ მისი გამოყენების არე შემოფარგლულია. შემდეგი სიგყევებით: „სასჯელი“, „ბოდიში“ და „ვალი“. „სასჯელთან“ და „ბოდიშთან“ მხოლოდ „მო“ გზისწინი გვხვდება (სასჯელს მოიხდის, მოიხიდა, მოუხდია; ბოდიშს მოიხდის, მოიხადა მოუხდია...) რაც შეეხება „ვალს“, აქ მდგომარეობა ოდნავ სხვანაირია: თუ იგი „მოვალეობას“, „ვალდებულებას“ გადმოგვეყვამს, „მო“- გზისწინს იყენებს („სამშობლოს წინაშე ვალს მოიხდის, მოიხადა, მოუხდია...“), ხოლო თუ ფულის ან სხვა რაიმე მატერიალური ფასეულობის მნიშვნელობით – „გადა“- გზისწინს ხმარობს („ფულს გადაიხდის, გადაიხადა, გადაუხდია“...).

თავის მხრით, სიგყვა „მაღლობა“ სხვა გზის ფუძესთან შედის წყვილში და მეტად ხშირადაც იხმარება. საპატივემულო და მოსარიდებელ პიროვნებას მეტწილად ასე მიმართავენ: „მაღლობას მოგახსენებთ, მომიხსენებია“... სწორედ ამ უკანასკნელი გამოთქმის ანალოგიით უნდა გაჩენილიყო გრამატიკულად მახინჯი და სტილის-

ტურად გაუმართავი ფორმა – „მადლობას მოგიხდით“, ამიტომ იგი უნდა გაედევნოთ ხმარებიდან.

კიდევ ერთ საკითხს უნდა შევხვო. აღრინდელ წერილში ავტორი წერდა: „ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მო- მზნისწინი გვიჩვენებს მიმართულებას პირველი პირისაკენ, მოსაუბრისაკენ, მაშინ, როცა მადლობას პირველი პირი, მოუბარი, უხდის მეორე პირს და მზნისწინიც, საპირისპირო მიმართულების უნდა იყოს“ („ბ.ე.“, № 1, 1995წ. გვ.7, ხაზი ჩემია – ა.ფ.).

ჩემთვის მთლად გასაგები არაა: რა „საპირისპირო მიმართულების მზნისწინება“ აქ ლაპარაკი. როგორც ცნობილია „მო“- მზნისწინის საპირისპირო მზნისწინად „მი“- მიიჩნევა და განა შეიძლება ასეთი ფორმა („მადლობას მიგიხდი“) მოსალოდნელი იყოს? სამეცნიერო ლიგურატურაში კარგა ხანია მითითებულია, რომ მეორე პირთანაც ყველგან და ყოველთვის იგივე მზნისწინი გამოიყენება, რაც პირველ პირთან: ამ თვალსაზრისით ეს პირები (I და II) უპირისპირდებიან მესამეს:

მან მე მო-მყიდა,	მე შენ მო-გყიდე,	შენ მე მო-მყიდე
მან შენ მო-გყიდა,	მე მას მი-უჰყიდე,	შენ მას მი-ჰყიდე,
მან მას მი-ჰყიდა		
ის მე მო-მენდო,	მე შენ მო-გენდე,	შენ მე მო-მენდე
ის შენ მო-გენდო,	მე მას მი-ვენდე,	შენ მას მი-ენდე
ის მას მი-ენდო		

ამის გამო იყო, რომ ტერმინები „სააქეთო“ და „საიქეთო“ მიზანშეუწონლად ჩაეთვალე და მის მაგიერ შემოვიღე: „საპირველ-მეორეპირო“ და „სამესამეპირო“ ორიენტაცია (იხ. აქვე, „ორიენტაციის კატეგორიის გაგებისთვის“).

## VII სხვადასხვა

### 1. თვლა ოცობით თუ ათობით?<sup>1</sup>

საკვირველი ფაქტია თავად ის გარემოება, რომ ენის რეფორმების საკითხებზე დისკუსიას იწყებენ მათემატიკოსები – შედარებით ნაკლებ კომპეტენტურნი ამ საქმეში – მაგრამ უფრო საკვირველი ისაა, რომ ისინი სულაც არ ცდილობენ ჩაწვდნენ იმ მოვლენის არსს, რომლის რეფორმასაც აპირებენ.

ჩვეულებრივ კი ასე იქცევიან: ჯერ ღრმად სწავლობენ საგანსა თუ მოვლენას, მისი წარმოშობა-განვითარების ცენტრიდანულ ძალებს, მისი არსის – სისტემის შემქმნელ სტრუქტურულ ელემენტებს, ერთი სიტყვით, მოვლენას სწავლობენ ყოველმხრივ და მხოლოდ შემდეგ იწყებენ ამ მოვლენაზე მოქმედებას, მის გამოყენებას თუ გადაკეთებას.

ექიმიც ასე იქცევა: ჯერ დაადგენს დაავადების პათოგენეზის, შემდეგ – კლინიკურ მდგომარეობას და მხოლოდ ამის მერე იწყებს მკურნალობას, თანაც ითვალისწინებს ყოველი ავადმყოფის ინდივი-

---

<sup>1</sup> სიტყვა წარმოთქმული 1963 წლის 27 აპრილს ქართველ მათემატიკოსთა საზოგადოების სხდომაზე.

დუალურ თვისებებს, რადგან ზოგჯერ წამალი, რომელიც ერთ პაციენტს კურნავს, მეორეზე პირუკუ მოქმედებს.

ჩვენ იქ მოვისმინეთ ბატონი ვ. ლოლიძის მოხსენება. იგი თავგამოდებით ლაპარაკობდა ქართული თელის სისტემის შეცვლის აუცილებლობაზე, მაგრამ მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს ენის თავისუბურებებზე საერთოდ და ქართული ენისაზე კერძოდ. ამიგომ საკითხავია, მიიღებს კი ენა მათ გამოწერილ წამალს, ან არგებს კი „აეადმყოფს“ თქვენი გამოწერილი წამალი, იქნებ იგი უფრო უარესად დაავადდეს?

მე ვეუბნები ორიოდ სიტყვით, მეტად ზოგად ხაზებში წარმოგიდგინოთ ენის თვისებები ამ მეტად რთული სისტემის შემქმნელი სტრუქტურული ელემენტების ურთიერთგანპირობებელი ხასიათი და, ვფიქრობ, თქვენთვის აშკარა გახდება ჩვენი დღევანდელი დისკუსიის უმიზნობა.

ენა ყველაზე უფრო რთული მოვლენაა იმ მოვლენებს შორის, რის შესახებაც ადამიანს შეუძლია იფიქროს. იგი არანაკლებ რთული მოვლენაა ვიდრე სიცოცხლე, ვიდრე აზროვნება. ადამიანმა შექმნა მოაზროვნე მანქანები, იგი თითქმის საბოლოოდ ჩაწვდა სიცოცხლის წარმოშობის არსში, მან დიდი ნაბიჯი გადადგა სამყაროს შესწავლის საქმეში, მაგრამ ყოველი ცდა ხელოვნური ენის შექმნისა ჯერ-ჯერობით მარცხით მთავრდება და, ვფიქრობთ, მომავალშიც ასეთი ცდის წარმატებისთვის პერსპექტივები ძალიან ცოტაა. მით უფრო წარმოუდგენელია ხელოვნურად შეიქმნეს ბუნებრივი ენის, ეთქვამთ, ქართულის, რუსულის ან სხვა რომელიმეს მსგავსი ცალკე ენობრივი ერთეული, მთელი მისი თვითმყოფი თავისუბურებებით, რომელიც საკუთარ, მხოლოდ მისთვის განკუთვნილ, ადგილს დაიჭერდა დღესდღეობით არსებულ ენათა რიგში. ასეთი ენის შექმნისთვის საჭიროა შეიქმნეს სხვა სრულიად ახალი, დღემდე არსებულთაგან განსხვავებული სულიერი სამყაროს მქონე ერი, რომელიც შექმნიდა თავისი სულიერი სამყაროს შესაფერის ენას.



რაგომაა ძნელი ახალი ენის შექმნა?

საქმე ისაა, რომ ადამიანებმა არაფერი, თითქმის არაფერი, იციან ენის წარმოშობის შესახებ. ენა და ადამიანი ერთად იბადებოდნენ და როგორც ბავშვს არ ახსოვს თავისი დაბადება და იგი მას ვერც ვერასდროს ვერ მოიგონებს, ასევე ვერ მოიგონებს ადამიანი იმ საოცარ დღეს, როცა ლაპარაკი დაიწყო და დაიწყო სწორედ იმ ენაზე, რომელიც მის სულს ყველაზე უფრო შეეფერებოდა.

ენა, ამროვნებაზე (ყოველ შემთხვევაში აბსტრაქტულ ამროვნებაზე) უფრო ხნიერია და ეს უკანასკნელი დიდადაა დავალებული ენისაგან. ენაა საფუძველთა საფუძველი იმისა, რომ ადამიანი იქცა ადამიანად, მოაზროვნე ცხოველად და შექმნა მეცნიერება, თუნდაც იგივე მათემატიკა, ფიზიკა, კიბერნეტიკა და სხვა.

და რა უმადურებაა მისივე პირში მას უპირებს შეკეთება-შელა-მაგებას ისე, რომ არც კი ინტერესდება მშობლის ნება-სურვილით.

ენა უამრავ ელემენტთა საოცრად მოწესრიგებული სისტემაა. ამ სისტემის ყოველი რგოლი მეორე რგოლს უკავშირდება და მასზეა დამოკიდებული. ეს სისტემა, მიუხედავად მისი ურთულესი ბუნებისა, იოლად გადაეცემა თაობიდან თაობას და გადადის ჩვევაში. ბავშვი ისე სწავლობს ენას, რომ სრულიადაც არ გრძნობს სიძნელეებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი მიეჩვია ამ ენაზე მეტყველებას, აიღვა ენა, მისთვის საშინლად ძნელია გადაჩვევა.

ამავე დროს, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა გვეჩვენოს, ენა სტრუქტურულ ელემენტთა საოცრად მოწესრიგებული და ქაოსური სისტემაა. ენაში ასობით და მეტი კანონია, მაგრამ არ არსებობს არც ერთი კანონი, რომელსაც არ ჰქონდეს თუნდაც ერთი გამონაკლისი. ხშირად გამონაკლისთა რაოდენობა კანონს უტოლდება და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ენათმეცნიერებმა, კარგად ვიცით ამ გამონაკლისთა თუ „დამახინჯების“ მდებარეობა, მაინც ვერაფერი გავიწყვია. უფრო სწორად, არც გვიფიქრია გვებრძოლა მათ წინააღმდეგ, ალბათ, იმიტომ, რომ კარგად ვიცით, მაინც არაფერი გამოგვივა;

ენაში მოქმედებენ ისეთი სასიცოცხლო ძალები (დაფარქვათ მათ შინაგანი კანონები), რომელთა გენეზისსა და კლინიკას, სამწუხაროდ, ჩვენ სრულებითაც არ ვიცნობთ, ღღეუანდელ კანონიერს, ძირითადად, სწორ ფორმას ენა ხვალ გამონაკლისად აქცევს, ზეგ კი სრულიად აბევეებს თავის რიგებიდან ისე, რომ ჩვენგან არავითარ სანქციას არც მოითხოვს და არც ელოდება.

ისიც შეიძლება საკამათო იყოს: ენა საზოგადოებრივი მოვლენაა თუ – ინდივიდუალური, რადგან არსად ისე მჭიდროდ არაა ერთმანეთში გადახლართული ინდივიდუალური და საზოგადოებრივი, როგორც ენაში. ენაში ვერაფრითარი ცვლილება გზას ვერ გაიკაფავს საზოგადოების თანხმობის გარეშე.

თითქმის ყველა ენათმეცნიერი შეთანხმებულია ერთ საკითხში – ინდივიდის როლი ენის ცვლილების საქმეში აბსოლუტურად მემბლუდულია. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე სამეცყველო ქართულში ასე გავრცელებული რუსული მიმართებები: „იჩები“ და „ოენები“ ჩვენს რესპუბლიკაში გარკვეული პიროვნების ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნას მოჰყვა. მან ქართული კარგად არ იცოდა და, ჩვეულებრივ, თანამშრომლებს რუსულ ყაიდაზე მიმართავდა. მიმბაძველთა არშიამ ასეთი მიმართვა კულტურული მიმართვის ფორმად გაიგო და საქმე იქამდე მივიდა, რომ, როცა კაცს ეკითხებით – „თქვენი სახელი?“ იგი გასახუხობთ – „ავთანდილ შალგოვიჩ!“ და სრულიადაც არ ფიქრობს, რომ ამახინჯებს მშობლიურ ენასაც და რუსულსაც. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ, ვინ იყის, იქნებ ამ „იჩებმა“ და „ოენებმა“ საბოლოოდ განღვენოს ქართული მეტყველებიდან ასე დამახასიათებელი ქართული გამოთქმები: „ქალბატონო“ და „ბატონო“.

ახლა გადავხედოთ ქართული ენის განვითარების ისტორიას. ერთ დროს ქართულში ყველა მზნასთან მეორე პირში სუბიექტის ნიშანი გვექონდა *ბ*. ალბათ, მაშინ ყველაფერი რიგზე იყო. ყველა ამბობდა: მე *ე-წერ*, შენ *ხ-წერ*, ის *წერ-ს*. გავიდა დრო და

ქართულმა დაკარგა ეს ნიშანი და მის მაგიერ მიიღო *ქ*. საკითხავია, რად დასჭირდა ენას ამ „რეფორმის“ გაგარება? იქნებ რაიმე გაიოლდა? რა თქმა უნდა, არა. პირიქით, გაძნელდა კიდევ, რადგან *ქ* გაცილებით ძნელი წარმოსათქმელია, ვიდრე *ხ*, მაგრამ უფრო საინტერესო ისაა, რომ ეს პროცესი საყოველთაოდ არ გაგარებულა, *ხ* ბევრა მაინც შემოგვრჩა ორ გმნაში (*ხ-არ*, *მო-ხ-ვალ*). მაგრამ რა დაემართა *ქ-ს*, რომელმაც ასე იოლად დაამარცხა *ხ*? თავად დასუსტდა, ხან *ს-დ* იქცა, ხან *შ-დ* და უფრო ხშირად დაიკარგა კიდევ.

ყოველივე ამის გამო, ერთ დროს საათივით აწყობილი საქმე საშინლად აირია. ახლა ცალ-ცალკე გვიხდება შესწავლა იმ გმნათა, რომელთაც პირის ნიშნად მოუღით ხან *ხ*, ხან *ქ*, *ს*, *შ* თუ არაფერი.

რა მოუვიდა ენას, გაუმჯობესდა თუ დამახინჯდა იგი? კაცმა არ იცის. თითქოს ყველაფერი წინ მიდის და ვითარდება, ასე უნდა მოქცეულიყო ენაც, მაგრამ, ყოველივე სირთულე რომ განვითარებდად არ შეიძლება ჩიითვალოს, ეს ფაქტია.

ჩვენს ენაში, ისე როგორც ყოველ ენაში გვაქვს აუარებელი ერთ დროს ფონეტიკური დამახინჯებანი, რომლებიც მერე კანონად ქცეულან. მაგ., ძველ ქართულში გვექონდა „*თაე ყანის ცემა*“, რაც თავის მიწამდე დახრის, მორიღების, პატივისცემის გამოსახატავად გამოიყენებოდა და რომლის მნიშვნელობასაც ამ შესიგყეებაში შემავალი სიტყვების ჯამის მნიშვნელობასთან კავშირი გაწყვეტილი არ ჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს, ვილაც „გაუნათლებელმა“ „*თაე ყანის ცემა*“ „*თაყყანისცემად*“ წარმოთქვა და იმის მაგიერ, რომ „დამნაშავე“ იქვე დაესაჯათ, რათა მისთვის სხვას არ მიებაძა, მოიქცნენ პირუკუ, მას ცოდვა არა თუ აპატიეს, თავადაც მიბაძეს და დამახინჯებული „*თაყყანისცემა*“ კანონად აქციეს.

ასეთი დამახინჯებული ფორმებია „*აღმართი*“, „*წაღმართი*“, „*უკუღმართი*“, „*ადექი*“, „*დაჯექი*“, „*დაწექი*“ და მრავალი სხვა. მათი შემქმნელნი თუ ავგორნი ჩვენს შორის იმალებიან თუ იმალებოდნენ, მაგრამ ჩვენ ვერცერთხელ ვერ წავასწარით „ბოროტმოქ-

მელს“, როგორც იტყვიან, ადგილზე. ვერ დავიჭირეთ იგი. უფრო მეტიც, ჩვენ თვითონ გაეხდით მისი დანაშაულის თანამოაზრენი და, ბოლოს, ეს დანაშაული დავაკანონეთ, „კონსტიტუციაში“ შევიტანეთ.

ენა მეტად თავნება და შემპარავი „სუბიექტია“. იგი ნელ-ნელა იმორჩილებს თქვენს ნებისყოფას და, როცა გამოფხიზლდებით, უკვე გვიანაა. სამაგიეროდ, სცადეთ და თქვენი სურვილი მოახეიეთ თავს – არაფერი გამოგდით.

ერთი მაგალითი კვლავ ქართულიდან.

ყოველი ქართული ზმნა ე.წ. აწმყოს წრის მწკრივებში მოქმედებს (ქვემდებარეს სახელობით ბრუნვაში სვამს): „ბავშვი იმრდება“, „ჩიტი გალობს“, „დურგალი სახლს აშენებს“, „მხატვარი შეიღს სურათს უხატავს“. ეს კანონი თითქოს ყოვლისმომცველი და ხელშეუვალია, მაგრამ ორი ზმნა („უწყის“ და „იყის“) მაინც არ ემორჩილება ამ წესს და მოქმედს მოთხრობით ბრუნვაში სვამს („იუწყის ღმერთმა“, „იყის კაცმა“). თუ „უწყის“ ზმნას არ მივიღებთ მხედველობაში (იგი მეორის სინონიმი და თანაც უკვე „მოძველებული“ გამოდის), საერთო კანონს გამოეყო ერთადერთი ზმნა და ჩვენ ვერაფრით ვერ მოგვიხერხებია, მას კანონისადმი პატივისცემა და მორჩილება ვასწავლოთ.

აბა, ვცადოთ, ვთქვათ ისე, როგორც ვამბობთ ყველა სხვა შემთხვევაში: „იყის კაცი?“ – გამოვიდა რაიმე? ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ არაფერი არ გამოვიდა და თუ ერთი სიტყვა ასე გაგვიუტყვია, როგორღა მოვახერხოთ მთელი თვლის სისტემის შეცვლა, რომელთა ენაში ხმარების შესაძლებელი კომბინაციათა გამოთვლა თითქმის შეუძლებელია.

ერთი მეტად უცნაური თვისებაა აქვს ენას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია იცოდნენ „რეფორმატორებმა“.

რადგან რეფორმა ჩვეულებრივ მომავალს ითვალისწინებს, ჩვენ წინასწარ უნდა ვიცოდეთ იმ მოვლენის განვითარების შესაძლებელი გზები, რომლის რეფორმასაც მოვითხოვთ, ენის განვითარების (თუ

რა ეუწოდოთ მას?) მსვლელობის პროცესში წინასწარმეტყველებისა და წინასწარჭერეგის ალბათობა აბსოლუტურ ნულს უდრის.

თუ ზოგ რამეში ენა გამარტივებისაკენ მიისწრაფის (თვითონ ტერმინი „გამარტივება“ მეტად პირობითია), სხვა შემთხვევაში იგი „რთულდება“ და, კაცმა არ იცის, როდის იქცევა იგი „ჭკვიანურად“ და „გეგმაზომიერად“.

იმავე პ-ს მაგალითი რომ ავიღოთ, მეტად საინტერესო სურათს იძლევა. იგი დაიკარგა იქ, სადაც საჭირო იყო – სუბიექტური პირის გადამოსაყვამად II პირში და ირიბი ობიექტის გადამოსაყვამად მესამე პირში, მაგრამ ძალიან ხშირად გვეხვამის იქ, სადაც იგი მოსალოდნელი არაა: „მო-პ-კლა“, „ა-პ-გავა“, „პ-ყუფს“ და მისთანანი.

ენათმეცნიერები ამტკიცებენ, რომ ინგლისური ენა ფორმებს კარგავს და უფორმო ხდება, კლასიკური უფორმო ჩინური კი თურმე ახლა იძენს ფორმებს და ფორმიანთა რიგებში აპირებს ჩადგომას.

ერთი სიტყვით, ენის მომავლის მიმართ დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლება, ჩვენ არაფერი ვიცით რა მოხდება ხვალ. მართალია, ჩვენ მოწმენი ვართ ენათმეცნიერებაში ე.წ. ეპოქალური აღმოჩენებისა, მაგრამ უნდა ვიყოდეთ, რომ ყველა ეს აღმოჩენა ენაში უკვე მიმდინარე ან განვლილი პროცესის დადასტურებაა მხოლოდ.

ბუნებისმეცნიერებათა წარმომადგენლები მიეჩივივნენ ბუნებაში მოსახდენ ძვრათა წინასწარ ჭერეგას, ასე მაგალითად, ასტრონომებმა ასეული წლებით ადრე იციან როდის დაბნელდება მზე ან მთვარე; ფიზიკოსები წლებს გვისახელებენ, როდის დაიმორჩილებენ თერმოატომგულურ რეაქციას. ბიოლოგები გვიმტკიცებენ, რომ ისინი სულ ახლო მომავალში შეძლებენ გენების მართვას. ჩვენ, ენათმეცნიერები, ვერაფერს გეტყვით თუ რა გზით წარიმართება ქართული ენის განვითარება ხვალ. და არა იმიტომ, რომ არაფერს ვაკეთებთ და საერთოდ არაფერი ვიცით, არამედ იმიტომ, რომ ვიცით, ასეთია ჩვენი შესწავლის ობიექტი.

ჩვენ ვიცი, რომ ენას შენს გემოზე თავს ვერაფერს მოახვევ, თუმცა იგი ზოგჯერ საოცრად დამყოლია და ცვალებადია. ენა თან მეტად გამძლე და მაგარია (ფერეიდანში, სამნახევარი საუკუნის წინათ გადასახლებული ქართველები ქართულად ლაპარაკობენ) ამავე დროს საოცრად სუსტია და მერყევი (წალკაში ბერძნები თურქულად ლაპარაკობენ); ქართულმა ენამ ვერაფრით ვერ მოითმინა ნასესხებ სიტყვებში ორმაგი თანხმოვანი და, როგორც წესი, 'ყველა ქართული ენის ფონეტიკას დაუქვემდებარა: არ ვამბობთ და არც ვწერთ: „გრამმატიკა“, „კოლექტივი“, „ბაყალი“, „დალლაქი“ და სხვა. მაშინ როცა ინდოევროპულმა სომხურმა ქართველურ-კავკასიური ენებიდან თანხმოვანთა მთელი სისტემა ისუსხა და თითქმის „გაკაფ-კასიურდა“.

ყველა ნათქვამი და აუარებელი სათქმელი თვისებებია გასათვალისწინებელი, როცა ენის რეფორმაზე ვფიქრობთ.

„რეფორმის“ მომხრეებს მოაქვთ ზოგი, პირდაპირ რომ ვთქვათ, გულბრყვილო საბუთი რეფორმის შესაძლებლობის დასაცავად — რუსულიდან „იათი“ ხომ ამოაგდეს და ქართულიდანაც ხომ ბევრი ასო განდევნა ი. ჭავჭავაძემო.

აი, სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ბერელე ცოდნამ, უფრო სწორედ, უცოდინარობამ.

როცა რუსულიდან ზ-ს აძეებდნენ, აძეებდნენ არა ბგერას, რომელიც უკვე დიდი ხანია არ გამოითქმოდა, არამედ ასოს, რომელსაც ბგერითი სუბსტანცია არ გააჩნდა. ენათმეცნიერისათვის ეს ისეთივე საქმიანობაა, როგორც იმ დიასახლისის მოქმედება, რომელმაც გარდაცვლილი პაპის ჩექმები მეძველმანეს გაატანა, რადგან ოჯახში ამ ჩექმების ჩამცმელი (პატარა თუ დიდი ზომის გამო) არავინ ეგულებოდა.

ზუსტად ასე მოიქცა ი. ჭავჭავაძეც. მან ქართული სალიტერატურო ენის (ვიმეორებ, ქართული სალიტერატურო ენის) დამწერლობიდან (ვიმეორებ, დამწერლობიდან) განდევნა ამ ენისთვის უკვე ზედმეტი

ასოები და არა ბგერები. ბგერები, როგორც თვითონ ილიაც ამბობდა, უკვე დიდი ხანია აღარ ისმოდა სალიგერატურო ენის სამეცყველო კორელაგში (რისაც დაახლოებით საერთო-სახალხო ეროვნული ქართული ასრულებდა). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ი. ჭავჭავაძემდე ეს ფაქტი შენიშნეს ენათმეცნიერებმა ნ. და დ. ჩუბინაშვილებმა, პ. იოსელიანმა და სწორედ ამ ენათმეცნიერების დაკვირვებებზე დაყრდნობითა და საკუთარი ინტუიციის მოშველიებით იყო, რომ ი. ჭავჭავაძემ შეძლო წამოეწყო მეტად გაბედული ექსპერიმენტი. და ილიას წამოწყება წარმატებით დამთავრდა მხოლოდ იმიტომ, რომ საერთო-სახალხო სამეცყველო ქართულში კ, უ, მ, ა, შ, ჯ აღარ ისმოდა, თორემ, როცა დიალექტების მონაცემებს ვიწერთ ხოლმე, ამ ასოთაგან ზოგის (განსაკუთრებით კ-სა და ა-ის) გამოყენება დღესაც აუცილებლად გვეჭირდება. და მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ილიას რეფორმა მაშინვე გაიზიარეს წერის დროს, ვთქვათ, გურიაში თუ ბათუმში (საქართველოს უკიდურეს დასავლეთში). ქიზიყელმა გლეხმა კი (რომელიც ილიას მშობლიური სოფლიდან ოცდაათიოდე კილომეტრითაა დამორებული), კ მეცყველებში დღემდე შემონახა. და არა თუ ერთი, არამედ ათეულობით ილიები ვერაფრით აიძულებენ მას სხენაირად ილაპარაკოს.

ამავე დროს შეცდომებს ეფუძნება „რეფორმაგორების“ სხვა საბუთებიც, კერძოდ, იაკონური დამწერლობის რამდენიმეჯერ შეცვლის თაობაზე.

რად მივიღვართ ასე შორს. თვით ქართულმა ენამ ხომ დამწერლობის სამი სახე გამოიცვალა (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული)?

უფრო შთამბეჭდავია ამერბაიჯანული დამწერლობის მაგალითი. ამ ენაში ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე სამგზის შეიცვალა დამწერლობა. მე-20 საუკუნის ოციან წლებამდე ისინი იყენებდნენ

არაბულ ანბანს; მერე გადავიდნენ ლათინურზე, დღეს აზერბაიჯანულ დამწერლობას საფუძვლად უდევს რუსული ანბანი<sup>1</sup>.

ასო ისე არაფერს ამბობს ბგერის ბუნებაზე, როგორც, ვთქვათ, პალტო ვერაფერს გვეუბნება მისი პატრონის მნეობაზე და როგორც ერთი და იგივე პალტო, რა თქმა უნდა, მეტნაკლები ელემენტურობით შეიძლება მოადგეს რამდენიმე პირს, ასევე ერთი და იგივე დამწერლობა შეიძლება გამოადგეს სრულიად სხვადასხვა წყობის ენას. თავად ის ფაქტი, რომ არაბული დამწერლობა გამოიყენეს არაბების გარდა სპარსელებმაც და თურქებმაც – სრულიად სხვადასხვა ენობრივი ოჯახის წარმომადგენლებმა – ამკარად მეტყველებს იმაზე, რომ დამწერლობას არავითარი კავშირი არა აქვს ამა თუ იმ ენის სისტემის თავისებურებასთან. მსოფლიოში სამიათასამდე ენას ვარაუდობენ, დამწერლობა კი მხოლოდ რამდენიმე ასეულს თუ აქვს. და ეს რამდენიმე ასეული მხოლოდ ორ ათეულზე ნაკლებ ანბანს იყენებს.

ახლა საკითხი იმის შესახებ თუ რატომ უნდა შეიცვალოს ქართულ ენაში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ოცობითი თვლა ათობითი თვლით?

„რეფორმატორები“ ასეთი მოთხოვნების წამოყენებას ასაბუთებენ შემდეგი არგუმენტებით: 1. თურმე მოღარებებთან ურთიერთობისას ყველა ქართველი რიცხვს რუსულად ასახელებს; 2. საანგარიშოზე ანგარიშის დროს ბუღალტრებიცა და მათი მონათესავე პროფესიის ადამიანები რიცხვებს, აგრეთვე, რუსულად ასახელებენ; 3. ტელეფონის დისკზე ციფრების აკრეფის დროსაც რუსულად ვმეტყველებთ; 4. ოცობით თვლის დროს საერთოდ ძნელია თვლა და ანგარიში; 5. ქართული სკოლების მეორე კლასის მოსწავლეს არითმეტიკის შესწავლა უძნელდება იმის გამო, რომ ოცობით თვლა

<sup>1</sup> ახლა, როცა ეს წიგნი იბეჭდება, აზერბაიჯანლები ისევ დაუბრუნდნენ ლათინურ ანბანს.



არ შეესაბამება იმას, რასაც ეწერო. ბავშვი ხედავს სხვასა და ისმენს სხვას, ეს კი ძნელი გასაგებია მეორე კლასის ბავშვებისათვის.

რა შეიძლება ითქვას ამ არგუმენტებზე?

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მომხმარებლები – მაღაზიაში, მგზაურები – ტრანსპორტში, მაცურებლები საბილეთო სალაროებში რიგში მდგომნი და, საერთოდ, მოლარეებთან საქმის მქონე თბილისელები რიცხვებს რუსულად ეუბნებიან. ასეა, ალბათ, ჩვენი რესპუბლიკის მღვისპირა ქალაქებშიც და გაცილებით იშვიათად, მაგრამ მაინც საგრძნობ შემთხვევებში – ქუთაისშიც. თუმცა სრული სიცხადით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რაიონულ ცენტრებსა და განსაკუთრებით სოფლებში, რომლებიც რესპუბლიკის მოსახლეობის მეტ ნაწილს ქმნიან, მოლარესაც იმავე ენაზე ელაპარაკებიან, რა ენაზედაც თავად ლაპარაკობენ – ქართულზე.

ახლა ვიკითხოთ თბილისსა და მღვისპირა ქალაქებში რატომ ჰკარნახობენ ციფრებს მოლარეებს რუსულად. ვითომ იმიტომ, რომ ქართულად ეძნელებათ და რუსულად ეიოლებათ? არა გეგონია.

საქმე ისაა, რომ თბილისსა და მღვისპირა ქალაქებში, მრავალეროვანი მოსახლეობის გამო, მოგჯერ მოლარედ მის ქალი, რომელმაც ქართული ენა საერთოდ არ იცის. ამიტომ, დროის მოგების მიზნით, მომხმარებელი მოლარეს რუსულად უსახელებს საჭირო თანხას, რადგან დარწმუნებულია, მოლარემ ამდენი რუსული იცის და არაა დარწმუნებული, რომ მას ქართულად აუცილებლად გაუგებენ.

ერთი სიცყით, მომხმარებელი, უბრალოდ, საქმეს იიოლებს.

ახლა მოანგარიშებზე. მოანგარიშებს მართლაც გაუჭირდებოდათ საქმე ქართულად კარნახის შემთხვევაში, ე.ი. მაშინ თუ ისინი დაწერილ რიცხვებს ვერ დაინახავდნენ და ანგარიში მოუხდებოდათ რიცხვების ქართული დასახელების მოსმენის შემდეგ, მაგრამ ჩვეულებრივ ხომ ასე არაა?

ჩვეულებრივ მოანგარიშეს წინ უღევს ქალაქი დაწერილი რიცხვებით, რომელთა შემადგენელი ციფრების თანმიმდევრობა აბსოლუტურად ემთხვევა საანგარიშოზე მოცემულ რიცხვს. ასე, მაგალითად: ეთქვათ, საჭიროა შეეკრიბოთ 367 და 454. მოანგარიშეს ხომ არავეითარი დაბრკოლება არ ელოდება. იგი ჩამოდის ჯერ ასეკლების რიგში სამ კოჭს, მერე ათეულების რიგში – 6-ს და ბოლოს, ერთეულების რიგში 7-ს. რასაც უმატებს მეორე რიცხვს იმავე თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც უწერია ქალაქდზე.

სხვა საკითხია, თუ მოანგარიშე ანგარიშის დროს იმეორებს კიდევ რიცხვებს, იგი მაშინ მართლაც ამჯობინებს რუსულად ლაპარაკს. მაგრამ, ჩვეულებრივ, ხომ ასეთი საჭიროება არაა.

ისივე გათვალისწინებულია, რომ საბუღალტრო საქმეში მანქანების გამოყენებამ ამ პროფესიის ადამიანთა მონაწილეობა რიცხვებზე მოქმედებაში თითქმის გამოორიცხა და ეს მიზეზიც თავისთავად იხსნება.

რაც მოანგარიშებზე ითქვა, იგივე ითქმის ტელეფონის დისკზეც ციფრების აკრეფასთან დაკავშირებითაც. თუ ტელეფონის ნომერი გვიწერია (ასეა ეს აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში), მაშინ ხომ არავეითარი წინააღმდეგობა არ გვხვდება? და თუ არ გვიწერია, კარნახი იქნებ მართლაც რუსულად ვამჯობინოთ.

მაგრამ თუნდაც ყველაფერი ისე წარმოვიდგინოთ, როგორც ამას „რეფორმატორები“ გვიხატავენ: დავეუშვათ, რომ მოანგარიშეები, მოლარეები, ტელეფონის ნომრების ამკრეფები რიცხვების წარმოთქმას რუსულად ამჯობინებენ და მაინც რამდენ პროცენტს შეიძლება შეადგენდეს ეს ტექსტები იმ საერთო რაოდენობისა, რაც მოსალოდნელია ქართულ ენაზე რიცხვებთან ურთიერთობისას სხვა დროს წარმოითქვას? ეს პროცენტი ხომ ერთმეათასედს არ გადა-  
 მორდება. ამას გარდა, ხომ იმასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ ქართულ ენაზე მოლაპარაკე საერთო მასის ნახევარზე მეტმა

რუსული არ იცის და ძნელია თუ მარტივი, რიცხვებს ყველა შემთხვევაში ქართულად წარმოთქვამს?

შემდეგი არგუმენტი ისაა, რომ თურმე ოცობით თელა და ანგარიში საერთოდ ძნელია, ათობით – უფრო იოლი.

ვფიქრობ, ეს არგუმენტიც საფუძველს მოკლებულია საერთოდ, თეორიულად.

როგორც ცნობილია, ანგარიში ასის ფარგლებში არითმეტიკის საფუძველთა-საფუძველია, იგი აუცილებელია ყოველგვარი მათემატიკური გაანგარიშების დროს. თუ ჩვენ იმის მტკიცებას დაეიწყებთ, რომ ოცობით თელა და ანგარიში ძნელია, ხოლო ათობით – იოლი, მაშინ ისიც უნდა ვამტკიცოთ, რომ ის ხალხები, რომლებიც ოცობით ითვლიან უნდა ჩამორჩებოდნენ მათემატიკური დისციპლინების ცოდნა-ათვისებაში და პირუკუ. ასეთი მტკიცებისათვის კი საფუძველი არა გვაქვს. მიუხედავად ოცობით თელისა, ქართული მათემატიკური სკოლა, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა იმავე „რეფორმატორების“ წყალობით, მთელს მსოფლიოშია ცნობილი.

ენახოთ თვით უმარტივესი მოქმედებები ასის ფარგლებში და შეეუდაროთ იგი რუსული ენისას. დაეიწყეთ თვლით. რომელი თელის სისტემაა უფრო ადვილი ასის ფარგლებში? ვფიქრობთ – ოცობითი. აი, საბუთიც: როცა ოცზე მეტ საგანს ვთვლით ჩვენ, ქართველები, ასე ვიქცევით: ჯერ ვთვლით ოცამდე და მერე ვიწყებთ თავიდან, ყოველი დათვლილი ოცის დახსომებით და ასე ვაგრძელებთ ასამდე.

ახლა ენახოთ რუსულად: თუ თელას ათზე შევწყვეტთ და ყოველ ათეულს დავიხსომებთ, რა თქმა უნდა, უფრო რთული ამოცანის წინაშე აღმოვჩნდებით. რადგან ასამდე თელისას მოგვიხდება ცხრა ათეულის დახსომება, ცხრაჯერ გაწყვეტა თელის თანამიმდევრობისა, უკან დაბრუნება და ისევ დაწყება. მაშინ, როცა ქართულად თელისას ასეთი მოქმედების ჩატარება მოგვიხდებოდა მხოლოდ ოთხჯერ. ოცი სწორედ ის რიცხვია, რომლის მეტიც ძნელი

დასამახსოვრებელია, ხოლო ნაკლები, ვთქვათ, ათი, თავისთავად — იოლი, მაგრამ როცა მისი რიცხვი რვა-ცხრამდე აღის გაცილებით ძნელი, ვიდრე სამი ან ოთხი ოცეულსა.

ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონო ჩემი პირადი დაკვირვება. როცა ქართველი კაცი თელას იწყებს და დასათვლელი აქვს ოცეუ გვეით. როგორ კარგადაც არ უნდა ფლობდეს იგი სხვა ენას, ვთქვათ რუსულს, თელის დროს მაინც ქართულად მეტყველებს და რიცხვებსაც ქართულს ასახელებს, ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ ოცამდე დაითვალოს და მერე ყოველი ოცი დაიმახსოვროს.

ახლა ოთხი მოქმედების შესახებ. ფაქტია, რომ ოთხი მოქმედებიდან (მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა) ყველაზე ხშირად ენაში მიმატება ფიგურირებს და, თუ ზეპირად ვუმატებთ, ეს მოქმედება სწორედ ოცობით თელისთვისაა მეტ გამოჭრილი.

ნათქვამს გარდა არსებობს უამრავი საბუთი იმისა, რომ „რეფორმატორების“ მოთხოვნა უსაფუძვლოა და უპერსპექტივო. ვთქვათ, მართლაც შევძელით ოცდაათი, ორმოცდაათი და ყველა დანარჩენი (ოცის შეცვლას კი „რეფორმატორებიც“ არ მოითხოვენ) შეგვეყვალა რამე ახალი სიტყვებით, ხომ უნდა გვეფიქრა იმაზედაც, რით შევეცვალოთ ისინი.

თუ რუსულ თელას ავიღებდით ეგალონად, ჯერ უნდა გვეთქვა ათეულები და მერე ერთეულები, ასე მაგალითად, 30-ს დაერქმეოდა „სამი ათი“, 37-ს — „სამი ათი და შვიდი“. მხედველობით აღქმისთვის ეს უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ამ რეფორმას საღ გავატარებდით, ალბათ, ჯერ სკოლაში და რა გამოვიდოდა: სახლში ბავშვი ისმენს ორმოცდაჩვიდმეტს, სკოლაში „ხუთ ათს და შვიდს“, თავი რომ დავანებოთ დღემდე შექმნილი ლიტერატურის გაგების საქმეში ხელოვნურად შექმნილი სიძნეულების დაშვებას.

თვით რუსული, რომელიც ქართულის რეფორმის მიზმი და მისაბაძი გახდა, არის თუ არა იდეალური ენა სათქმელისა და ნათქვამის ურთიერთობის თვალსაზრისით? როგორ ვლაპარაკობთ

რუსულად? 30 – გრიცაგ; 40 – სოროკ; 50 -პიღისიაგ; 60 – შესღესიაგ; 70 – სემღესიაგ; 80 – ვოსემღესიაგ; 90 – ღვეიანოსტო. როგორც ვხეღავთ, 7 ღასახელებიღან ორი – ღვეიანოსტო ღა სოროკ არაღეითარ კაემირში არაა 90-სა ღა 40-თან. აქ რუსების მღგომარეობა ჩვენზე უარესია. რაც შეეხება გრიცაგსა ღა პიღისიაგს – ესენიც ბვერს ვერაფერს მიგვანიშნებენ თაღიანთი რიცხვითი გამოხატულების ღასასახელებღად, რაღგან პიღისიაგში პიაგ+ღესიაგ აღარ ისმის, არც გრიცაგი ჰგავს გრი+ღესიაგს ღა ღარჩენილი სამი ღასახელების 60-ის, 70-ისა ღა 80-ის გულისთვის რეფორმის ჩაფიქრებას, ვგონებ, არა ღირს.

მაგრამ მთაღარი მანიც ისაა, რომ ენა არ მიიღებს თაესმოხვეულ ფორმებს, ყვეღა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ღა ჩვენი წინააღმღეგობაც ამ მიზეზების გათვალისწინებას ემყარება.

ჩვენ, ენათმეცნიერები, ვაღღებულნი ვართ ვთქვათ ეს, არა იმიგომ, თითქოს კონსერვატორები ვიყოთ ღა ვცდილობღეთ ენა ღაღიყვათ რეფორმებისგან, არამეღ იმიგომ, რომ თქვენზე, მათემატიკოსებზე, უკეთ ვიცნობთ ჩვენს პაციენტს ღა უკეთ ვიცით იგი აეღაღა თუ არა, თანაც ვაღღებული ვართ გაგაფრთხილოთ – ნუ გასწვეთ უმიზნო შრომას!

## 2. ქართული ენის დასაცავად<sup>1</sup>

აქ გამოსული მომხსენებლები და მოკამათეებიც ისეთი საკითხების გარშემო ლაპარაკობდნენ, რაც მათ ყველაზე უფრო აღელვებდათ, თანაც ამ საკითხთა გარშემო კამათის უფლებას მათი პროფესიული ინტერესებიც განაპირობებდა.

მეც ამ გზით წაეალ: შევეხები ისეთ საკითხებს, რომლებიც მაწუხებენ, როგორც ქართველს და რომელთა გარშემო აზრის გამოთქმის საშუალებას მაძლევს ჩემი სპეციალობა.

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ უკანასკნელ ნომერში (14.III. 1980წ. № 11) გამოქვეყნდა გურამ ასათიანის წერილი – „შენი სიბერე – სიახლე ორბის“. როგორც ავტორი გვატყობინებს, წერილი ყოფილა ბოლო თავი გამოკვლევისა – „სათაყეებთან“ – რომელშიც არის ცდა ქართული ხასიათისა და ქართველთა ესთეტიკური ბუნების გარკვევისა.

თუ რა ქმნის ქართულ ეროვნულ სულს, რა ამოძრავებდა და ამოძრავებს ჩვენს ესთეტიკურ ვნებათაღელვებს, ალბათ, წერილის გამოუქვეყნებელ ნაწილშია აღნუსხულ-გამომზეურებული, თუმცა გამოქვეყნებულ ნაწილშიც არაერთი ნიშანთვისებაა ჩამოთვლილი

---

<sup>1</sup> სიტყვა წარმოთქმული 1980 წლის 20 მარტს, ხელოვნების მექანიკის სახლში, მწერალთა კავშირისა და შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ჯაერთიანებულ სხდომაზე.

და გაანალიზებული, რომლებიც ქმნიან ქართველთა სულიერ იერ-სახეს.

მაგრამ გ. ასათიანის ამ მეტად ფართოდ მოფიქრებული წერილის გულდასმით შესწავლას მიეყავართ იმ დასკვნამდე, რომ ავგორის მიზანი იყო არა მხოლოდ ქართული ეროვნული სულის ხატისმიერი მოდელის შექმნა, არამედ თქმა იმისაც, რაც ამერიკელმა, ახალგაზრდა მწერალთა ბათუმის შეკრებაზე, თავის ბეზიას ათქმევინა; მერე კი სრულიად სხვაგან (ვაქა-ფშაველას მშობლიური სოფლიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით) და სხვა ვითარებაში (როცა სოფლის ახალ თავეკაცს ლოცაუდნენ) ერთმა ახალგაზრდამ სიგყვა-სიგყვით გაიმეორა.

თავეკაცსო – ამბობს გ. ასათიანი – ზოგმა რა უსურვა და ზოგმა რა. იმ ახალგაზრდამ კი: „ყველაფერი ეს კარგია, აუცილებელია; ყველაფერი უნდა იღონოთ სიცოცხლის გადასარჩენად, გასახანგრძლივებლად, გასაიოლებლად, მაგრამ მთავარია, სული გადარჩეს“.

ღიახ, მთავარია, სული გადარჩეს. გადარჩეს ქართული სული, ის, რაც ქართველს ქართველად აქევეს, მას სხვა ერისგან გამოარჩევეს.

მაგრამ წერილის ავგორმა სათქმელი ბოლომდე არა თქვა. არა თქვა ის, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო და აუცილებლად უნდა თქმულიყო: კერძოდ, რას უნდა გავუფრთხილდეთ, რათა ქართული სული გადაეარჩინოთ; რა ძერწავეს და შემდეგ აღუდაბებს ქართული სულის შემქმნელ იმ ჩუქურთმებსა და ბალავარ-საყრდენებს, რომელთა განუყრელი მთლიანობა ქართველკაცურ ფენომენს ქმნის?

ამ კითხვას კი ამომწურავი პასუხი გასცა ყველა ღროის უდიდესმა ენათმეცნიერმა ვილჰელმ ჰუმბოლდტმა.

აი, რას წერს იგი: „ამა თუ იმ ხალხის სულიერი თვითმყოფობა და ენობრივი წყობა იმდენად ღრმადაა გადახლართული ერთმანეთში, რომ არსებობს რა ერთი, მეორე გამოიყვანება მისგან... ენა ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხალხის ეროვნული სულის

ვარეგანი გამოვლენა. ენა ხალხისა არის მისი სული, ხოლო ხალხის სული არის მისი ენა“.

ახლა კი ცხადია, ქართული ეროვნული სულის ამირანივით გამძლეობის ნიშანსევეგი ქართული ენის ჯადოსნურ ხვეულებში უნდა ვეძიოთ და იქნებ ამ თვალსაზრისით ბევრის მიმნიშნებელი იყოს ის ფაქტი, რომ ქართულ ენას ჰიმნი ჯერ კიდევ X საუკუნეში უძღვნა პოეტმა-ჰიმნოგრაფმა იოანე ზოსიმემ.

ქართულ ხასიათში გ. ასათიანმა შენიშნა მეტად საინტერესო ფენომენი – ჩვენი ეროვნული კულტურის მონაპოვართა კარლიაობისა, ეროვნული შემოქმედებითი ძალების მიერ შექმნილი ფასეულობის გატანისა და სხვათა შექმნილი ფასეულობის შემოტანისადმი მუდმივი ლტოლვისა, იმის უშიშრად, რომ სხვებში გავითქვიფებოდით, ან სხვებს ჩავეყლაპეთ.

მაგრამ გ. ასათიანი რატომღაც არ აცნობიერებს ჩვენი ასეთი აღებშიცემობის შესაძლებლობის მიზეზს, თუმცა ამ მიზეზის დანახვას ბევრი ძალისხმევა არ სჭირდებოდა – ეს იყო ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობისაგან მონიჭებული ძალა, რომელიც ეროვნულობის ძირითად საძირკველს – ენას ეყრდნობოდა.

დღეს ძნელია იმის თქმა, იყო თუ არა ქართული ენა ყველაზე უფრო მდიდარი და სრულყოფილი იმ ენათა შორის, რომელთა მაგარებული ხალხების ხსენებაც კი გაქრა დედამიწიდან, მაგრამ ფაქტი ფაქტია: ქართული ენა გადარჩა და მან გადაარჩინა ქართველი ერი.

ქართული ენის ძლიერებასა და გამძლეობაზე მიუთითებს მრავალი რამ, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ დოკუმენტურად დადასტურებული ოცზე მეტ საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველებმა არაერთხელ დაეკარგეთ სახელმწიფოებრივი მთლიანობა, მაგრამ არასდროს დაგვიკარგავს ენობრივი დამოუკიდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში საუკუნეების განმავლობაში ბატონობდნენ ირანელები, ბერძნები, არაბები, სელჯუკები, მისლამალები,



თურქები, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ორი-ოლ ბილინგვა, ისიც არაქართული. ე.ი. ქართველი კაცის წინაშე ქართველობის დაკარგვის საშიშროება არასდროს ყოფილა. იმიტომ რომ ქართული ენის სიცოცხლეს არავენ დამუქრებია. მომსვლელი და დამპყრობელი ჩქარა და აუცილებლად სწავლობდა ქართულსა და ეგუებოდა ქართულ ხასიათს. ამის შესანიშნავი დადასტურებაა არაბეთიდან ჩამოსული ყმაწვილი აბო თბილელის ცხოვრება და მრავალი სხვა ფაქტი. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ ქართველთა მწე-ჩვეულებებს ანგარიშს უწევდა და ქართულ ენას პატივს სცემდა ცოტად თუ ბევრად განათლებული ყველა რუსი მთავარმართებელი და მეფისნაცვალი, რომლებიც საქართველოში მსახურობდნენ. ვორონცოვი კი, როგორც ცნობილია, ქართული ენის შესწავლას მოითხოვდა საქართველოში მომსახურე ყველა მოხელისა და მისი ოჯახის წევრებისაგან. ამის შედეგი იყო, რომ არაერთმა რუსმა მოხელემ შეისწავლა ქართული და შეისისხლხორცა ქართული სული.

კი არ გაქართველებულან, არა! რუსებად დარჩნენ, მაგრამ ქართველისა და ქართულის პატივისმცემლებად.

სამწუხაროდ, დღეს თქვენ ნახავთ ათასობით და ათიათასობით არაქართველს – საქართველოში დაბადებულსა და გაზრდილს – რომელთაც ერთი სიტყვა არ იციან ქართული. არც სკოლებში ავალებენ მათ ქართულის შესწავლას, რადგან იგი საგამოცლო ნიშანში არ შედის და... შენ იბულებული ხარ ასეთ მემობელს მის ენაზე ელაპარაკო!

ერთი სიტყვით, სტუმარი მოდის შენ გვერდით, შენს მიწაზე სახლდება და იმითაც არ იწუხებს თავს, შენთან ურთიერთობისთვის შენი ენა ისწავლოს, პირიქით, შენ გაიბულებს მის ენას დაეუფლო.

ჩვენ, ქართველებს, არსად და არასდროს არავეისი ენა არ ჩაგვითვლია უღირსად, პატივს ვცემდით ყველა მემობლისა და მგერმოყვრის ენას.

ქართველი ყოველთვის ცდილობს უცხო პირის თანდასწრებით მისთვის გაუგებარ ენაზე არ ილაპარაკოს — ეს განსაკუთრებით ეხება რუსულს.

ჩვენ ყოველთვის კარგად ვხედავდით რუსული ენის ცოდნის საჭიროებას და ახალგაზრდობას მოუწოდებდით ამ ენის დაუფლებისაკენ. ამას გვასწავლიდნენ ჩვენი გამათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლები: ილია, აკაკი, იაკობი.

რუსული ენის საჭიროება და მნიშვნელობა არანაკლებად კარგად გვესმის ქართველებს დღეს. ჩვენ სხვებთან ერთად ვაცხადებთ, რომ რუსული ენა ჩვენი შიდასაკავშირო საერთაშორისო ენაა, მაგრამ იგულისხმება ეს მაშინ, როცა გავალთ საქართველოს საზღვრებიდან, ან კერძო პირი სტუმრად ღებულობს კერძო პირს და მას იმ ენაზე ელაპარაკება, რომელიც ორივემ იცის და ორივეს ესმის.

ჩვენ პირველები მოვითხოვეთ რუსულის კარგად სწავლებას ქართულ სკოლებში და იმაზეც თანახმა ვართ, რომ რუსული დაწყებითი კლასებიდან ისწავლებოდეს (თუმცა აშკარაა, ამის გამო ქართველ ბავშვს გაცილებით დიდი ენერჯის ხარჯვა სჭირდება, ვიდრე რუსს, ქართველი ხომ მშობლიურის გარდა ორ უცხოურ ენას სწავლობს, რუსი ბავშვი კი — ერთს), მაგრამ როცა საკითხს ისე აყენებენ, თითქოს ქართველს რუსული ისევე სჭირდებოდეს, როგორც ქართული, ეს სიყრუეა, გყუილია და ამ აზრს მხარს ვერ დავუჭერთ.

უფრო მეტიც, დღეს ხშირად გაიგონებთ ასეთ გამოთქმას: *რუსული ენა ქართველთათვის მეორე მშობლიური ენაა* — მე აშკარად ვაცხადებ, ასეთი აზრი ქართველი ერის ღალატია, ამ მოსაზრებაში იბადება შორსგამიზნული ბოროტი სურვილები: ორი მშობლიური ენის ქონების პირობებში ერთ-ერთზე ხელის აღებისა!

აბა, ცოცხალი პერსპექტივაში განვჭვრიტოთ: ქართველს, ისე როგორც ყოველ ერს, დღეს აქვს ერთი მშობლიური ენა — ქართული.

მას ეუბნებიან: — თქვენთვის მეორე მშობლიური უნდა იყოს რუსულიო.

გეკითხებით: — რაგომ?!

თუ ქართველი ურუსულოდაც შესანიშნავად გრძნობს თავს ბარი-სახოსა და სურებში, ხულოსა და ჩუმლაყში, რაგომ უნდა გადაგვი-რთოს მან თავისი გონებრივი შესაძლებლობა?! მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რაგომ უნდა ვურჩევდეთ ჩვენ ამას. თუ მას რუსული ან რომელიმე სხვა ენა სჭირდება თავად ვერ დაინახავს ამ საჭი-როებას?

ვიღაცეები ახლა ამბობენ, რომ ეს საკითხი სამხედრო სამინისტრომ წამოჭრაო; თითქოს ამ უწყების ხელმძღვანელობას ეთქვას, რომ თანამედროვე სამხედრო გექნიკის შესწავლა რუსული ენის ცოდნას მოითხოვსო.

მე მგონი, ეს ე.წ. „მოსაზრება“ წმინდა წყლის ჭორია, რადგან ჩვენ კარგად ვიცით, რომ სამამულო ომამდე ქართველმა ახალგაზრ-დობამ გაცილებით ცუდად იცოდა რუსული, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია საკმაოდ რთული გექნიკა აეთვისებია და რუსულ მიწაზე თავი დაედო. და ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ ასეულ ათასობით ბრწყინვალედ მორუსულენი მგრის მხარეზე გადადიოდ-ნენ მათთან პირველი შეხვედრისთანავე.

ასე, რომ, ქვეყნის დასაცავად ენის ცოდნა კი არაა აუცილებელი და საკმარისი, არამედ — გული, გონება და განწყობილება.

მამ, საიდან გაჩნდა ქართულის გვერდით რუსული, მეორე მშობლიურ ენად გამოცხადების საჭიროება? მხოლოდ იქიდან, რომ ძალიან ხშირად თბილისში თუ ქუთაისში, სამტრედიამი თუ სიდ-ნალში, კასპში თუ ჩოხატაურში — თითქმის ასპროცენტთან ქართულ აუდიტორიას რუსულად ელაპარაკებიან.

რაგომ ხდება ასე, რით ხსნიან ეს ამხანაგები ამ საოცარ ანგინა-ციონალურ ქმედებას? — თათბირებზე თუ ჩვეულებრივ შეკრებულო-ბაზე ოფიციალური რუსი წარმომადგენლის ყოფნით და, ალბათ,

ომითაც, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერეთ: – საქართველოს ტერიტორიაზე ქართულის გვერდით თავისუფლად გამოიყენება რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვა.

ეს, მართლაც, ასეა, კონსტიტუციით საქართველოში თავისუფლად უნდა იხმარებოდეს და იხმარება აქ მცხოვრები ხალხების ენები, მაგრამ ხომ უნდა გვეჩინდეს რაღაც სტატუსი იმის ცხადყოფი რომ საქართველოში სახელმწიფო ენად აღიარებულია ქართული?!

ახლა განესაჯოთ ფაქტი: აბსოლუტურად უმრავლეს ქართულენოვან აუდიტორიას, რომელთა, აგრეთვე, აბსოლუტურ უმრავლესობას რუსული არ ესმის, ელაპარაკებიან მათთვის გაუგებარ ენაზე მხოლოდ რამდენიმე დამსწრის, აბსოლუტური უმცირესობის ხათრითის – ეს ხომ დანაშაულია ყოველნაირად.

მაგრამ ეს გოცაა. თითქმის ყველა სამინისტრო, აღარაფერს ვამბობ პარტიულ ორგანიზაციებზე, მიმართებს რაიონებში რუსულად გზავნის, რაც აუცილებლობით გულისხმობს რუსული ენის კარგად მყოფად შტაბის ყოფას.

უფრო მეტიც, იმისათვის, რომ თქვენ ასე თუ ისე კარგი თანამდებობა მიიღოთ, რუსული უნდა იცოდეთ და მეტწილად სპეციალისტის კომპეტენტირობასაც რუსული ენის ცოდნის დონით საზღვრავენ. ის კი ავიწყდებათ; რომ საბჭოთა კავშირში ორას მილიონზე მეტმა კაცმა იცის რუსული, თითქმის ყოველ ქართველზე უკეთ, მაგრამ ამის გამო მათი კარგი სპეციალისტებად გამოცხადება არავის უფიქრია.

მაინც რატომ გვეჩვენება, რომ ქართული ენის გვერდით რუსული ენის მეორე მშობლიურ ენად გამოცხადება საწამლაენარევი ტკბილი სასმელია ჯერ გონების დასაბინდავად და მერე სამუდამოდ დასაძინებლად?

ჯერ ერთი, ორი მშობლიური ენა ისევე ფიქციაა, როგორც ორი მშობელი. მშობლიური ენა ისევე ერთია, როგორც ერთია მშობელი და მეორე მშობლიური ენა იმას ესაჭიროება, ვისაც რაღაცის გამო

ან დაეიწყებია, ან დააეიწყეს ნამღვილი მშობლიური. მაგრამ მშობელთან შედარება აქ მთლად ზუსტი არაა. ბაემეი, რომელმაც ნამღვილი მშობლის გვერდით მეორე იმშობლა (უფრო სწორად, გამშრდელიც მშობლად მიიღო), მეტწილად მოგებულია ეკონომიური მხრით მაინც.

მეორე მშობლიური ენის აღიარებისას კი სწორედ ეკონომიური საკითხი დადგება და გვეტყვიან: რად გინდათ ნაციონალური სკოლები, ბიბლიოთეკები, უმაღლესი სასწაველებლები, წიგნები და გაზეთები, უფრო ეკონომიური არ იქნება, ისწავლთ რუსულად, წეროთ რუსულად, იკითხოთ რუსულად, არ თარგმნოთ არაფერი და არ ბეჭდოთ არაფერი განსხვავებული შრიფტით?

ღიახ, რა თქმა უნდა, უფრო ეკონომიური იქნებოდა! და ამ ადამიანებს, რომელთაც ყოველი ადამიანური მხოლოდ ეკონომიური ფასეულობის ენაზე გადააქვთ, რასაკვირველია, არაფრად უღირთ თქვენი ქართული ეროვნული სულის დაკარგვა.

არა მგონია, ვისმესთვის იყოს საჭირო იმის მტკიცება, რომ ერი, რომელმაც თავისი ენა დაკარგა და სხვა ერის ენაზე დაიწყო ლაპარაკი, გადაგვარდა მაშინვე ეროვნულადაც. ამის მაგალითად ჩვენში, საქართველოში, მცხოვრები წალკელი ბერძნები გამოდგებოდნენ: თურქულმა ენამ, ამ ოდესდაც მოწინავე ერის ერთი ნაწილი მეტად დაბეჩავებულ მდგომარეობაში ჩააგდო. ანდა ის რად ღირს, რომ ქართველობა შეინარჩუნეს ირანის იმ სოფლების მცხოვრებლებმა, რომელთაც ენა არ დაკარგეს.

ჩვენ ძალიან ხშირად გვეუბნებიან: ყოველგვარი შიში ქართული ენის დაკარგვისა და, ამდენად, ეროვნული სულის გაქრობისა ტყუილი შიშია. ამის საწინდარია ამდენი ქურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვა ლიტერატურა, რომელიც ქართულ ენაზე გამოღისო.

ეს მართლაც ასეა ღღეს. მაგრამ, როცა ყველა ქართველს ქართულის გვერდით რუსულის ცოდნასაც ისევე ვთხოვთ, როგორც ქართულისა და (ღმერთმა არ ქნას) ეს რომ მართლაც მოხდეს, მაშინ თავისთავად დადგება საკითხი კვლავ და კვლავ იმ „მშობლის“

არჩევისა, რომელთან ახლოს ყოფნაც ეკონომიურ უპირატესობას მოგვეცემს.

და არ ფიქრობენ ამ „თეორიის“ მესვეურები, რომ ლამის ორასმილიონიან რუს ხალხს არაფერს მიმატებს ოთხ მილიონამდე ქართველის გარუსება. რუსი ხალხი მხოლოდ ოთხი მილიონით მეტი იქნება, მსოფლიო კულტურას კი მოაკლებს ერთ უმშვენიერეს ყვავილს იმ დიდი თაიგულისას, რაც ამდენი ხნის დაულაღავი შრომით. იქმნებოდა და რამაც მომავალში კიდევ უფრო დიდი სურნელება უნდა გვაგრძნობინოს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ „მეორე მშობლიურის“ ცნება გაჩნდა მას შემდეგ, რაც ქართველი ახალგაზრდობის თავგანწირვის წყალობით კონსტიტუციაში ჩაეწერეთ: — საქართველოში სახელმწიფო ენად ქართული ენა ითვლება!

ზოგიერთებმა კარგად იციან ქართველი ხალხის ეროვნული ნაკლი — ცხოვრებისეული წინდაუხედაობა და პოლიტიკური სიბეცე.

მე ასობით მინახავს ქართველი კაცი, რომელიც ოჯახიდან ათასებით წასულა და ისე დაუხარჯავს ეს თანხა, უკან დასაბრუნებლად მატარებლის ბილეთის ფულიც არ დარჩენია. აგრეთვე, ასეულობით მინახავს რესტორანში მჯდომი ქართველი, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდა ძღვენს, იქიდან გამოსვლის დროს კი ოფიციანტს საათს უგირაეებდა — ნახარჯის გასასტუმრებლად ფული აღარ ჰყოფნიდა.

ერთი სიგყვით, არა ბედოვლათობა და უყაირათობა, არამედ ცხოვრებისეული წინდაუხედაობა (რაც სახელმწიფოებრივ დონეზე პოლიტიკურ სიბეცეში გამოიხატებოდა) გვჭირდა ქართველებს მუდამ.

სწორედ ეს სიბეცე იყო იმის მიზეზი, რომ მე-13 საუკუნის დასაწყისში ერთი ხელის მოსმით გაგვიცამტკეერეს ის, რაც ორასი წლის მანძილზე ამენეს ჩვენმა წინაპრებმა აურწყავი ოფლისა და სისხლის საფასურად; ეს წინდაუხედაობა ჩვენ ექვსი საუკუნის უბედურებად დაგვიჯდა და კინაღამ იმის გამო გადამენების პირად

მიველით; წინდაუხედაობამ მიგვიყვანა ჩვენ მარაბდის ველზე და ცოგათი ადრე ასეულ-ათასობით ქართველი სპარსეთში გადაგვისახლა; წინდაუხედაობამ მოგვიელინა ჩვენ კრწანისის ტრაგედია და უფრო გვიან უარეს დღეში ჩაგვეყარა.

ღიას, იციან რა ჩვენი წინდაუხედაობის ამბავი და ისიც, რომ ერთი გაღიმებისა და საქებარი სიტყვის გულისთვის მზად ვართ საკუთარი კოსტუმი გავიხადოთ და სტუმარს ჩავაცვათ, გვეუბნებიან: რუსულ ენას თუ მეორე მშობლიურ ენად იქცევთ, ეს ისევე თქვენთვის იქნება უკეთესიო! უფრო სწორად, კი არ უნდა ვაქციოთ, იგი უკვე მიაჩნიათ ასეთად.

მე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ქართველთათვის რუსული ენის მეორე მშობლიურ ენად გამოცხადება, იდეოლოგიური თვალსაზრისით, მარქსისტულ-ლენინური ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაა; პოლიტიკური თვალსაზრისით თანამედროვე მსოფლიო გლობალური მოვლენების სრული შეუფასებლობა; ხოლო მეცნიერული თვალსაზრისით – უბრალოდ აბსურდია, ფილოსოფიისა და ენათმეცნიერების ანბანური ჭეშმარიტების უცოდინრობაა.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ქართველთათვის რუსული ენის მეორე მშობლიურ ენად მიჩნევა თავისთავად აუქმებს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული 75-ე მუხლის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც საქართველოში ქართული ენა სახელმწიფო ენადაა გამოცხადებული.

თუ შევაჯამებდით, ჩვენი დებულებები ასეთ სახეს მიიღებდა:

1. ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ რუსული ენის ცოდნის (საერთოდ, ენების ცოდნის) გარეშე ახლა ძალიან ძნელია თანამედროვე მეცნიერული მიღწევების დაუფლება. ამიტომ ვისაც გადაუწყვეტია მოღვაწეობა მეცნიერების სფეროში ან აპირებს სამუშაოდ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ წავიდეს, მისთვის რუსული ენის ცოდნა საჭირო და აუცილებელი იქნება, მაგრამ არავის არა აქვს უფლება სხვა პიროვნება აიძულოს აკეთოს ის, რაც

მას მიზანშეწონილად ეჩვენება – საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად რა და რისთვის სჭირდება, უნდა გადაწყვიტოს თავად პიროვნებამ;

2. ჩვენ მივესალმებით ყველა ღონისძიებას, რომელიც ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების უკეთ დაყენებას ემსახურება;

3. მოვითხოვ შემუშავებული იქნეს კანონი იმის განსასაზღვრად, თუ როდის და რა შემთხვევაში იქნეს გამოყენებული საქართველოს ტერიტორიაზე მომხსენებლის და მოკამათის ენად არაქართული ენა. ამ კანონის პროექტი ქართველმა მწერლებმა-დეპუტატებმა წარუდგინონ საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიას დასამტკიცებლად.

## კანონპროექტი

### საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის ცხოვრებაში გატარების შესახებ

საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გაერთიანებული სხდომის მონაწილენი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-2 სესიაზე დასამტკიცებლად შეიგანენ კანონპროექტს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის ცხოვრებაში განუხრელად გატარების თაობაზე შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლით საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარებულია ქართული ენა, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩატარებული ყოველი შეკრებულების (სასოფლო საბჭოების, რაიონული და საქალაქო საბჭოების, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, პარტიულ და პროფკავშირული ორგანიზაციების ყრილობები, პლენუმების, ბიუროების, თათბირების, ყოველგვარი კრებებისა და საერთოდ ყოველგვარი ოფიციალური თავყრილობების) დროს ძირითადი მომხსენებლის, თანამომხსენებლისა და მოკამათეთა სავალდებულო ენად მიჩნეულ



იქნეს ქართული. რა თქმა უნდა, მშობლიურ ენაზე გამოსვლის უფლება მიეცეს ისეთ მოკამათესაც, რომლის ენა ესმის დამსწრეთა მესამედს მაინც და თავად მოკამათემ ნამდვილად არ იცის ქართული ენა.

2. საქ. სსრ დაქვემდებარების ყველა ორგანიზაციის ძირითად სამუშაო ენად მიჩნეული იქნეს ქართული და უზრუნველყოფილი იქნეს შიდარესპუბლიკურ ორგანიზაციათა შორის მიმოწერა ქართულ ენაზე.

3. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საკაემირო დაქვემდებარების ორგანიზაციათა ყველა დოკუმენტი ძირითადი სამუშაო ენის გარდა შედგენილ იქნეს ქართულად და საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ორგანიზაციებთან მათი მიმოწერა უზრუნველყოფილ იქნეს ქართულად.

შენიშვნა: ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება ამიერკავკასიის ოლქის ჯარების დოკუმენტაციაზე.

4. საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული ყოველი სამეცნიერო-კულტურული და სამეურნეო მნიშვნელობის ყრილობების, სიმპოზიუმების, თათბირების, საუბრებისა და, საერთოდ, ყოველგვარი თავყრილობების ერთ-ერთ სამუშაო ენად მიჩნეულ იქნეს ქართული.

შენიშვნა: გარდა იმ თავყრილობებისა, რომლებიც მოიწვიეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

მე წინადადება შემომაქვს ვიმსჯელოთ ამ საკითხებზე. მივიღოთ ეს წინადადებები ან შევექმნათ კომისია ამ პროექტის საბოლოო რედაქციის შესამუშაველად.

### 3. მ. ბროსე – ქართული სალიბერატურო ენის პერიოდიზაციის პიონერი<sup>1</sup>

1. 1837 წლის 29 აპრილს პლატონ იოსელიანმა პატაკი მიართვა თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას იმის თაობაზე, რომ დაასრულა „ქართული გრამატიკა რუსული თარგმანით“ და საჭიროა მისი გადაცემა რეცენზენტისთვის. პატაკში ავტორი მიუთითებდა: რეცენზენტი არ ყოფილიყო ძველი ქართული გრამატიკების, განსაკუთრებით, ანტონის გრამატიკის გავლენის გყვეობაში, რომ რეცენზენტს საგანგებო ყურადღება მიექცია გრამატიკაში მოცემულ სიახლეებზე.

2. 1840 წლის იანვრის 31-ს უწმინდესი სინოდის ობერ პროკურორი ნ.ა. პროტასოვი საქართველოს ეგზარქოს ევგენის ატყობინებდა, რომ მან 1839 წლის 3 მაისს მიიღო პ. იოსელიანის გრამატიკა სარეცენზიოდ. რეცენზია დაწერა ექსტრა ორდინარულმა აკადემიკოსმა მარი ბროსემ.

3. მარი ბროსე სხვა საინტერესო შენიშვნებთან ერთად რეცენზიაში იძლევა ქართული სალიბერატურო ენის პერიოდიზაციასაც:

„ქართულ ენაში არის ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული სამი ფორმა: ბიბლია და საეკლესიო წიგნები, რომლებიც

---

<sup>1</sup> თემისები მოხსენებისა. ს.-ს ორბელიანის სახ. თბილისის სახ. პეღუნივერსიტიკის სამეცნიერო სესუი, 1989წ.

თარგმნილია მოქცევის პირველ ხანებში, ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ძეგლები, რომლებიც ძველი ილიომის თავისებურებებს გადმოგვცემენ („არის ენა მენიერებისა და წიგნური“). უფრო მოგვიანო ხანის ლიტერატურული ქმნილებანი (ისტორიები, რომანები, ლექსები, თუმცა ისინი მრავალრიცხოვანნი არ არიან) იძლევიან ენის ახალ ფორმას, რომელსაც მე ვუწოდებ საერო სამწერლო ენას, და ბოლოს, არის ენა რომელზედაც მეტყველებენ ამჟამად, რომელსაც სინტაქსისა და შეერთებების საკუთარი სისტემა აქვს“.

მარი ბროსე სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქართული გრამატიკოსები არ ითვალისწინებენ ენის ამ დაყოფას და თავიანთ შრომებში ერთდროულად გვაძლევენ სამივე ენის ელემენტებს.

4. მართალია, მ. ბროსეს პერიოდიზაცია არ ითვალისწინებს დროულ კონკრეტიზაციას ე.ი. არ მიუთითებს იმაზე, თუ, კერძოდ, დროის რომელ მონაკვეთში ფუნქციონირებდა სასულიერო და რომელ მონაკვეთში – საერო მწერლობა, მაგრამ, ცხადია, სასულიერო გულისხმობს ძველი ქართულის პერიოდს, საერო – სამუდამოს, ხოლო მესამე პერიოდი – „იმჟამინდელს“, ანუ ახალს. ეს პერიოდიზაცია ფორმალურად იგივეა, რასაც იცაუდნენ აკაკი შანიშე და მისი მიმდევრები და რომელიც დღეს საბოლოოდ დადგენილად ითვლება.

## სარჩევი

ავტორისაზან.....	3
<b>I. უონეტიკა.....</b>	<b>5</b>
1. მარცვალთლიაობის ა თანამედროვე ქართულში.....	5
2. მარცვალთლიაობის ა-ს პრობლემა ძველსა და ახალ ქართულში.....	13
3. ფონეტიკური სიმბოლიზმის შესახებ ქართულში.....	52
<b>II. მორფოლოგია.....</b>	<b>54</b>
1. ნაცვალსახელი თანამედროვე ქართულში (ბრუნების სინქრონული ანალიზი).....	54
2. პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში.....	57
3. კელავ პირის ნაცვალსახელის ბრუნებისა და მოთხრობითი ბრუნების ნიშნის შესახებ.....	82
4. ორიენტაციის კატეგორიის გავებისათვის თანამედროვე ქართულში.....	99
5. უნებლიობის ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია ქართულ მზნაში.....	108
6. კელავ უნებლიობის კატეგორიის შესახებ.....	114
7. მოჩეყნებითობის ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია ქართულ მზნაში.....	127
8. I და II - III პირთა დაპირისპირების გამოხატევა ქართულში.....	139
<b>III. სინტაქსი.....</b>	<b>143</b>
1. უბრალო დამატება თუ ადგილის გარემოება?.....	143
2. შერეული მოდალობის რთული ქვეწყობილი წინადადების ერთი სახეობა ქართულში.....	153

<b>IV. ლექსიკოლოგია, ლექსილოგრაფია</b> .....	158
1. „საკუთარის“ ეტიმოლოგიისათვის.....	158
2. ვინ იყო აფხაზთა მეფე ლეონ II – აფსუა თუ ქართველი? (ქართულ-აფსუური ანთროპონიმიკის საკითხები).....	165
3. რას ნიშნავს „დედათა ბუნებაჲ იწრო არს“?.....	174
4. ქართულ-იტალიური ლექსიკონის „საიდუმლო“ და... კელაე მეცნიერული ეთიკის შესახებ.....	180
<b>V. ღიალექტოლოგია</b> .....	206
1. ღიალექტიმები გალაკტიონის პოეტურ ლექსიკაში.....	206
ა. „გემოც“, აზრიც.....	206
ბ. როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები: „რამდი“, „ცაიერადი“, ფერვალი“.....	221
2. გურულემები გალაკტიონურად.....	238
<b>VI. სიტყვის კულტურის საკითხები</b> .....	248
1. ენობრივი შეგრძნება და სალიტერატურო ნორმა.....	248
2. ისევე „ენობრივი შეგრძნებისა“ და კალკის შესახებ.....	259
3. ვინ არის და ვინაა? (ზოგი წესის დადგენა მაინც შეიძლება).....	262
4. ნეოლოგიზმის ორი მაგალითი-სხვადასხვა შედეგით თანამედროვე ქართულში.....	276
<b>VII. სხვადასხვა</b> .....	279
1. თელა ოცობით თუ ათობით?.....	279
2. ქართული ენის დასაცავად.....	294
3. მ. ბროსე – ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის პიონერი.....	306
<b>სარჩევი</b> .....	308